# ქართული როგორც მეორე ენა

# 7

ნათია მანია, გიორგი ჭაუჭიძე,
ზეინაბ ბერაძე, ნონა არევაძე-კოტორაშვილი,
ნონა მიქელაძე, ია რობაქიძე



სულაკაურის
გამომცემლობა

## მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2021 წელს.

# სარჩევი


შესავალი ..... 5

I თავი – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ..... 7

II თავი – სახელმწიფო ენები ..... 9

III თავი – ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი და პროგრამა ..... 11

IV თავი – მეთოდიკური რეკომენდაციები ..... 41

V თავი – თემატური ერთეულის შექმნის გზამკვლევი ..... 64

VI თავი – თემატური ერთეულები ..... 77

1. არდადეგების შემდეგ ..... 77
2. ბავშვური სამყარო ..... 94
3. ინდიელების საჩუქარი ..... 108
4. ყველაზე საინტერესო მოგზაურობა ..... 122
5. ზამთრის კურორტები ..... 133
6. დიდი და პატარა გამოგონებები ..... 146
7. მე – მკითხველი და მწერალი ..... 158
8. დედის დღე და მამის დღე ..... 169
9. ეტიკეტი ..... 181
10. ადამიანი და ენა ..... 195

VII თავი – შეფასების რუბრიკები
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისთვის ..... 208

VIII თავი – მოსასმენი ტექსტები და ინტერნეტბმულები ..... 222

# შესავალი

„ქართული, როგორც მეორე ენა 7“ წარმოადგენს მე-7 კლასის სახელმძღვანელოს არაქართულენოვანი სკოლებისთვის.

სახელმძღვანელო შედგება 4 კომპონენტისაგან:

1. მოსწავლის წიგნი,
2. სავარჯიშოების რვეული
3. მასწავლებლის წიგნი
4. მოსასმენი ტექსტები და ვიდეოსიუჟეტები (ციფრული ფორმატით)

მოსწავლის წიგნი და სავარჯიშოების რვეული დაყოფილია 10 თემატურ ერთეულად:

**1. არდადეგების შემდეგ**
**2. ბავშვური სამყარო**
**3. ინდიელების საჩუქარი**
**4. ყველაზე საინტერესო მოგზაურობა**
**5. ზამთრის კურორტები**
**6. დიდი და პატარა გამოგონებები**
**7. მე – მკითხველი და მწერალი**
**8. დედის დღე და მამის დღე**
**9. ეტიკეტი**
**10. ადამიანი და ენა**

თითოეულ თემაში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის უნარების განვითარებას, ასევე მოცემულია თემატიკასთან ორგანულად დაკავშირებული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული გრამატიკის საკითხები.

ნებისმიერი დავალებისა თუ სავარჯიშოს პირობაში მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზეა მოცემული მითითება. ასევე მოცემულია პირობითი ნიშანი მოსმენის (ან ვიდეოსიუჟეტის ნახვის) დავალებისას.

გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლის წიგნში მოცემულია დავალებები, რვეულში კი – სავარჯიშოები. ნუმერაცია გადანაწილებულია იმგვარად, რომ შესასრულებელი აქტივობების მიმდევრობა დაცულია. მაგალითად, წიგნში პირველი დავალების შემდეგ თუ მოდის მე-3 დავალება, ეს ნიშნავს, რომ პირველი დავალების შემდეგ შესასრულებელია მე-2 სავარჯიშო, რომელიც სავარჯიშოების რვეულშია მოცემული. ასეთი დაგეგმვა მასწავლებელს გაუიოლებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვას და მასწავლებლის ამ წიგნში ზედმეტი კირკიტის გარეშე მწყობრად მიჰყვება აქტივობებს. სხვათაშორის, ასეთი პრინციპი, რომელიც ჩვენს სახელმძღვანელოებში დაინერგა პირველად, მოწონებით მიიღეს კოლეგა-მასწავლებლებმა.

წინამდებარე მასწავლებლის წიგნში გაწერილია ყველა თემა თავისი ცნებებითა და მკვიდრი წარმოდგენებით, საკვანძო შეკითხვებით, კომპლექსური დავალებებითა და სხვა კომპონენტებით. აქვეა წარმოდგენილი მეთოდიკური მითითებები, რომლებიც უთუოდ დაეხმარება მასწავლებელს, უკეთ წარმართოს საგაკვეთილო პროცესი.

მასწავლებლის წიგნს ბოლოში აქვს დართული ასევე მოსასმენი დავალებების ტექსტები (აუდიომასალა ციფრული ფორმატით ატვირთულია გამომცემლობის საიტზე) და ვიდეოსიუჟეტების ინტერნეტბმულები.

# I თავი – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსალი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებამოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

**ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

**ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:**

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

**გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:**

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების 2 განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

**დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

**ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:**

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

**ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც:**

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი

ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

**ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:**

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

**თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:**

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

# II თავი – სახელმწიფო ენები

სახელმწიფო ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- **ქართული ენა და ლიტერატურა;**
- **ქართული, როგორც მეორე ენა;**
- **აფხაზური ენა და ლიტერატურა.**

სახელმწიფო ენის შესწავლა მოზარდს უვითარებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს, გამოუმუშავებს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების გააზრებული კითხვისა და შექმნის უნარს სახელმწიფო ენაზე; ეხმარება მას, რომ გააცნობიეროს ლოკალური და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი, ხელს უწყობს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების განვითარებას; უზრუნველყოფს მოზარდის სრულფასოვან ინტეგრირებას სამოქალაქო საზოგადოებაში. სახელმწიფო ენების სწავლების მიზნები და ამოცანები სახელმწიფო ენების (ქართულის/აფხაზურის) სწავლების მიზანია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი და შემოქმედებითი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას, საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის წინსვლასა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- ენობრივი ცოდნის შეძენა-გაღრმავება, ენობრივი უნარების განვითარება;
- აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე;
- ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;
- დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგური და დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება;
- სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვის უნარის განვითარება;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით გამართულად წერისა და მეტყველების უნარის განვითარება;
- სხვადასხვა სახის, სტილისა და ჟანრის ტექსტების ანალიზისა და შექმნის უნარის გამომუშავება-განვითარება;
- მწერლის შემოქმედების გააზრების უნარის განვითარება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების

მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით;

- მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბებისა და მისი არგუმენტირების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრებისა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარის განვითარება;
- ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების, უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გააზრების უნარის გამომუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავება;
- სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულების (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა, ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა, ენების სწავლის სურვილი და სხვ.) ჩამოყალიბება და განვითარება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციოკულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
- უცხო კულტურის გაგების უნარის განვითარება;
- სახელმწიფო ენის/ენების ცოდნის დამოუკიდებულად გაღრმავების უნარის განვითარება;
- ენის სწავლის უნარ-ჩვევების (სწავლის სწავლა) განვითარება;
- საგანმანათლებლო მიზნებით ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვ.) განვითარება;
- ქვეყნის მოქალაქეობის განცდის უნარის გამომუშავება და განვითარება.

# III თავი – ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი და პროგრამა

საბაზო საფეხურის ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

**ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;**
**ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;**
**გ) მეთოდიკური ორიენტირები;**
**დ) შეფასება;**
**ე) დანართი.**

საბაზო საფეხურზე სწავლება მოიცავს სამწლიან ციკლს. ამ ეტაპზე ღრმავდება ის საგნობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლემ შეიძინა დაწყებით საფეხურზე. ვინაიდან საბაზო საფეხური სავალდებულო სწავლების დამამთავრებელი ციკლია, ამიტომ ქართულის, როგორც მეორე ენის, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მოსწავლის მომზადება ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, როგორიცაა კონკრეტული გეზის არჩევა (აქტიურ ცხოვრებაში ჩაბმა, პროფესიული განათლების მიღება, სკოლაში სწავლის გაგრძელება). ამის გათვალისწინებით, ქართულის, როგორც მეორე ენის, საბაზო საფეხურის სტანდარტი განსაზღვრავს მოსწავლის აღჭურვას იმგვარი ცოდნით, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მას – გზა გაიკვალოს თანამედროვე ცხოვრებაში.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება პროექტულ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

## ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

საბაზო საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- ქართულ ენაზე წარმატებული კომუნიკაციის უნარის განვითარებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში ქართული ენის მიზნობრივად და ფუნქციურად გამოყენების უნარის განვითარებას;
- სხვა კულტურათა დაფასებისა და პატივისცემის უნარის განვითარებას; მათ მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას;
- სამოქალაქო საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრირების ხელშეწყობას;
- ენის დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებას.

ამ მიზნებზე მუშაობით ქართული, როგორც მეორე ენა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

## ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს ქართულ, როგორც მეორე ენაში.

**სტანდარტის შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:**

1. **კომუნიკაცია** - გულისხმობს საკომუნიკაციო უნარების განვითარების ხელშესაწყობად საჭირო და აუცილებელი სტრატეგიების დაუფლებას და კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად მათ მიზნობრივ გამოყენებას. მოსწავლემ უნდა შეძლოს: ზეპირი თუ წერილობითი ტექსტის გაგება და გაანალიზება როგორც შინაარსის, ისე მისი სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით; მონაწილეობა მრავალფეროვან საკომუნიკაციო სიტუაციებში და ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენება როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს; პიროვნული და შემოქმედებითი დამოკიდებულების გამოვლენა;
2. **სოციოკულტურა და კულტურა** - ორიენტირებულია განსხვავებული კულტურული ცნობიერებისა და ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასებისა და პატივისცემის უნარის შეძენა/ განვითარებაზე. მოსწავლემ უნდა შეძლოს არა მხოლოდ ინტერკულტურული თვალსაზრისით ზეპირი და წერილობითი ტექსტის გაანალიზება, არამედ განსხვავებულ კულტურულ თუ სოციოკულტურულ კონტექსტებში ზეპირი და წერილობითი ინტერაქცია; ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების, ღირებულებებისა და მენტალობების აღმოჩენა და გაგება; საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა თუ გარემოსთან პარალელების გავლება და საკუთარი შეფასება-დამოკიდებულებების გამოხატვა.
3. **სწავლის სწავლა** - მიზანია მოსწავლეებისათვის სასწავლო საქმიანობის დამოუკიდებლად მართვის სწავლება, რომელიც სწავლის დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ მონიტორინგს გულისხმობს. მოსწავლეები სწავლა-სწავლების პროცესის არა პასიური მსმენელები, არამედ ამ პროცესის აქტიური მონაწილეები ხდებიან. ისინი ეჩვევიან სასწავლო მიზნებისა და ამოცანების გააზრებას; შედეგების დამოუკიდებლად შეფასებას; გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას; სხვებთან თანამშრომლობის პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენას; იმ ფაქტორებისა და მიზეზების გაცნობიერებას, რომლებიც აფერხებს ან, პირიქით, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას. მოსწავლეები სწავლობენ რესურსების ეფექტურად მართვას, იძენენ სტრატეგიულ უნარებს წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად და სხვა.

**სტანდარტის შინაარსი** განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, თემატური ჩარჩოებისა და ენობრივი საკითხების სახით.

**ცნებების** სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ და შინაარსიან კონტექსტებში. ეს კონტექსტები წარმოდგენილია **სავალდებულო თემატური ბლოკების სახით.**

**მკვიდრი წარმოდგენები** - თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს.

**სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება**

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ქ.მ.საბ. 1.**

**„ქ.მ.“** - მიუთითებს საგანს „ქართული, როგორც მეორე ენა“;

**„საბ.**- მიუთითებს საბაზო საფეხურის სტანდარტს;

**„1“**- მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

<table>
<tr><th colspan="3">ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)</th></tr>
<tr><th>შედეგების ინდექსი</th><th>მიმართულება: კომუნიკაცია</th><th>სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</th></tr>
<tr><td></td><td>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</td><td rowspan="6">საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)<br>• კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;<br>• კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.<br>• წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br><br>ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 4, 5)<br>• ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.<br>• ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br>• ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.<br><br>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)<br>• ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;</td></tr>
<tr><td>ქ.მ.საბ.1.</td><td>სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ნაცნობ თემასა თუ საკითხზე სხვადასხვა ტიპის მოსასმენი და/ან წასაკითხი ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა;</td></tr>
<tr><td>ქ.მ.საბ.2.</td><td>სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა კონკრეტული საყრდენების მიხედვით;</td></tr>
<tr><td>ქ.მ.საბ.3.</td><td>სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ნაცნობ თემებზე, აქტუალურ საკითხებსა თუ პრობლემებზე საუბარი, დიალოგის წარმართვა ან სხვების საუბარში ჩართვა;</td></tr>
<tr><td>ქ.მ.საბ.4.</td><td>საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების ზეპირად და/ან წერილობით გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;</td></tr>
<tr><td>ქ.მ.საბ.5.</td><td>ნასწავლი ენობრივი საშუალებებისა და სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება.</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| ქ.მ.საბ.6. | ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა. | **ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)**<br>• ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით;<br>• ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;<br>• პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის. |
| **მიმართულება: სოციოკულტურა და კულტურა** | | |
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: | |
| ქ.მ.საბ.7. | სოციოკულტურული თვალსაზრისით კონკრეტული ინფორმაციის ან მთლიანი ტექსტის გაანალიზება; | |
| ქ.მ.საბ.8. | განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა; | **ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)**<br>• ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);<br>• განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში;<br>• სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა. |
| ქ.მ.საბ.9. | განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებში ინტერპერსონალური უნარების გამოვლენა, თავისუფლად ორიენტირება. | |
| **მიმართულება: სწავლის სწავლა** | | |
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: | |
| ქ.მ.საბ.10. | სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი); | |
| ქ.მ.საბ.11. | სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა; | |

| | | |
|---|---|---|
| ქ.მ.საბ.12. | სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება. | **გრამატიკა (შედეგები 5)**<br><br>• სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;<br>• გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.<br>**ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები)**<br>**(შედეგები 1, 2, 3, 5)**<br><br>• ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს;<br>• თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br>• ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები.<br>• ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br>• **სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)**<br>• სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს |
| | | და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს;<br>• სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე. |

## ცნებები და საკითხები

| ცნებები | ქვეცნებები, საკითხები |
|---|---|
| კომუნიკაცია | **ქვეცნებები:**<br><br>**სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციაში მონაწილეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო**<br><br>**მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა სამეტყველო აქტები:**<br><br>• **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება);<br><br>• **ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.);<br><br>• **ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილებების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...);<br><br>• **ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...). |

| | |
|---|---|
| **ტექსტის ტიპი და ჟანრი** | **ქვეცნებები:**<br><br>**ტექსტის ტიპები** - მხატვრული, არამხატვრული<br><br>**ტექსტის ჟანრები -**<br><br>• მხატვრული ლიტერატურა: პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები;<br><br>• არამხატვრული ლიტერატურა: ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, ანოტაცია, გამოხმაურება ბ) საქმიანი ქაღალდები - განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV); გ) კორესპონდენცია - პირადი და მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; ე) ბიოგრაფიული ტექსტები - ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი/პორტრეტები, დღიური, მოგონება;<br><br>• მედია/მულტიმედია ტექსტები: მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; გასართობ-შემეცნებითი გადაცემები; სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები<br><br>• სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები. |
| **ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება** | **ქვეცნებები:**<br><br>• **ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** *(მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა, შემოკლებული სიტყვები);*<br><br>• **ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** *(მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ლოგო,; ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი);*<br><br>• **აბზაცის სტრუქტურა** - თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები (დამატებითი ინფორმაციის შემცველი მაგალითი, დეტალი, მონაცემი), დასკვნითი წინადადება; |
| **ინტერპრეტაცია** | **ქვეცნებები:**<br><br>ჟანრი; თემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი |

| | |
|---|---|
| **გრამატიკა** | **ქვეცნებები:** მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა<br><br>**ენობრივი საკითხები:**<br><br>• მორფოლოგია: არსებითი სახელი; ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები და მათი ფუნქციები; ზედსართავი და რიცხვითი სახელები; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური და პასიური ფორმები; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი / ხოლმეობითი); აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა (წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი); შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, შესრულებული მოქმედების პროცესი და შედეგი, უნახავი მოქმედების გამოხატვა - I თურმეობითი); ასპექტის წარმოება; თავისებური ზმნები; საწყისი და მიმღეობა და მათი ფუნქციები; სახელთა წარმოქმნა; ფორმაუცვლელი სიტყვები და მათი ფუნქციები (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი და ნაწილაკი);<br><br>• სინტაქსი: წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ბრძანებითი წინადადებები; რთული სინტაქსური კონსტრუქციები (კავშირიანი და უკავშირო შეერთება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში); აქტიური და პასიური კონსტრუქციები; ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში; მსაზღვრელ-საზღვრული; პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები (რა შემთხვევაში? რა პირობებში?);<br><br>• მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები: რიცხვითი სახელების მართლწერა (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით); ნაცვალსახელები და მათთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები (მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/თავიანთი; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები; სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერის საკითხები; სასვენი ნიშნების ხმარება პირდაპირ და ირიბ ნათქვამში, განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან);<br><br>• ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი; კომპოზიტი; დანართი, ჩართული. |
| **ენის სწავლის სტრატეგიები** | **მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ); |

| | |
|---|---|
| | **კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br><br>**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;<br><br>**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br><br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**<br>• ენათშორისი პარალელების გავლება;<br>• დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;<br>• დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br>• ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას. |
| **სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)** | **ქვეცნებები:**<br><br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა; |
| **ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა** | **საკითხები:**<br><br>სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები; |

## ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები

თემატურ ბლოკებში სავალდებულო თემები თავმოყრილია იმ ძირითად შინაარსობრივ საკითხებთან ერთად, რომლებიც ითვალისწინებს მათ ასაკობრივ ინტერესებსა და მოთხოვნებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის მოცემულ დონეს.

I. მე და სამყარო:

1. **ყველაფერი ჩემ შესახებ** (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, ჯანმრთელობა, თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები, უახლოესი გეგმები, მომავლის დაგეგმვა/არჩევანის გაკეთება);
2. **ფიზიკური გარემო** (დედამიწა, მსოფლიოს გარშემო - ქვეყნები და ქალაქები; ეკოლოგია, ბუნებრივი კატასტროფები, გეოგრაფიული გარემო, მხარეები, აღმოჩენები).

II. სოციოკულტურა და კულტურა:

1. **ყოველდღიური ცხოვრება** (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები, თავისუფალი დროის გატარება);
2. **პიროვნებათშორისი ურთიერთობები** (ოჯახური ურთიერთობები, თანატოლებს / თაობებს შორის ურთიერთობები);
3. **ღირებულებები და ფასეულობები** (კულტურა, ტრადიციები, დღესასწაულები და ფესტივალები, ღირსშესანიშნაობები; ისტორიული პიროვნებები და მოვლენები; უმცირესობები - ეთნიკური / რელიგიური, სხვა ქვეყნები და ხალხები).

მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები საბაზო საფეხურის ოთხივე კლასისთვის უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის თემატური ჩარჩოდან. თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ ქართული ენის გაგება-გამოყენება.

თითოეულ თემას უნდა ახლდეს **შეფასების კრიტერიუმები.** ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. შეფასების კრიტერიუმები ჯგუფდება ცნებების მიხედვით, თითოეულ კრიტერიუმს უნდა ახლდეს შესაბამისი შედეგის ინდექსის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარეობს იგი).

ეროვნული სასწავლო გეგმის ქართულის, როგორც მეორე ენის პროგრამაში შემუშავებულია თემის შეფასების კრიტერიუმების ყალიბი, რომელიც, კონკრეტულ თემაში დამუშავებული ქვეცნებებიდან და საკითხებიდან გამომდინარე, დაკონკრეტდება. გთავაზობთ შეფასების კრიტერიუმების ყალიბს:

## <u>თემის ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია:</u>

**კომუნიკაცია (1, 2, 3, 5, 6)**

- საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების გაცნობიერება და ინტერაქციის დროს მათი სათანადოდ გათვალისწინება.
- კონკრეტული ტექსტების გაგება-გააზრება და შედგენა-გაზიარება;
- ფუნქციური სამეტყველო აქტების მიზნობრივად შესრულება;
- ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა.

**ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 5)**

- ტექსტის ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას.

**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 5)**

- ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება;

**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგი: 4);**

- ტექსტში ასახული თემის, მიზნის, პრობლემის, ცალკეული საკითხების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა-დასაბუთება და დასკვნების გამოტანა;
- საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტში ასახული განსხვავებული თვალსაზრისებისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივების შეფასება;
- ტექსტში მოცემული ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება.

**გრამატიკა (შედეგი 5)**

- ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და მათი გამოყენება კონკრეტული მიზნით;
- სხვადასხვა ფუნქციური სტილისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება კონკრეტული მიზნით;

- ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნის გამოყენება კონკრეტული სამეტყველო აქტების შესრულებისას.

**ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)**

- მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის სტრატეგიების გამოყენება ტექსტების გაგება-გააზრებისა და შექმნა-გაზიარების ხელშესაწყობად;
- ენობრივი (ლექსიკის, გრამატიკის) სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება კონკრეტული ენობრივი საკითხების ათვისების ხელშესაწყობად;
- საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციური გამოყენება.

**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები 10, 11, 12)**

- სასწავლო აქტივობებსა და დავალებებში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება და შეფასება ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, შემაფერხებელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება და საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა.

**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)**

- კულტურული განსხვავებების მიმართ ინტერესის გამოჩენა;
- განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება; საკუთარ სოციოკულტურულ გარემოსთან მსგავსება-განსხვავებების განსაზღვრა;
- კულტურათა დიალოგისთვის ხელის შეწყობა შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის, ინტერპრეტირებისა და გაზიარების გზით.

## <u>სტანდარტის საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები:</u>

საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ცნებებსა და საკითხებს უკავშირებს სტანდარტის შედეგებს და აჩვენებს თუ რისთვის, რა მიზნით უნდა გამოიყენოს მოსწავლემ შინაარსით განსაზღვრული ცოდნა.

საკვანძო შეკითხვები უზრუნველყოფს არამხოლოდ სწავლების შინაარსის დაკავშირებას სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან, არამედ სასწავლო პროცესის მოსწავლესა და სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებას; სტიმულს აძლევს სასწავლო მასალის მრავალმხრივად გააზრების პროცესს.

- რას მეუბნება ტექსტი? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?
- რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ?
- რამ შემიშალა ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?
- რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?
- როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები ტექსტის, თემის, პრობლემის/საკითხის მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის?

- რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?
- როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? არის თუ არა ჩემი აზრი / იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?
- მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა?
- რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?
- მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია?

## გ) მეთოდიკური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

**<u>გამჭოლი უნარები და ღირებულებები</u>**

საგნობრივი შედეგების გარდა, სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ უნდა იქცეს ასევე შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

| | |
|---|---|
| პასუხისმგებლობა | • სასკოლო და სხვა საქმიანობებში ნაკისრი ვალდებულების შესრულება;<br>• სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;<br>• საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება. |
| თანამშრომლობა | • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად;<br>• განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა;<br>• რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.<br>• ჯგუფის წევრებს შორის განაწილებული სამუშაოს შესრულება. |
| დროსა და სივრცეში ორიენტირება | • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება;<br>• მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით. |

| | |
|---|---|
| ეთიკა | • ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა;<br>• სოლიდარობის განცდა;<br>• სხვებისადმი ემპათია;<br>• პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი;<br>• განსხვავებულობის მიმღებლობა;<br>• საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება. |
| ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება | • ინფორმაციის/სასწავლო მასალის (დიდაქტიზებული, პრაგმატული, საინფორმაციო-შემეცნებითი, გასართობ-შემოქმედებითი ხასიათის ტექსტები) მოძიება ინტერნეტში სხვადასხვა საძიებო სისტემის მეშვეობით;<br>• ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად და პროექტების განსახორციელებლად (სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის/მეგობრული წერილის/შეტყობინების ელექტრონული ვერსიის მიწერა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, უცხოელ თანატოლებთან ჩეთში მონაწილეობა skype-ის, messenger-ის მეშვეობით; ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და უცხოურ ენაზე განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, მაგ., კულინარიული რეცეპტების კრებულის, სკოლის მოსწავლეთა ნახატების/ნაკეთობების კატალოგის სკოლის ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება);<br>ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად. |
| შემოქმედებითი აზროვნება | • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება;<br>• ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა;<br>• დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება;<br>• სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ. |

## ენის სწავლების მეთოდები და შერჩევა

სწავლების მეთოდები დიდად არის დამოკიდებული მოსწავლეთა სწავლების სტილსა და მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე (ბუნებრივია, იმისთვის, რომ მოსწავლემ ეფექტიანად გამოიყენოს შეთავაზებული სწავლების მეთოდები, ის სწავლის ეფექტურ სტრატეგიებსაც უნდა ფლობდეს). მათი სწორად შერჩევა და გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას და, შესაბამისად, იმ შედეგების მიღწევას, რომლებიც სტანდარტით არის განსაზღვრული.

სწავლების მეთოდის შერჩევისას, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს, მოსწავლეებში რა კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს ეს მეთოდი და რა არის მისი ძლიერი ან სუსტი მხარე. მეთოდის შერჩევისას ასევე უნდა დავფიქრდეთ:

- დაგვეხმარება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი დასახული შედეგის მიღწევაში;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი აქტივობას;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას;

- ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება (ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები; გვეყოფა თუ არა დრო, შესაძლებელია თუ არა ამ რაოდენობის მოსწავლით მეთოდის ეფექტიანად განხორციელება და ა.შ.).

## ენის სწავლების ძირითადი პრინციპები

იმისათვის, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ეფექტურად წარიმართოს, მასწავლებელმა:

- კარგად უნდა შეისწავლოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები (მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესში გარკვეული პერიოდულობით/სიხშირით ხდებოდეს მოსწავლეებზე ინდივიდუალური დაკვირვება და მათი სწავლის სტილის დადგენა / დიაგნოსტირება იმისათვის, რომ დაიგეგმოს ოპტიმალური სასწავლო სიტუაციები. მეორე მხრივ, მასწავლებელი აუცილებლად უნდა ეცადოს მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარებასა და სწავლის სტილთა გამრავალფეროვნებას);
- უნდა შეარჩიოს სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, მეთოდები და მიდგომები, ვინაიდან არ არსებობს სწავლების თუ სწავლის ერთი უნივერსალური მეთოდი, რომელიც ყველა მოსწავლეს შეესაბამება;
- მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს აქტივობათა და დავალებათა ასევე მრავალფეროვანი არჩევანი.

იმისათვის, რომ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მის განმაპირობებელ ფაქტორებზე, კერძოდ:

- მოსწავლეებს უნდა გავუღვიძოთ ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის/თემის, მიმართ; გავამდიდროთ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი და საინტერესო სასწავლო მასალითა და აქტივობებით, სწავლების ახალი მეთოდებითა და სტრატეგიებით.
- უნდა დავარწმუნოთ ისინი საკუთარ შესაძლებლობებში. სწორედ ამისთვის არის საჭირო, რომ მასწავლებელი ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლეების ცოდნის დონისა და უნარების შესახებ. გამოვიყენოთ სხვადასხვა სირთულისა და ტიპის დავალებები.
- უნდა შევქმნათ თანამშრომლობითი ატმოსფერო. ერთი მხრივ, ეს გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და, მეორე მხრივ, მათში კონსტრუქციული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

  ამისთვის, სასურველია:

✓ მასწავლებელმა მოსწავლესთან ერთად დაგეგმოს კონკრეტული აქტივობები; განსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპები; განახორციელოს ჯგუფური სამუშაოები; ჩართოს მოსწავლეები ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში. მათთან ერთად შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები. დაეხმაროს მოსწავლეებს სწავლის სტრატეგიების გამომუშავებაში და სხვა.

✓ მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბოს შეცდომებისადმი კონსტრუქციული დამოკიდებულება. მათ უნდა იცოდნენ, რომ შეცდომები სწავლის საუკეთესო საშუალებაა. გახადოს ისინი მიმტევებელნი / შემწყნარებელნი როგორც საკუთარი, ისე სხვისი შეცდომების მიმართ.

## <u>წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები</u>

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტი განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს და რა უნდა იცოდეს მან). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა განხორციელების გზებს.

წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით, რომლებიც გამოიყოფა სტანდარტის თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას). სასწავლო თემა წარმოადგენს შინაარსიან, ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგებზე გასვლა და სამიზნე ცნებების (და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების) დაუფლება საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, **თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს.** მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

## სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

**სასწავლო თემა** (მაგ., მოგზაურობა უცხო ქვეყანაში)

სასწავლო თემა წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

**შედეგები, სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**

შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

**საკითხები**

წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საკითხები, რომელთა საშუალებითაც ხდება იმის განსაზღვრა, კონკრეტულად რაზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ თემის ფარგლებში.

საკითხებზე დაყრდნობით ხდება ასევე:

- იმ სამეტყველო აქტების განსაზღვრა, რომლებიც ხორციელდება მოცემული თემის ფარგლებში;
- იმ ძირითადი ენობრივი საკითხების გამოკვეთა, რომლებიც მნიშვნელოვანია მოცემული სამეტყველო აქტების განხორციელებისათვის;
- კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.

| |
|---|
| **ქვეცნებები**<br><br>ქვეცნებები წარმოადგენს იმ ცნებებსა და ტერმინებს, რომლებიც სამიზნე ცნებებიდან გამომდინარეობენ და რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს. |
| **თემატური საკვანძო შეკითხვები**<br><br>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და პასუხს სცემს შეკითხვას - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? მათი ფუნქციაა:<br>• მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;<br>• სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს. |
| **კომპლექსური/პროექტული დავალებები**<br><br>კომპლექსური დავალებები წარმოადგენს შემოქმედებით-შემეცნებით პროდუქტს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან - საკითხი, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი) თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.<br>კომპლექსური დავალება შეესაბამება ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას - მოქმედებაზე ორიენტირებულ მიდგომას (action-oriented approach). |
| **აქტივობები და რესურსები**<br><br>თემატურ მატრიცაში აქტივობები და სასწავლო რესურსები შეირჩევა იმისთვის, რათა მოსწავლეს გაუადვილდეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, რომლის შესრულებაც თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს. |

| |
|---|
| **შეფასების კრიტერიუმები**<br><br>შეფასების კრიტერიუმები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, კრიტერიუმები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. |

**სასწავლო თემის აგების ბიჯები**

| |
|---|
| ნაბიჯი 1. თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებებისა და საკითხების განსაზღვრა |
| ნაბიჯი 2. საგნობრივი საკითხისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის განსაზღვრა |
| ნაბიჯი 3. კომპლექსური დავალების შესაბამისი საკვანძო შეკითხვის/შეკითხვების დასმა და შეფასების კრიტერიუმის შერჩევა. |
| ნაბიჯი 4. აქტივობებისა და რესურსების შერჩევა, რომელიც მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმარება. |

**სასწავლო თემის აგება**

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული და გრძელვადიან მიზნებს განასახიერებენ.

**თემის დამუშავების ნიმუში სასკოლო კურიკულუმისთვის ან მასწავლებლის წიგნისთვის**

თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ოთხეული - ქვეცნება/საკითხი, საკვანძო შეკითხვები, კომპლექსური დავალება/დავალებები, შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები. თემატურ მატრიცაში შესაძლებელია დაემატოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც ავტორი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.

<table>
<tr><td colspan="4">თემა: საათების სავარაუდო რაოდენობა -</td></tr>
<tr><td colspan="4">თემატური საკვანძო შეკითხვები:</td></tr>
<tr><td colspan="4">თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:</td></tr>
<tr><td colspan="2">სამეტყველო აქტები:</td><td colspan="2">ენობრივი საკითხები</td></tr>
<tr><td>თემატური ლექსიკა</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="4">ტექსტის ტიპები და ჟანრები:</td></tr>
<tr><td colspan="4"></td></tr>
<tr><td rowspan="4">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td><td colspan="3">I ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td><td rowspan="2">კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობები:</td></tr>
<tr><td colspan="2">რესურსები:</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">შეფასების კრიტერიუმები</td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">II ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td></td><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td><td>კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="8"></td><td colspan="2">აქტივობები:</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">რესურსები:</td><td></td></tr>
<tr><td colspan="3">შეფასების კრიტერიუმები</td></tr>
<tr><td colspan="3">III ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td><td rowspan="3">კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობები:</td></tr>
<tr><td colspan="2">რესურსები:</td></tr>
<tr><td colspan="3">შეფასების კრიტერიუმები</td></tr>
<tr><td colspan="4">მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს</td></tr>
</table>

## დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

## <u>შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება</u>

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, შინაარსიანი კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. შემაჯამებელი დავალებები ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული სასწავლო გეგმების საბაზო საფეხურის მისიის განხორციელებას, სახელდობრ, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებასა და მოსწავლის ცხოვრებისათვის მომზადებას.

ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

**ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის**

ქვემოთ შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

- კვლევითი პროექტების განხორციელება;
- ზეპირი ან წერილობითი ანგარიშის წარდგენა (მაგ., კვლევის მონაცემთა ანალიზი)
- აქტუალურ საკითხებზე დისკუსიების მოწყობა;
- ფილმის, ნახატის, ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (მაგ., რეკლამა, ვიდეორგოლი, ვებგვერდი, გაზეთი...);
- წერილობითი ტექსტების შედგენა (დღიური, გამოხმაურება, რეპორტაჟი, გზამკვლევი...);
- როლურ თამაშებში მონაწილეობა (ინსცენირება; ინტერვიუს აღება, ვიქტორინის მოწყობა...)

**მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება**

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, შეფასების ინდიკატორების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;

**ნიმუში.** შემაჯამებელი დავალება წერითმეტყველებაში.

**თემა** - სტუმრად უცხო ქალაქში

**დავალების პირობა:** დააკვირდი სქემაზე მონიშნულ მარშრუტს და წერილობით აუხსენი შენს სტუმარს, როგორ მოვიდეს შენამდე.

<u>ყურადღება მიაქციე!</u>

1. რომელი გზით არის უკეთესი წამოსვლა, შენამდე ადვილად რომ მოვიდეს?
2. ურჩიე, რით ჯობია, რომ წამოვიდეს.
3. მიუთითე, როგორ მოვიდეს შენამდე.
4. შესთავაზე სხვა ვარიანტიც.

გამოიყენე!

1. გირჩევ, უნდა, შეგიძლია
2. თუ ... , მაშინ ...

სიტყვების მინიმალური რაოდენობა – 20

| შეფასების კრიტერიუმები | ქულები | განმავითარებელი შეფასების კომენტარი |
|---|---|---|
| **პირობასთან შესაბამისობა** | | |
| იცავს სიტყვების რაოდენობის ქვედა ზღვარს | 0 - 1 | |
| იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (შეთავაზებულია გზის ორი ვარიანტი) | 0 - 1 | |
| **კომუნიკაციური უნარ-ჩვევები** | | |
| სწორად არის ახსნილი პირველი გზა | 0 - 1 - 2 | |
| სწორად არის ახსნილი მეორე გზა | 0 – 1 – 2 | |
| **ენობრივი უნარ-ჩვევები** | | |
| სწორად იყენებს ზმნის ფორმებს | 0 – 1 – 2 | |
| სწორად იყენებს ნასწავლ ლექსიკას | 0 - 1 - 2 | |
| ქულათა მაქსიმალური რაოდენობა | 10 | |

## ე) დანართი

**დოკუმენტში გამოყენებული ტერმინოლოგია**

- **საგნის სწავლების ზოგადი მიზნები** (Goals) აჩვენებს, თუ რა წვლილი შეაქვს საგნის სწავლებას იმ უნარების განვითარებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში, რომლებსაც ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები (Aims) ითვალისწინებს.

- **სტანდარტის შედეგები (objectives)** საგნის სწავლა-სწავლების კონკრეტული, ოპერაციული მიზნები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს საგნის საბაზო საფეხურზე სწავლა-სწავლება და შეფასება. შედეგები ჯგუფდება მიმართულებების მიხედვით.

- **სტანდარტის შინაარსი** ცნებებისა და სასწავლო თემების /თემატური ჩარჩოს/თემატური ბლოკის ერთობლიობაა.

- **ცნებების** სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. სტანდარტის შინაარსში გამოყოფილია ცნებების ორი კატეგორია:

  - **სასწავლო თემები** წარმოადგენს კონტექსტებს, რომლებშიც მუშავდება სტანდარტის შედეგები და ცნებები. თემები იშლება საგნობრივი საკითხების მეშვეობით. სტანდარტი საგნობრივი საკითხების შერჩევის თავისუფლებას პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს უტოვებს. სასწავლო თემები ხელს უწყობს :
    - საგნის სასწავლო მასალის თანამიმდევრულ სასწავლო მონაკვეთებში განაწილებას;
    - სტანდარტის შედეგებისა და ცნებების შინაარსიან, ცხოვრებისეულ კონტექსტებში (და არა იზოლირებულად, კონტექსტებისაგან მოწყვეტილად) დამუშავებასა და ურთიერთდაკავშირებას.

  - **თემატური ჩარჩო/ბლოკი** წარმოადგენს ბაზას სასწავლო წლიური თემებისათვის და აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ საგნობრივი ცოდნის გამოყენება. მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები საბაზო საფეხურის სამივე კლასისთვის მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს და ფარავდეს სტანდარტის თემატურ ჩარჩოს.

- **საფეხურის საკვანძო შეკითხვები** სტანდარტის შინაარსს აკავშირებს სტანდარტის შედეგებთან და აჩვენებს, თუ რისთვის უნდა გამოიყენოს მოსწავლემ კონკრეტული ცოდნა. საკვანძო შეკითხვები, როგორც ვექტორები, სწავლა-სწავლების პროცესს შედეგებისკენ მიმართავს. სხვა სიტყვებით, ამ შეკითხვებმა უნდა დააფიქროს თითოეული მოსწავლე და გამოიწვიოს/გაააქტიუროს ისინი ამ შეკითხვებით დასმული ამოცანების გადასაჭრელად;

- **მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა** (action-oriented approach) ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას წარმოადგენს. განსხვავებით კომუნიკაციური მიდგომისაგან, რომელიც არსებითად ინფორმაციის გაცვლაზე იყო ორიენტირებული, ამ ახალ პარადიგმაში ენების სწავლა-სწავლების მთავარ ამოცანას შეადგენს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელების უნარების განვითარება. თუკი კომუნიკაციური მიდგომის მთავარ საგაკვეთილო აქტივობას „სიმულაცია" წარმოადგენდა, ამ ახალი მიმართულების მიხედვით, პროექტული სწავლა-სწავლებაა პრიორიტეტული.

- **მოსმენის/კითხვის სტრატეგიები**

  - **გაცნობითი კითხვა** - გულისხმობს ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად ყურადღების

მიმართვას ტექსტის ორგანიზებაზე, მის სტრუქტურულ ერთეულებზე; ტექტის შინაარსზე აზრის შესაქმნელად სათაურის/ქვესათაურების, ილუსტრაციების, წარწერების, გამოყოფილი სიტყვების, აბზაცების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვა (გაცნობითი მოსმენის შემთხვევაში მსმენელი ყურადღებას გაამახვილებს ნაცნობ სიტყვებსა და შესიტყვებებზე, არავერბალურ ელემენტებზე (ინტონაცია, მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი და სხვ.).

- **სელექციური კითხვა/მოსმენა** - გულისხმობს ყურადღების მიზანმიმართულად წარმართვას არა მთლიან შინაარსზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ ინფორმაციაზე.
- **შესწავლითი კითხვა:** გულისხმობს ტექსტის დეტალურ დამუშავებას სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. ამგვარ სტრატეგიებს წარმოადგენს:
  - **მთლიანად გადაკითხვა** - ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე თემატიკის/მთავარი საკითხების შესახებ აზრის შესაქმნელად;
  - **გონებაში დამუშავება** - ტექსტის ცალკეული მონაკვეთის/აბზაცის შინაარსის წარმოდგენაში გაცოცხლება, წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება;
  - **გამოცნობა გულისხმობს** უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობას ნაცნობი ელემენტების (კონტექსტის, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვების ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, მიმიკის და სხვ.) დახმარებით;
  - **უცნობი სიტყვების ამოწერა** - ლექსიკონის დახმარებით უცხო სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა;
  - **მიბრუნება** - გაუგებარ, რთულ, ბუნდოვან მონაკვეთებთან მიბრუნება:
  - **შეკითხვების დასმა** - ტექსტის მონაკვეთების ერთმანეთთან დასაკავშირებლად;
  - **ინფორმაციის დაჯგუფება** - ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა ხერხის (სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, ტაბულის, გრაფიკის) გამოყენება;
  - **ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის/აბზაცის შეჯამება.**

**დედუქცია** - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.

**ინდუქცია** - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

# ქართული, როგორც მეორე ენა
# საბაზო საფეხურის წლიური პროგრამები
# VII კლასი

| **თემა:** მოგზაურობა უცხო ქვეყანაში |
|---|
| კავშირები თემატურ ბლოკებთან:<br><br>**I. მე და სამყარო:**<br><br>ა) ყველაფერი ჩემ შესახებ - *პირადი მონაცემები, ჰობი, ინტერესები;*<br><br>ბ) ფიზიკური გარემო - *ქვეყნები და ქალაქები; მხარეები*<br><br>**II. სოციოკულტურა და კულტურა:**<br><br>ა) ყოველდღიური ცხოვრება - *ეტიკეტი, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები;*<br><br>ბ) პიროვნებათშორისი ურთიერთობები - *ურთიერთობა უცხოელ თანატოლებთან;*<br><br>გ) ღირებულებები და ფასეულობები - *ღირსშესანიშნაობები, დღესასწაულები, კულტურა და ტრადიციები*<br><br>*ტექსტები შეირჩევა და შეიქმნება თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.* |

| სამეტყველო აქტები | ენობრივი საკითხები |
|---|---|
| **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** - კომუნიკაციის დაწყება / დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, შეხვედრის დანიშვნა;<br><br>**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** - პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; გარემოს აღწერა; გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/ მოგზაურობა და ა.შ.;<br><br>**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** - დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა (კმაყოფილება / უკმაყოფილება, გაკვირვება, ინტერესი);<br><br>**ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ:** დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა (დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...). | თანდებული, ზმნისწინი;<br><br>აქტიური და პასიური კონსტრუქცია;<br><br>II კავშირებითი;<br><br>ფაქტი / ვარაუდი / სურვილი;<br><br>ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში;<br><br>ნაცვალსახელები და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები - მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/ თავიანთი;<br><br>რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმება და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. |

| ცნებები | საკვანძო შეკითხვები |
| --- | --- |
| ტექსტის ტიპები<br><br>**ბიოგრაფიული:** დღიური, მოგონებები;<br><br>**პრაგმატული:** რეკლამა, გზამკვლევი;<br><br>**საინფორმაციო და შემეცნებითი:** სტატიები წიგნებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან;<br><br>ადაპტირებული **მხატვრული** ნაწარმოებები;<br><br>**მედია/მულტიმედია:** სტატიები საბავშვო ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან;<br><br>**სასწავლო მიზნებით შედგენილი:** თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები.<br><br>სტრატეგიები<br><br>მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის სტრატეგიები;<br><br>სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად;<br><br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები | • რატომ მოგზაურობენ ადამიანები? რამდენად ეხმარება ადამიანს უცხო სამყაროს გაცნობა ნაცნობის / მშობლიურის უკეთ გაგებაში ან/და პირიქით?<br><br>• რა მსგავსება და განსხვავება აქვს უცხო ქვეყნის კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან? რითია განპირობებული განსხვავებული ფაქტორების არსებობა?<br><br>• რატომ არის მნიშვნელოვანი სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ?<br><br>• არგუმენტირებულად ვაყალიბებ თუ არა ჩემს პოზიციას უცხო სოციოკულტურულ კონტექსტებზე საუბრისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?<br><br>• სად, როგორ და ვისთან შემიძლია გამოვიყენო ქართული ენა მოცემული თემის ფარგლებში? რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები მეხმარება კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?<br><br>• არის თუ არა მარტივად გასაგები და აღსაქმელი ჩემი საუბარი / ნაწერი და რატომ?<br><br>• რას ვაკეთებ ან არ/ვერ ვაკეთებ იმისათვის, რომ მიზანს მივაღწიო? რა სტრატეგიებსა და საგანმანათლებლო რესურსებს ვიყენებ ამისათვის? |

**შეფასების ინდიკატორები** - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

•საუბრის თემისა და მიზნის, ძირითადი საკითხების, მისთვის საინტერესო მნიშვნელოვანი დეტალების გაგება; თანამოსაუბრეთა თვალსაზრისებისა და დამოკიდებულებების, დადებითი და უარყოფითი შეფასებების, მათი განწყობისა და ემოციების ამოცნობა (ქ.მ.საბ. 1. 5);

•მოცემული კულტურულ-სოციალური გარემოსა და უცხო კულტურისათვის დამახასიათებელი ქცევის ეტიკეტის ამოცნობა; კონკრეტული სოციალურ-კულტურული ფასეულობების მიმართ საკუთარი / სხვების დამოკიდებულებების გააანალიზება; კულტურულ თავისებურებებზე საუბრისას საკუთარი შეხედულებებისა და დამოკიდებულების ტაქტიანად გამოხატვა (ქ.მ.საბ. 1. 7. 8. 9);

•კონკრეტული საკითხის / დასმული პრობლემის მიმართ საკუთარი პოზიციის დასაბუთებული ახსნა -რატომ ფიქრობს ასე; არგუმენტირებული კომენტარების გაკეთება; ცალკეული ქმედებების, ფაქტებისა თუ მოვლენების შეფასება და კონკრეტული დასკვნების გამოტანა; პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან სათანადო მაგალითების დამოწმება საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად (ქ.მ.საბ. 1. 2. 3. 4. 6);

•ზეპირი და/ან წერითი მეტყველებისას ტექსტის ფორმალური მხარის დაცვა; საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი სტრუქტურული და სტილური მახასიათებლების შერჩევა; ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების კონტექსტის შესაბამისად გამოყენება; აზრის თანამიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება (ქ.მ.საბ. 2. 4. 5. 6);

| |
|---|
| •სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისას შესასრულებელი სამუშაოს თანამიმდევრობისა და მისი განხორციელების ეტაპების შედგენა; საჭირო რესურსების შექმნა და გამოყენება; დავალების შესრულებისას საკომუნიკაციო ამოცანის შესატყვისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; შედეგებზე დაკვირვებით გამოყენებული სტრატეგიების შეფასება სათანადოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით; იმ მიზეზებისა და ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში (ქ.მ.საბ. 10. 11. 12). |
| **მკვიდრი წარმოდგენები:**<br>• სხვადასხვა ქვეყნის (/კულტურის) ადამიანების ცხოვრებისეულ გამოცდილებას შორის არსებობს მსგავსება-განსხვავებები;<br>• უცხო ქვეყნის კულტურულ-სოციალურ გარემოსთან შეხება და უცხო სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება მეხმარება ადამიანების / საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში; პირადი გამოცდილების გამდიდრებაში; არსებული წარმოდგენების გადაფასებაში;<br>• მოგზაურობაზე შექმნილი ტექსტების უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა;<br>• ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა შევძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას და/ან საქართველოს შესახებ საუბრისას. |

**სამეტყველო აქტები ენობრივ საკითხებთან მიმართებით:**

| **პრიორიტეტული სამეტყველო ფუნქციები** | **ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები** | **ძირითადი ენობრივი საკითხები** |
|---|---|---|
| | | |
| **1.1. სოციალური ურთიერთობები:**<br>მისალმება/დამშვიდობება, მოკითხვა, საკუთარი თავის / სხვისი წარდგენა, მილოცვა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება, თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება | საღამომდე! მომავალ შეხვედრამდე! მაპატიეთ!<br>გაიცანით, ეს ჩემი . . .<br>გიწვევ(თ) + ...**-ზე/-თან/-ში** | **ფონეტიკა/მორფოლოგია/სინტაქსი**<br>**1.არსებითი სახელი**<br>**2.ჩვენებითი ნაცვალსახელი:**<br>ეს(ესენი) _ ეგ(ეგენი) _ ის(ისინი);<br>**3.კითხვითი ნაცვალსახელი:**<br>სადაური? საიდან? რანაირი? როდინდელი?... |

| | | |
|---|---|---|
| **1.2. ინფორმაციის გაცვლა:**<br>პირადი მონაცემები (ვინაობა, ასაკი, წარმომავლობა, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი), ოჯახი / ნათესავები, პროფესია/ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები / სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, მგზავრობა/ მოგზაურობა, გემოვნება | ვარ + ...**-დან** (საქართველოდან);<br>დავიბადე ...წლის ...**-ს** (მაგ., ხუთ მაისს);<br>მინდა გავხდე/გამოვიდე...;<br>**რისთვის? რა მიზნით?** _ად: წასაკითხ**ად**, **სა**ნადირო**დ**, **სა**მოგზაურო**დ**...<br>მინდა/უნდა/აუცილებელია + II კავშირებითი;<br>ვაპირებ/ვერ ვიტან წასვლას / მგზავრობას + ...**-ით;**<br>ბილეთი + **რის** + ...**-ზე** (მაგ., თბილისის მატარებელზე) | **4. სახელის წარმოქმნა:** ხელობის, დანიშნულების, სადაურობის...<br>**5.ზმნა:** რთული ზმნისწინები: გადა, გადმო...<br>მწკრივები: მყოფადი, წყვეტილი, II კავშირებითი;<br>წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითის გამოხატვა;<br>ქცევა: სათავისო, საარვისო, სასხვისო;<br>**6. ზმნიზედა:** დროის: უცებ, ჯერ, თავიდან, შემდეგ, მერე... ადგილის: აქეთ/იქით, პირას, შიგნით... |
| **1.3. აღწერა-დახასიათება:**<br>ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/ საგნის აღწერა | ...**-თან** შედარებით უფრო/ ნაკლებად/უფრო მეტად/უფრო ნაკლებად ... ;<br>მაცვია/აცვია + **ზედ. სახელი + რით** (მაგ., პატარა ჯიბით) | **7. მიმღეობა** (წასაკითხი, დასაწერი, დასახატი, ასაშენებელი...);<br>**8. თანდებული:** ზე/ში/დან/მდე; ცალკე მდგომი: გამო, შესახებ...<br>**9. კავშირი:** და, ან, ხან, თუ, მაგრამ...<br>**10. ნაწილაკი:** არ/ნუ; ... |
| **1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა:** დადებითი/ უარყოფითი ემოციები (სახარული, კმაყოფილება, ბრაზი, სინანული, გაკვირვება, უკმაყოფილება, ეჭვი, ვარაუდი, შიში, ინტერესი, ინდიფერენტულობა), დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა | ჩემი აზრით, . . .<br>როგორც ვფიქრობ, . . .<br>მე მგონი,.../არა მგონია,...<br>მეეჭვება, არ გეთანხმები. . .<br>უკეთესად / უარესად + ზმნა | **11. რთული თანწყობილი წინადადება:** სტრუქტურა; კავშირიანი და უკავშირო შეერთება.<br><br>**ორთოგრაფია/პუნქტუაცია** |
| **1.5.დროში ორიენტირება:**<br>დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა | ორი + ...**-ის** (წუთის/წლის...) განმავლობაში;<br>აქამდე, ამ დრომდე... ორი/მთელი + ...**-ით** (საათით/ დღით...) | **1.** მიმართვის ფორმები საკუთარ და საზოგადო სახელებთან და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები;<br>**2.** კომპოზიტების მართლწერა: შერწყმულად, დეფისით; |

| | | |
|---|---|---|
| **1.6. სივრცეში ორიენტირება:** ადგილ-მდებარეობის მითითება, მიმართუ-ლების განსაზღვრა (დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...) | **გადა**ხვალ ქუჩაზე, **გადა**კვეთ ქუჩას;<br>...**-ის** ბოლოს/დასაწყისში/ კუთხეში...,<br>წადი ...**-მდე** . . . | **3.** სასვენი ნიშნების ხმარება პირდაპირ და ირიბ ნათქვამში;<br>**4.** პუნქტუაცია და ინტონაცია.<br><br>ლექსიკა<br><br>1. სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები.<br><br>**ტექსტის ლინგვისტიკა**<br><br>**1. მეტყველების ფუნქციური** ტიპები (თხრობა და მისი მახასიათებლები);<br>**2.მონოლოგი, დიალოგი** (I და II პირების მეტყველების **თავისებურებები);**<br>**3. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი;**<br>**4. ტექსტის კომპოზიცია** (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული). |
| **1.7. ინსტრუქციის მიცემა:**<br>რჩევა-დარიგება, მოთხოვნა, აკრძალვა, ნებართვის მიცემა, ვალდებულება | **აუცილებლობა**: (არ) უნდა + II კავშირებითი **ნების დართვა/ რჩევის მიცემა:** შეგიძლია (არ) + II კავშირებითი;<br>გირჩევ (არ) + II კავშირებითი **სასურველობა:** იქნებ (არ) + II კავშირებითი | |
| **1.8. ლოგიკური კავშირების გამოხატვა:**<br>მიზეზი, მიზანი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა | **რატომ? რის გამო?** _ ამიტომ / ამის გამო; | |

# IV თავი – მეთოდიკური რეკომენდაციები

## საფეხურებრივი პრიორიტეტები

როგორც საბაზო საფეხურის სტანდარტშია წარმოდგენილი, VII-VIII-IX კლასებში მოსწავლეები მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ ქართული ენის შესწავლის გრძელ გზაზე. სწორედ ამ კლასებში მტკიცდება ის უნარები, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა დაწყებით საფეხურზე.

წინამდებარე სახელმძღვანელოებში სათანადო ყურადღება ეთმობა როგორც რეცეფციული უნარების (მოსმენა, კითხვა), ასევე პროდუცირების — ლაპარაკისა და წერის სწავლებას. რაც მთავარია, სათანადო ადგილი უკავია კომუნიკაციური სწავლების ჩანაცვლებას მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით. ამ მიზენისთვის შემოთავაზებულია სხვადასხვა დავალება და მიკროპროექტი, რომლებზე მუშაობაც მოსწავლეებს დაეხმარება სათანადო კონტექსტში გადაიტანონ ათვისებული ენობრივი კომპეტენციები. ამ მასწავლებლის წიგნის შესაბამის თავში, სათანადო ადგილას, მოცემული იქნება, სრულიად ადეკვატური მითითებები, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის.

რაც შეეხება მოსწავლეთა ენობრივ დონეს, შეიძლება ითქვას, რომ ამ კლასების მოსწავლეები შეესაბამებიან A2-დან B1-ზე გარდამავალ საფეხურს. თუმცა, ეს ყველაზე საკამათო საკითხია და შემოდის, ერთი მხრივ, სტანდარტის მოთხოვნები და, მეორე მხრივ, ის სხვადასხვა რეალობა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია შექმნილი.

საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სახელმწიფო ენის ცოდნით. მცირე მათგანს სკოლაში შესვლამდე გარკვეული ენობრივი გამოცდილება აქვს, თუმცა კი უმრავლესობისთვის ეს ასე არაა და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების სტრატეგიებსაც განსხვავებული დაგეგმვა სჭირდება. ამ და სხვა ფაქტორების გამოც, მათზე დაწვრილებით საუბარი შორს წაგვიყვანს, შესაძლოა მე-7 კლასში შეგვხდეს ისეთი მოსწავლე, რომელიც A2-ის დონეზეც ვერ არის და მასწავლებელს განსხვავებული რიგის ამოცანები უდგათ, ვიდრე ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სახელმძღვანელოებშია წარმოდგენილი. შესაბამისად, მასწავლებლებს მოუწევთ მიმართონ გაღრმავებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს ან უფრო რადიკალური გადაწყვეტილებაც მიიღოს: კონკრეტულ კლასში შეიტანოს შედარებით დაბალი ენობრივი კომპეტენციების მოსწავლეებისთვის შექმნილი აქტივობები, ვიდრე წარმოდგენილია ჩვენს სახელმძღვანელოში. ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ სათანადო ადგილებზე კონკრეტულად და მასწავლებლის წიგნის შესაბამის თავში „დიფერენცირებული სწავლება“ წარმოდგენილი იქნება სათანადო რეკომენდაციები ამ მიმართულებით. მანამდე გთავაზობთ გარკვეულ მოსაზრებებს, რომლებიც შეეხება 1) მოსმენის, 2) კითხვის, 3) ლაპარაკისა და 4) წერის კომპეტენციების, 5) ლექსიკისა და 6) გრამატიკის სწავლებას.

### 1) მოსმენის უნარის განვითარება

მოსმენის უნარის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია საბაზო საფეხურის მასწავლებლბისთვის. VII-VIII-IX კლასებში

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის მოსასმენი ტექსტი. პირობითად, მოსასმენი მასალა შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:

- ავთენტიკური, ონლაინსივრცეში არსებული ვიდეო-აუდიო მასალა,
- სპეციალურად დაწერილი დიალოგური ტექსტების აუდიოჩანაწერები,
- ადაპტირებული მხატვრული/საინფორმაციო ტექსტების აუდიოჩანაწერები.

მსწავლებლები უნდა შეეცადონ, რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოიყენონ ელექტრონული ჩანაწერები და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ცაანაცვლონ ისინი მათ მიერ ტრანსკრიპტის წაკითხვით.

მოსმენის გაადვილების მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სტრატეგია, იქნება ეს განმეორებით მოსმენა, პაუზებით მოსმენა, მოსმენამდე ლექსიკური ერთეულების გაცნობა, მოსასმენი ტექსტის საკითხავ ტექსტთან ერთად შეთავაზება და სხვ.

მტავარია მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს მოსმენის ისეთ სტრატეგიებზე, რომლებიც სტანდარტითაცაა გათვალისწინებული. ამ მიზნების მისაღწევად სასარგებლო იქნება ჩვენს სახელმძღვანელოებში მოცემული დავალებებისა და სავარჯიშოების სათანადოდ შესრულება.

## 2) კითხვის უნარის განვითარება

კითხვის უნარის, როგორც რეცეფციული უნარის, გაწაფვა კვლავ რჩება პრიორიტეტულ მიმართულებად საბაზო საფეხურზე. იგი კვლავ სხვა უნარების სწავლების მძლავრ ხელშემწყობ იარაღადაც რჩება. არც ერთი სხვა კომპეტენცია არ გვეხმარება ისე მოსწავლეებში ენორბივი კომპეტენციის ამაღლებაში, როგორც კითხვის უნარი.

მეშვიდეკლასელ მოსწავლეებს უკვე შეუდარებლად დიდი მოცულობის ტექსტების დამუშავება უწევთ, ვიდრე ეს დაწყებით საფეხურზე ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების კონტექსტში გამომუშავებული კითხვის სტარტეგიები ხელშეწმყობი იქნება მისთვის არა მხოლოდ ქართულის, არამედ მშობლიური და სხვა საგნობრივი ტექსტების აღქმისთვისაც.

მნიშვნელოვანია, თუ რა ტექსტის დამუშავება გვინდა გაკვეთილებზე. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება თემატიკით, მოცულობით, კითხვადობის სირთულით, ლექსიკური თუ ჟანრობრივი მახასიათებლებით, შექმნის მიზნით, სტილითა და სხვა ნიშნებით. შესაბამისად, თითოეული ტექსტის სასწავლო პროცესში დამუშავებას სჭირდება თავისებური, განსხვავებული, ინდივიდუალური მიდგომა.

ჩვენი ამოცანაა, თითოეულ ტექსტს შევურჩიოთ ადეკვატური, მოსწავლეთათვის საინტერესო და სასარგებლო აქტივობები, რომელთა საშუალებითაც მოვახერხებთ სამიზნე ცნებების დამუშავებას.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტექსტის შერჩევის ორ განმაპირობებელზე:

**1. თემა — რა თემაზეა ტექსტი.** გასაგებად რომ ვთქვათ, თუ რას ვგულისხმობთ, მაგალითი განვიხილოთ, რადგან სხვადასხვა სპეციალისტი „თემაში“ განსხვავებულ შინაარსს დებს. თუკი ტექსტი ცხოველების მეგობრობას ასახავს, რა თემაზე იქნება იგი? ალბათ, მეგობრობაზე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ინფორმაცია მასწავლებლისთვის, რომელიც, დავუშვათ, დაინტერესებულია ამ მასალით. ამიტომ საჭიროებს დაზუსტებას, რომ ცხოველების შესახებაცაა ეს ტექსტი.

თემაზე აქცენტის დასმა არაა შემთხვევითი. ქართულის, როგორც მშობლიური, ასევე მეორე ენის მასწავლებლები სამართლიანად ანიჭებენ უპირველეს ყურადღებას, ასაკობრივი შესაბამისობის შემდეგ, თემატური ერთეულის (სასწავლო ერთეულის, ე. წ. “მატრიცის”) თემას.

**2. ჟანრი — რა ჟანრის ტექსტია.** მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, შერჩეული ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს. ერთ-ერთი მიზანი სწორედაც რომ ჟანრობრივი მრავალფეროვნება უნდა იყოს და არა მხოლოდ ერთი რომელიმე ჟანრის ტექსტების, დავუშვათ, იგავ-არაკების, შეთავაზება და სწავლება.

გარდა ამისა, ტექსტის შერჩევისას ვითვალისწინებთ, თუ რა იდეის მატარებელია, როგორია მისი კითხვადობის დონე და შეესაბამება თუ არა ამ მახასიათებლით ჩვენი მოსწავლეების მზაობას, ვინ არის მისი ავტორი, რადგან სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებების შეთავაზება სტილურ მრავალფეროვნებასაც გამოიწვევს... როდესაც ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებაზე ვსაუბრობთ, აქ თემისა და ტექსტის კითხვადობის დონის გარდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ მოცულობასაც. აღსანიშნავია, რომ მეშვიდეკლასელი ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელები, უკვე უნდა ახერხებდნენ ერთ გვერდს აღმატებული ტექსტების დამუშავებას.

და ბოლოს, მასწავლებლები უნდა დავფიქრდეთ, თუ როგორ დამუშავდება ეს ტექსტი, რომელი სასწავლო საკითხის გასააქტიურებლად იქნება გამოსადეგი და რომელი კომპლექსური დავალების შეწყობა იქნება მისთვის მოსახერხებელი. შესაძლებელია, თითოეულმა ამ უკანასკნელ ორ პარამეტრთაგან რომელიმე კონკრეტული ტექსტის სასარგებლოდ მიგვაღებინოს გადაწყვეტილება.

### შერჩეული საკითხავი ტექსტის დამუშავების საკვანძო საფეხურები.

გავიხსენოთ, რომ საკითხავი ტექსტების დამუშავებისას პირველ, წაკითხვამდე ფაზაზე ხდება:

- მოტივაციის აღძვრა, ტექსტის თემატიკაზე მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება.
- წაკითხვის დროს შესასრულებელი დავალების გაცნობა და/ან მოდელირება.
- ტექსტის წაკითხვაში დახმარების მიზნით ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულზე ყურადღების გამახვილება, რაიმე საკითხზე საჭირო ცნობის მიწოდება.
- ვარაუდების გამოთქმა სათაურის და/ან ილუსტრაცი(ებ)ის მიხედვით.

მეორე, წაკითხვის ფაზაზე:

- მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ასრულებენ მიცემულ დავალებას (შეთავაზებულ შეკითხვებზე მუშაობა, რომელიმე სააზროვნო სქემის შევსება, კომიქსის/პოსტერის/შექმნა...). მუშაობის ფრომატი (ინდივიდუალური, წყვილებში თუ მცირე ჯგუფებში) განისაზღვრება მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ არსებული საჭიროებების გათვალისწინებით.
- უბრუნდებიან და ამოწმებენ პირველ ფაზაში ტექსტის შესახებ გამოთქმულ ვარაუდებს.
- სვამენ ახალ შეკითხვებს და ეძიებენ მათზე პასუხებს.
- ამზადებენ დავალების (მათ შორის, კომპლექსური დავალების) პრეზენტაციას, წარდგენის მიზნით ინაწილებენ როლებს...

მესამე, წაკითხვის შემდეგ ფაზაზე:

- ხდება ნამუშევრების წარდგენა.
- ეწყობა დისკუსია, მსჯელობა, სხვადასხვა ახალი შეკითხვის დაბადება და მასზე პასუხების ერთობლივი ძიება.
- წაკითხული ტექსტის სხვა ტექსტთან და/ან პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.
- ტექსტის მიხედვით ახალ დავალებებზე მუშაობა, რომელიც ტექსტის სხვა რაკურსით გააზრებისა და ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა.
- 

### კითხვის დიფერენცირებულად სწავლება

დიფერენცირებული სწავლების მიდგომას მასწავლებლები წარმატებით იყენებენ კითხვისა და წერის უნარების განვითარების პროცესში. დიფერენცირებული გაკვეთილების დაგეგმვისას ისინი ზემოთ აღწერილ კონცეპტუალურ საფუძვლებს ეყრდნობიან. კერძოდ:

პრაქტიკულად ყველა საკლასო ოთახში, ერთი მხრივ, მრავალფეროვანი და, მეორე მხრივ, რთული სურათი გვაქვს. გვყავს განსხვავებული მონაცემების, მიღწევების, წინარე გამოცდილების მქონე მკითხველები.

სასწავლო პროცესის ორგანიზების დროს მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა და გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები სწორად გადანაწილდნენ სამუშაო ჯგუფებში და თითოეულ ჯგუფს დაურიგდეს ადეკვატური სირთულის ტექსტები/დავალებები.

ყველა მოსწავლემ და ჯგუფმა უნდა მიიღოს მიზნობრივი დახმარება და უკუკავშირი კითხვის პროცესში და წერითი ნამუშევრების შესრულებისას.

კითხვის დიფერენცირებულად სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და გავრცელებული მეთოდია მართული კითხვა. მართული კითხვის აქტივობა გულისხმობს მოსწავლეთა მცირე ჯგუფში (ან ჯგუფებში) შესაფერისი ტექსტის წაკითხვას და დამუშავებას კონკრეტული უნარების/სტრატეგიების დაუფლების მიზნით. მართული კითხვის აქტივობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გააანალიზოს და გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ხოლო მოსწავლეებს ეხმარება, ნაბიჯ-ნაბიჯ განავითარონ კითხვის ის უნარები, რომელშიც მეტად სჭირდებათ გაწაფვა.

მართული კითხვის აქტივობა განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოდგენს იმ კლასებში, სადაც მოსწავლეების განსხვავებული ენობრივი კომპეტენციების მატარებლები არიან და მასწავლებლები სწორედაც რომ სხვადასხვა ტექსტებს გამოიყენებს ასეთ კლასებში კითხვის უნარის განვითარების მიზნით.

### 3) ლაპარაკის უნარის განვითარება

ლაპარაკის (საუბრის) უნარი ერთ-ერთი განუყოფელი კომპეტენციაა უცხოურ ენაზე კომუნიკაციის დაწყებისას. თუკი მშობლიურ ენაზე ეს უნარი ბუნებრივად, სრულიად კომფორტულად და გაუცნობიერებლად ყალიბდება, უცხოურ ენაზე საუბრის დაწყება გარკვეულ ბარიერებთან არის ხოლმე დაკავშირებული, თუ რა თქმა უნდა, ღრმა ბავშვობიდან არ უწევს არამშობლიურ ენასთან შეხება და ბუნებრივი გზითვე ითვისებს მას — ამ შემთხვევაში ფაქტობრივად მეორე ენის ბუნებრივი ათვისება ხდება, რაც ერთობ გავრცელებული ტრადიცია იყო ძველი ტფილისის ტრადიციულ ეზოებში.

**რეალური სიტუაციებში მოსმენა-ლაპარაკი მრავალჯერადი განმეორებით**

დიდი როლი ენიჭება ენის სწავლებისას ავთენტიკურ კონტექსტებს და აქ გახმოვანებულ ფრაზებსა და სიტყვებს. არცთუ იშვიათად ასეთი კონტექსტები უფრო ადვილად ამახსოვრებინებს მოწაფეს საჭირო ფრაზასა თუ ენობრივ კონსტრუქციას... ასეთი მიდგომით ბავშვებს შეგვიძლია დავამახსოვრებინოთ და ავათვისებინოთ საოცრად რთული ფორმისა და გრამატიკული სტრუქტურის სიტყვები და გამოთქმები, რომელთა ათვისებაც, ენის ლოგიკური განვითარების მიხედვით, საკმაოდ გვიან მოუწევდა. მაგალითად: **„დაგეძინა?" „მეცოტავება"**... ასეთი გამოთქმებისა და ფრაზების ასათვისებლად საკმაოდ ეფექტურია მასწავლებლისეული ყალიბ-გამოთქმები. მაგალითად:

- ყველას ჩაგირთავთ/გამოგირთავთ მიკროფონებს.
- მოიმარჯვეთ კალმები და ფურცლები...
- არ დაგავიწყდეთ... არ დაივიწყოთ...

თუ ყურადღებას მივაქცევთ ზემოთ აღნიშნული და მათი მსგავსი მაგალითები საკმაოდ რთულია ენობრივი თვალსაზრისით და ენის სწავლების მდინარებას თუ გავყვებით, საკმაოდ გვინა მოუწევდათ ბავშვებს ასეთი ფრაზების სწავლება, მაგრამ რეალურ სიტუაციებში მრავალჯერადი განმეორებიტ მათი ათვისება ძალდატანების გარესე მოხდება.

ძალიან სასარგებლოა თითოფრაზიანი უკუკავშირის მიცემაც, როდესაც ბავშვები მუშაობენ. მაგალითად, ***ალიმ უკვე დახატა, ალინა ჯერ კიდევ ხატავს... რაუფი ხატავს, ნესტანი ხატავს, ნიკუშა ხატავს, აილინი ხატავს, გარი ხატავს... მანუშაკს ჯერ არ დაუხატავს...*** აქ იმ ფორმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც აქტუალურია ჩვენთვის. კერძოდ, აწმყოს მწკრივზე,

წყვეტილსა თუ თურმეობითზე ანდა შეპირისპირებისა და კონტექსტის მიხედვით შინაარსის აღქმევინების მიზნით — სამივეზე.

რასაკვირველია, ასეთი ფრაზები და გამოთქმები, თუკი იგი დაგეგმილიცაა მასწავლებლის მიერ სასწავლო მიზნების კვალად და შესაბამისად, უფროდაუფრო გართულდება საშუალო საფეხურებზე. მაგალითად, ***მეცოტავება-გეცოტავება, შემოგესწავლებათ, გავისიგრძეგანოთ...***

ქვემოთ წარმოგიდგენთ ე. წ. ლაპარაკის უნარის განვითარების შვიდსაფეხურიან მოდელს, რომელიც მომზადებულია ინტერნეტპოტალზე mastsavlebeli.ge გამოქვეყნებული გიორგი ჭაუჭიძის სტატიის მიხედვით.

**ლაპარაკის სწავლების შვიდსაფეხურიან მოდელი**

1. ვაჩვენოთ სიტუაცია;
2. აღვწეროთ სიტუაცია;
3. კიდევ ერთხელ, უკვე მოსწავლეთა მონაწილეობით აღვწეროთ სიტუაცია;
4. გავითამაშოთ დიალოგი სიტუაციაში, როგორც მულტიფუნქციურმა მსახიობმა;
5. კიდევ ერთხელ გავითამაშოთ დიალოგები ამჯერად უკვე მოსწავლეთა ჩართულობით;
6. მოსწავლეებს დამოუკიდებლად გავათამაშებინოთ დამუშავებული სიტუაციური დიალოგები;
7. შევთავაზოთ მოსწავლეებს განსხვავებული სიტუაციური დიალოგების გათამაშება.

როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ განსხვავებული სიტუაცია? ამისთვის სამი გზა არსებობს:

I. დავტოვოთ იგივე კონტექსტი და შევცვალოთ მონაცემები (იმავე რანგის ან უფრო რთული მონაცემებით);
II. დავტოვოთ იგივე მონაცემები და შევცვალოთ კონტექსტი;
III. შევცვალოთ კონტექსტიც და მონაცემებიც.

მაგალითად, თუკი ჩვენი მიზანია გაყიდვის სიტუაციებში კომუნიკაციის დამყარება და პირველ ვარიანტად დავამუშავეთ/გავითამაშეთ სიტუაცია სურსათის მაღაზიაში, სადაც მალვინა ყიდულობს შოკოლადსა და წვენს, განსხვავებული სიტუაციები იქნება შემდეგი:

ა) მალვინა მაღაზიაში ყიდულობს პურსა და ნაყინს;
ბ) მალვინა შოკოლადსა და წვენს ყიდულობს კინოში;
გ) მალვინა ნაყინსა და პოპკორნს ყიდულობს კინოში.

------------------------------------

## მოქმედება სიმულაციის ნაცვლად

აქვე უნდა გავიხსენოთ ჩანაწერი, რომელიც შემოთავაზებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში: “**მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა** (action-oriented approach) ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას წარმოადგენს. განსხვავებით კომუნიკაციური მიდგომისაგან, რომელიც არსებითად ინფორმაციის გაცვლაზე იყო ორიენტირებული, ამ ახალ პარადიგმაში ენების სწავლა-სწავლების მთავარ ამოცანას შეადგენს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელების უნარების განვითარება. თუკი კომუნიკაციური მიდგომის მთავარ საგაკვეთილო აქტივობას „სიმულაცია“ წარმოადგენდა, ამ ახალი მიმართულების მიხედვით, პროექტული სწავლა-სწავლებაა პრიორიტეტული.”

ამ კონტექსტში დიდი დატვირთვა ენიჭება კომპლექსური დავალებების შესრულებასა და მათ პრეზენტაციას. თუ განვიხილავთ ჩვენს სახელმძღვანელოში შემოტავაზებული ტიპური კომპლექსური დავალების პირობებს, ადვილად დავინახავთ, რომ ნებისმიერი ნამუშევრის (მიუხედავად იმისა, თუ რა უნარების კომპლექსურად ჩართულობას მოითხოვს იგი)

პრეზენტაცია გულისხმობს მოსწავლეების ლაპარაკის კომპეტენციის განვითარებას.

თუ კარგად დავუკვირდებით ჩვენი სახელმძღვანელოს კომპლექსური დავალების პირობებს, დავინახავთ, რომ იქ მხოლოდ ინფორმაციის მოძიება, მისი ნამუშევარში გადატანა, გაფორმება და მომზადება კი არაა მთავარი, არამედ მასზე საუბარიც. მეტიც: მნიშვნელოვანია არამხოლოდ პროდუქტზე/ნამუშევარზე საუბარი, არამედ სამუშაო პროცესზეც ხმამაღალი რეფლექსია. რასაკვირველია, ასეთი საუბრების დროს გარკვეულწილად შეზღუდულები ვართ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები, მაგრამ თითოეულ სიტყვას, ფრაზას წინადადებას განუზო მლად მეტი ფასი აქვს, ვიდრე მშობლიურ ენაზე ექნებოდა. მთავარია მოსწავლე მთელი ქმედებით იყოს ჩართული როგორც ნამუშევრის შექმნაში, ასევე მის ქართულ ენაზევე წარდგენაში.

## მშობლიური ენის გამოყენების საკითხი

ბოლოს უნდა შევეხოთ მოსწავლეებისთვის მათი მშობლიური ენების გამოყენების საკითხს საგაკვეთილო პროცესში. ეს საკითხი არ შეეხება მხოლოდ ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის სწავლებას, რადგან, საკმაოდ პრობლემატურია ნებისმიერი უცხოური ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული...) სწავლების ტრადიცია.

ამ მიმართულებით საუბარი შორს წაგვიყვანს, თუმცა კი დავძენ, რომ თუკი რაიმეს გასაგებინებლად მოსწავლის მშობლიური ენის გამოყენება გვჭირდება, ესე იგი იმის სწავლება ჯერ ნაადრევია და ენის რეალიზებაში მაინც არ ექნება სათანადო ეფექტი. უმთავრესი არის ქართულად ალაპარაკებული ბავშვი, მშობლიურ ენაზე გრამატიკული ნიუანსების ახსნის გარეშე.

## 4) წერის უნარის განვითარება

ყველა თავში შემოთავაზებულია ისეთი დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა წერითმეტყველების უნარის განვითარებას. მათგან, ნაწილი ითვალისწინებს წერის, როგორც დამხმარე საშუალების გამოყენებას თუ ლექსიკური მარაგის განვითარების, თუ გრამატიკული საკითხების შესწავლის, თუ საკითხავი მასალის დამუშავების, თუ სხვა იმ მომენტისთვის კონკრეტული პრიორიტეტული მიზნებისთვის.

რაც მთავარია, სახელმძღვანელოში შემოტავაზებულია დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს წერის, როგორც საკომუნიკაციო კომპეტენციის განვითარებას. საბაზო საფეხური უკვე ის ეტაპია, როდესაც ქართულის შემსწავლელი მოსწავლეები ამყარებენე იმ წერით საფუძვლებს, რომლებსად დაეუფლნენ დაწყებით საფეხურზე. ასევე, ამ დროს უკვე ჟანრობრივ მრავალფეროვნებასაც მოსინჯავენ და თუკი დაბალ კლასებში მხოლოდ აღწერისა და შინაარსის გადმოცემაზე იყვნენ ორიენტირებულები, ამჯერად მოსინჯავენ ისეთი ნამუშევრების შემქნას, როგორიცაა დღიურის ჩანაწერი, ტექსტის ჟანრის ცვლილება და სხვ.

გთავაზობთ რამდენიმე სტრატეგია წერის უნარის განვითარებისთვის.

### ა) მოსწავლის პირადი დღიური

ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაცია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის სარესურსო წიგნიდან დღიურების წერის შესახებ, რაც დამხმარე ეფექტური ინსტრუმენტი იქნება საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის წერითი კომპეტენციის ჩამოყალიბების გზაზე.

**მეთოდის/აქტივობის შესახებ**

დღიური წერას ზოგ ქვეყანაში წერის სწავლების წამყვან საშუალებადაც კი იყენებენ. იგი კარგი ინსტრუმენტია წერის შედარებით ფორმალიზებულ საფეხურზე (მაგალითად, წერის ხუთსაფეხურიან მოდელზე ან, თუნდაც, ესეების, თხზულებების წერაზე) გადასასვლელად.

**ამ აქტივობის სისტემატური გამოყენებით მოსწავლე:**

- იწაფება წერასა და კითხვაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე/უცხოური ენის შესწავლისას;
- ითვისებს გრამატიკულ ნორმებს და იწაფება მართლწერაში;
- იძენს თავდაჯერებულობასა და გაბედულებას წერისას;
- ეძლევა თავისუფალი, დამოუკიდებელი აზროვნებისა და რეფლექსიის საშუალება;
- უკეთ ხედავს და აცნობიერებს საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს.

**მსვლელობა**

- მოსწავლე დღიურისათვის საკუთარი გემოვნებით შეარჩევს რვეულს ან ბლოკნოტს;
- იგი დღიურში წერს იმაზე, რაც აინტერესებს და რაზეც სურს წერა. იშვიათ შემთხვევაში მასწავლებელი დიდი სიფრთხილით შესთავაზებს მას საწერ თემას;
- მოსწავლეები დღიურში ჩანაწერს აკეთებენ ყოველდღიურად ან კვირაში რამდენჯერმე მაინც. მნიშვნელოვანია არა ჩანაწერის მოცულობა, არამედ სისტემატურობა;
- დღიურის წერის დასაწყებად საკმარისი არაა მხოლოდ ინსტრუქცია. მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს მოდელირება — უნდა გააკეთოს რამდენიმე ჩანაწერი და ხმამაღლა წაუკითხოს მოსწავლეებს. ასეთი მოდელირება სჭირდება ყველას, განსაკუთრებით საბაზო საფეხურის მოსწავლეებს, რადგან სიმორცხვის დაძლევისა და სისტემურობის გამომუშავება ამ ასაკში მეტად მნიშვნელოვანია;
- მოსწავლეები თავიანთ ჩანაწერებს აფორმებენ ნახატებით, ორნამენტებით, სტიკერებით.
- ყველა ჩანაწერს უთითებენ თარიღს;
- მასწავლებელი მსურველებს აძლევს საშუალებას, თავიანთი დღიურის ჩანაწერები წაუკითხონ კლასს ან რომელიმე მოსწავლეს (სურვილისამებრ);
- მასწავლებელი პერიოდულად აგროვებს დღიურებს და შიგ ჩაწერს ან ჩააკრავს განმავითარებელ, წამახალისებელ კომენტარებს;
- წერილობითი თუ ზეპირი უკუკავშირისას მასწავლებელი ყურადღებას ძირითადად ამახვილებს ჩანაწერების შინაარსზე და არა წერის ტექნიკურ და ფორმალურ მხარეებზე;
- კომენტარები მხოლოდ განმავითარებელი, წამახალისებელი უნდა იყოს. დაუშვებელია ნიშნების ან სხვა სახის განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.
- ჩასწორებების შემდეგ მოსწავლე ხელახლა კითხულობს თავის ნაწერს, რათა გაეცნოს მასწავლებლის შენიშვნებს, შესწორებებს და შემდგომში გაითვალისწინოს.

**შენიშვნა:**

მოსწავლის დღიურში შეცდომების გასწორება მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესწორებებით აჭრელებული ჩანაწერი მოსწავლეს უკარგავს მოტივაციას, ან მისი ყურადღება წერის ტექნიკურ ასპექტებზე გადააქვს;

შესაძლებელია საკლასო ოთახში გამოიყოს საგანგებო ადგილი (კარადის თარო, უჯრა), სადაც მოსწავლეები პერიოდულად დააწყობენ დღიურებს, იმ შემთხვევაში, თუ სურთ კლასელებისთვის საკუთარი ნააზრევის, ემოციის გაზიარება.

**შესაძლო თემები პირადი დღიურის ჩანაწერებისთვის**

- ჩემი მეგობარი
- ასეთი რამ არასოდეს განმიცდია
- მინდა გითხრათ, რომ
- რა მწყინს, რა მიხარია
- როგორ ველოდი ამ დღეს
- არაფერი გამოვიდა
- რატომ ვერ ხვდებიან
- მინდა მყავდეს
- არასოდეს დამავიწყდება
- ახლოვდება ზაფხული
- როცა წვიმს
- ყველაზე მეტად მიყვარს
- მე გირჩევთ

## ბ) დაწერე მოთხრობა

კიდევ ერთი საინტერესო ინსტრუმენტს გთავაზობთ შემოქმედებითი წერის უნარის განვითარებისთვის, რომელსაც კარგად უნდა იცნობდნენ ჩვენი მასწავლებლები. ეს ონლაინინსტრუმენტი მოსწავლეებს დაეხმარება სხვადასხვა ჟანრში მოსინჯონ თავიანთი შესაძლებლობები.

**როგორ მუშაობს პროგრამა?**

საიტზე: http://kargiskola.ge/dawere/ შესვლისას გაიგონებთ ჩიტების სასიამოვნო ჭიკჭიკს და ნახავთ შესვლის ღილაკს:



შესვლის შემდეგ აღმოჩნდებით სამი ყუთის სივრცეში, სადაც პირველი ყუთიდან აარჩევ პერსონაჟს, მეორე ყუთიდან აარჩევ ამ პერსონაჟის თვისება, მესამე ყუთიდან კი — პრობლემას, რომელიც ამ პერსონაჟმა უნდა დაძლიოს.




შეგიძლია რამდენიმეჯერ შეცვალო სამივე მათგანი და შენთვის სასრუველი შეარჩიო. ფოტოზე გამოსახულია ამის ნიმუში: დირექტორი, რომელსაც კარუსელზე დაჯდომის ეშინია და რომელსაც ყვავმა საფულე გამოსტაცა.

წითელ ისარზე დაწკაპებით გადახვალ შემდეგ სივრცეში, სადაც შეგიძლია ამოირჩიო სასურველი ჟანრი: წერილი, მოთხრობა/ზღაპარი, დღიური თუ სტატია.



ჩვენ მაგალითისთვის შევარჩიეთ მოთხრობა/ზღაპარი:



ისევ დავაჭირეთ ისარს და ნახეთ რა გამოგვივიდა... მართალია, დასრულებული არაა, მაგრამ მაინც საინტერესოა:



მუშაობის დროს შეგიძლია სხვადასხვა ზომისა და ფერის შრიფტის გამოყენება, ნახატის ჩახატვა ან სურათის ატვირთვა-ჩამატება და ბოლოს, როდესაც დაასრულებ, შენახვაც:




ამ პლატფორმაზე წერითი ნამუშევრების შექმნისას ბავშვები გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს, ჩამოუყალიბდებათ ამბის შეთხზვისა და გადმოცემის უნარი. კარგი იქნება, თუ მას გამოვიყენებთ კომპლექსური დავალების ფორმატში და მოსწავლეებს შევთავაზებთ ზეპირ პრეზენტაციებსაც და დავუსვამთ რეფლექსიური ხასიათის შეკითხვებსაც:

- როგორ დაიწყეს მუშაობა? როგორ შეარჩიე პერსონაჟი, თვისება და პრობლემა?
- რატომ შეარჩიეს ესა თუ ის ჟანრი?
- როგორ წარმართეს დაწერის პროცესი? (წინასწარ მოიფიქრეს თუ არა იდეები, დაწერეს თუ არა შავი ვარიანტი და შესწორებების შეტანის შემდეგ როგორ მიიღეს საბოლოო ვარიანტი და სხვ.)

**დამატებითი რეკომენდაციები ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის წერის სწავლების მიზნით** (საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მიხედვით)

- ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს და გამოიყენოს ის ფაქტორი, რომ მოსწავლეს გამომუშავებული აქვს მშობლიურ ენაზე წერის უნარი. შესაბამისად, ქართულ ენაზე წერის შესწავლისას მოსწავლეებს წერის სწავლის გარკვეული გამოცდილება უკვე აქვთ. ამ გამოცდილებას ისინი აუცილებლად გამოიყენებენ ქართულად წერის დროსაც.
- სასურველია, ქართულად და მშობლიურ ენაზე წერის სწავლება წარიმართოს ერთგვაროვანი მიდგომებითა და მეთოდებით. მეორე ენაზე წერის შედეგების გასაზრდელად უნდა ვიმუშაოთ ზეპირმეტყველების უნარების განმტკიცებითა და ლექსიკური მარაგის მეტად და მეტად გამდიდრებით. ამის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს გრამატიკული საკითხების სათანადო და არამომაბეზრებელი დამუშავება.
- საჭიროა წერის სწავლების კონტექსტუალიზაცია და მასი ავთენტურ შინაარსზე მორგება. ამისთვის გასათვალისწინებელია რამდენიმე რჩევა:
- მოსწავლე წერის პროცესში თავს უნდა გრძნობდეს კომფორტულად, როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური (შეაქებენ, მოუწონებენ...) თვალსაზრისით.
- მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რას წერს და რისთვის წერს.
- წერის აქტივობა ინტეგრირებული უნდა იყოს სხვა ენობრივი მიმართულებების სწავლებასთან.
- ყურადღება გავამახვილოთ არა შეცდომებზე, არამედ წერის დროს გამოვლენილ ძალისხმევასა და შედეგზე;
- დავაფიქსიროთ შეცდომები არა ხაზგასასმელად და კრიტიკული შენიშვნების მისაცემად, არამედ მომავალში მათი აღმოფხვრისთვის საჭირო აქტივობების დასაგეგმად. გასათვალისწინებელია, რომ მეორე ენაზე შეცდომების გამოსწორება ვერ მოხერხდება გარკვეული ენობრივი გამოცდილების დაგროვების გარეშე, რაც, შესაძლოა, წლების განმავლობაშიც კი გაგრძელდეს. ამიტომ უნდა მივეჩვიოთ წერის დროს დაშვებული ზოგიერთი შეცდომის საერთოდაც უგელებელყოფას.

## 5) ლექსიკის სწავლება

როგორც ვიცით, ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ წარიმართება ეს პროცესი – იქნება იგი შემოფარგლული მხოლოდ სალექსიკონო რვეულებში სიტყვების ჩაწერითა და მათზე მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე განმარტებების მიწერით, თუ დატვირთული იქნება მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით.

რა უნდა გავითვალისწინოთ ლექსიკის სწავლებისას? უპირველესად, ლექსიკური თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ის ტექსტები, რომლებსაც ვიყენებთ მოსწავლეებთან. რასაკვირველია, სახელმძღვანელოს ავტორების მიერ შერჩეული და შექმნილია ისეთი ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მეშვიდეკლასელების მზაობასა და ინტერესებს, მაგრამ ამ სახელმძღვანელოს გამოყენებისას მასწავლებლის მიერ წარმართულ აქტივობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

კონკრეტულ კლასში გადაწყვეტილება მასწავლებელმა უნდა მიიღოს და დაგეგმოს თავისი მოსწავლეებისთვის საჭირო ქმედებები. მაგალითად, თუკი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ ტექსტში გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა შესაძლოა ძნელი გასაგები აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის, მაშინ იგი დამატებით ამ სიტყვაზეც გაამახვილებს ყურადღებას. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ტექსტის წაკითხვამდე (ან თუკი ვასმენინებთ – მოსმენამდე), ასევე ტექსტის წაკითხვის პროცესში და წაკითხვის/მოსმენის შემდეგაც.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია სიტყვებზე მუშაობის სხვადასხვაგვარი ფორმატი.

მათგან ზოგი ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე ხორციელდება, ზოგიერთი წაკითხვისა და მოსმენის (ცოტა რთულია ეს ამოცანა) დროს, ხოლო ზოგჯერ წაკითხვის/მოსმენის შემდეგაც ითვალისწინებს მოსწავლეების კონცენტრაციას.

ქვემოთ შემოთავაზებულია ის ეფექტური მეთოდები, რომელთა უმრავლესობა სახელმძღვანელოშიცაა ჩანერგილი სხვადასხვა ადგილას. დაწვრილებით ამ და სხვა მეთოდების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ შექმნილ კრებულში „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“, თბ. 2015.

**როგორ შევარჩიოთ სიტყვები, რომლებსაც სათანადო ყურადღებას დავუთმობთ?**

მართლაც არ ღირს ყველა სიტყვა იმად, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გაკვეთილებზე. რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს სიტყვებს, რომ ისინი მნიშვნელოვნად ჩავთვალოთ?

უპირველესად, განვსაზღვროთ, რას ნიშნავს მნიშვნელოვანი სიტყვები ქართულის, როგორც

მეორე/უცხოური ენის სწავლებისას. უპირველესად, ეს არის ის სიტყვები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული სიტუაციის ან კონკრეტული ტექსტის გასააზრებლად. ზოგჯერ ასეთ სიტყვებს „საკვანძო სიტყვები“ შეიძლება ვუწოდოთ. ასეთ სიტყვებს მასწავლებელმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და მოსწავლეებს სხვადასხვა კონტექსტში გააანზრებინოს და გამოაყენებინოს.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელს გააზრებული ექნება სიტყვების კატეგორიები მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით. ენაში არსებობს შედარებით ხშირად გამოყენებული, ნაკლები სიხშირით გამოყენებული და იშვიათად ხმარებული სიტყვები. რომელი კატეგორიის სიტყვებს უნდა მიაქციოს მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება? რასაკვირველია, ე. წ. ხშირ სიტყვებს.

თავისთავად ცხადია, რომ „სახურავი“, „საქმიანობა“, „დარბაზი“ და სხვები ხშირი სიტყვებია და ამ რიგის სიტყვების ცოდნა მეშვიდეკლასელი მოსწავლეებისთვის აუცილებელი და

პრიორიტეტულია; „სარჩული“, „ზომიერი“, „მიტოვებული“ ნაკლები სიხშირით ხმარებული სიტყვებია; „ბობოლა“, „წარმტაცი“, „ოინი“ კი იშვიათად ხმარებული სიტყვებია.

სიტყვების შერჩევისას და მათზე ყურადღების გამახვილებისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ რომელ დონეზეა მოსწავლე. მაგალითად, დამწყებ დონეზე (A1 დონე) მყოფი მოსწავლისთვის ყურადღება ე. წ. ხშირ სიტყვებზე უნდა გავამახვილოთ. A2 დონეზე შეიძლება ვიმუშაოთ ნაკლები სიხშირით გამოყენებულ სიტყვებზეც, ხოლო იშვიათად ხმარებულ სიტყვებზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ B1, C1 და C2 დონეებზე ეგების. ურადღება მიაქციეთ ბოლო სიტყვას წინა წინადადებაში: „ეგების“ რომელი კატეგორიის სიტყვაა? რასაკვირველია, იგი იშვიათად გამოყენებული სიტყვაა და მას ჩვენ არც კი გამოვიყენებთ A1 და A2 დონეებზე მყოფ მოსწავლეებთან.

**როგორ შევაფასოთ ტექსტები ლექსიკური თვალსაზრისით?**

ჩვენ ტექსტებს სასწავლო სიტუაციისთვის ვიყენებთ ხოლმე. თუმცა მოსწავლეებისთვის ტექსტების შერჩევა გვჭირდება დამოუკიდებელი კითხვის მიზნითაც. რასაკვირველია, სასწავლო სიტუაციისთვის შედარებით „რთული“ ტექსტებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ და შემდეგ ჩვენ დავეხმაროთ ამ სასწავლო სირთულეების დაძლევაში, მაგრამ დამოუკიდებელი კითხვისთვის ჩვენი დახმარება შეუძლებელი იქნება.

ტექსტების სირთულის გაზომვის მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ ე. წ. „ხუთი თითის წესი“, რაც გულისხმობს შემდეგს: ავიღებთ ტექსტს და ვკითხულობთ პირველ გვერდზე. თითო თითს მოვკეცავთ იმ შემთხვევაში, თუკი შეგვხვდება ისეთი სიტყვა, რომელიც ჩვენს მოსწავლეს არ ეცოდინება. თუკი ერთ გვერდზე ასეთი სიტყვების რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, მაშინ ასეთი ტექსტის მიწოდება მისაღებია ჩვენი მოსწავლეებისთვის. ხოლო თუკი უცნობი სიტყვების რაოდენობა ერთ გვერდზე ხუთს აღემატება, მაშინ ასეთი ტექსტის გამოყენება არაა რეკომენდებული.

რასაკვირველია, ხუთი სიტყვა საშუალო მაჩვენებელია და თუკი ტექსტს ვიყენებთ სასწავლო

სიტუაციაში, რაც გულისხმობს მასწავლებლის დახმარებას საჭირო მომენტში, შესაძლოა, ვისარგებლოთ ისეთი ტექსტითაც, რომელშიც ხუთზე მეტი სიტყვა იქნება უცნობი. ოღონდ ეს რაოდენობა მკვეთრად ველარ გაიზრდება.

ამ მიმართულებით უნდა გავითვალისწინოთ ერთი მომენტიც. ზოგჯერ, შესაძლოა აღემატებოდეს კიდე უცნობ სიტყვათა რაოდენობა პედაგოგიკურად დასაშვებ ზღვარს, მაგრამ მასწავლებელმა მაინც გადაწყვიტოს მისი სასწავლო პროცესში გამოყენება, თუკი ეს ტექსტი წარმოადგენს მოსწავლეთათვის მშობლიურ ენაზე უკვე ნაცნობ ტექსტს ან კონტექსტს. მაგალითად, თუკი ქართულ ენაზე ვთავაზობთ საყოველთაოდ გავრცელებულ რომელიმე მსოფლიო კლასიკურ ნაწარმოების ფრაგმენტებს ან საყოველტაოდ ცნობილ რომელიმე ისტორიულ მოვლენას ან ხელოვნების ნიმუშს და სხვ. ცხადია, ეს „გადაჭარბებაც“ უნდა ჯდებოდეს გონივრულობის ფარგლებში, რასაც, გავიმეორებთ, მასწავლებელი შეაფასებს ყველაზე უკეთ.

**როგორ ვიმუშაოთ უცნობი სიტყვების განმარტებაზე?**

ხშირად სვამენ მასწავლებლები შეკითხვას, თუ როდის უნდა დავეხმაროთ მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში; არის მეორე საკითხიც, როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში. ჯერ პირველ შეკითხვას ვუპასუხოთ, შემდეგ – მეორეს.

მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში შეიძლება დავეხმაროთ ნებისმიერ დროს – იქნება ეს ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე, ტექსტის წაკითხვის/მოსმენის პროცესში თუ ტექსტის წაკითხვის/მოსმენის შემდეგ. უკეთ რომ ვთქვათ, მოსწავლეები უნდა მივაჩვიოთ სამივე ფორმატის დახმარებას. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული ფორმატი.

მასწავლებლის მიერ დასამუშავებელი ტექსტის წინასწარი შეფასება და მომზადება გულის ხმობს მასში ისეთი სიტყვების გამოკვეთასაც, რომლებიც მოსწავლეებისთვის სავარაუდოდ უცნობი იქნება. ამავე ეტაპზე კარგია, თუ შერჩეულ სიტყვებში მოვნიშნავთ ისეთებსაც, რომლებსაც მოსწავლეებს წინასწარ, ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე განვუმარტავთ. ეს გაუადვილებს მათ ტექსტის გაგებას. რასაკვირველია, შეიძლება დავტოვოთ ზოგიერთი სიტყვა, რომლებსაც მივანდობთ მოსწავლეებს, რათა მათ მათი ამოცნობა მოახერხონ კონტექსტური გასაღებების (ილუსტრაცია, თემატური კონტექსტი, აბზაცისა და წინადადების კონტექსტი...) დახმარებით. რასაკვირველია, ტექსტის წაკითხვის/მოსმენის შემდეგ მათზე უნდა გამახვილდეს სათანადო ყურადღება.

## ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე ორიენტირებული ზოგიერთი მეთოდი/სტრატეგია

### ა) სიტყვის პირამიდა

სქემას აქვს სამკუთხედის ფორმა, რომლის პირველ, ზედა ზოლში იწერება სიტყვა, რომელზეც გვინდა ყურადღების გამახვილება, რომელიც ხანგრძლივად და ღრმად უნდა დარჩეს მოსწავლის გონებაში. მეორე ზოლში იწერება ამ სიტყვის განმარტება. მოსწავლეებმა თავიანთი სიტყვებით უნდა ახსნან ამ სიტყვის მნიშვნელობა. ცხადია, ეს ახსნა არ და ვერ იქნება სრულფასოვანი, შესაძლოა, ზოგჯერ უზუსტობაც გაიპაროს, მაგრამ მთავარია, მოსწავლე ცდილობდეს ამ სიტყვის მნიშვნელობის გადმოცემას სხვა, მისთვის ნაცნობი სიტყვებით. აგრეთვე, მოსწავლეები წარმოაჩენენ თავიანთ შემოქმედებით, ორიგინალურ ხედვასაც, რაც, შესაძლოა, მეტად საინტერესო და სახალისოც აღმოჩნდეს. მესამე ზოლში ჩაიწერება წინადადება, რომელშიც მოსწავლე გამოიყენებს ამ სიტყვას.

**ვარიაცია 1:** როდესაც ტექსტზე ვამუშავებთ, შესაძლოა, მასწავლებელმა ოთხდონიანი პირამიდა შესთავაზოს ბავშვებს და წინადადების მოფიქრებამდე იმ წინადადების ამოწერა მოსთხოვოს ტექსტიდან, რომელშიც ეს სიტყვაა გამოყენებული. ანუ ზემოდან მესამე ზოლში ტექსტის წინადადება იქნება ამ სიტყვის გამოყენებით, ხოლო მეოთხე, ქვედა ზოლში – უკვე ბავშვების მიერ მოფიქრებული წინადადება, ცხადია, ამ სიტყვის გამოყენებით.

**ვარიაცია 2.** შესაძლოა, მასწავლებელმა მოსწავლეებს ან მოსწავლეთა ნაწილს მეორე ზოლში განმარტების ნაცვლად შესთავაზოს სიტყვის შესაბამისი ილუსტრაციის ჩახატვა. ან მოსწავლე თვითონ აირჩევს, განმარტება ჩაწეროს, თუ ილუსტრაცია ჩახატოს. ცხადია, მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს მის მიერ მოფიქრებული, ალტერნატიული ვერსია.













### ბ) ფრეიერის სქემა

(ასეთი სქემების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მიერ მომზადებულ წიგნში, რომელიც განთავსებულია პორტალზე „კარგი სკოლა" **kargiskola.ge)**






გ) სიტყვის (ცნების) რუკის ვარიანტი









**დ) დაკარგული სიტყვები**

(გამოყენებულია პორტალზე mastsavlebeli.ge გამოქვეყნებული გიორგი ჭაუჭიძის სტატია)

ერთ-ერთი სასარგებლო, გავრცელებული და კომპლექსური სტრატეგია ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე სამუშაოდ არის ე. წ. დაკარგული სიტყვები. იგი ავითარებს ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობის უნარს, ხელს უწყობს წაკითხული ტექსტის გააზრებას. ამ აქტივობის დროს მასწავლებელი ტექსტში გამოტოვებს სიტყვებს და ისე ურიგებს მოსწავლეებს. მოსწავლეებმა კი უნდა "იპოვონ", მიხვდნენ და შეავსონ ტექსტი, გამოტოვებულ ადგილებზე ჩაწერონ "დაკარგული" სიტყვები.

ამ მეთოდის გამოყენება სასარგებლოა ტექსტის წაკითხვის ფაზაზე, შესაძლოა, იგი შევტავაზოთ წაკიტხვის შემდეგაც. მთავარია, აქტივობის დროს გამოყენებული ტექსტი შერჩეული უნდა იყოს სწორედ მოსწავლეთა მზაობისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ამ მეთოდის რამდენიმე ვარიანტი არსებობს და გთავაზობთ ყველა შესაძლო მათგანს, რისთვისაც გამოვიყენებთ ჩვენს სახელძღვანელოში გამოყენებულ ტექსტებს. სანამ თითოეული ვარიანტის ახსნა-განმარტებას წაიკითხავთ, ჯერ დაუკვირდით თითოეულ ნიმუშს, თუ რა პრინციპია გამოყენებული სიტყვების "დასაკარგად", ამის შემდეგ გაეცანით ვარიანტის განმარტებას.

**I ნიმუში:** *რომელმა ბავშვმა არ იცის, რა არის ---------------------- ან კარტოფილი, შოკოლადი ან მზესუმზირა? იცნობ ------------------- ბავშვს? არადა, საქართველოში, კავკასიაში და საერთოდ, ------------- ევროპასა და აზიაში იყო დრო, როცა --------------------- იცოდა შოკოლადის, შემწვარი კარტოფილის, მოხარშული სიმინდის, --------------------- მზესუმზირის, პამიდვრის, ლობიოსა და გოგრის გემო.*

აქ გამოტოვებულია ყოველი მეშვიდე სიტყვა (პამიდორი, ასეთ, მთელ, არავინ, მოხალული) თუკი მოსწავლეთა მზაობის მიხედვით მასწავლებელს უფრო გართულება სურს დავალების და ტექსტიც იძლევა ამის საშუალებას, შეიძლება ყოველი მეექვსე სიტყვა ამოიღოს. ასე გართულებულ დავალებას მოსწავლეთა რომელიმე ჯგუფს შევთავაზებთ და ამ მიდგომას სწავლების დიფერენცირებითვის გამოვიყენებთ. აქვე დავამატოთ, რომ შესაძლებელია „დაკარგული" სიტყვები არეული თანმიმდევრობით შევთავაზოთ მოსწავლეებს, შეიძლება, არც შევთავაზოთ.

**II ნიმუში:** *იმ დროს ევროპასა და აზიაში ჯერ -------------------- **(ყველა/არავინ)** ეწეოდა სიგარეტს (და ძალიანაც კარგი!); არავინ -------------------- **(უმატებდა/აკლებდა)** ვანილს ნამცხვარში; არავის ჰყავდა ინდაური და **(მდიდრებს/არავის)** ჰქონდა ჰამაკი. არც ანანასი იცოდა ვინმემ, ------------- **(რა/ვინ)** იყო. რატომ არ იცოდნენ? იმიტომ, რომ ---------------------**(მზე/მზესუმზირა)**, კაკაო, კარტოფილი, სიმინდი, პამიდორი, ლობიო, გოგრა, -------------------**(თამბაქო/სიგარეტი)** და ანანასი აქ არ იზრდებოდა.*

აქაც ყოველი მეშვიდე სიტყვაა გამოტოვებული, ოღონდ ფრჩხილებში შეთავაზებულია სიტყვათა წყვილი, რომელთაგან მოსწავლე შეარჩევს საჭირო მათგანს. ამ პრინციპით აგებული სავარჯიშო პირველ ნიმუშთან შედარებით ადვილად შესასრულებელია და მოსწავლეებს ნაკლები ძალისხმევა დასჭირდებათ. თუმცა, დავიმახსოვროთ, რომ „დაკარგულ სიტყვებზე" მუშაობისას არა იმდენად სიტყვების სწორად შერჩევაა მთავარი, რამდენადაც საკუთარი არჩევანის გაკეთებაზე თვალის მიდევნება და ამ კოგნიტური პროცესის ხმამაღლა გადმოცემა, გასიტყვება.

**III ნიმუში:** *მთელ ევროპასა და აზიაში არავინ ------------------- ვანილის გემო, ჰამაკის გაკეთება. არავის ----------------- ინდაური. აბა, სადაური ფრინველია ინდაური? სადაური მცენარეებია კარტოფილი, პამიდორი, ლობიო, სიმინდი, კაკაო, თამბაქო, ანანასი და ვანილი? სად -------------------- ადამიანებმა პირველად ჰამაკი? საიდან ------------------- ეს ყველაფერი ევროპასა და აზიაში? ეს ყველაფერი ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკიდან -------------------.*

აქ სხვა პრინციპითაა გამოტოვებული სიტყვები. ესენია: **იცოდა, ჰყავდა, გააკეთეს, მოვიდა** (2ჯერ). ანუ ერთგვაროვანი სიტყვებია გამოტოვებული, მიუხედავად იმისა, თუ სადაა ტექსტში განთავსებული ეს სიტყვა. ასეთი მიდგომა ამ მეთოდისადმი განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც მასწავლებლები ერთი ტექსტის ფარგლებში აქცენტს აკეთებენ ერთი რიგის (მაგალითად, ზმნიზედებზე, ზედსართავებზე, ამ შემთხვევაში ზმნებზე და ა. შ.) სიტყვებზე.

**IV ნიმუში:** *ჰამაკის გაკეთება ინდიელებმა ------------------- **(ისწავლეს/ასწავლიან/ასწავლეს)** ევროპელებს. ინდიელებმა ----------------------- **(ანახეს/ნახავენ/ნახონ)** ევროპელებს პირველად ინდაური. ეს სახელიც ამიტომ ------------------------ **(არქმევენ/ჰქვია/დაარქვეს)** — შეადარე: ინდიელი, ინდაური. ინდიელებმა ------------------------ **(ისწავლეს/ასწავლეს/ სწავლობენ)** ევროპელებს ასევე კარტოფილის, პამიდვრის, ლობიოს, სიმინდის, გოგრის, მზესუმზირისა და თამბაქოს მოყვანა. ძველმა მოგზაურებმა ამერიკიდან ევროპამდე გემებით -------------------- **(მოაქვთ/მოიტანეს/მოიტანენ)** ამ მცენარეების თესლები და შემდეგ ისინი ნელ-ნელა ---------------------- **(ვრცელდება/გავრცელდა/გაავრცელებენ)** აზიურ ქვეყნებშიც.*

აქაც ერთგვაროვანი სიტყვებია, აქაც ზმნები, გამოტოვებული, ოღონდ ფრჩხილებში შეთავაზებულია არა სიტყვათა წყვილები, არამედ სამეულები და სწორი ვარიანტი მოსწავლემ სამი ზმნური ფორმიდან უნდა აარჩიოს. შეამჩნევდით, რომ ზოგიერთ ადგილზე შესაძლოა ჩაისვას არამხოლოდ ერთი მათგანი, არამედ ორიც კი. ასეთი მომენტების პრეზენტაციის დროს განხილვა და სათანადო დასკვნის გაკეთება მოსწავლეების ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობის უნარის განვითარების გარდა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გაღრმავებასაც უწობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ამ კონკრეტული ნიმუშით მასწავლებელი ცდილობს ზმნების სათანადო ფორმის შერცევაში გაწაფოს მოსწავლეები, თუმცა, შესაძლებელი იყო განსხვავებული მნიშვნელობის ზმნებიდანაც (მაგალითად, **ასწავლეს/გაუზავნეს/ ურჩიეს**) ამოერჩიათ საჭირო მათგანი. ამას მასწავლებელი გადაწყვეტს საკუთარი საკლასო საჭიროებებიდან გამომდინარე.

**IV ნიმუში:** ამ მოვლენების გამო ყველა --------------------- **(ქვეყანას/ქვეყნის)** სამზარეულო შეიცვალა: ჩვენ ახლა გვაქვს მზესუმზირის ზეთი, პამიდვრის სალათი, ---------------------- **(ბავშვების/ ბავშვები)** საყვარელი შემწვარი კარტოფილი, სხვა ათასი კერძი --------------------- **(პამიდვრითა/პამიდვრისა)** და კარტოფილით, ლობიო, სიმინდი, გოგრა და კაკაო. მაგრამ მე-15 საუკუნემდე ევროპაში არავინ იცოდა ამ --------------------------- **(მცენარეებს/მცენარეების)** შესახებ. ამერიკული მცენარეების ევროპაში -------------------- (მოგზაურობის/მოგზაურობას) ისტორია 1492 წლიდან იწყება. კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში ეს მცენარეები კიდევ უფრო გვიან — მე-19 საუკუნეში გამოჩნდა. ორასი წელიც არაა, რაც საქართველოში კარტოფილს, ------------------------- (პამიდორი/პამიდორს) და სხვა ამერიკული მცენარეების ------------------------------ (ნაყოფის/ნაყოფს) ჭამენ.

ამ ვარიანტშიც ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაა შემოთავაზებული. ეს ვერსია, ქართულის, როგორც არამშობლიური ენის შემსწავლელებისთვის სასარგებლო და არცთუ ადვილი ამოცანა იქნება, რადგან ასეთი საჭიროებები არათუ მეშვიდეკლასელ მოსწავლეებთან, არამედ უფრო მაღალ კლასებშიც იჩენს ხოლმე თავს. მასწავლებელი გადაწყვეტს ორი ფორმა შესთავაზოს მოსწავლეებს თუ — სამი. შესაძლოა, სამი ფორმის შეთავაზება დიფერენცირებული სწავლების მიზნებისთვისაც გამოიყენოს.

ბოლოს დავსძენთ, რომ მეშვიდე კლასის სავარჯიშოების რვეულში შეგხვდებათ „დაკარგული სიტყვების" მეთოდის მიხედვით შედგენილი აქტივობები, მაგრამ მასწავლებელს საკუთარი შეხედულების მიხედვით შეუძლია დაამზადოს ასეთი სამუშაო ფურცლები რომელიმე ზემოთაღნიშნული ვარიანტის მიხედვით.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითოეული ზემოთ განხილული ვარიანტის პრეზენტაციისას, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იმსჯელონ შემდეგი შეკითხვების მიხედვით:

- როგორ ამოიცანი საჭირო სიტყვა?
- იყო თუ არა ეს სიტყვა შენი პირველივე ვარიანტი?
- ხომ არ გქონდა ალტერნატიული ვერსია?
- რა დაგეხმარა სიტყვათა შემოთავაზებული წყვილიდან/სამეულიდან სასურველის შერჩევაში.
- შეიძლება თუ არა შენ მიერ შერჩეული სიტყვის გარდა სხვა სიტყვა გამოვიყენოთ იმავე ადგილას?..

## ე) მოსწავლის სალექსიკონო რვეული

ჩვენი მე-5 კლასის სახელმძღვანელოში ერთი ასეთი დავალება იყო სავარჯიშოების რვეულის პირველივე თავში:

შექმენი ილუსტრირებული ლექსიკონი – ჩამოწერე ის ახალი სიტყვები, რომლებიც ამ თავში ისწავლე. სიტყვების გასწვრივ დახატე შესაბამისი ილუსტრაციები. შენს ლექსიკონს თანდათან მიამატე ახალ-ახალი სიტყვები, რომლებსაც სხვადასხვა თავის შესწავლისას გაიგებ და სასწავლო წლის ბოლოს საინტერესო ილუსტრირებულ ლექსიკონს მიიღებ.

რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუკი მოსწავლე ამ საქმიანობისთვის ცალკე შეარჩევს სქელ რვეულს და სიტყვებზე სისტემატურად მუშაობის შემთხვევაში, მოსწავლე მიიღებს საკუთარ ლექსიკონს, რომელშიც, გარდა ორენოვანი განმარტებებისა, იქნება ნახატებიც, საკუთარი განმარტებები, ენობრივი კონსტრუქციები, „სიტყვის პირამიდები“, „ფრეიერის სქემები“, „სიტყვის/ცნების რუკები“ და სხვა საინტერესო სქემები. ასეთი რვეულის, ნამუშევრის პერიოდულად და მოგვიანებით (თუნდაც რამდენიმე წლის შემდეგ) გადათვალიერება ყოველთვის სასარგებლო და სასიამოვნო მოგონებებს აღძრავს ენის შემსწავლელში.

ყურადღებას აღარ გავამახვილებთ ლექსიკაზე მუშაობის გავრცელებულ სტრატეგიებზე: ილუსტრაციაზე სიტყვების დაკავშირება, ილუსტრაციაზე სპეციალურად ცარიელ ადგილებზე სიტყვების ჩასმა-ჩაწერა, ასოთლაბირინთებში სიტყვათა იდენტიფიცირება, წინადადებებში გამოტოვებულ ადგილებში შესაბამისი სიტყვების ჩასმა, ორი სიტყვიდან სასურველის არჩევა და მისი ჩასმა სათანადო ადგილზე, ტექსტში გამოტოვებული სიტყვების აღდგენა, უცნობის სიტყვების მნიშვნელობების წინასწარმეტყველება და შემდეგ კონტექსტის მიხედვით ამოცნობა, სინონიმებისა თუ ანტონიმების დაკავშირება, სიტყვათწარმოებასთან დაკავშირებული აქტივობები, კონკრეტული სიტყვის/ცნების ილუსტრირება, სიტყვის შესაბამისი ზუსტი და არაზუსტი მაგალითების (ე. წ. კი და არა მაგალითები) მოფიქრება და სხვა მრავალი. ეს და სხვა ტიპის დავალებები და სავარჯიშოები მრავალდა შეგხვდებათ მე-7 კლასის სახელმძღვანელოს მოსწავლის წიგნსა და სავარჯიშოების რვეულში.

## 6) გრამატიკის სწავლება

გრამატიკის სწავლების მიზნით სახელმძღვანელოში მოცემულია მრავალფეროვანი დავალებები და სავარჯიშოები. შეიძლება წარმოვადგინოთ მოკლე სქემა, თუ როგორაა დამუშავებული გრამატიკის ქუდქვეშ გაერთიანებული ქვეცნებები და საკითხები.

თითოეული, საფეხურებრივი პროგრამით შემოთავაზებული, კლასების მიხედვით დანაწი-

ლებული გრამატიკული საკითხი შერჩეულია იმ კონკრეტული თემისთვის, რომელშიც უკეთესად გაიშლებოდა, როგორც ტექსტუალური, ასევე კონტექსტუალური თვალსაზრისით. სახელმძღვანელოში, როგორც წესი, მოსწავლის წიგნში წარმოდგენილია ე. წ. გრამატიკული ბლოკები, სადაც წარმოდგენილია თეორიული მასალა შესაბამისი ნიმუშებითა და მაგალითებით. ამ გრამატიკულ ბლოკში წარმოდგენილი საკითხი, როგორც აღვნიშნეთ, უკავშირდება ამავე თავში შემოთავაზებულ მხატვრულ თუ არამხატვრულ ტექსტებს და ხშირ შემთხვევაში ნიმუშებიც იქიდანაა მოწოდებული. მეორე მხრივ, თითოეული საკითხი დამუშავებულია სავარჯიშოებშიც.

შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილისთვის არ იყოს საკმარისი სავარჯიშოების რვეულის მიხედვით მოცემული აქტივობები. ამ შემტხვევაში კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი მოსწავლებს დამატებით შესთავაზებს სახელმძღვანელოს ანალოგიურ სავარჯიშოებს, მისცემს მათ საშინაო დავალებისა თუ საკლასო სამუშაოების ფორმატში შესასრულებლად. როგორც წესი, საკლასო ოთახში დამუშავებული თითოეული სავარჯიშო, განსამტკიცებლად უნდა მიეცეთ შინაც.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ზოგად რეკომენდაციასაც, რომელიც გამოცდილი მასწავლებლებისთვის ჩვეული პრაქტიკაა: გრამატიკულად გამართულობის მიღწევას საკმადო მაღალი ენობრივი კომპეტენცია სჭირდება და სწავლის პროცესში გამოვლენილი ამ რიგის შეცდომები არ უნდა იწვევდეს არც მოსწავლის და არც მასწავლებლის ფრუსტრაციას. დროთა განმავლობაში, ენობრივი უნარების გაწაფვისდაკვალად თანდათან ალაგდება ასეთი შეცდომები. შესაბმისად, სახელმძღვანელოში შემოთავაზებული კონკრეტული გრამატიკული უნარის გამავარჯიშებელი აქტივობების შესრულება არ ნიშნავს იმას, რომ ეს საკითხი საბოლოოდ დაძლეული იქნება მოსწავლისთვის. ვერ იქნება ასე. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ხანგრძლივი და ხშირი პრაქტიკისა და ვარჯიშის შემთხვევაში.

მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა მისცენ საშუალება, პროდუცირებისას გამოიყენონ ის ენობრივი, ზოგჯერ გრამატიკულად გაუმართავი, საშუალებები, რაც მათი მზაობისთვისაა დამახასიათებელი. ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით, პრიორიტეტულობის განსაზღვრით, ასეთი შეცდომები ალაგდება.

რას ვგულისხმობთ პრიორიტეტულობის განსაზღვრაში, როდესაც გრამატიკის სწავლებაზე ვსაუბრობთ? წარმოვიდგინოთ მოსწავლის წერილობით ნამუშევარი, რომელიც შეთავაზებული გვქონდა კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში. როგორ უნდა შევაფასოთ, რა ტიპის, რა რიგის შეცდომები უნდა დავუფიქსიროთ მას, რათა მომავალში ეს შეცდომები არარ გაიმეოროს? ყველა შეცდომა უნდა მოვნიშნოთ და წითელი კალმით ავუჭრელოთ ნამუშევარი? ვფიქრობთ, რომ არა. ჩვენ უნდა გამოვყოთ მასში ის შრეები, რომლის გააქტიურებაც, სწავლებაც იმ კონკრეტული თემის ფარგლებში გვქონდა მიზნად ანდა ადრე გავააქტიურეთ და სათანადოდ განვამტკიცეთ სხვა თემის ფარგლებში. სწორედ ამას, შეცდომათა გარკვეულ იერარქიზებას ვგულისხმობთ გრამატიკული პრიორიტეტულობის განსაზღვრაში. წინააღმდეგ შემტხვევაში გამოვა, რომ ყველა შეცდომაზე ყურადღების გამახვილებისას მოსწავლეებს ხმა არ უნდა გავაღებინოთ და არაფერი დავაწერინოთ.

## 7) დიფერენცირებული სწავლება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები რთული ამოცანების წინაშე დგანან, როდესაც საკუთარი საკლასო საჭიროებებს აცნობიერებენ. რასაკვირველია, ყველა მოსწავლე ერთნაირად არ სწავლობს და ერთნაირი მიღწევები არ აქვს არც ქართულ ენაში. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, არცთუ იშვიათად, მასწავლებლებს უწევთ ისეთ კლასებში მუშაობა, სადაც მოსწავლეები განსხვავებულ საფეხურზე არიან.

ქვემოთ შემოთავაზებულია რეკომენდაციები საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მიერ მომზადებული მეთოდიკური კრებულიდან, რომლის სათანადოდ გამოყენება მასწავლებლებს დაეხმარებათ განსხვავებული მზაობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებაში.

დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სასწავლო პროცესის მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე. ესაა ერთ კლასში მყოფი განსხვავებული მიღწევების მქონე მოსწავლეთა გასხვავებულად სწავლება. სწავლების დიფერენცირებაში შეიძლება იგულისხმებოდეს ერთსა და იმავე კლასში მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფთან განსხვავებული მეთოდების და/ან რესურსების გამოყენება.

იგი ითვალისწინებს ერთი კლასის მოსწავლეების დაჯგუფებას/დაყოფას დონეების მიხედვით.

დიფერენცირებული სწავლების მთავარი მიზანია, რომ თითოეულმა მოსწავლემ მიაღწიოს საუკეთესო შედეგს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით დიფერენცირებული სწავლება ცალსახად არ გულისხმობს განსხვავებული მონაცემების მქონე მოსწავლეების მიერ თანაბარი შედეგების მიღწევას. შესაძლებელია, დაბალი მზაობის მოსწავლე მოსწავლე ყოველთვის ვერ დაეწიოს წარმატებულებს, თუმცა, ზოგჯერ სუსტი მოსწავლე ისეთივე შედეგს აღწევს, როგორსაც წარმატებული. დიფერენცირებული მიდგომით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დაძლიონ სწავლის პროცესში წარმოქმნილი ბარიერები და მკვეთრად გააუმჯობესონ შედეგები. მასწავლებელი ამას აღწევს უწყვეტი შეფასებისა და მოსწავლეთა მოქნილად დაჯგუფების გზით. სასწავლო პროცესში შესაძლებელია ისეთი ელემენტების დიფერენცირება, როგორიცაა: შინაარსი, პროცესი, დავალებები და გარემო.

დიფერენცირებული სწავლება — ეს არის სასწავლო პროცესის იმგვარი ორგანიზება, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებებზე, უნარებზე და შესაძლებლობებზე. დიფერენცირებული სწავლება აიგება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოლოდინების გაცნობიერება;
2. მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და სწავლის სტილის განსაზღვრა;
3. დაკვირვება იმაზე, თუ როგორ იგებენ მოსწავლეები დავალებას;
4. სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით შედეგების შემოწმება და ანალიზი.

დიფერენცირებული სწავლების ეფექტური გამოყენება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს და რამდენად ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ცოდნას, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებას და უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც ყალიბდება მშობლებთან, თანატოლებთან, მედიასა და სამყაროსთან ყოველდღიური ურთიერთობით.

დიფერენციაციის სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლისგან სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის ფლობას მოითხოვს.

განათლების სპეციალისტი **ჯენიფერ გოფრიო** თვლის, რომ მასწავლებელმა, რომელიც დიფერენცირებულ სწავლებას იწყებს, შვიდი საბაზისო პრინციპი უნდა გაითვალისწინოს:

1. შეისწავლეთ თქვენი მოსწავლეები და მათი ინტერესები, მოტივაცია, საჭიროებები, მიზნები. სასურველია, ეს სასწავლო წლის დაწყებისთანავე გააკეთოთ. შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა წყარო, მაგალითად, მოამზადოთ სპეციალური კითხვარი, რომელსაც მოსწავლეები და მასწავლებლები შეავსებენ.
2. გააცანით მოსწავლეებს დიფერენცირებული სწავლების იდეა. გამართეთ კლასში დისკუსია დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელობისა და ფორმების შესახებ. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, თუ დიფერენცირებულ სწავლებას მოსწავლეები პირველად ეხებიან. მოსწავლეებმა იმთავითვე უნდა იცოდნენ, რატომ იღებენ მათი თანაკლასელები

განსხვავებულ დავალებებსა და სასწავლო რესურსებს. იგივე ეხებათ მოსწავლეთა მშობლებსაც.

3. საფუძვლიანად შეისწავლეთ საგნისა და კლასის სტანდარტები (მისაღწევი შედეგები) და პროგრამა (შინაარსი). დარწმუნდით, რომ კარგად გესმით მისაღწევი შედეგების შემადგენელი უნარ-ჩვევები და მათი სწავლების მეთოდები. თუ ასე არ არის, ნუ დაიწყებთ დიფერენცირებულ სწავლებას.
4. დაიწყეთ მცირედით. თუ დიფერენცირებული სწავლებისკენ პირველ ნაბიჯებს დგამთ, ნაბიჯ-ნაბიჯ გაამდიდრეთ გაკვეთილები აქტივობებით. თავდაპირველად დაუთმეთ დიფერენცირებული სწავლების ბლოკს გაკვეთილის ერთი ნაწილი. არ არის აუცილებელი, რომ ყველა გაკვეთილი დატვირთოთ დიფერენცირებული სწავლების აქტივობებით. თანდათანობით გაზარდეთ დიფერენცირებული აქტივობების რაოდენობა და ნელ-ნელა გადადით მთლიანი გაკვეთილებისა და თემატური ბლოკების დიფერენცირებაზე.
5. იმუშავეთ ორგანიზებულად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია დიფერენცირებული სწავლებისთვის. იმთავითვე გააცნობიერეთ, რომ დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეთა ნაწილი კლასში დამოუკიდებლად იმუშავებს. ხშირად მასწავლებელთა პირველი რეაქცია დიფერენცირებასთან მიმართებით ასე გამოიხატება: „ხუთ ნაწილად ხომ არ გავიჭრები? მე თუ რამდენიმე ბავშვთან ვიმუშავე, დანარჩენებს ვინ მიხედავს? ისედაც არ უნდათ სწავლა და ხომ გადავლენ ყირაზე?" ასეთი რეაქცია სრულიად მოსალოდნელია. დიფერენცირებული სწავლება კომპლექსური პროცესია, ის აქტივობებისა და რესურსების ეფექტურ მართვას მოითხოვს. ამიტომ აუცილებელია დიფერენცირების დაწყებისთანავე სათანადო წესებისა და პროცედურების დანერგვა საკლასო ოთახში. კლასის მართვის პროცესში შეგიძლიათ დაიხმაროთ მოსწავლეებიც. ხშირად სწორედ ისინი გვთავაზობენ ორგანიზებასთან დაკავშირებული პრობლემების ორიგინალურად გადაწყვეტის გზებს.
6. იყავით ღია და მოქნილი. მასწავლებლებმა ვიცით, რომ გაკვეთილის გეგმა არის ერთგვარი გზამკვლევი და არა ხელშეუხებელი დოკუმენტი. თუ დიფერენცირებული გაკვეთილი ისე არ წარიმართა, როგორც გეგმავდით, დაფიქრდით, რამ გამოიწვია ეს. გაითვალისწინეთ ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები მომდევნო გაკვეთილების დაგეგმვისას.
7. ითხოვეთ დახმარება და გამოიყენეთ ყველა ხელმისაწვდომი რესურსი. შესაძლოა, თქვენს სკოლაში რომელიმე კოლეგა ასევე ცდილობდეს დიფერენცირებული სწავლების დანერგვას. თუახლოს ასეთი არავინაა, სკოლის ბაზაზე შექმენით მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფი დიფერენცირებული სწავლების საკითხზე. ასევე, მიმართეთ ინტერნეტში წყაროებს, წიგნებს, გზამკვლევებს. ყოველთვის გამოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც დახმარებას გაგიწევენ ინოვაციური მიდგომის დანერგვაში. მიმართეთ მათ!

**სხვა გასათვალისწინებელი საკითხები:**

- კლასში რელიგიურ საკითხთან შეხებისას მასწავლებელმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებულისიფრთხილე, ყურადღება მიაქციოს, თუ როგორ იქნება ეს თემა ინტერპრეტირებული მოსწავლეთა მიერ და ეცადოს ინფორმაციის იმგვარად მიწოდებასა და დისკუსიის ფასილიტაციას, რაც გამორიცხავს რელიგიური შუღლის გაღვივებას.~
- კლასში სხვადასხვა სენსიტიური საკითხის (მაგალითად, განსხვავებული რელიგიური რეალიები, ჩაცმის განსხვავებული სტილი, ცხოვრების განსხვავებული წესი...) განხილვის დროს მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს თუ როგორ იქნება ეს თემა ინტერპრეტირებული მოსწავლეთა მიერ და ეცადოს, ინფორმაციის იმგვარად მიწოდებასა და დისკუსიის ფასილიტაციას, რაც გამორიცხავს შუღლის, დაპირისპირების, უსიამო დამოკიდებულებების გაჩენას.

# V თავი – თემატური ერთეულის შექმნის გზამკვლევი

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია თემატური ერთეულის ზოგადი ჩარჩო სათანადო, განსხვავებული ფერით აკრეფილი რეკომენდაციებით. შესაბამისად, ნებისმიერ მასწავლებელს შეექმნება მკაფიო წარმოდგენა, ერთი მხრივ, იმის შესახებ, თუ როგორაა, რა ლოგიკითაა აგებული ჩვენ მიერ შემოთავაზებული თემატური ერთეულები, მეორე მხრივ, თავადაც შეიტანს ცვლილებებს მათში და თავადაც შეადგენს ანალოგიურს, სურვილის შემთხვევაში. აღვნიშნავთ ერთასაც, რომ ასეთი ფორმით თემატური ერთეულების შემოთავაზება იყო მოთხოვნილი სტანდარტითა და რეგულაციებით.

აქვე შემოგთავაზებთ ამ თემატური ერთეულების (მატრიცის) წაკითხვის გზამკვლევს.

1. ზედა უჯრაში იწერება თემის დასახელება და სტანდარტის მიხედვით თემატურ ერთეულში ასახული თემატური ბლოკების ძირითადი შინაარსობრივი სახკითხები;
2. შემდეგ მოდის თემატური საკვანძო შეკითხვები, რომლებიც ერთგვარად გამომდინარეობს და მიემართება საფეხურებრივ საკვანძო შეკითხვებს;
3. შემდეგ უჯრაში ვწერთ თემის ფარგლებში დამუშავებულ, განხილულ ქვეცნებებსა და საკითხებს;
4. შემდეგ ორ უჯრაში წარმოდგენილია სტანდარტით შემოტავაზებული სამეტყველო აქტებიდან ამ თემაში გააქტიურებული ნაწილი;
5. ხოლო მომდევნო უჯრაში ვხედავთ ამ თემაში დამუშავებულ ენობრივ საკითხებს;
6. შემდეგ უჯრაში წერია თემატური ლექსიკა, თუ რა ლექსიკაზა აქცენტი გაკეთებული;
7. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ წარმოჩენილია ტექსტის ტიპები და ჟანრები;
8. შემდეგ უჯრები რამდენიმე სვეტად იყოფა და მარცხენა სვეტში ჩაწერილია ცნებები მკვიდრი წარმოდგენებით — ეს სვეტი ყველა მატრიცაში ერთნაირია;
9. 9. შემდეგ უჯრაში ვხედავთ ეტაპის ნომერსა და ეტაპის მიზნებს. ჩვენ შემთხვევაში შემოთავაზებულია ხოლმე ან ორი ეტაპი, ან — სამი;
10. შემდეგ უჯრაში ჩამოთვლილია ის საკითხები და ქვეცნებები, რომლებიც ამ ეტაპზე მუშავდება;
11. მის მეზობელ უჯრაში კი საკვანძო შეკითხვები წერია. თემატური საკვანძო შეკითხვებისგან განსხვავებით, ეს საკვანძო შეკითხვები უფრო დავიწროებულია და უშუალოდ მიემართება კომპლექსურ დავალებებს;
12. მის მეზობელ უჯრში ჩაწერილია კომპექსური დავალების დასახელება, ხოლო ამის ქვედა უჯრაშია ჩამოწერილია ის კომპელქსური დავალებები, რომლებიც ამ ეტაპისთვის დამუშავდება;

13. შუა ზოლში კი უკვე ის აქტივობები წერია, რომელთა მეშვეობითაც ხდება კომპლექსური დავალებების შესრულება;

14. შემდეგ მიეთითება ამ ეტაპზე გამოსაყენებელი რესურსები;

15. შემდეგ კი წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები;

16. ამის შემდეგ მეორდება 9-15 უჯრების შინაარსი, რაც იმას მიანიშნებს, რომ ეს ამ თემის მეორე ეტაპია. თუკი მესამე ეტაპიც იქნება წარმოდგენილი, მაშინ კიდევ ერთხელ იქნება განმეორებული;

17. სულ ბოლოს კი ვხედავთ თემატურ მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც, რასაკვირველია, განსხვავდება ცნებების მკვიდრი წარმოდგენებისგან და ერთგვარი შემაჯამებელი თეზისებია, ის უზოგადესი დებულებები, რაც მოსწავლეს ამ თემის გავლისას უნდა დარჩეს.

---

თემა: აქ ჩაიწერება თემის დასახელება

**კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:**

მოცემულია ორი თემატური ბლოკი ხუთი სავალდებულო თემით. თითოეულ სავალდებულო თემაში წარმოდგენილია ძირითადი შინაარსობრივი საკითხები. დარჩება მხოლო ის საკითხები, რომელიც შეესაბამება ამ კონკრეტულ თემატურ ერთეულს. სასურველია, ხუთივე სავალდებულო თემიდან თითო შინაარსობრივი საკითხი მაინც დარჩეს.

მე და სამყარო:

3. **ყველაფერი ჩემ შესახებ** (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, ჯანმრთელობა, თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები, უახლოესი გეგმები, მომავლის დაგეგმვა/არჩევანის გაკეთება);
4. **ფიზიკური გარემო** (დედამიწა, მსოფლიოს გარშემო - ქვეყნები და ქალაქები; ეკოლოგია, ბუნებრივი კატასტროფები, გეოგრაფიული გარემო, მხარეები, აღმოჩენები).

. სოციოკულტურა და კულტურა:

4. **ყოველდღიური ცხოვრება** (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები, თავისუფალი დროის გატარება);
5. **პიროვნებათშორისი ურთიერთობები** (ოჯახური ურთიერთობები, თანატოლებს / თაობებს შორის ურთიერთობები);
6. **ღირებულებები და ფასეულობები** (კულტურა, ტრადიციები, დღესასწაულები და ფესტივალები, ღირსშესანიშნაობები; ისტორიული პიროვნებები და მოვლენები; უმცირესობები - ეთნიკური / რელიგიური, სხვა ქვეყნები და ხალხები).

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

თემატური საკვანძო შეკითხვების ჩამოსაყალიბებლად დაგვეხმარება საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები, რომლებიც დაკონკრეტდება თემაში წარმოდგენილი ტექსტებისა და საკითხების შესაბამისად. შესაძლებელია, 10 საკვანძო შეკითხვის ნაცვლად დაისვას 8 ან 6 საკვანძო შეკითხვა.

1. რას მეუბნება ტექსტი? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?
2. რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ?
3. რამ შემიშალა ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?
4. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?
5. როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები ტექსტის, თემის, პრობლემის/საკითხის მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის?
6. რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?
7. როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? არის თუ არა ჩემი აზრი / იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?
8. მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა?
9. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?
10. მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია?

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:**

ქვემოთ ცნებების მიხედვით წარმოდგენილია ქვეცნებები და საკითხები, რომელთაგანა დარჩება ის, რომელიც შეესაბამება ჩვენს თემას და გააქტიურებულია ჩვენ მიერ შემოთავაზებული დავალებებითა და სავარჯიშოებით.

## კომუნიკაცია

ქვეცნებები:

**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციაში მონაწილეეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;

**მეტყველების ფუნქციური ტიპები:** თხრობა, აღწერა, მსჯელობა

სამეტყველო აქტები:

- **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება);
- **ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.);

- **ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...);
- **ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).

## ტექსტის ტიპი და ჟანრი

ქვეცნებები:

**ტექსტის ტიპები** - მხატვრული, არამხატვრული

**ტექსტის ჟანრები** -

- <u>მხატვრული ლიტერატურა:</u> პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები;
- <u>არამხატვრული ლიტერატურა:</u> ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, ანოტაცია, გამოხმაურება ბ) საქმიანი ქაღალდები - განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV); გ) კორესპონდენცია - პირადი და მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; ე) ბიოგრაფიული ტექსტები - ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი/პორტრეტები, დღიური, მოგონება;
- <u>მედია/მულტიმედია ტექსტები:</u> მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; გასართობ-შემეცნებითი გადაცემები; სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;
- <u>სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები</u>: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები.

## ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება

ქვეცნებები:

- **ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა, შემოკლებული სიტყვები);*
- **ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ლოგო,; ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი);*
- **აბზაცის სტრუქტურა** - თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები (დამატებითი ინფორმაციის შემცველი მაგალითი, დეტალი, მონაცემი), დასკვნითი წინადადება;

## ინტერპრეტაცია

ქვეცნებები:

ჟანრი; თემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი

## გრამატიკა

**ქვეცნებები:** მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა

**ენობრივი საკითხები:**

- მორფოლოგია: არსებითი სახელი; ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები და მათი ფუნქციები; ზედსართავი და რიცხვითი სახელები; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური და პასიური ფორმები; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი / ხოლმეობითი); აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა (წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი); შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, შესრულებული მოქმედების პროცესი და შედეგი, უნახავი მოქმედების გამოხატვა - I თურმეობითი); ასპექტის წარმოება; თავისებური ზმნები; საწყისი და მიმღეობა და მათი ფუნქციები; სახელთა წარმოქმნა; ფორმაუცვლელი სიტყვები და მათი ფუნქციები (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი და ნაწილაკი);
- სინტაქსი: წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ბრძანებითი წინადადებები; რთული სინტაქსური კონსტრუქციები (კავშირიანი და უკავშირო შეერთება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში); აქტიური და პასიური კონსტრუქციები; ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში; მსაზღვრელ-საზღვრული; პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები (რა შემთხვევაში? რა პირობებში?);
- მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები: რიცხვითი სახელების მართლწერა (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით); ნაცვალსახელები და მათთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები (მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/თავიანთი; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები; სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერის საკითხები; სასვენი ნიშნების ხმარება პირდაპირ და ირიბ ნათქვამში, განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან);
- ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი; კომპოზიტი; დანართი, ჩართული.

## ენის სწავლის სტრატეგიები

**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**

- ენათშორისი პარალელების გავლება;
- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;

- დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.

ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

## სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)

ქვეცნებები:

დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;

## ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა

საკითხები:

სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები;

| სამეტყველო აქტები: | ენობრივი საკითხები: |
| --- | --- |
| აქაც დარჩება იმ სამეტყველო აქტების შემთხვევები, რომლებიც გაატიურებული გვაქვს თემატურ ერთეულში.<br><br>1.1. სოციალური ურთიერთობები:<br>მისალმება/დამშვიდობება, მოკითხვა, წარდგენა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, წახალისება/შექება, მილოცვა/კეთილი სურვილების /თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება<br>1.2. ინფორმაციის გაცვლა:<br>პირადი მონაცემები, პროფესია/ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები /სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა, საკუთრება<br>1.3. აღწერა-დახასიათება: | შეირჩევა შესაბამისი საკითხები ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ცხადია, პროგრამის მიხედვით შემოთავაზებული საკითხები შეირჩევა:<br><br>მორფოლოგია: არსებითი სახელი; ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები და მათი ფუნქციები; ზედსართავი და რიცხვითი სახელები; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური და პასიური ფორმები; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი / ხოლმეობითი); აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა (წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი); შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, შესრულებული მოქმედების პროცესი და შედეგი, უნახავი მოქმედების გამოხატვა - I თურმეობითი); ასპექტის წარმოება; თავისებური ზმნები; საწყისი და მიმღეობა და მათი ფუნქციები; სახელთა წარმოქმნა; ფორმაუცვლელი სიტყვები და მათი ფუნქციები (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი და ნაწილაკი);<br>სინტაქსი: წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ბრძანებითი |

| | |
|---|---|
| ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები;<br>ცხოველის/საგნის აღწერა<br>**1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა:**<br>დადებითი/უარყოფითი ემოციები, დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა<br>**1.5. დროში ორიენტირება:**<br>დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა<br>**1.6. სივრცეში ორიენტირება:**<br>ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა<br>**1.7. ლოგიკური კავშირების გამოხატვა:**<br>მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა, მიზანი | წინადადებები; რთული სინტაქსური კონსტრუქციები (კავშირიანი და უკავშირო შეერთება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში); აქტიური და პასიური კონსტრუქციები; ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში; მსაზღვრელ-საზღვრული; პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები (რა შემთხვევაში? რა პირობებში?);<br><u>მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:</u> რიცხვითი სახელების მართლწერა (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით); ნაცვალსახელები და მათთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები (მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/თავიანთი; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები; სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერის საკითხები; სასვენი ნიშნების ხმარება პირდაპირ და ირიბ ნათქვამში, განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან);<br><u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი; კომპოზიტი; დანართი, ჩართული. |

თემატური ლექსიკა:

დასახელდება ის ლექსიკური ველი (მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ინტერიერტან დაკავშირებული სიტყვები ან უცხო ქვეყანაში მოგზაურობასთან დაკავშირებული სიტყვები და სხვ.), რომლის გააქტიურებაც ხდება მოცემულ თემაში. შესაძლოა მიეთითოს კონკრეტული/საკვანძო ლექსიკური ერთეულებიც.

ტექსტის ტიპები და ჟანრები:

შეირჩევა მოცემულ ტემატურ ერთეულში დასამუშავებელი ტექსტების ტიპები და ჟანრები ქვემოთ ჩამოთვლილთაგან.

**ტექსტის ტიპები** - მხატვრული, არამხატვრული

**ტექსტის ჟანრები** -

- მხატვრული ლიტერატურა: პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები;
- არამხატვრული ლიტერატურა: ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, ანოტაცია, გამოხმაურება ბ) საქმიანი ქაღალდები - განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV); გ) კორესპონდენცია - პირადი და მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; ე) ბიოგრაფიული ტექსტები - ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი/პორტრეტები, დღიური, მოგონება;
- მედია/მულტიმედია ტექსტები: მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; გასართობ-შემეცნებითი გადაცემები; სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;
- სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები.

<table>
<tr>
<td rowspan="3">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:<br>აქ იწერება საბაზო საფეხურის ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები და არ იცვლება ქვემოთ მოცემული.<br>საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)<br>კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის; კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.<br>წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br>ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 4, 5)<br>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.<br>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის</td>
<td colspan="3">I ეტაპის შუალედური მიზნები<br>აქ ჩაიწერება რა მიზნებსაც ვისახავთ პირველ ეტაპზე იმ ლკომპლექსური დავალებების მიხედვით, რომლებიც ამ ეტაპზეა შემოთავაზებული.<br>ქვედა სამი სვეტი შეეხება ამ თემის პირველ ეტაპს.</td>
</tr>
<tr>
<td>საკითხი და ქვეცნებები:<br><br>აქ, ამ გრაფაში შეირჩევა და ჩაიწერება ის საკითხები და ქვეცნებები, რომლებიც ამ კონკრეტულ ეტაპზე უნდა დამუშავდეს. შესაბამისად, ზემოთ შერჩეული საკითხებისა და ქვეცნებების ერთი ნაწილი აქაც გადმოვა, ხოლო დანარჩენი — მეორე და მესამე ეტაპებზე გადანაწილდება. შესაძლებელია, სამივე ეტაპზე განთავსდეს რომელიმე საკითხი თუ ქვეცნება.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:<br><br>ამ გრაფაში ჩასაწერი საკვანძო შეკითხვები უნდა დაუკავშირდეს ამ ეტაპის კომპლექსურ დავალებებს. ცხადია, ისინი მიემართება ზემოთ შერჩეული თემის საკვანძო შეკითხვებსაც, რომლებიც თავის მხრივ, საბაზო საფეხურის საკვანძო შეკითხვების გამომახილს წარმოადგენს. საკვანძო შეკითხვების ჩამოყალიბებისას უნდა გავითვალისწინოთ მკვიდრი წარმოდგენებიც.</td>
<td>კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br>ქვემოთა გრაფაში ჩაიწერება იმ კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც შემოთავაზებულია ამ ეტაპისთვის. გასათვალისწიენებელია, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ასახული იყოს მკვიდრი წარმოდგენებიც ისე, რომ თემატური ერთეულის კომპლექსურმა დავალებებმა მთლიანად მოიცვას ყველა ცნების მკვიდრი წარმოდგენები.</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">აქტივობები:<br><br>აქ აღიწერება განსაზორციელებელი აქტივობები, ის დავალებები და სავარჯიშოები, რომლებიც მოცემულია მოსწავლის წიგნსა და სავარჯიშოების რვეულში.</td>
<td>აი, აქ იწერება კომპლექსური დავალებების პირობები. ერთი ეტაპისთვის სასურველია 2-3 კომპლექსური დავალება.</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td rowspan="3">გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.<br>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)<br>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;<br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.<br>ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)<br>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით;<br>ინტერპრეტაციის დროს შემიძლია</td>
<td>რასაკვირველია, შესაძლოა გაიწეროს დამატებითი მითიტებებიც მასწავლებლებისთვის.</td>
<td rowspan="2"></td>
</tr>
<tr>
<td>რესურსები:<br>აქ ჩაიწერება ყველა ის რესურსი, რომლიც დაგვჭირდება ამ ეტაპისთვის, იქნება ეს ტექსტები, მოსასმენი აუდიოფაილები, სიმღერის აუდიო-ვიდეოფაილები, საპრეზენტაციო სლაიდები, ინტერნეტბმული თუ სხვ.</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">შეფასების კრიტერიუმები<br>აქ წარმოდგენილია სამი რეკომენდაცია. პირველი არის სტანდარტში მოცემული ის ყალიბი, რომელიც დაგვეხმარება ცნებების მიხედვით შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში.(ფრჩხილებში მიწერილია სტანდარტის შედეგები.)<br>თემის ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია:<br>კომუნიკაცია (1, 2, 3, 5, 6)<br>• საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების გაცნობიერება და ინტერაქციის დროს მათი სათანადოდ გათვალისწინება.<br>• კონკრეტული ტექსტების გაგება-გააზრება და შედგენა-გაზიარება;<br>• ფუნქციური სამეტყველო აქტების მიზნობრივად შესრულება;<br>• ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა.<br>ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 5)<br>• ტექსტის ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას.<br>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 5)<br>• ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება;<br>ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგი: 4);<br>• ტექსტში ასახული თემის, მიზნის, პრობლემის, ცალკეული საკითხების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა-დასაბუთება და დასკვნების გამოტანა;<br>• საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტში ასახული</td>
</tr>
</table>

| | |
|---|---|
| გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;<br>პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.<br>**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)**<br>ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);<br>განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და | განსხვავებული თვალსაზრისებისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივების შეფასება;<br>• ტექსტში მოცემული ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება.<br>**გრამატიკა (შედეგი 5)**<br>• ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და მათი გამოყენება კონკრეტული მიზნით;<br>• სხვადასხვა ფუნქციური სტილისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება კონკრეტული მიზნით;<br>• ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნის გამოყენება კონკრეტული სამეტყველო აქტების შესრულებისას.<br>**ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)**<br>• მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის სტრატეგიების გამოყენება ტექსტების გაგება-გააზრებისა და შექმნა-გაზიარების ხელშესაწყობად;<br>• ენობრივი (ლექსიკის, გრამატიკის) სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება კონკრეტული ენობრივი საკითხების ათვისების ხელშესაწყობად;<br>• საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციური გამოყენება.<br>**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები 10, 11, 12)**<br>• სასწავლო აქტივობებსა და დავალებებში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება და შეფასება ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, შემაფერხებელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება და საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა.<br>**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)**<br>• კულტურული განსხვავებების მიმართ ინტერესის გამოჩენა;<br>• განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება; საკუთარ სოციოკულტურულ გარემოსთან მსგავსება-განსხვავებების განსაზღვრა;<br>• კულტურათა დიალოგისთვის ხელის შეწყობა შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის, ინტერპრეტირებისა და გაზიარების გზით.<br><br>ქვემოთ წარმოდგენილია მეორე რეკომენდაციის სახით შეფასების კრიტერიუმების ნიმუში კონკრეტულ თემაზე „ჩემი თავგადასავალი" სტანდარტის 12 შედეგის მიხედვით დამზადებული.ფრჩხილებში აქაცშედეგების ნომრები უწერია.<br>**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**<br>1. სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ავტობიოგრაფიული მხატვრული ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; (1) აღწერითი, ილუსტრირებული და არგუმენტირებული ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა; (2) ძიძაობის ტრადიციის შესახებ საუბარი, მოსაზრების ჩამოყალიბება და დასაბუთება; (3)<br>2. ავტობიოგრაფიული მხატვრული საკითხავი და მოსასმენი ტექსტებისადმი დამოკიდებულების გამოხატვა (4), ენობრივი |

| | |
|---|---|
| კულტურის უკეთ გაცნობიერებაში; სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.<br>**გრამატიკა (შედეგები 5)**<br>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად; გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.<br>**ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)**<br>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს; თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა- | საშუალებების ამოცნობა და გამოყენება (5) ტექსტების შედგენისას შემოქმედებითობის წარმოჩენა (6).<br>3. ავტობიოგრაფიულ მხატვრულ ნაწარმოებს აანალიზებს სოციოკულტურული თვალსაზრისით (7), გამოყოფს და პოზიტიურად უდგება საკუთარისგან განსხვავებულ კულტურულ მახასიათებლებს (8), წარმოაჩენს საკუთარ კულტურულ მახასიათებლებს. (9)<br>4. საკუთარი სწავლის დაგეგმვა და წარმართვა (10), ამ პროცესში მასწავლებელთან და თანაკლასელებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა (11), შეთავაზებული საკითხავი და მოსასმენი ტექსტების გააზრებულად გამოყენება (12).<br><br>ქვემოთ მესამე რეკომენდაცია კი პროგრამიდანაა შეფასების კრიტერიუმების ნიმუში თემის „პროფესიის არჩევა“ მიხედვით.<br>**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**<br>• საუბრის თემისა და მიზნის, ძირითადი საკითხების, მისთვის საინტერესო მნიშვნელოვანი დეტალების გაგება; თანამოსაუბრეთა თვალსაზრისებისა და დამოკიდებულებების, დადებითი და უარყოფითი შეფასებების, მათი განწყობებისა და ემოციების ამოცნობა (ქ.მ.საზ. 1. 5);<br>• მოცემული კულტურულ-სოციალური გარემოსა და უცხო კულტურისათვის დამახასიათებელი ქცევის ეტიკეტის ამოცნობა; კონკრეტული სოციალურ-კულტურული ფასეულობების მიმართ საკუთარი / სხვების დამოკიდებულებების გაანალიზება; კულტურულ თავისებურებებზე საუბრისას საკუთარ შეხედულებებისა და დამოკიდებულების კორექტულად გამოხატვა (ქ.მ.საზ. 1. 7. 8. 9);<br>• კონკრეტული საკითხის / დასმული პრობლემის მიმართ საკუთარი პოზიციის დასაბუთებული ახსნა -რატომ ფიქრობს ასე; არგუმენტირებული კომენტარების გაკეთება; ცალკეული ქმედებების, ფაქტებისა თუ მოვლენების შეფასება და კონკრეტული დასკვნების გამოტანა; პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან სათანადო მაგალითების დამოწმება საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად (ქ.მ.საზ. 1. 2. 3. 4. 6);<br>• ზეპირი და/ან წერითი მეტყველებისას ტექსტის ფორმალური მხარის დაცვა; საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი სტრუქტურული და სტილური მახასიათებლების შერჩევა; ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების კონტექსტის შესაბამისად გამოყენება; აზრის თანამიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება (ქ.მ.საზ. 2. 4. 5. 6);<br>• სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისას შესასრულებელი სამუშაოს თანამიმდევრობისა და მისი განხორციელების ეტაპების შედგენა; საჭირო რესურსების შექმნა და გამოყენება; დავალების შესრულებისას საკომუნიკაციო ამოცანის შესატყვისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; შედეგებზე დაკვირვებით გამოყენებული სტრატეგიების შეფასება სათანადოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით; იმ მიზეზებისა და ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში (ქ.მ.საზ. 10. 11. |

<table>
<tr><td rowspan="11">გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br>ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები.<br>ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)<br>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს;<br>სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია</td><td colspan="3">12).</td></tr>
<tr><td colspan="3">II ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები:</td><td>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:</td><td>კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობები:</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="2">რესურსები:</td></tr>
<tr><td colspan="3">შეფასების კრიტერიუმები:</td></tr>
<tr><td colspan="3">III ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები:</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:</td><td>კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობები:</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="2">რესურსები:</td></tr>
<tr><td colspan="3">შეფასების კრიტერიუმები:</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე. | |

**მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:**

აქ დაიწერება ის უზოგადესი დებულებები, რაც კონკრეტული თემის შესწავლის შემდეგ შეიძლება გაკეთდეს. ქვემოთ წარმოდგენილია მკვიდრი წარმოდგენები „ჩემი თავგადასავლის მიხედვით. თუმცა, მის შემდეგ მოცემული პროგრამის ნიმუში უფრო მარტივი და აღქმადია.

ჩვენი საცხოვრებელი ფიზიკური და ადამიანური გარემო განსხვავებულია და იცვლება, როგორც დროთა განმავლობაში, ასევე კულტურული არეალის მიხედვით.

ჩემს მშობლიურ კუთხეში მცხოვრები ადამიანები განსხვავდებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანებისგან, როგორც ცხოვრების წესით, საქმიანობით, ტრადიციებით. ამის მიუხედავად, ყველასთვის კარგი იქნება ერთიანობა და კარგი ურთიერთობები;

ადამიანებმა უნდა ვაკეთოთ ის საქმე, რაც გვაინტერესებს და წარმატების მისაღწევად ბევრი უნდა ვიშრომოთ.

ავტობიოგრაფიული მხატვრული ტექსტებისა და ავტობიოგრაფიების უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა;

ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა საკუთარი თავის, საკუთარი საცხოვრებელი გარემოსა და ავტობიოგრაფიული მონაცემების წარდგენისას.

ქვემოთ მოცემული მკვიდრი წარმოდგენები პროგრამიდანაა მოტანილი IX კლასის თემის „პროფესიული არჩევანი“ მიხედვით.

- უცხო სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება მეხმარება პირადი გამოცდილების გამდიდრებაში; მცდარი წარმოდგენების გადაფასებაში; საკუთარი პროფესიული არჩევანის სწორად განსაზღვრაში;
- პირადი ინტერესებისა და სურვილების გარდა, პროფესიის არჩევისას მნიშვნელოვანია შესაბამისი ცოდნისა და უნარების გათვალისწინება;
- საქმიანი ქაღალდებისა თუ სხვა ოფიციალური ტექსტების უკეთ შესაქმნელად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და წერის სტრატეგიების ცოდნა;
- ნასწავლი ლიტერატურის, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან ურთიერთობებისას.

# VI თავი – თემატური ერთეულები

## თავი 1 - არდადეგების შემდეგ

**კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:**

I. მე და სამყარო:
**ყველაფერი ჩემ შესახებ** (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა)

II. სოციოკულტურა და კულტურა:
**ყოველდღიური ცხოვრება** (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში)
**პიროვნებათშორისი ურთიერთობები** (ოჯახური ურთიერთობები)

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

3. რას მეუბნება ტექსტი? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?
4. რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან?
5. რამ შემიშალა ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?
6. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?
7. შემიძლია თუ არა აღვწერო სკოლის ერთი ჩვეულებრივი დღე? როგორ გამოვხატავ ჩემს აზრებს, ფიქრებსა და დამოკიდებულებებს თემის მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის?
8. შემიძლია თუ არა ვისაუბრო ჩემი სტილის შესახებ? როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? როგორ გამოვხატავ ჩემს შეხედულებებს? არის თუ არა ჩემი აზრი/იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?
9. შემიძლია თუ არა კვლევის ჩატარება და ანგარიშის დაწერა?
10. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?
11. მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი?

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:**
**კომუნიკაცია**
**ქვეცნებები:**

**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციაში მონაწილეეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა.

**მეტყველების ფუნქციური ტიპები:** თხრობა, აღწერა, მსჯელობა

**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად:** პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის/გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება
**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, პოზიციის გამოხატვა: ინტერესი)

**ტექსტის ტიპი და ჟანრი**

**ქვეცნებები:**

**ტექსტის ტიპები** (მხატვრული, არამხატვრული)

**ტექსტის ჟანრები**

ლექსი, სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები.

**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება**

**ქვეცნებები:**

**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი)*

**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (მაგ., *ილუსტრაცია, ცხრილი)*

**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა**

**გრამატიკა**

**ქვეცნებები:** მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა, ლექსიკა

**ენობრივი საკითხები:**

- მორფოლოგია: არსებითი სახელი; ჩვენებითი ნაცვალსახელი: ეს, ეგ, ის; აწმყო, სუბიექტური პირის გამოხატვა, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები, თავისებური ზმნები; თავისებური ზმნები; სახელთა წარმოქმნა;
- სინტაქსი: ნაცვალსახელები და რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები;
- მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები: რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები: შერწყმულად, დეფისით;
- ლექსიკა: სინონიმი, კომპოზიტი

**ენის სწავლის სტრატეგიები**

**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**

დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.

<table>
<tr><td colspan="2">ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.<br><br>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)<br>ქვეცნებები:<br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება;<br><br>ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა<br>საკითხები:<br>სოციოკულტურული რეალიები, ქცევისა ეტიკეტი, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა;<br><br>თემები და საკითხები:<br>ყველაფერი ჩემ შესახებ (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა)<br>ყოველდღიური ცხოვრება (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში)<br>პიროვნებათშორისი ურთიერთობები (ოჯახური ურთიერთობები)</td></tr>
<tr><td>სამეტყველო აქტები:<br>ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად. ინფორმაციის გაცვლა:<br>(პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; გემოვნება)<br>აღწერა-დახასიათება: ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; საგნის, გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება;<br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, პოზიციის გამოხატვა: ინტერესი)</td><td>ენობრივი საკითხები:<br>• <u>მორფოლოგია:</u> არსებითი სახელი; ჩვენებითი ნაცვალსახელი: ეს, ეგ, ის; აწმყო, სუბიექტური პირის გამოხატვა, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები, თავისებური ზმნები; სახელთა წარმოქმნა;<br>• <u>სინტაქსი:</u> ნაცვალსახელები და რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები;<br>• <u>მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:</u> რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები: შერწყმულად, დეფისით;<br>• <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, კომპოზიტი</td></tr>
<tr><td colspan="2">თემატური ლექსიკა:<br>თემატიკასთან - სკოლა, სასკოლო ნივთები, ტანსაცმელი, ფერები, ვარცხნილობა, ამინდი, ემოცია - დაკავშირებული ლექსიკა</td></tr>
<tr><td colspan="2">ტექსტის ტიპები და ჟანრები:<br>ტექსტის ტიპები (მხატვრული, არამხატვრული)</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="4">ტექსტის ჟანრები<br><br><u>ლექსი, სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები</u>: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები.</td></tr>
<tr><td rowspan="2">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:<br>საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)<br>კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;<br>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.<br>წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br><br>ტექსტის ტიპი და ჟანრი<br>(შედეგები 1, 2, 3, 4, 5)<br>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.<br>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.</td><td colspan="3">I ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქცევნებები და საკითხები:<br><br>სიტუაციური მახასიათებლები:<br>კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა.<br><br>მეტყველების ფუნქციური ტიპები:<br>თხრობა, აღწერა.<br><br>ინფორმაციის გაცემა (პირადი მონაცემები; ადამიანის/გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება;<br><br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, პოზიციის გამოხატვა: ინტერესი.<br><br>ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული<br><br>ტექსტის ჟანრები -<br><br><u>სასწავლო მიზნით შედგენილი ტექსტები</u>: თხრობითი- აღწერითი ტექსტი;<br><br>ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები<br>სათაური, აბზაცი</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:<br><br>1. როგორ იწერება ტექსტი დღიურის სახით?<br>2. შემიძლია თუ არა აღვწერო ჩემი სკოლის გარემო?<br>3. შემიძლია თუ არა აღვწერო სკოლის ერთი ჩვეულებრივი დღე?<br>4. შემიძლია თუ არა აღვწერო ჩემი ემოციები და დამოკიდებულებები?<br>5. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის დასაწერად?<br>6. არის თუ არა ჩემი აზრები და ნაწერი ორიგინალური?<br>7. შემიძლია თუ არა წერისას დაშვებული შეცდომების პოვნა და გამოსწორება?<br>8. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის,</td><td>კომპლექსური დავალება<br><br>დღიურის სახით დაწერე პატარა თხზულება სათაურით:<br>„...... სექტემბერი, მე-.... დღე სკოლაში“<br><br>გაითვალისწინე რეალური დრო: რა რიცხვია და მერამდენე დღეა სწავლის დაწყებიდან.<br><br>წერის დაწყებამდე გადახედე შეკითხვებს და ზეპირად უპასუხე მათ. თუ რომელიმე საჭირო სიტყვა ვერ გაიხსენე, მოინიშნე მშობლიურ ენაზე და მოიძიე.<br><br>თხზულებაში უნდა აღწერო:<br>ა) როგორი ამინდია?<br>ბ) მძიმეა თუ არა შენი ჩანთა და რატომ?<br>გ) რა გაცვია დღეს?<br>დ) როგორ გამოიყურებიან მასწავლებლები და თანაკლასელები, როგორ გუნებაზე არიან?<br>ე) როგორ გამოიყურებიან ამჟამად პირველკლასელები: ისევ დაბნეულები და შეშინებულები არიან თუ არა?<br>ვ) რა არის ახალი კლასში ან სკოლაში?<br>ზ) რას სწავლობთ და რას აკეთებთ წელს ახალს?<br>თ) ახალი საგნებიდან რომელი მოგწონს?<br>ი) ახლა რომელ გაკვეთილზე ხარ და რას აკეთებ?<br>კ) დღეს რომელ საათზე ბრუნდები სახლში?</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| **ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)**<br>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;<br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.<br>**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)**<br>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით; ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;<br>პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის. | **ენობრივი საკითხები:**<br>• <u>მორფოლოგია:</u> არსებითი სახელი; აწმყო, სუბიექტური პირის გამოხატვა, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები, სახელთა წარმოქმნა;<br>• <u>სინტაქსი:</u> რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები;<br>• <u>მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:</u> რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები: შერწყმულად, დეფისით;<br>• <u>ლექსიკა:</u> კომპოზიტი<br><br>**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**<br>დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br>დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება.<br>**საკითხები**:<br>სოციოკულტურული რეალიები, სამყაროსეული ხედვა. | რომ მიზნისთვის მიმეღწია? | ლ) რა განსხვავებაა სწავლის პირველ დღესა და დღევანდელ დღეს შორის?<br><br>**არ დაგავიწყდეს:**<br>ა) სწორად გამოყო აბზაცები;<br>ბ) სწორად დაწერო კომპოზიტები;<br>გ) სწორად ჩასვა ზმნა შესაბამის პირში;<br>დ) გამოიყენო ახალნასწავლი ზედსართავები და მიმღეობები.<br><br>**წერის დასრულების მერე:**<br>ა) აუცილებლად წაიკითხე შენი დაწერილი ტექსტი და შეასწორე შეცდომები.<br>ბ) ისაუბრე, რა პრინციპით გამოყავი აბზაცები? რა შეცდომები იპოვე შენ მიერ დაწერილ ტექსტში? შენი აზრით, რატომ დაუშვი ეს შეცდომა? |

| | | |
|---|---|---|
| **ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)**<br>ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);<br>განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში;<br>სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.<br>**გრამატიკა (შედეგები 5)**<br>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;<br>გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.<br>**ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)**<br>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს; | **აქტივობები:**<br><br>**<u>სავარჯიშოები და დავალებები 1-20</u>**<br>**<u>ლექსისა და აღწერითი ტექსტის გაცნობა, გაგება-გააზრების სავარჯიშოებისა და ლექსიკური და გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება, წერისთვის საჭირო ლექსიკისა და კონსრუქციების ზეპირ საუბარში დამუშავება, კომპლექსური დავალების შესრულება</u>**<br><br>პირველი დავალების შესრულების წინ მასწავლებელმა შეიძლება გამოათქმევინოს ვარაუდები მოსწავლეებს ლექსის თემის შესახებ სათაურისა და ილუსტრაციის მიხედვით და თქვას: „აბა, ვნახოთ, რამდენად სწორია თქვენი ვარაუდები“ და ხმამაღლა წაიკითხოს ლექსი **(1-ელი დავალება).** მასწავლებელი ბუნებრივი, მაგრამ შეძლებისდაგვარად ნელი ტემპით) სანიმუშოდ კითხულობს ლექსს. შემდეგ მან შეიძლება აირჩიოს რამდენიმე მოსწავლე, რომლებსაც წააკითხებს ლექსს, ან სინქრონულად წააკითხოს ერთად 4-5 მოსწავლეს. ამ ლექსში გვხვდება ახალი, რთულად წარმოსათქმელი სიტყვები, ამასთანავე ეს აქტივობა მნიშვნელოვანია სწორი აქცენტის, ინტონაციის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ის ძალიან არ უნდა გაიწელოს. შესაძლოა, მასწავლებელმა ბავშვებს გასახალისებლად მისცეს სხვადასხვა ინსტრუქცია: ვინ წაიკითხავს ყველაზე ჩქარა? ვინ წაიკითხავს გამოთქმით? და ა.შ.<br>**მე-2 დავალება** ამოწმებს ლექსის გაგება-გააზრებას. პირველ შეკითხვაზე პასუხი ამზადებს მეორე შეკითხვისთვის. მესამე შეკითხვაზე პასუხის გაცემისას ბავშვებმა ილუსტრაციის მიხედვით უნდა გამოთქვან ვარაუდი ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის შესახებ. აუცილებელია, მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს, გაამახვილებინოს ყურადღება ილუსტრაციაზე, დასვას დამატებითი შეკითხვები და ისე მიიყვანოს სწორ პასუხამდე. მეექვსე და მეშვიდე შეკითხვები უკავშირებს ლექსს მოსწავლის პირად გამოცდილებას და ამავდროულად, ყურადღებას ამახვილებინებს ახალნასწავლ ლექსიკურ ერთეულზე (საყიდლების სია).<br><br>**სავარჯიშოები 3 და 4** ლექსიკური სავარჯიშოებია, რომლებიც შეიძლება შესრულდეს როგორც კლასში, ასევე სახლშიც, თუკი ამ ლექსიკაზე კლასში იმუშავებენ ზეპირად. გაუგებარი საკითხების დაზუსტებისას დასაშვებია მშობლიური ენის გამოყენება. | |

| | | |
|---|---|---|
| თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br>ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები.<br>ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br>**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)**<br>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს;<br>სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე. | ლექსიკის გამეორებასა და შესწავლას ემსახურება ასევე **მე-5 სავარჯიშო**. ის კიდევ ერთხელ უკავშირებს ლექსს მოსწავლის პირად გამოცდილებას, ასევე ამოწმებს, რამდენად ახსოვს მოსწავლეს სასკოლო ნივთებისა თუ სხვა, სკოლისთვის აუცილებელი საგნების სახელები და მათი სწორი დაწერილობა და საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა არსებულ მარაგს დაამატონ ერთი-ორი ახალი სიტყვაც. ეს სავარჯიშო შესაძლებელია შესრულდეს სახლშიც იმ პირობით, რომ შემდეგ მასწავლებელი დაეხმარება მათ, დახატულ საგნებს მიუწერონ თავიანთი სახელი.<br>სავარჯიშოს მესამე პუნქტი შემზადებაა გრამატიკული საკითხის ასახსნელად.<br>შესაძლოა მასწავლებელმა წინასწარ გამოიკითხოს, რამდენად იციან მოსწავლეებმა შესაბამისი ტერმინების მნიშვნელობა და ხელახლა ახსნის ამ ტერმინებს (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ზმნა). ან დაელოდოს მოსწავლეების შესაბამის შეკითხვას.<br><br>**დავალება 6** თვალნათლივ უხსნის მოსწავლეებს არსებითი სახელის მნიშვნელობას. მოსწავლეები კითხულობენ ამ სავარჯიშოს. მასწავლებელი სთხოვს მათ, დაასახელონ სხვა, მსგავსი არსებითი სახელები, რომლებიც არ არის გამოსახული ფოტოებზე. მე-7 დავალებისა და მე-8 სავარჯიშოს შესრულების დროს მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილებინოს მოსწავლეებს იმაზე, რომ ქართულში ცხოველებს კითხვა „ვინ“ არ დაესმის.<br><br>**მე-9** დავალებაში მოსწავლეები კითხულობენ სასწავლო მიზნით შედგენილ ტექსტს, რომელსაც აქვს სხვადასხვა დანიშნულება: ლექსიკის სწავლა, აღწერის სწავლა, კომპლექსური დავალების შესასრულებლად მომზადება — გარკვეული ნიმუშის შექმნა.<br>1-ელი და მე-2 მითითება მოსწავლეებს ყურადღებას ამახვილებინებს აბზაცებზე. ეს არის დავალება ერთდროულად გაგება-გააზრების შესამოწმებლად და აბზაცების დანიშნულების შესასწავლად.<br>მოსწავლე მხოლოდ მაშინ შეძლებს ამ დავალების შესრულებას, თუ მან კარგად გაიგო ტექსტი. სასურველია, თუ ამ დავალებას მოსწავლეები შეასრულებენ კლასში მასწავლებლის ხელმძღვანელობით ვარაუდების შერჩევისას. თუმცა შესაძლებელია სახლში შესრულებაც, თუკი შემდგომ იმსჯელებენ უკვე დაწერილ დავალებაზე და შეუდარებენ ერთმანეთს სხვადასხვა ვარიანტებს.<br>ტექსტის გაგება-გააზრებისთვისაა მესამე მითითებაც. მოსწავლემ | |

| | | |
|---|---|---|
| | ილუსტრაციაზე დაკვირვებით უნდა ამოიცნოს, რომელი სიტყვა (სიტყვები) არაა გამოსახული ნახატზე. ამიტომ უნდა იცოდეს (ან გაიგოს) ყველა სიტყვის მნიშვნელობა ტექსტში. შესაძლებელია ამ დავალებას მიეცეს შეჯიბრების სახე (აბა ვინ უფრო სწრაფად შეამჩნევს განსხვავებას, ვინ შეამჩნევს უფრო მეტ განსხვავებას და დაასახელებს უფრო მეტ სიტყვას...)<br>მეოთხე მითითება აკავშირებს ტექსტსა და მოსწავლეების პირად გამოცდილებას, იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა საუბრისას გამოიყენონ ტექსტში მოცემული ახალი თუ უკვე ნაცნობი სიტყვები და ამზადებს ამავე თავში მოცემული შემდეგი დავალებებისთვის.<br><br>**სავარჯიშო 10** აბრუნებს მოსწავლეებს ტექსტთან და ამავდროულად ახსენებს მათ ახლახან განვლილ გრამატიკულ მასალას. მასწავლებელმა გასაგებად უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ არსებითი სახელების ამოწერისას მნიშვნელოვანია მათი შინაარსი და არა ფორმა და არაა აუცილებელი, არსებითი სახელი ეწეროს მაინცდამაინც სახელობითი ბრუნვის ფორმით. და შეუძლიათ გადმოიტანონ არსებითი სახელები იმავე ფორმით, როგორცაა ისინი ტექსტში მოცემული.<br><br>**სავარჯიშო 11**-ის შესრულების დროს მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, მაგრამ არ კარნახობს მათ პირდაპირ პასუხებს. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წაახალისოს მოსწავლეები და საშუალება მისცეს მათ უშიშრად გამოთქვან ნებისმიერი ვარაუდი (მაგალითად, ეს სიტყვები გრძელია, ყველა მუქი შრიფტითაა დაწერილი და ა.შ.). თუ მასწავლებელი მაშინვე „საჭირო“ პასუხს ელოდება და დანარჩენ ვარიანტებს უარყოფს, მოსწავლეები შეიძლება დაფრთხნენ და შეწყვიტონ ვარაუდების გამოთქმა.<br>ერთობლივი ძალისხმევით კლასი უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მუქად გამოყოფილ სიტყვებში ორ-ორი ფუძეა, თუმცა არაა აუცილებელი ეს ზუსტად ამ ტერმინით და აუცილებლად ქართულ ენაზე გამოიხატოს. მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეებს ჩაწერონ რვეულში სწორი ფორმულირება.<br><br>**დავალება 12 მე-11** სავარჯიშოს გაგრძელებაა და ცნობს მოსწავლეებს ახალ ტერმინს — კომპოზიტი. ამ ტერმინის დასამახსოვრებლად შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს მნემონიკა და მოსწავლეებს ჰკითხოს, რომელ სიტყვას აგონებს ის მათ (კომპოზიტი — კომპოზიტორი). | |

| | | |
|---|---|---|
| | **სავარჯიშო 13** და **დავალება 14** კომპოზიტებში დეფისის დაწერა-არდაწერის საკითხს ეხება. ამ სავარჯიშოს შესრულებას მასწავლებელი ხელმძღვანელობს, მაგრამ, ვიმეორებთ, ის არ კარნახობს მოსწავლეებს სწორ პასუხებს. შესაძლებელია, მასწავლებელმა წაახალისოს ვარაუდების გამოთქმა შეჯიბრების მოწყობით (ვინ მიხვდება პირველი?) და საუკეთესო იდეების რაიმე სახით დაჯილდოებით. ყველა მოსწავლეს რომ ჰქონდეს ფიქრის საშუალება, შესაძლოა, იდეების მოწოდება მოხდეს წერილობითი სახით. მასწავლებელი აჯამებს და ამეორებინებს მოსწავლეებს სწორ დასკვნას. სავარჯიშოები 15 და 16 ამოწმებს, რამდენად სწორად გაიგეს მოსწავლეებმა კომპოზიტების მართლწერა და შეძლებენ თუ არა ისინი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას.<br>**მე-17 და მე-18 სავარჯიშოები** ლექსიკური სავარჯიშოებია. ისინი ამოწმებს, თუ რამდენად ესმით მოსწავლეებს ტექსტში გამოყენებული ემოციებისა და განწყობების აღმნიშვნელი სიტყვები და ამავდროულად ამზადებს მათ, რომ ეს სიტყვები ადეკვატურად გამოიყენონ საკუთარ კომპლექსურ დავალებაში.<br>კომპლექსური დავალებისთვის მზადებაა ასევე გრამატიკული **სავარჯიშო 19**. ეს სავარჯიშო აბრუნებს მოსწავლეებს ტექსტთან, ახსენებს მათ აწმყოს მწკრივსა და იმ ზმნების უღლებას, რომლებიც შეიძლება გამოადგეს კომპლექსური დავალების შესრულებისას.<br>**კომპლექსური დავალება (20)** აძლევს საშუალებას მოსწავლეებს გამოიყენონ მიღებული ცოდნა და ასახონ ერთი სასკოლო დღის შთაბეჭდილება თავიანთ დღიურში. დავალებაში მოცემულია დაწვრილებითი ინსტრუქციები მითითებებისა და შეკითხვების სახით და მოსწავლეებს მათი შესრულება არ უნდა გაუჭირდეთ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიმუში უკვე აქვთ ტექსტის — „არდადეგების შემდეგ“ — სახით.<br>მასწავლებელმა კარგად უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ მითითებები და შეკითხვები დავალებაში მოცემულია დახმარების გაწევის მიზნით და არ ზღუდავს მათს შემოქმედებით თავისუფლებას. შეუძლიათ დაწერონ სხვა შთაბეჭდილებებზეც, რომელთა შესაბამისი შეკითხვებიც დავალებაში არ არის. | |
| | **რესურსები:**<br>კალამი. მოსწავლის წიგნი და რვეული | |

<table>
<tr><td rowspan="3"></td><td colspan="3">

**შეფასების კრიტერიუმები**

**თემის ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია:**

1. სათანადო სტრატეგიების გამოყენებით წასაკითხი ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; სოციოკულტურული თვალსაზრისით კონკრეტული ინფორმაციის ან მთლიანი ტექსტის გაანალიზება; ტექსტში ასახული თემისა და ცალკეული საკითხების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ტექსტში მოცემული ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება.

2. სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით დღიურის სახის ჩანაწერის შექმნა კონკრეტული საყრდენების მიხედვით; დღიურის ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა და მიზნობრივად გამოყენება. ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების მიზნობრივად გამოყენება; ნასწავლი ენობრივი საშუალებების (აწმყოს ფორმები, სუბიექტური პირის გამოხატვა, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები, რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები) ფუნქციური გამოყენება. ტექსტის შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა. სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი);

</td></tr>
<tr><td colspan="3">II ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>

**საკითხი და ქვეცნებები:**

**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციაში მონაწილეეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა.

**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის

**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, პოზიციის გამოხატვა )

**ტექსტის ტიპები** არამხატვრული

</td><td>

**საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:**

1. რას მეუბნება მოსასმენი ტექსტი? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?
2. რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან?
3. რამ შემიშალა ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?
4. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?
5. შემიძლია თუ არა ვისაუბრო ჩემი სტილის შესახებ? როგორ

</td><td>

კომპლექსური დავალება

მეწყვილესთან ერთად მოიფიქრე და გაითამაშე პატარა დიალოგი თემაზე **„ტანსაცმლის მაღაზიაში“.**

**დიალოგის გათამაშებამდე:**

- თვალი გადაავლე საჭირო ფრაზებსა და კონსტრუქციებს.
- თუ რომელიმე საჭირო სიტყვა ან ფრაზა არ იცი, დაეკითხე მასწავლებელს.
- დაწერე დიალოგი და გაასწორე მასწავლებლის დახმარებით.
- გაინაწილე როლები მეწყვილესთან.

</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | **ტექსტის ჟანრები -**<br><br><u>სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები</u>: თემატური დიალოგი, კითხვარი, მინიკვლევა, ანგარიში.<br><br>**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (*სათაური, ქვესათაური*)<br><br>**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** *ცხრილი*<br><br>**ენობრივი საკითხები:**<br>• <u>მორფოლოგია:</u> არსებითი სახელი; ჩვენებითი ნაცვალსახელი: ეს, ეგ, ის; თავისებური ზმნები;<br>• <u>სინტაქსი:</u> ნაცვალსახელები და რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები;<br><br>**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);<br><br>**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br><br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:** | შემიძლია თვითგამოხატვა? როგორ გამოვხატავ ჩემს შეხედულებებს? არის თუ არა ჩემი აზრი / იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?<br>6. შემიძლია თუ არა კვლევის ჩატარება და ანგარიშის დაწერა?<br>7. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?<br>8. მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? | • საკლასო ოთახში არსებული ნივთებით მოამზადე შესაბამისი „სცენა“ (მაგიდა,<br>• ტანსაცმლის საკიდი, ტანსაცმელი...).<br><br>**დიალოგის გათამაშებისას:**<br>• აუცილებლად ისაუბრე თქვენობით.<br>• არ დაგავიწყდეს მისალმება და დამშვიდობება.<br>• გამოიყენე თავაზიანი სიტყვები და გამოთქმები.<br>• სწორად გამოიყენე ჩვენებითი ნაცვალსახელები „ეს, ეგ, ის“.<br>• ყურადღება მიაქციე ინტონაციას.<br>• დიალოგის გათამაშების მერე აღნიშნე:<br>• რომელი სავარჯიშოები გამოიყენე დიალოგის შედგენისას.<br>• კიდევ რა წყარო დაიხმარე და რა ხერხი გამოიყენე დავალების კარგად შესასრულებლად. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება;<br>**სოციოკულტურული** რეალიები, ქცევისა ეტიკეტი, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა; | | |
| | **აქტივობები:**<br><br>**<u>სავარჯიშოები 21-31</u>**<br><br>ეს, ეგ, ის ნაცვალსახელების მნიშვნელობების გააზრება, მოსასმენი სავარჯიშოს გაგება-გააზრება. ანალოგიური საკომუნიკაციო სიტუაციის შექმნა კომპლექსურ დავალებაში<br><br>**სავარჯიშოები 21-22** ახსენებს მოსწავლეებს **ეს** და **ის** ჩვენებითი ნაცვალსახელების მნიშვნელობას და უხსნის ახალ ნაცვალსახელს — ეგ. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიგეს აღნიშნული საკითხი (ჩვენებითი ნაცვალსახელი ეგ მიუთითებს საგნის მეორე პირთან სიახლოვეს).<br>**სავარჯიშო 23** ამზადებს მოსწავლეს მოსასმენის გასაგებად და ამავდროულად კიდევ ერთხელ ახსენებს მას ტანსაცმლის აღმნიშვნელ ლექსიკას.<br>**სავარჯიშოები 24-25-26** მოესმენა-გაგების სავარჯიშოებია. 24-სა და 25-ს | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | შესასრულებლად საკმარისია ტექსტის ორჯერ მოსმენა, 26-ე სავარჯიშოსთვის მასწავლებელს შეუძლია იმდენჯერ ჩართოს და დააპაუზოს მოსასმენი, რამდენჯერაც სურს. მოსმენამდე კი მასწავლებელი წინასწარ უნდა დარწმუნდეს, რომ მოსწავლეებს ესმით ის სიტყვები, რაც წერია ცხრილში.<br>**სავარჯიშო 27** აგრძელებს 26-ე სავარჯიშოს თემას და მოსწავლეებს ამზადებს კომპლექსურის შესასრულებლად (რათა მათ გაიხსენონ მსგავსი ფრაზები და არ დააკოპირონ მოსასმენი საკუთარ დიალოგებში).<br>**სავარჯიშოები 28-29** მოსწავლეებს ახსენებს თავაზიან ფრაზებს, რომლებიც უნდა გამოიყენონს კომპლექსურის შესრულების დროს.<br>მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიმეორებენ ჩვენებით ნაცვალსახელებს და იწყებენ კომპლექსური დავალების შესრულებას. | | |
| | **რესურსები:**<br>**მოსწავლის წიგნი და რვეული, კალამი.** | | |
| | **შეფასების კრიტერიუმები:**<br>**თემის ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია:**<br><br>1. სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით  მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა; ტექსტში მოცემული ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება და განსხვავებული თვალსაზრისების შეფასება;<br>2. თანაკლასელებისთვის მიზნის შესაბამისი კომუნიკაციის ქართულად წარმართვა და შედეგების ცხრილში მონიშვნა; საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების გაცნობიერება და ინტერაქციის დროს მათი სათანადოდ გათვალისწინება.<br>3. მინიკვლევის ჩატარება და ანგარიშის დაწერა | | |

<table>
<tr>
<td rowspan="3"></td>
<td colspan="3">4. ნასწავლი ენობრივი საშუალებებისა ფუნქციური გამოყენება.<br>5. სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი);<br>6. სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა;<br>7. სასწავლო აქტივობებსა და დავალებებში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება და შეფასება ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.</td>
</tr>
<tr>
<td colspan="3">III ეტაპის შუალედური მიზნები</td>
</tr>
<tr>
<td>საკითხი და ქვეცნებები:<br>საკითხი და ქვეცნებები:<br>სიტუაციური მახასიათებლები:<br>კომუნიკაციაში მონაწილეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა.<br><br>ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის<br><br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, პოზიციის გამოხატვა )<br><br>ტექსტის ტიპები არამხატვრული<br><br>ტექსტის ჟანრები -<br><br><u>სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები</u>:<br>თემატური დიალოგი, კითხვარი, მინიკვლევა, ანგარიში.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:<br><br>1. რას მეუბნება მოსასმენი ტექსტი? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?<br>2. რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან?<br>3. რამ შემიშალა ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?<br>4. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?<br>5. შემიძლია თუ არა ვისაუბრო ჩემი სტილის შესახებ? როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? როგორ გამოვხატავ ჩემს შეხედულებებს? არის თუ არა ჩემი აზრი / იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?</td>
<td>კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br>დაიყავით ჯგუფებად. ჩაატარეთ პატარა კვლევა თემაზე – „რომელი სტილი გვირჩევნია“<br>კვლევის დაწყებამდე<br>• შენი ჯგუფის წევრებთან ერთად გაინაწილე კლასელების სია. წინასწარ<br>• შეთანხმდით, ვინ ვის გამოჰკითხავს.<br>• შეთანხმების შემდეგ ცხრილში შეავსე გრაფა – „სახელი და გვარი“.<br><br>კვლევისას დაუსვი შენს კლასელებს შემდეგი შეკითხვები:<br>1. რომელი სტილის ჩაცმულობა გირჩევნია:<br>ა. სპორტული (ჯინსი, მაისური, ბოტასი, კედები...);<br>ბ. კლასიკური (კაბა, კლასიკური შარვალი, თეთრი პერანგი...);<br>გ. თუ თავისუფალი (ფერადი კაბები, პერანგები და შარვლები, ფერადი ფეხსაცმელი...)<br>2. როგორი ვარცხნილობა მოგწონს? გრძელი თმა გირჩევნია თუ მოკლე?</td>
</tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | **ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** *(სათაური, ქვესათაური)*<br><br>**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** *ცხრილი*<br><br>**ენობრივი საკითხები:**<br>• <u>მორფოლოგია:</u> არსებითი სახელი; ჩვენებითი ნაცვალსახელი: ეს, ეგ, ის; თავისებური ზმნები;<br>• <u>სინტაქსი:</u> ნაცვალსახელები და რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები;<br><br>**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);<br><br>**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br><br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**<br><br>დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; | 6. შემიძლია თუ არა კვლევის ჩატარება და ანგარიშის დაწერა?<br>7. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?<br>8. მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? | 3. რატომ გირჩევნია ამ ტიპის ჩაცმულობა? (ჩაიწერება შენიშვნის გრაფაში)<br>ცხრილში მონიშნე შესაბამისი უჯრა. შენიშვნის გრაფა შეავსე მესამე პირში (უყვარს..., მოსწონს..., ურჩევნია..., უხდება..., მისთვის უფრო კომფორტულია და ასე შემდეგ)<br><br>გამოკითხვის დასრულების მერე<br>• შეაჯამე შენი და შენი ჯგუფის წევრების პასუხები<br>• აღნიშნე, რამდენი ბავშვი გამოკითხეთ – მათ შორის, რამდენი ბიჭი და რამდენი - გოგო.<br>• გააკეთე დასკვნა, რა ტიპის ჩაცმულობაა უფრო პოპულარული შენს კლასში?<br><br>დასკვნის ტექსტში გამოიყენე კონსტრუქცია : ჩემს კლასში უფრო პოპულარულია ............................. . ამის მიზეზია ის, რომ მოსწავლეების უმრავლესობას მოსწონს (ურჩევნია, უხდება...) .................................... , არ მოსწონს (არ უხდება...) .......................................... .<br><br>დასკვნის ჩამოყალიბებისა და შედეგების პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:<br>• რა იყო ყველაზე რთული მონაცემების შეგროვების პროცესში?<br>• ელოდი თუ არა ასეთ პასუხებს და რატომ? |

<table>
<tr>
<td rowspan="2"></td>
<td>დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება;<br>სოციოკულტურული რეალიები, ქცევისა ეტიკეტი, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა;</td>
<td></td>
<td>• რა ისწავლე ამ დავალების შესრულებისას?<br>• როგორ ფიქრობ, კიდევ რა თემაზე შეიძლება მსგავსი გამოკითხვის ჩატარება?</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">აქტივობები:<br><br>სავარჯიშო 32 მოსმენა-გაგების სავარჯიშოა, რომელსაც მოსწავლეების ასრულებენ დამოუკიდებლად. შემდგომ ისინი ადარებენ თავიანთ ვარიანტებს და ასწორებენ შეცდომებს მასწავლებელთან ერთად.<br><br>სავარჯიშოები 33-34<br>ამ სავარჯიშოებში მოყვანილია ერთი ტიპის ზმნები და კონსტრუქციები, რომლებიც მოსწავლეს გამოადგება კომპლექსურის შესრულებისას. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებინებს მოსწავლეებს სუბიექტ-ობიექტის ბრუნვებზე სუბიექტ-ობიექტის ხსენებისა და მათზე ყურადღების გამახვილების გარეშე.<br>(თუ ზმნის პირველი პირის ნიშანია მ, ხოლო მეორე პირისა — გ, მესამე პირში გვექნება ასეთი კონსტრუქცია — მას ......................., ან მას ................................. ის).<br>რაც აღარ ქმნის საჭიროებას, მასწავლებელმა ახსენოს რეალური და გრამატიკული სუბიექტ-ობიექტი და მათთან დაკავშირებული გაუგებრობები. რეალური და გრამატიკული სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირება ძალიან რთული საკითხია ამ ასაკისთვის, ხოლო ამ საკითხის არასწორმა ინტერპრეტაციამ შეიძლება ძალიან აურიოს თავგზა უცხოენოვან შემსწავლელებს და დაანგრიოს გრამატიკული წესების ის მწყობრი სისტემა, რომელიც უნდა ჩამოუყალიბდეს მას და რომელსაც მივდევთ ჩვენს სახელმძღვანელოში.<br>სავარჯიშო 36 აჯამებს ამ საკითხს და ამავდროულად ამზადებს მოსწავლეს კომპლექსური დავალებისთვის (მსგავსი კონსტრუქციების გამოყენება მოუწევს მას კვლევის ანგარიშის შედგენისა და დავალების პრეზენტაციის დროს).<br><br>კომპლექსური დავალება ასწავლის მოსწავლეს მცირე კვლევის ჩატარებასა და შესაბამისი ანგარიშის დაწერას. ანგარიშის დაწერისას მოსწავლემ პრაქტიკულად უნდა გამოიყენოს სავარჯიშოებში ნასწავლი გრამატიკული მასალა. კვლევის ჩასატარებლად საჭირო ყველა ინსტრუქცია და „ყავარჯენი“ მოცემულია კომპლექსურ დავალებაშივე.</td>
<td></td>
</tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="2"></td><td>**რესურსები:**</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">**შეფასების კრიტერიუმები**<br><br>1. სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით  მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა; ტექსტში მოცემული ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება და განსხვავებული თვალსაზრისების შეფასება;<br>2. თანაკლასელებისთვის მიზნის შესაბამისი კომუნიკაციის ქართულად წარმართვა და შედეგების ცხრილში მონიშვნა; საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების გაცნობიერება და ინტერაქციის დროს მათი სათანადოდ გათვალისწინება.<br>3. მინიკვლევის ჩატარება და ანგარიშის დაწერა<br>4. ნასწავლი ენობრივი საშუალებებისა ფუნქციური გამოყენება.<br>5. სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი);<br>6. სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა;<br>7. სასწავლო აქტივობებსა და დავალებებში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება და შეფასება ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.</td></tr>
<tr><td colspan="3">**მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:**<br>• ტექსტის გაგებაში მეხმარება ილუსტრაციები.<br>• ტექსტის მოსმენისა და გაგებისთვის არსებობს შესაბამისი  სტრატეგიები.<br>• პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.<br>• დღიურის სახით შემიძლია სამუდამოდ შევინახო ერთი დღის შთაბეჭდილებები.<br>• დღიურის წერისას აუცილებელია თარიღის მითითება.<br>• მკითხველისთვის გაბმული ტექსტის უფრო ადვილად აღსაქმელად აუცილებელია აბზაცების გამოყენება.<br>• კვლევისთვის მოსახერხებელია გამოკითხვის შედეგების ცხრილის სახით  ჩანიშვნა.<br>• კვლევის ჩასატარებლად აუცილებელია სხვა ადამიანებთან მჭიდრო კომუნიკაცია.<br>• მე ვიცი, რომ არსებობენ ჩემგან ძალიან განსხვავებული გემოვნებისა და სტილის ადამიანები და მე პატივი უნდა ვცე მათ გემოვნებას.<br>• ტექსტის გამართულად დასაწერად აუცილებელია გარკვეული გრამატიკული საკითხების ცოდნა.<br>• ახალი საკითხის ან თემის შესწავლისას შემიძლია განვსაზღვრო, თუ რაში უნდა გამოვიყენო იგი, რა დამჭირდება ამის შესასწავლად, ვის შემიძლია ვთხოვო დახმარება და სად შემიძლია მოვიძიო ეს დახმარება თუ საჭირო რესურსი.</td></tr>
</table>

**კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:**

I. მე და სამყარო:
**ყველაფერი ჩემ შესახებ** (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები)

II. სოციოკულტურა და კულტურა:
**ყოველდღიური ცხოვრება** (ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები, თავისუფალი დროის გატარება);
**პიროვნებათშორისი ურთიერთობები** (ოჯახური ურთიერთობები, თანატოლებს / თაობებს შორის ურთიერთობები);
**ღირებულებები და ფასეულობები** (კულტურა, ტრადიციები, დღესასწაულები, სხვა ქვეყნები და ხალხები).

---

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

1. რას მეუბნება ტექსტი? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?
2. რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ?
3. რამ შემიშალა ხელი  ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?
4. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ფილმის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?
5. როგორ უნდა გამოვიყენო სხვადასხვა ჟანრის ტექსტი ნიმუშად ჩემი საკუთარი ტექსტის შესადგენად?
6. რა მახასიათებლებს უნდა მივაქციო ყურადღება კონკრეტული ჟანრის ტექსტის შესაქმნელად?
7. როგორ უნდა გავაცნო საკუთარი პიროვნება სხვა ადამიანებს?
8. როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები თემის  მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის?
9. რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?
10. როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? არის თუ არა ჩემი აზრი / იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?
11. როგორ ვგეგმავ ჩემს სასწავლო საქმიანობას?
12. რა გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე?

---

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:**
**კომუნიკაცია**
**ქვეცნებები:**

**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა;

**მეტყველების ფუნქციური ტიპები:**  თხრობა, აღწერა, მსჯელობა

**სამეტყველო აქტები:**

პირადი მონაცემების გაცემა; საკუთარი თავისა და გარემოს აღწერა/დახასიათება; თავისუფალი დრო, საქმიანობა, ინტერესები
**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა.)

**ტექსტის ტიპი და ჟანრი**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის ტიპები** (მხატვრული, არამხატვრული)

**ტექსტის ჟანრები**

ანოტაცია, ანკეტა, პორტრეტი, მხატვრული ფილმი, სასწავლო მიზნებით შედგენილი აღწერითი ტექსტები, სტატია ვებგვერდიდან.
**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (*სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა)*
**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (*ილუსტრაცია, სვეტი)*
**ინტერპრეტაცია**
**ქვეცნებები:**

ჟანრი; თემა, იდეა;

**გრამატიკა**
**ქვეცნებები:** მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა

**ენობრივი საკითხები:**

- მორფოლოგია: არსებითი სახელი; ნაცვალსახელი; ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; სუბიექტური პირის გამოხატვა; შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში, მრავალგზისი მოქმედება, უწყვეტელი, სუბიქტისა და ობიექტის ბრუნვა უწყვეტლის ფორმასთან.

**ენის სწავლის სტრატეგიები**
**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

<table>
<tr><td colspan="2">

**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები**

დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.

ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.<br>**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)**<br>**ქვეცნებები:**

დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება<br>**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა**

**საკითხები**:

სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, სამყაროსეული ხედვა.

</td></tr>
<tr><td>

**სამეტყველო აქტები:**<br>**1.1. სოციალური ურთიერთობები:**<br>საკუთარი თავის წარდგენა,

**1.2. ინფორმაციის გაცვლა:**<br>პირადი მონაცემები (ვინაობა, ასაკი, წარმომავლობა, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი), ოჯახი / ნათესავები, სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, გემოვნება

**1.3. აღწერა-დახასიათება:** ადამიანის გარეგნობა, ხასიათი, თვისებები; საგნის აღწერა

**1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა:**<br>დადებითი/უარყოფითი ემოციები დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა

</td><td>

**ენობრივი საკითხები:**

- <u>მორფოლოგია:</u> არსებითი სახელი; ნაცვალსახელი; ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; სუბიექტური პირის გამოხატვა; შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში, მრავალგზისი მოქმედება, უწყვეტელი, სუბიქტისა და ობიექტის ბრუნვა უწყვეტლის ფორმასთან,

</td></tr>
<tr><td colspan="2">

**თემატური ლექსიკა:**<br>მონაცემებთან დაკავშირებული ლექსიკა, სასკოლო საგნები, თამაშები, ფილმი

</td></tr>
<tr><td colspan="2">

**ტექსტის ტიპები და ჟანრები:**<br>შეირჩევა მოცემულ ტემატურ ერთეულში დასამუშავებელი ტექსტების ტიპები და ჟანრები ქვემოთ ჩამოთვლილთაგან.

**ტექსტის ტიპები** - მხატვრული, არამხატვრული

</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="4">ანოტაცია, ანკეტა, პორტრეტი, მხატვრული ფილმი, სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული ვიდეო სასწავლო რესურსი; სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) აღწერითი ტექსტები;</td></tr>
<tr><td rowspan="2">საშიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:<br>საკომუნიკაციოსიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)<br>კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;<br>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.<br>წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br><br>ტექსტის ტიპი და ჟანრი<br>(შედეგები 1, 2, 3, 4, 5)<br>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.<br>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)<br>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი,</td><td colspan="3">I ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>სიტუაციური მახასიათებლები:<br>კომუნიკაციის მიზანი,<br>კომუნიკაციის თემა;<br><br>მეტყველების ფუნქციური ტიპები:<br>აღწერა,<br><br>სამეტყველო აქტები:<br><br>აღწერა/დახასიათება;<br>შთაბეჭდილების, შეფასების გამოხატვა.)<br>ტექსტის ტიპები - არამხატვრული<br><br>ტექსტის ჟანრები -<br><br>ანოტაცია,<br>ქვეცნებები:<br>ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები<br>(სათაური,რუბრიკა)<br>ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები (სვეტი)<br><br>ქვეცნებები: მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა<br><br>წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული</td><td>საკვანძო შეკითხვები:<br><br>1. როგორ იწერება ანოტაცია?<br>2. როგორ შევადარო და შევაფასო საკუთარი და სხვების ტექსტები?</td><td>კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br>უყურე ანიმაციურ ფილმს, მოიძიე ცნობები მის შესახებ და დაწერე ფილმის ანოტაცია.<br><br>შეავსე ყველა რუბრიკა<br>გაითვალისწინე, რომ აღწერა არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე მეტი;<br>• აღწერაში მიუთითე, რის შესახებაა ფილმი და რითაა გამორჩეული მთავარი პერსონაჟი;<br>• გვიამბე ფილმის დასაწყისი;<br>• ფილმის აღწერა უნდა იყოს საინტერესო.<br>• არ უნდა გვიამბო მთელი სიუჟეტი, რადგანაც დაიკარგება ფილმის<br>• ყურების ინტერესი;<br>• ძირითადად გამოიყენე აწმყოს მწკრივის ფორმები. სუბიექტი და ობიექტი შეუწყვე ზმნას სათანადო ბრუნვაში;<br>• მოუსმინე სხვების პრეზენტაციებსაც და ჩაინიშნე შენი შთაბეჭდილე-<br>• ბები;<br>• პრეზენტაციების ბოლოს ისაუბრე, ვისი ანოტაცია მოგეწონა ყველაზე<br>• მეტად და რატომ?<br>• რას შეცვლიდი შენს ანოტაციაში, თავიდან რომ იწყებდე წერას?</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;<br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.<br>**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)**<br>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით;<br>ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;<br>პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.<br>**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)**<br>ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, | ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br>**ქვეცნებები:**<br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; | | |
| | **აქტივობები:**<br><br>**<u>სავარჯიშოები/დავალებები 1-13</u>**<br>**<u>ტექსტის წაკითხვა-გაგება-გააზრება, გრამატიკული სავარჯიშოები, სანიმუშო ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება, კომპლექსური დავალების შესრულება.</u>**<br><br>„ბავშვური სამყარო“ საკმაოდ დატვირთული თავია: ბავშვები იხსენებენ ანკეტის შევსებას, ზეპირად თუ წერილობით საუბრობენ საკუთარი თავის შესახებ, სწავლობენ უწყვეტლის ფორმების წარმოებას, უყურებენ ნაწყვეტებს მხატვრული და ანიმაციური ფილმებიდან, სწავლობენ ანოტაციის დაწერას...<br>„ბავშვური სამყარო“ იწყება ტექსტით „ოგი პულმანი პირველად მიდის სკოლაში“. ეს ტექსტი შინაარსობლივად უკავშირდება პირველ თემას („არდადეგების შემდეგ“), გვაცნობს პერსონაჟსა და ფილმს, რომელსაც ბავშვები მოგვიანებით იხილავენ მოსმენის სავარჯიშოს შესრულებისას. ტექსტში მოცემულია უწყვეტლის ფორმები იმ ზმნებისა, რომლებიც პირველ თავში მოცემული იყო აწმყოს ფორმების სახით. მოცემულია რამდენიმე თვალსაჩინო კონსტრუქცია სუბიექტი+უწყვეტლის ფორმა+ობიექტი. დავალება 2 და დავალება 3 ყურადღებას ამახვილებინებს მოსწავლეებს ამ ფორმებსა და კოსნტრუქციებზე. მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ უწყვეტლის ფუნქცია, უნდა დააკვირდნენ როგორ უწყვეტლის აწმყოსგან წარმოების წესს ( -დ ან -ოდ სუფიქებით), ისე სუბიექტ-ობიექტის ბრუნვებს უწყვეტლის ფორმებთან. მე-3 სავარჯიშოში მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ აწმყოსა და უწყვეტლის კონსტრუქციებს და | | |

| | | |
|---|---|---|
| ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);<br>განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში;<br>სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.<br>**გრამატიკა (შედეგები 5)**<br>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;<br>გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.<br>**ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)**<br>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს;<br>თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br>ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები. | აღმოაჩინონ, რომ აწმყოშიც და უწყვეტელშიც მოქმედებს ერთი და იგივე წესი (სუბიექტი — სახელობით ბრუნვაშია, ობიექტი — მიცემითში). მასწავლებელს ამ დროს არ სჭირდება გაამახვილოს ყურადღება პირდაპირი და ირიბი ობიექტის გარჩევაზე, რადგან ორივე ობიექტი მიცემით ბრუნვაშია და ფორმით არ განსხვავდება ამ მწკრივებში.<br>სავარჯიშო კიდევ ერთხელ ამოწმებს, რამდენად ესმით მოსწავლეებს ტერმინ სუბიექტისა და ობიექტის მნიშვნელობა და რამდენად აღიქვამენ აწმყოსა და უწყვეტლის კონსტრუქციების მსგავსებას.<br>უწყვეტლის წარმოებასა და უწყვეტლის ფორმებთან სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვებს ეძღვნება ასევე სავარჯიშოები 4-6.<br>დავალებები 7-8 ამზადებს მოსწავლეებს ფილმის („საოცრება“) ნაწყვეტის საყურებლად და აცნობს მათ ახალ ჟანრს — ანოტაციას.<br>სავარჯიშოები 9-12 ემსახურება ანოტაციის ტექსტის გაგება-გააზრებას სამივე დონეზე, ტექსტის სტრუქტურასა და ანოტაციის, როგორც ჟანრის თავისებურებებზე დაკვირვებას.<br>ამავდროულად აქ გამახვილებულია ყურადღება ტექსტის შინაარსობლივ მხარეზეც. მასწავლებელმა შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს ისე უნდა წარმართოს მოსწავლეთა მსჯელობა, რომ ისინი მივიდნენ სწორ დასკვნამდე. თუმცა გამზადებული პასუხებისა და დასკვნების მიწოდება რეკომენდებული არ არის. ბავშვებმა უნდა იფიქრონ, იმსჯელონ, წარმოიდგინონ საკუთარი თავი პერსონაჟის ადგილზე. მხოლოდ ამის მერე შეძლებენ ისინი სტერეოტიპული აზრებისა და ქცევისგან გათავისუფლებას. მასწავლებლის მიერ მიწოდებული მზა ლოზუნგური იდეები ასეთ შედეგს არ იძლევა. გარეგნული განსხვავებულობის გამო ბულინგის თემასთან მობრუნება მათ კვლავ მოუწევთ ფილმის ნაწყვეტის ნახვისას.<br>ამ საკითხზე მსჯელობა გარკვეულ რისკებს შეიცავს კლასში, სადაც ირიცხება მოსწავლე, რომელსაც პერსონაჟის მსგავსად რაიმე „დისემბრიოგენეზული სტიგმები“აქვს, ან სხვა მიზეზით „განსხვავდება“ სხვა ბავშვებისგან. ასეთ შემთხვევაში, შემოთავაზებული ფორმით დისკუსიები და საკითხის განხილვა წარმოქმნის დამატებით რისკებს მოსწავლის ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობასთან მიმართებით. საკითხის მგრძნობელობის გათვალისწინებით, მასწავლებელმა განხილვა უნდა გააკეთოს მაქსიმალური სიფრთხილით ან საერთოდ უარი თქვას ამ ფორმით განხილვაზე აირჩიოს სხვა, ალტერნატიული ფორმა ამ აკითხების დასამუშავებლად. | |

<table>
<tr>
<td rowspan="4">ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)<br>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს;<br>სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.</td>
<td colspan="2">ანოტაციის წაკითხვისა და გაანალიზების შემდეგ მოსწავლეებს გასაკეთებელი აქვთ კომპლექსური დავალება — მათ უნდა შექმნან ანიმაციური ფილმის ანოტაცია. მიუხედავად იმისა, რომ ანოტაციის ნიმუში უკვე მოცემულია წიგნში, ხოლო ანიმაციური ფილმი გაგების თვალსაზრისით არავითარ პრობლემას არ ქმნის (ფაქტობრივად უხმო ფილმია), მოსწავლეებს მაინც დასჭირდებათ მასწავლებლის დახმარება: თუ ბავშვებს უჭირთ მოიძიონ ცნობები ფილმის შესახებ (გამოშვების წელი, რეჟისორი და ა.შ.), მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მათ, როგორ და სად მოძებნონ ეს ინფორმაცია. ანოტაციის ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე ბავშვებმა კლასში უნდა იმსჯელონ ფილმისა და ფილმით გამოწვეული შთაბეჭდილების შესახებ. მასწავლებელმა უნდა შეახსენოს მოსწავლეებს ანოტაციის წერის პრინციპი: ანოტაცია უნდა იყოს მოკლე, უნდა აღძრავდეს ინტერესს, მაგრამ ანოტაციაში არ შეიძლება ფილმის მთელი შინაარსის მოყოლა და მით უმეტეს, მისი დასასრულის გამხელა.<br><br>რესურსები:<br>წიგნი, რვეული, კალამი, კომპიუტერი, ვიდეოპროექტორი</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td colspan="3">შეფასების კრიტერიუმები<br>თემის ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია:<br><br>1. სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ანოტაციის ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა;<br>2. ანალოგიური ტიპის ტექსტის წერილობით შექმნა რუბრიკების მიხედვით;<br>3. ჟანრის მახასიათებლების აღქმა და გათვალისწინება;<br>4. ტექსტის შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა.<br>5. სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.</td>
</tr>
<tr>
<td colspan="3">II ეტაპის შუალედური მიზნები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნებები და საკითხები:<br>სიტუაციური მახასიათებლები:<br>კომუნიკაციის მიზანი,<br>კომუნიკაციის თემა;</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:<br><br>1. როგორ გავიგო ქართულად გახმოვანებული</td>
<td>კომპლექსური დავალება<br><br>წარმოიდგინე, რომ ფილმს იღებენ შენზე.<br>გადაიღე ვიდეო,<br>სადაც საუბრობ შენ შესახებ:</td>
</tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | **მეტყველების ფუნქციური ტიპები:** თხრობა, აღწერა,<br><br>**სამეტყველო აქტები:**<br><br>პირადი მონაცემების გაცემა; საკუთარი თავისა და გარემოს აღწერა/დახასიათება; თავისუფალი დრო, საქმიანობა, ინტერესები<br>**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა.)<br>**ქვეცნებები:** მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა<br><br>**ენობრივი საკითხები:**<br><br>• <u>მორფოლოგია:</u> არსებითი სახელი; ნაცვალსახელი; ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; სუბიექტური პირის გამოხატვა; შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში, მრავალგზისი მოქმედება, უწყვეტელი, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა უწყვეტლის ფორმასთან. | ფილმი? რა სტრატეგიები გამოვიყენო ამისთვის?<br>2. რა ინფორმაცია მივაწოდო სხვებს ჩემ შესახებ?<br>3. როგორ დავგეგმო ჩემი მონოლოგი?<br>4. როგორ ვისაუბრო გაბმულად და გამართულად? | ილაპარაკე შემდეგი კონსტრუქციების გამოყენებით:<br>ჩემი სახელი და გვარია.<br>ვსწავლობ მე- კლასში.<br>ჩემი სკოლა<br>როცა პირველ კლასში შევდიოდი, ძალიან მეშინოდა/სულ არ მეშინოდა იმის, რაც მელოდებოდა სკოლაში.<br>ძალიან მეშინოდა/ სულ არ მეშინოდა იმიტომ, რომ<br><br>სხვა ბავშვებისგან განსხვავებული ვარ/ ჩვეულებრივი ბავშვი ვარ/ არაფრით ვარ სხვა ბავშვებისგან განსხვავებული.<br><br>მე(ც) იმას (არ) ვაკეთებ, რასაც – სხვები:<br>ვჭამ ------------------------ს.<br>ვსეირნობ .<br>მაგრად ვთამაშობ -------------ს.<br>მიყვარს -----------------, და ---------------------.<br><br>საუბრის დაწყებამდე<br>• კარგად მოიფიქრე, რას მოჰყვები;<br>• წარმოიდგინე საუბრის გეგმა:<br>• ვინაობა, სად სწავლობ, მოგონებები პირველ კლასზე, შენი თვისებები,<br>• რით ჰგავხარ შენს თანატოლებს და რით განსხვავდები მათგან, რა<br>• გიყვარს, რას თამაშობ, რაზე ოცნებობ და სხვა.<br>მიყვარს -ის მოსმენა, -ის ყურება და მიყვარს, როცა --------------------------.<br>ვოცნებობ ---------------------------ზე.<br>ისე (არ) გამოვიყურები, როგორც სხვები.<br>შესაბამის ადგილას გამოიყენე:<br>სახელობითი და მიცემითი ბრუნვები;<br>უწყვეტლის ფორმები. |

<table>
<tr><td></td><td>ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;<br><br>დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br><br>ქვეცნებები:<br><br>დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება,<br><br>სოციოკულტურული რეალიები, დღესასწაულები, სამყაროსეული ხედვა.</td><td></td><td>უყურე შენს ვიდეოჩანაწერს და უპასუხე შემდეგ შეკითხვებს:<br>ა) ყველაფერზე ისაუბრე, რაც გინდოდა? რამე ხომ არ დაგავიწყდა?<br>ბ) დიდ პაუზებს ხომ არ აკეთებ?<br>გ) დააკვირდი წინადადებებს, სიტყვებს სწორად აკავშირებ?<br>დ) ხომ არ გინდა ვიდეოს ხელმეორედ ჩაწერა?</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">აქტივობები:<br><br><u>სავარჯიშოები 14-18</u><br><u>მოსმენის სავარჯიშოები, ანკეტის შევსება, კომპლექსური დავალების (ლაპარაკი) შესრულება</u><br><br>სავარჯიშო 14 მოსმენის უნარის განსავითარებელი სავარჯიშოა. ამავდროულად ის არის ნიმუში კომპლექსური დავალებისთვის.<br>სავარჯიშო 15 ორ მიზანს ემსახურება. მოსწავლეებმა უნდა გამოავლინონ, რომ სატანადოდ გაიგეს მოსმენილი ტექსტი და ამავდროულად ეს წერის დავალებაა — ახსენებს მოსწავლეებს ანკეტის შევსებას.<br>სავარჯიშო 16-ში მოსწავლეები ანალოგიურ ანკეტას უკვე საკუთარი თავის შესახებ ავსებენ. და ეს წერითი დავალება ამზადებს მოსწავლეებს შემდეგი ორი კომპლექსური დავალებისთვის.</td><td></td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | **სავარჯიშო 17** ეფუძნება მოსასმენ ტექსტს (მოსწავლეები ნახულობენ ფილმ „საოცრების“ ნაწყვეტს), მაგრამ ის ლაპარაკის უნარის განსავითარებელი სავარჯიშოა. თუმცა ენობრივი მიზნის გარდა ამ სავარჯიშოს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზანიც აქვს. მან უნდა დააფიქროს მოსწავლეები სამართლიანობაზე, ადამიანების დისკრიმინაციის მიზეზებზე, ადამიანთა შორის დამოკიდებულებებზე, ადამიანურ შიშებზე და იმ დახმარებაზე, რაც შეიძლება გავუწიოთ ადამიანს ამ შიშის დასაძლევად. ფილმში და ზოგ კითხვაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გარეგნულ მხარეზე, რადგან პერსონაჟის პრობლემა და დისკრიმინაციის საფუძველი სწორედ გარეგნობაა. მოსწავლეებმა უნდა გაითავისონ მსჯელობის დროს, რომ გარეგნობას არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა ადამიანის მიმართ კეთილგანწყობის გამოვლენისთვის და რაოდენ უსამართლოა და მტკივნეულია უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენა გარეგნული მახასიათებლების გამო, რომლებსაც ადამიანი ტავისი ნებიტ ვერ შეიცვლის.<br>ამავდროულად შეკითხვები იძლევა იმის საშუალებას, რომ ხაზი გავუსვათ, რომ ადამიანთა შორის განსხვავება მხოლოდ გარეგნობაში არ გამოიხატება. რომ ადამიანები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან (და ზოგჯერ ჰგვანან ერთმანეთს) ხასიათით, უნარებით, მიდრეკილებებით და სხვა და ეს მრავალფეროვნება კარგია, საინტერესოა, სახალისოა ერთფეროვნებასთან შედარებით. თუმცა ისიც კარგია, რომ შეგვიძლია ვიპოვოთ ჩვენი მსგავსი ხასიათისა და მიდრეკილებების ადამიანები და ადვილად დავუახლოვდეთ მათ საერთო ინტერესების ან ტემპერაპენტის გამო.<br>კომპლექსური **დავალება (#18)** ავითარებს ლაპარაკის უნარს. მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი თავი ფილმში მოსმენილი ნიმუშისა და კომპლექსურ დავალებაში მოცემული საყრდენების საშუალებით. კომპლექსურ დავალებაში სქემები მოცემულია ლაპარაკის გასაადვილებლად, თუმცა მათი გამოყენება ყველა მოსწავლისთვის აუცილებელი არ არის.<br>საუბრის დასრულების შემდეგ მოსწავლემ აუცილებლად უნდა შეაფასოს საკუთარი გამოსვლა და დააკვირდეს, რა ხარვეზები აქვს მას ქართულ ენაზე ზეპირმეტყველებისას, რათა გაითვალისწინოს ეს მომავალში. | |

<table>
<tr><td rowspan="4"></td><td colspan="2">რესურსები:<br>წიგნი, რვეული, კალამი, კომპიუტერი, პროექტორი, მობილური ტელეფონი</td><td></td></tr>
<tr><td colspan="3">შეფასების კრიტერიუმები:<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br><br>1. სათანადო სტრატეგიების გამოყენებით მოსასმენი ტექსტის გაგება-გააზრება.<br>2. საკუთარი თავის შესახებ გაბმულად და გამართულად საუბარი<br>3. საკუთარი ტექსტის შეფასება და შეცდომების გამოსწორება<br>4. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება</td></tr>
<tr><td colspan="3">III ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები:<br><br>ქვეცნებები:<br><br>სიტუაციური მახასიათებლები:<br>კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა;<br><br>მეტყველების ფუნქციური ტიპები:<br>აღწერა<br><br>სამეტყველო აქტები:<br><br>პირადი მონაცემების გაცემა;<br>საკუთარი თავისა და გარემოს აღწერა/დახასიათება; თავისუფალი დრო, საქმიანობა, ინტერესები<br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ<br>(დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების,</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:<br><br>1. შემიძლია თუ არა მცირე საინფორმაციო ტექსტების გაგება უცხო თემატიკაზე?<br>2. შემიძლია თუ არა საინფორმაციო ტექსტებიდან გავიგო უცხო კულტურის შესახებ?<br>3. შემიძლია თუ არა მოვძებნო მსგავსებები და განსხვავებები ჩემსა და ტექსტში აღწერილ სოციოკულტურულ გარემოს შორის?<br>4. შემიძლია თუ არა დამოუკიდებლად მცირე საინფორმაციო ტექსტების შექმნა?</td><td>კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br>შენ შენი სამყარო გაქვს, როგორც ოგის და როგორც ყველა ბავშვს. გააკეთე პოსტერი სათაურით „ჩემი სამყარო“<br><br>პოსტერი შეგიძლია ასე გააკეთო:<br>• დიდ თეთრ ქაღალდზე დახატე შენი სამყარო (შეგიძლია გააკეთო აპლიკაცია ფოტოებისგან) და გაუკეთე პატარ-პატარა განმარტებები.<br>• პოსტერში მოათავსე ინფორმაცია შენი ოჯახის, საყვარელი კერძის, თამა-<br>• შის, საგნის, დღესასწაულისა და ფილმის (სერიალის) შესახებ შესაბამისი სურათებით.<br>• შეგიძლია მოათავსო სხვა ინფორმაცია. მაგალითად: საყვარელი საქმიანო-<br>• ბა, საყვარელი მუსიკოსი ან სპორტსმენი, საყვარელი ქალაქი ან სოფელი, საყვარელი მდინარე ან ტბა, საყვარელი მეგობარი ან სხვა რამ. შეგიძლია დაწერო და დახატო ყველაფერი, რაც შენ გიყვარს,</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა.)<br>პორტრეტი, სასწავლო მიზნებით შედგენილი აღწერითი ტექსტები,<br>**ქვეცნებები:**<br><br>**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (*სათაური, ქვესათაური, რუბრიკა, წარწერა*)<br>**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (*ილუსტრაცია, სვეტი*)<br>**მორფოლოგია, სინტაქსი**<br><br>სუბიექტური პირის გამოხატვა; შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში, მრავალგზისი მოქმედება, უწყვეტელი, სუბიქტისა და ობიექტის ბრუნვა უწყვეტლის ფორმასთან.<br><br>**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br><br>**ქვეცნებები:**<br><br>დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, **სოციოკულტურული** რეალიები, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, სამყაროსეული ხედვა. | 5. შემიძლია თუ არა ვისაუბრო ჩემი უახლოესი გარემოს, ყოფითი სიტუაციებისა და საყვარელი საქმიანობების შესახებ?<br>6. შემიძლია თუ არა ვიყო შემოქმედებითი და საინტერესო და დავაინტერესო ადამიანები ჩემი კრეატიულობითა და ორიგინალობით? | რაც შენ გარშემოა და რაც შენთვის მნიშვნელოვანია.<br><br>**მუშაობის დაწყებამდე:**<br>გააკეტე პოსტერის პატარა მაკეტი<br>• წინასწარ მონიშნე, სად რას დახატავ და სად რას დაწერ. განმარტება უნდა იყოს შესაბამისი ნახატის (ფოტოს) ქვეშ.<br>• მოიფიქრე, რა ზომის შრიფტით დაწერ სათაურებს და განმარტების ტექსტს.<br>• **პოსტერის წარმოდგენისას:**<br>• ისაუბრე ყველაფერზე, რაც პოსტერში გიწერია.<br>• ისაუბრე, თუ როგორ დაამზადე ეს პოსტერი, რა გააკეთე თავიდან, რა<br>• შემდეგ და რა - ბოლოს.<br>• ისაუბრე, საინტერესო იყო თუ არა შენთვის ეს დავალება? |

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობები:**<br><br>**<u>სავარჯიშოები 19-25</u>**<br>**<u>ტექსტის წაკითხვა გააზრება, სანიმუშო საინფორმაციო ტექსტის შევსება, პატარა საინფორმაციო ტექსტების შექმნა და პოსტერის გაკეთება.</u>**<br><br>ფილმის ნაწყვეტის ყურებისას ბავშვები ეცნობიან უცხო სოციალურ-კულტურულ გარემოს, ამიტომ ზოგიერთი რამ მათთვის გაუგებარი რომ არ დარჩეს, ოგის, როგორც რიგითი ამერიკელი ბავშვის, სამყაროს უფრო დეტალურად გვაცნობს დავალება 19. ზოგი რამ ოგის სამყაროდან ნაცნობი იქნება მოსწავლეებისთვის, მაგრამ უცნობ დეტალებზე მასწავლებელმა უნდა გაამახვილოს ყურადღება. ამისთვის მან შეიძლება ინტერნეტი და შესაბამისი ფოტო-ვიდეომასალაც გამოიყენოს.<br>ოგი სამყაროს გაცნობა ხდება იმავე ფორმით, რა ფორმაც უნდა გამოიყენონ მოსწავლეებმა კომპლექსური დავალების შექმნისას. ანუ ეს ტექსტები გარკვეული ნიმუშია კომპლექსური დავალებისთვის (პოსტერის შექმნა საკუთარი თავის შესახებ).<br>ნაწყვეტი ჟაკლინ უილსონის წიგნიდან ეხება იმავე თემას (საკუთარი თავის წერილობით წარდგენა), მაგრამ აქვს განსხვავებული ფორმა.<br>**დავალება 25-ში** მოცემულია კითხვები ამ ტექსტის გასააზრებლად, ამ დავალებაში მოსწავლეები აკვირდებიან ტექსტის სტრუქტურასა და რუბრიკებსაც და ზეპირად საუბრობენ საკუტარი თავის შესახებ ტრეისის რუბრიკების მიხედვით, რაც კომპლექსურისთვის შესამზადებელი დავალებაა.<br>კომპლექსური **დავალება (#26)** აჯამებს მთელ თემას. ის საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოიყენონ ამ თავის განმავლობაში შეძენილი ცოდნა და კრეატიული ფორმით წარმოგვიდგინონ საკუთარი თავი, გააცნონ თანაკლასელებსა და მასწავლებელს საკუთარი სამყარო ქართულ ენაზე. ვფიქრობთ, ეს საკმაოდ საინტერესო დავალებაა და შესაბამისი ენთუზიაზმის გამოვლენის შემთხვევაში სახალისო იქნება როგორც პატარა მწერლებისთვის, ისე მათი მკითხველებისთვის.<br>კომპლექსური **დავალება (#26)** მხოლოდ წერითი დავალება არ არის. პრეზენტაციის წარდგენისას მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ იმ | |

| | | |
|---|---|---|
| | ყველაფრის შესახებ, რაც აქვთ დაწერილი პოსტერში (ან წიგნაკში) და ასევე შეაფასონ თავიანთი ნამუშევარი და სამუშაო პროცესის მიმდინარეობა. ეს დავალება წერის უნართან ერთად ლაპარაკის და მეტაკოგნიტურ უნარებსაც ავითარებს. | |
| | **რესურსები:**<br>წიგნი, რვეული, კალამი, დიდი ფორმატის თეთრი ქაღალდი, ფოტოები, წებო, სახაზავი, ფერადი ფანქრები და მარკერები | |
| | **შეფასების კრიტერიუმები**<br>**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**<br><br>მცირე საინფორმაციო ტექსტების გაგება უცხო თემატიკაზე, საჭირო ინფორმაციის ამოღება და გაანალიზება, მსგავსებებისა და განსხვავებების მოძებნა ტექსტში აღწერილ და მის მშობლიურ სოციოკულტურულ გარემოს შორის.<br>დამოუკიდებლად მცირე საინფორმაციო ტექსტების შექმნა.<br>წერილობითი საუბარი თავისი უახლოესი გარემოს, ყოფითი სიტუაციებისა და საყვარელი საქმიანობების შესახებ.<br>შეეძლოს ტექსტის არასტანდარტულ ფორმატში განაწილება და ნაშრომის სათანადოდ გაფორმება<br>საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა, განხორციელება და გააანალიზება. | |

**მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:**

- ყველა ტექსტი იქმნება გარკვეული მიზნით და მიზნის შესაბამისად ტექსტებს განსხვავებული მოცულობა, ფორმა და სტრუქტურა აქვთ.
- თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი მიკროსამყარო და ყოველი ადამიანის მიკროსამყარო საინტერესოა
- უცხოელების სოციოკულტურული გარემო გარკვეულწილად განსხვავდება ჩემი გარემოსგან, თუმცა მსგავსებაც არის.
- უწყვეტელი აღნიშნავს წარსულში მომხდარ მრავალგზის მოქმედებას. უწყვეტელი იწარმოება აწმყოს ფორმისგან. უწყვეტელთან სუბიექტი მუდამ სახელობით ბრუნვაშია.
- თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;
- **სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)** სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს.
- ახალი საკითხის ან თემის შესწავლისას შემიძლია განვსაზღვრო, თუ რაში უნდა გამოვიყენო იგი, რა დამჭირდება ამის შესასწავლად, ვის შემიძლია ვთხოვო დახმარება და სად შემიძლია მოვიძიო ეს დახმარება თუ საჭირო რესურსი.

## თავი 3 - ინდიელების საჩუქარი

**კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:**

I. მე და სამყარო:
**ფიზიკური გარემო** (დედამიწა,  გეოგრაფიული გარემო, აღმოჩენები).

II. სოციოკულტურა და კულტურა:
**ღირებულებები და ფასეულობები** (ისტორიული პიროვნებები და მოვლენები;  სხვა ქვეყნები და ხალხები).

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

1. რას მეუბნება საინფორმაციო ტექსტი? როგორ ვიგებ მოსასმენ ტექსტს? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?
2. რა გავიგე ახალი ჩემი გარემოს შესახებ? როგორ მოახდინა გავლენა ისტორიულმა მოვლენებმა ჩვენს ყოველდღიურობაზე? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ?
3. როგორ ვიყენებ კითხვით სიტყვებსა და კითხვით წინადადებებს? რომელ მწკრივებს ვიყენებთ წარსული მოქმედების გამოსახატავად და რა განსხვავებული ფუნქცია აქვთ მათ?
4. შემიძლია თუ არა გამოვიყენო ჩემი ცოდნა?
5. შემიძლია თუ არა სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების მსგავსი ტიპის ტექსტის წერა? რა შაბლონს ვიენებ ამისთვის?
6. შემიძლია თუ არა შემოქმედებითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება?
7. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?
8. მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია?

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:**

**კომუნიკაცია**
**ქვეცნებები:**

**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციაში მონაწილეეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;

**ტექსტის ტიპი და ჟანრი**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის ტიპები -** მხატვრული, არამხატვრული

**ტექსტის ჟანრები -**

საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები -
სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგი
**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა, შემოკლებული სიტყვები);*
**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (მაგ., *ილუსტრაცია, ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი)*
**ინტერპრეტაცია**
**ქვეცნებები:**

ჟანრი;

**გრამატიკა**
**ქვეცნებები:** მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა

**ენობრივი საკითხები:**

- მორფოლოგია: **კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები:** რომელი? სადაური? სად?
- სადაური? საიდან? რატომ? შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, წყვეტილი-უწყვეტელი, **თანდებული:** ზე/ში/დან/მდე; ცალკე მდგომი: გამო, შესახებ... , სახელთა წარმოქმნა (ხელობის, დანიშნულების, სადაურობის...)
- ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი;

**ენის სწავლის სტრატეგიები**
**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**

დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.
ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.
**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)**

**ქვეცნებები:**

დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება;
**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა**

**საკითხები:**

სოციოკულტურული რეალიები, სამყაროსეული ხედვა.

| | |
|---|---|
| **სამეტყველო აქტები:**<br><br>**ინფორმაციის გაცვლა:**<br>მგზავრობა/მოგზაურობა,<br><br>**გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა:** შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა<br>**დროში ორიენტირება:** დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია.<br><br>**სივრცეში ორიენტირება:** ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა<br><br>**ლოგიკური კავშირების გამოხატვა:**<br>მიზეზი, მიზანი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა, | **ენობრივი საკითხები:**<br><br>• <u>მორფოლოგია:</u> **კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები:** რომელი? სადაური? სად? სადაური? საიდან? რატომ? შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, წყვეტილი-უწყვეტელი, **თანდებული:** ზე/ში/დან/მდე; ცალკე მდგომი: გამო, შესახებ... , სახელთა წარმოქმნა (ხელობის, დანიშნულების, სადაურობის...)<br><br>• <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი |

**თემატური ლექსიკა:**

**მოგზაურობასთან და აღმოჩენებთან დაკავშირებული ლექსიკა**

**ტექსტის ტიპები და ჟანრები:**
**ტექსტის ტიპები -** მხატვრული, არამხატვრული

**ტექსტის ჟანრები -**

საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები -
<u>სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები</u>: თემატური დიალოგი

<table>
<tr><td rowspan="2">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:<br>საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)<br>კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;<br>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო. წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br><br>ტექსტის ტიპი და ჟანრი<br>(შედეგები 1, 2, 3, 4, 5)<br>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.<br>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.<br>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)<br>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური,</td><td colspan="3">I ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>საკითხები და ქვეცნებები<br><br>კომუნიკაცია ქვეცნებები:<br><br>სიტუაციური მახასიათებლები:<br>კომუნიკაციაში მონაწილეეები,<br>კომუნიკაციის მიზანი,<br>კომუნიკაციის თემა;<br>ადრესატი, ადრესანტი;<br><br>ტექსტის ტიპები -<br>მხატვრული, არამხატვრული<br><br>ტექსტის ჟანრები -<br><br>საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები -<br><br>ქვეცნებები:<br><br>ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა,<br>ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები (მაგ., ილუსტრაცია, ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი)</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:<br><br>1. შემიძლია თუ არა მოვიძიო ჩემთვის საჭირო ინფორმაცია და გამოვიყენო ის?<br>2. შემიძლია თუ არა კითხვების დასმა?<br>3. შემიძლია თუ არა დავალების შესრულებისას გამოვიყენო ჩემი გრამატიკული და ლექსიკური ცოდნა?</td><td>კომპლექსური დავალება<br><br>მოაწყვეთ პატარა ვიქტორინა: გაიხსენეთ რომელიმე ნივთი ან პროდუქტი, რომელიც საქართველოში საზღვარგარეთიდან შემოდის, დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები მის შესახებ და უპასუხეთ.<br><br>ა. ვიქტორინის გამართვამდე წინასწარ მოემზადეთ: მოიფიქრეთ, რომელ პროდუქტებზე (საგნებზე) ისაუბრებთ. მოიძიეთ მათ შესახებ ინფორმაცია.<br><br>კითხვის დასმისას გამოიყენეთ კითხვითი სიტყვები:<br>• რა?<br>• სად?<br>• როდის?<br>• საიდან?<br>• ვინ?<br>• რომელი?<br>• როგორ?<br>• რისთვის?<br>• რატომ?<br><br>პასუხის გაცემისას გამოიყენეთ შესაბამისი თანდებულები.<br><br>ბ. ვიქტორინის შემდეგ დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (წყაროები); მოიყვანეთ ინფორმაციის მოძიების ერთი მაგალითი (თქვით, რა ნაბიჯები გადადგით საჭირო ინფორმაციის მოსაძებნად</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;<br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.<br>**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)**<br>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით; ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა; პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.<br>**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)**<br>ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ | **ქვეცნებები:**<br>ჟანრი;<br>**ქვეცნებები:** მორფოლოგია, ლექსიკა<br>**ენობრივი საკითხები:**<br>• <u>მორფოლოგია:</u> **კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები:** რომელი? სადაური? სად? სადაური? საიდან? რატომ?<br>**თანდებული:** ზე/ში/დან/მდე; ცალკე მდგომი: გამო, შესახებ... , სახელთა წარმოქმნა (ხელობის, დანიშნულების, სადაურობის...)<br>**ენის სწავლის სტრატეგიები**<br>**კითხვის სტრატეგიები**<br>კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br>**ლაპარაკის სტრატეგიები**<br>ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;<br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**<br>დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის | | |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);<br>განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში;<br>სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.<br>გრამატიკა (შედეგები 5)<br>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;<br>გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.<br>ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები)<br>(შედეგები 1, 2, 3, 5)<br>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს;<br>თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული</td>
<td>ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br><br>ქვეცნებები:<br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა.<br>საკითხები:<br>სოციოკულტურული რეალიები, სამყაროსეული ხედვა.</td>
<td></td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">აქტივობები:<br><br><u>სავარჯიშოები და დავალებები 1-5.</u><br><u>გამოწვევის სავარჯიშო, ტექსტის წაკითხვა, გლობალური და სელექციური გაგება, გრამატიკული სავარჯიშოები, კომპლექსური დავალების შესრულება</u><br><br>პირველ გაკვეთილზე მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს თემის სათაურზე და ეკითხება ბავშვებს, მათი აზრით, რატომ აქვს ამ თემას ასეთი სათაური. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მასწავლებელმა უნდა გაამახვილოს ყურადღება სიტყვების –„ინდოელები“ და „ინდიელები“ — ფონეტიკურ მსგავსებასა და შინაარსობრივ განსხვავებაზე. თემის დასრულების შემდეგ მასწავლებელი კიდევ ერთხელ დაუბრუნდება სათაურს და დასვამს იმავე შეკითხვას.<br><br>1-ელი დავალება მოწოდებულია, გაუჩინოს ბავშვებს ინტერესი წასაკითხი ტექსტის მიმართ. ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს გონებრივი იერიშის მეშვეობით. მოგეხსენებათ, რომ გონებრივი იერიშისას ყველა ვარაუდი დასაშვებია და მოსწავლეებს არაფერს ვუსწორებთ. კარგი იქნება, თუ ვარიანტებს მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს და შემდეგ</td>
<td></td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br>ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები.<br>ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br>**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)**<br>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს;<br>სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე. | განიხილავს. მაგალითად: მოსწავლის ვარაუდი — ყველა ფოტოზე საჭმელი პროდუქტია. მასწავლებელი — და ჰამაკი? ან ვინმემ წამოიძახა და მასწავლებელმა დაფაზე დაწერა — აქ სულ ხილი და ბოსტნეულია. მასწავლებელი — ინდაური? შოკოლადი? ჰამაკი? ვანილი? ვარაუდი — აქ სულ მცენარეები ან მათგან გაკეთებული ნივთებია. მასწავლებელი — ინდაური?<br>წასახალისებლად მასწავლებელმა შეიძლება დააწესოს რაიმე სიმბოლური პრიზი ყველაზე ზუსტი ვარაუდისთვის (არ არის აუცილებელი, პრიზს ჰქონდეს რაიმე მატერიალური სახე ან გამოიხატებოდეს მაღალი ქულის დაწერით, თუმცა არც ესაა გამორიცხული. შესაძლებელია პრიზი იყოს ამ კონკრეტული გაკვეთილზე აქტიურობისთვის მისანიჭებელი რაიმე საპატიო წოდება — მაგალითად: „ყველაზე მიხვედრილი“. „გეოგრაფიის საუკეთესო მცოდნე“. „ყველაზე დაკვირვებული“ და ა.შ.)<br>ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ამ დავალებას და აცადოს მოსწავლეებს, გასცენ სწორი პასუხი. **ზ** შეკითხვა ამ ტექსტის გლობალური გაგების შესამოწმებელი შეკითხვაა.<br>მასწავლებელმა უნდა იცოდეს — ტექსტის გლობალური და სელექციური გაგება-გააზრების სავარჯიშოები სრულდება დამოუკიდებლად, ყოველგვარი თარგმანისა და სიტყვების მნიშვნელობის მიწოდების გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტში ორიენტირება და ძირითადი შინაარსის გაგება ისე, რომ არ იცოდნენ ყველა სიტყვის მნიშვნელობა. ეს მნიშვნელოვანი უნარია ენის ყოველი შემსწავლელისთვის.<br>ახალ და გაუგებარ სიტყვებთან მიბრუნება შესაძლებელია დეტალურ გაგებაზე მუშაობისას. მანამ კი მოსწავლეებს უნდა ვაცადოთ, თავად გაერკვნენ ტექსტში მათთვის ხელმისაწვდომი ყველა მეთოდით.<br><br>**დავალება 2-ში** გაერთიანებულია შეკითხვები სელექციური გაგებისთვის, მოსწავლეთა ზოგადი განათლების მაჩვენებელი შეკითხვები და ასევე შეკითხვები, რომლებიც უბიძგებენ მოსწავლეს, მოიძიოს ინფორმაცია და გაიგოს რაღაც ახალი. მართალია, ეს ერთი დავალებაა, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია ის დაყოს: ნაწილი შესრულდეს კლასში, ნაწილი — | |

| | | |
|---|---|---|
| | სახლში. მით უმეტეს, თუ მოსწავლეებს კლაში არ აქვთ წვდომა ინტერნეტთან და გაჯეტებთან.<br>თუ მოსწავლეების ცოდნის დონე ძალიან დაბალია, შეიძლება მათ ვერ შეძლონ ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემა. მაშინ მასწავლებელი წინასწარ უნდა მოემზადოს და დაეხმაროს მათ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემაში (მასწავლებელს მოუწევს მოსწავლეებისთვის განკუთვნილ შეკითხვებზე პასუხის წინასწარ მომზადება)<br><br>**სავარჯიშო 3-4** გრამატიკულ საკითხებს ეხება. მოსწავლეები ტექსტიდან მოხმობილი მაგალითებით იხსენებენ კითხვით წინადადებებს, კითხვით სიტყვებსა და თანდებულებს. თანდებულებსა და კითხვით სიტყვებზე მუშაობა ერთსა და იმავე სავარჯიშოში ხელს უწყობს ორივე საკითხის უკეთ გაგებასა და დამახსოვრებას. ამავდროულად ეს სავარჯიშო ამზადებს კომპლექსური დავალებისთვის, სადაც მოსწავლეებს მოუწევთ კითხვითი სიტყვების გამოყენება და კითხვების დასმა და თანდებულიანი სიტყვებით ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.<br>აჯობებს, თუ მასწავლებელი კომპლექსური დავალების შესრულებამდე მოაწყობს გონებრივ იერიშს იმ პროდუქტებისა თუ საგნების ჩამოსათვლელად, რომლებიც საქართველოში საზღვარგარეთიდან შემოდის, რათა მოსწავლეები ვიქტორინისთვის მზადებისას არ დაიბნენ. ვიქტორინისთვის ბავშვები სახლში უნდა მოემზადონ. შესაძლებელია, მასწავლებელმა მათ ამისთვის ორი-სამი დღეც მისცეს და ამავდროულად მზად იყოს კონსულტაციის გასაწევად. ბუნებრივია, რომ მასწავლებელმა თვითონაც კარგად უნდა წარმოიდგინოს, თუ რომელი საკითხების განხილვა მოხდება ვიქტორინაზე და თავადაც მოემზადოს ამისთვის, რომ ბავშვებმა არ დაუშვან ფაქტობრივი შეცდომები. ბუნებრივია, მასწავლებელს ყველა საკითხი არ ეცოდინება, მაგრამ გაკვეთილზე უნდა ჰქონდეს გაჯეტი და ინტერნეტთან წვდომა, რომ სწრაფად შეძლოს ინფორმაციის გადამოწმება, თუკი რომელიმე საკითხი მისთვის უცნობია.<br>ბუნებრივია, რომ ვიქტორინის მიზანია ქართულ ენაზე კომუნიკაციის დამყარება და კითხვა-პასუხი და არა საქართველოში იმპორტირებული საქონლის მწარმოებელი | |

ქვეყნების ჩამოთვლა ან ამა თუ იმ სიახლის გამომგონებლის დასახელება. თუმცა მასწავლებელი მაინც მზად უნდა იყოს ვიქტორინაზე წარმოშობილი დილემების გადასაჭრელად.

**რესურსები:**
წიგნი, რვეული, ინტერნეტი, კომპიუტერი ან ტელეფონი

**შეფასების კრიტერიუმები**
**თემის ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია:**

1. სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ნაცნობ თემასა თუ საკითხზე სხვადასხვა ტიპის მოსასმენი და/ან წასაკითხი ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა;
2. ადეკვატური შეკითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა.
3. ნასწავლი გრამატიკული მასალის სათანადოდ გამოყენება (კითხვითი სიტყვები, თანდებულები).
4. სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი);
5. სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა;
6. სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.

**II ეტაპის შუალედური მიზნები**

| **საკითხი და ქვეცნებები:** | **საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:** | **კომპლექსური დავალება** |
|---|---|---|
| კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;<br><br>საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები -<br>სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები:<br>თემატური დიალოგი<br><br>**ქვეცნებები:**<br><br>**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური** | 1. შემიძლია თუ არა დამოუკიდებლად დავწერო საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი?<br>2. რა წყაროები უნდა გამოვიყენო საინფორმაციო ტექსტის შესადგენად?<br>3. შემიძლია თუ არა გამოვიყენო ჩემი გრამატიკული ცოდნა გამართული ტექსტის შესაქმნელად?<br>4. შემიძლია ვიყო ორიგინალური და დავწერო | გააკეთეთ ხელნაწერი წიგნი სათაურით: **„მსოფლიო მოგზაურები“.**<br><br>ამისათვის:<br>• შეთანხმდით, რომელი მოგზაურების შესახებ გსურთ წიგნის გაკეთება<br>• და გაინაწილეთ სამუშაო;<br>• მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტში (შეგიძლიათ ინფორმაცია მოიძიოთ<br>• როგორც ქართულ, ისე მშობლიურ და უცხო ენებზე);<br>• შეადგინეთ სავარჯიშო 15-ის სქემა მსგავსი სქემა; |

| | | | |
|---|---|---|---|
| | **ელემენტები** (მაგ., *სათაური, ქ აბზაცი,*<br>**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (მაგ., *ილუსტრაცია, ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი)*<br>**ქვეცნებები:**<br>ჟანრი;<br>შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, წყვეტილი-უწყვეტელი,<br>**თანდებული:** ზე/ში/დან/მდე; ცალკე მდგომი: გამო, შესახებ... , სახელთა წარმოქმნა (ხელობის, დანიშნულების, სადაურობის...)<br>ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი;<br>**ენის სწავლის სტრატეგიები**<br>**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br>**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:** | მარტივი, მაგრამ საინტერესო ტექსტი?<br>5. რა ეტაპები სჭირდება ხელნაწერი წიგნის შექმნას?<br>6. როგორ შემიძლია ვითანამშრომლო სხვებთან საინტერესო პროექტის ფარგლებში? | • შეავსეთ სქემა დამატებითი შეკითხვებით; • სქემის მიხედვით დაწერეთ ტექსტი;<br>• გააკეთეთ შესაბამისი ილუსტრაციები.<br>წერისას:<br>• გამოყავით აბზაცები და დაიცავით პუნქტუაცია;<br>• გაითვალისწინეთ, რომ საბავშვო წიგნს წერთ და წერეთ მარტივი და გასაგები წინადადებებით;<br>• ადეკვატურად გამოიყენეთ წყვეტილისა და უწყვეტლის ფორმები.<br>• ნამუშევრის დასრულების შემდეგ ისაუბრეთ, რა ნაბიჯები გადადგით დავალების შესასრულებლად, რამდენჯერ დაგჭირდათ ტექსტის დაწერა და რედაქტირება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br>ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.<br><br>**ქვეცნებები:**<br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; | | |
| | **აქტივობები:**<br><br>**<u>სავარჯიშოები და დავალებები 6-19</u>**<br>**<u>ტექსტის წაკითხვა და მოსმენა, გაანალიზება, გლობალური, სელექციური და დეტალური გაგება, გრამატიკული სავარჯიშოები, კომპლექსური დავალების მიცემა, შრომის განაწილება, წყაროების ძიება, ტექსტების შექმნა და ილუსტრირება, წიგნის აწყობა.</u>**<br><br>**მე-6 დავალებაში** მოცემულია შეკითხვები ტექსტის სელექციური გაგებისთვის. ტექსტი საკმაოდ რთულია. თუ მასწავლებელი ფიქრობს, რომ ბავშვებს გაუჭირდებათ, უცებ გასცენ პასუხი ამ შეკითხვებს, უნდა მისცეს მათ ტექსტის დაკვირვებით წაკითხვისა და შეკითხვებზე დაფიქრების საშუალება. შესაძლოა, მოსწავლეებმა შეკითხვებზე პასუხი გასცენ წერილობით ან ეს დავალება თავდაპირველად გააკეთონ სახლში. მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ ავიცილებთ დავალების თანაკლასელებისგან გადაწერის საფრთხეს და მასწავლებელს მოუწევს | | |

| | | |
|---|---|---|
| | კლასში უკვე ზეპირად აპასუხებინოს მოსწავლეებს იმავე შეკითხვებზე (ზეპირად, ანუ რვეულში წაკითხვის გარეშე).<br>მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შეაჯამოს პასუხები და მისცეს საშუალება მოსწავლეებს, გაასწორონ თავიანთი შეცდომები.<br>**მე-7 - მე-11** სავარჯიშოები გაგება-გააზრების სავარჯიშოებია სამივე დონეზე. მოსწავლეები ისევ და ისევ უბრუნდებიან ტექსტს. ეს დავალებები შეიძლება მივცეთ როგორ კლასში, ასევე სახლში და მერე აუცილებლად უნდა შევამოწმოთ.<br>**სავარჯიშო 12** გრამატიკული დავალებაა და განიხილავს უწყვეტლისა და წყვეტილის მსგავსება-განსხვავებას. სასურველია, სანამ მოსწავლეები წერას დაიწყებენ, მასწავლებელმა კლასში ჯერ ზეპირად გაატაროს ეს საკითხები. სავარჯიშოს შესრულების შემდეგ მასწავლებელი შეაჯამებს მოსწავლეთა პასუხებსა და ვარაუდებს და გაამახვილებინებს ყურადღებას უწყვეტლისა და სრულასპექტიანი წყვეტილის შინაარსობრივ განსხვავებაზე.<br>ამ გრამატიკული სავარჯიშოს შესრულება სასარგებლოა როგორც ტექსტის დეტალურ დონეზე გასააზრებლად, ისევე კომპლექსური დავალებისთვის მოსამზადებლად, რადგან ტექსტების შედგენის დროს მოსწავლეებს სწორედ უწყვეტლისა და წყვეტილის ფორმების გამოყენება მოუწევთ.<br><br>**დავალება 13 და სავარჯიშო 14** ასევე გრამატიკას ეხება, კერძოდ კი სიტყვათა წარმოქმნას. განხილულია რამდენიმე აფიქსი და ამ აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომლებიც მოსწავლეებს შეხვდათ ტექსტში. გრამატიკის სიღრმეებში წასვლა, დანიშნულების, სადაურობისა და ხელობის აღმნიშვნელი სიტყვების წარმოების ყველა წესის გაცნობა ამ გაკვეთილზე აუცილებელი არ არის. მთავარია, მოსწავლეებს კარგად ესმოდეთ მოცემული ლექსიკური ერთეულების შინაარსი და დააკვირდნენ, რომ თურმე გარკვეული აფიქსებით ახალ სიტყვების წარმოება შეიძლება და რა ახალ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული მოცემული აფიქსი.<br>ეს სავარჯიშო, რა თქმა უნდა, ამავდროულად კომპლექსური დავალებისკენ  მიმავალი ერთ-ერთი საფეხურია. კომპლექსური დავალების შესრულების დროს მოსწავლეებს აუცილებლად დასჭირდებათ სადაურობის აღმნიშვნელი სახელების გამოყენება.<br>**სავარჯიშო 15** ზეპირი მეტყველების განსავითარებელი სავარჯიშოა. მოსწავლემ ზეპირად უნდა გადმოსცეს ის ინფორმაცია, რაც ტექსტში წაიკითხა. მის დასახმარებლად მოცემულია სქემა. მოსწავლეები რომ | |

მუდმივად სხვის მოცემულ სქემებზე დამოკიდებული არ გავხადოთ, მათაც ვასწავლით სქემების დაწერა-გაკეთებას (სავარჯიშო 16). მსგავსი სქემის გაკეთების უნარს ისინი გამოიყენებენ კომპლექსური დავალების შესრულებისას.

**სავარჯიშო 17** ეხება ამავე (მსოფლიო მოგზაურების) თემას და არის მოსმენის უნარის გასავარჯიშებელი სავარჯიშო. **სავარჯიშო 18** გვაბრუნებს როგორც მოსასმენთან, ასევე წასაკითხ ტექსტთან და ამავდროულად საშუალებას აძლევს მოსწავლეს, დამოუკიდებლად თუ სხვა სასკოლო დისციპლინების სკოლაში შესწავლისას მიღებული ზოგადი ცოდნა გამოავლინოს. შეიძლება, მოსწავლეებს არ ჰქონდეთ ინფორმაცია კოლუმბის მიერ ჩადენილი სისასტიკეების შესახებ და გაუჩნდეთ შეკითხვა. მაშინ მასწავლებელმა შეიძლება დაავალოს მათ, მოიძიონ ინფორმაცია ამის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ სისასტიკე გაუმართლებელია და ისტორიამ არ უნდა გაიმეოროს წარსულის შეცდომები და დანაშაული. მე-18 სავარჯიშო გარკვეულწილად ამზადებს მოსწავლეებს კომპლექსური დავალებისთვის.

მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ აღნიშნული კომპლექსური დავალება ვერ შესრულდება ერთ დღეში. ერთი გაკვეთილი მხოლოდ წიგნზე მუშაობის დაგეგმვას სჭირდება. შესაძლოა, მასწავლებელმა ძირითადი სამუშაო შაბათ-კვირაზე გადაუნაწილოს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეებს დამოუკიდებლად, ხელმძღვანელობის გარეშე გაუჭირდებათ ხელნაწერი წიგნის შექმნა, მაშინ მან მთელ სამუშაო კვირაზე უნდა გადაანაწილოს ხელნაწერი წიგნის შესაქმნელად საჭირო აქტივობები და ხელმძღვანელობა გაუწიოს თითოეულ მათგანს, იქნება სქემისა და ტექსტების შავი ვარიანტის შექმნა, მათი გასწორება, შესაბამისი ილუსტრაციების გაკეთება, წიგნის აკინძვა თუ ყდის გაფორმება.

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეები ასეთი დავალებების შესრულებისას მიდრეკილები არიან პირდაპირ გადმოაკოპირონ ტექსტები ვიკიპედიიდან თუ სხვა საინფორმაციო წყაროებიდან და ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ გადმოკოპირებული ნამუშევარი არ შეფასდება და რომ ტექსტი უნდა შეიქმნას სქემის მიხედვით მარტივი, ბავშვებისთვის ნაცნობი კონსტრუქციის წინადადებებით (უფრო მარტივად — ბავშვებმა მარტივად უნდა უპასუხონ სქემაში მოცემულ შეკითხვებს და ასე შექმნან ახალი ტექსტები. მათ არ უნდა გადმოწერონ ან გადმოაკოპირონ სტატია ინტერნეტიდან თუ ენციკლოპედიიდან და თავი უნდა

აარიდონ წყაროებში მოცემულ რთულ წინადადებებსა და სრულიად უცხო სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობის გაგებაც შეუძლებელია კონტექსტის გათვალისწინებითაც კი.)

**რესურსები:**

**შეფასების კრიტერიუმები:**
**აქაც წარმოდგენილია კონკრეტული ნიმუშები.**
**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**

1. საინფორმაციო ტექსტიდან სათანადო ინფორმაციის ამოღება. გრამატიკული საკითხების გაგება და შემდგომ სათანადოდ გამოყენება. მოსასმენი ტექსტის გაგება-გააზრება.
2. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა წყაროების სათანადოდ გამოყენება
3. საინფორმაციო ტექსტის შექმნა და გაფორმება
4. წიგნის შექმნა-აწყობა-აკინძვაზე სხვებთან თანამშრომლობა

**III ეტაპის შუალედური მიზნები**

| **საკითხი და ქვეცნებები:** | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:** | **კომპლექსური დავალება/ დავალებები** |
|---|---|---|
| **აქტივობები:** | | |
| **რესურსები:** | | |

**შეფასების კრიტერიუმები**

**მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:**

- ისტორია საინტერესოა.
- დიდი ხნის წინ მომხდარი ისტორიული მოვლენები, ისტორიული პირების ქმედებები, ხალხთა ურთიერთობები უშუალო გავლენას ახდენს ჩემს დღევანდელ ცხოვრებაზე.
- მე ყოველდღე  ვითვისებ და ვიყენებ ახალ ცოდნას.
- მე შემიძლია გამოვიყენო შესაბამისი წყაროები და დავწერო ორიგინალური საინფორმაციო ტექსტი.
- ტექსტების უცხო ენაზე დასაწერად მე მჭირდება გარკვეული გრამატიკული ცოდნა.
- წიგნის შექმნა რთული და მრავალმხრივი, მაგრამ საინტერესო პროცესია.
- ახალი საკითხის ან თემის შესწავლისას შემიძლია განვსაზღვრო, თუ რაში უნდა გამოვიყენო იგი, რა დამჭირდება ამის შესასწავლად, ვის შემიძლია ვთხოვო დახმარება და სად შემიძლია მოვიძიო ეს დახმარება თუ საჭირო რესურსი.

## თავი 4 – ყველაზე საინტერესო მოგზაურობა

| |
|---|
| **კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:**<br><br>I. მე და სამყარო:<br>**ყველაფერი ჩემ შესახებ** – თავისუფალი დრო;<br>**ფიზიკური გარემო –** დედამიწა, მსოფლიოს გარშემო - ქვეყნები და ქალაქები; გეოგრაფიული გარემო, მხარეები.<br><br>II. სოციოკულტურა და კულტურა:<br>**ყოველდღიური ცხოვრება** – კვებითი ჩვევები, თავისუფალი დროის გატარება;<br>**– ოჯახური ურთიერთობები**<br>**ღირებულებები და ფასეულობები** – კულტურა, ღირსშესანიშნაობები, სხვა ქვეყნები. |
| **თემატური საკვანძო შეკითხვები:**<br><br>1. რას მეუბნება ჩანაწერები მოგზაურობის შესახე?<br>2. შეესაბამება თუ არა ამ ჩანაწერებში ასახული გარემო ჩემს წამროდგენებს?<br>3. რამ შემიშალა ხელი  ტექსტის გაგებაში და რატომ?<br>4. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად?<br>5. როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები ჩემი მოგზაურობის შესახებ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის?<br>6. რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?<br>7. არის თუ არა ჩემი ჩანაწერები ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?<br>8. როგორ ვგეგმავ საკუთარ სწავლას?<br>9. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის? |
| **თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:**<br>**კომუნიკაცია**<br>**ქვეცნებები:**<br><br>**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა;<br><br>**მეტყველების ფუნქციური ტიპები:**  თხრობა, აღწერა, მსჯელობა<br><br>**სამეტყველო აქტები:**<br><br>**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი  გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...); |

**ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).

**ტექსტის ტიპი და ჟანრი**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის ტიპები** არამხატვრული

**ტექსტის ჟანრები -**

არამხატვრული ლიტერატურა: მოგონება;
მედია/მულტიმედია ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;
სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თხრობითი ან აღწერითი ტექსტები;
**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** – *სათაური, აბზაცი.*
**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** – *ილუსტრაცია, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, ხმის ტემბრი.*
**ინტერპრეტაცია**
**ქვეცნებები:**

მოქმედების დრო და ადგილი.

**გრამატიკა**
**ქვეცნებები:** მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა

**ენობრივი საკითხები:**

- თანდებულები; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნისწინები.
- ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი;

**ენის სწავლის სტრატეგიები**
**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

<table>
<tr><td colspan="2">ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:<br><br>ენათშორისი პარალელების გავლება;<br>დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;<br>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)<br>ქვეცნებები:<br><br>დავალების  ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა,  მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;<br>ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა<br><br>საკითხები:<br><br>სოციოკულტურული  რეალიები.</td></tr>
<tr><td>სამეტყველო აქტები:<br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...);<br>ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).</td><td>ენობრივი საკითხები:<br>• თანდებულები;<br>• პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა);<br>• ზმნისწინები.<br>• <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი;</td></tr>
<tr><td colspan="2">თემატური ლექსიკა:<br>მოგზაურობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები; ემოციის, შთაბეჭდილების აღმნიშვნელი სიტყვები.</td></tr>
<tr><td colspan="2">ტექსტის ტიპები და ჟანრები:<br>ტექსტის ტიპები – არამხატვრული<br>ტექსტის ჟანრები:<br>არამხატვრული ლიტერატურა:  მოგონება;</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="4">მედია/მულტიმედია ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;<br>სასწავლო მიზნებით შედგენილი ტექსტები: თხრობითი ან აღწერითი ტექსტები;</td></tr>
<tr><td rowspan="3">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:<br>საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)<br>კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;<br>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.<br>წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br><br>ტექსტის ტიპი და ჟანრი<br>(შედეგები 1, 2, 3, 4, 5)<br>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.<br>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება<br>(შედეგი 1, 4, 5, 6)<br>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ.,</td>
<td colspan="3">I ეტაპის შუალედური მიზნები<br><br>მოსწავლეები შეძლებენ მოგზაურობის შესახებ მოგონებების გააზრებას და საკუთარი მოგზაურობის აღწერას.</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები:<br><br>არამხატვრული ტექსტები მოგზაურობის შესახებ;</td>
<td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:<br><br>1. როგორ გავიაზრო მოგზაურობის შესახებ დაწერილი მოგონებები?<br>2. როგორ გადმოვცე საინტრესოდ ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებები და ამბები?</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br>გაიხსენე შენი ყველაზე საინტერესო მოგზაურობა და დაწერე მის შესახებ.<br><br>ნამუშევარში უნდა ჩანდეს:<br>• სად იმოგზაურე?<br>• ვისთან ერთად?<br>• რამდენი დღე მოგზაურობდი?<br>• რა დაათვალიერე?<br>• რა გაიგე ახალი?<br>• რა მოგეწონა და რა დაგამახსოვრდა ყველაზე კარგად და რატომ?<br><br>წერისას:<br>• ყურადღება მიაქციე ენობრივ გამართულობას;<br>• სწორად გამოიყენე ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკული საკითხები: თანდებულები: -ზე, -ში, -თან..., წყვეტილის ფორმები<br>• წაიკითხე შენი ნაწერი. წაკითხვის მერე<br><br>ისაუბრე:<br>• რა გაგიჭირდა ყველაზე<br>• მეტად ამ დავალების შესრულებისას და რატომ?</td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობები:<br><u>წიგნის დავალება N1</u><br><u>რვეულის სავარჯიშო N2-7</u><br><u>წიგნის დავალება N8-9</u><br><br>• ზოგადი რეკომენდაცია: აქტივობების წარმართვისას მასწავლებელი ითვალისწინებს საკუთარი მოსწავლეების საჭიროებებსა დამზაობას. აქტივობებს წარმართავს საჭირო ფორმატში: ინდივიდუალურად, წყვილებსა თუ მცირე ჯგუფებში.<br>• მასწავლებელი წინასწარ გადახედავს თავს, აქვე მოცემული თემატური ერთეულის მატრიცასა, თავის მიზნებსა და განსახილველ საკითხებს. კომპლექსურ დავალებებს აცნობს მოსწავლეებს, თუ რას და როგორ გააკეთებენ თემატური ერთეულის ფარგლებში.<br><br><u>წიგნის დავალება N1.</u> მოსწავლეები კითხულობენ მათი თანატოლის მიერ დაწერილ ჩანაწერებს მოგზაურობის შესახებ. ტექსტის წაკითხვამდე სასურველია, მასწავლებელმა თემის გააქტიურების მიზნით, დასვას შეკითხვები: უყვართ თუ არა</td></tr>
</table>

<table>
<tr>
<td>ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;<br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.<br>ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)<br>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით;<br>ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;<br>პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.<br>ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)<br>ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);</td>
<td>მოგზაურობა? სად უმოგზაურიათ? გაუკეთებიათ თუ არა ჩანაწერები მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე?<br>მასწავლებელს საკუთარი შეხედულებების მიხედვით შეუძლია აირჩიოს კითხვის მეთოდი/სტრატეგია. თვითონ წყვეტს მოსწავლეები ტექსტს წაიკითხავენ მონაკვეთებად, მონიშვნებით, ჯგუფში წაკითხვითა თუ სამოდელო კითხვის მეთოდით.<br>რვეულის სავარჯიშო N2-4. სავარჯიშოების მიზანია, შეამოწმოს ტექსტის გაგება სელექციური გაგების დონეზე. მასწავლებლებს ასევე შეუძლიათ დამატებითი შეკითხვებითა და აქტივობებით გადაამოწმონ მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრების პროცესი.<br><u>რვეულის სავარჯიშო N5</u>. აქტივობის მიზანია მოსწავლეთა მიერ საკუთარი შთაბეჭდილებების წერილობით გადმოცემა. წერის გაადვილების მიზნით, მასწავლებელს შეუძლია დასვას დამატებითი შეკითხვები.<br><u>რვეულის სავარჯიშო N6-7</u>. სავარჯიშოების მიზანია ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. სასურველია, მასწავლებელმა დამატებით, ლექსიკური ერთეულების განსხვავებულ კონტექსტში გამოყენების მიზნით, მოსწავლეები ამუშაოს სიტყვის პირამიდის, ცნების რუკის ან სიტყვების ვერბალურ-ვიზუალური ასოციაციების სქემის შევსებაზე.<br><u>წიგნის დავალება N8-9</u> ემსახურება გრამატიკული საკითხის გაცნობას. სასურველია მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს ზმნის შესასწავლი მწკრივის ფორმაზე და მოსწავლეებს უფრო კარგად გააზრებინოს წყვეტილის ფორმები. წყვეტილის სწავლებას გააადვილებს მწკრივის შეკითხვაზე დაკვირვება და წარსულში შესრულებული მოქმედებების ამ შეკითხვის დასმით გააქტიურება.<br><br><u>წიგნის დავალება N9</u><br><u>რვეულის სავარჯიშოები N10-29</u><br><br><u>რვეულის სავარჯიშო N10-17</u>. სავარჯიშოების მიზანია გრამატიკულ საკითხებზე მუშაობა. კერძოდ, წყვეტილის მწკრივის ფორმებზე ვარჯიში და მათი სიღრმისეულად გააზრება. (სავარჯიშო 10-12); მრავლობითი რიცხვის გახსენება</td>
<td></td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში;<br>სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.<br>**გრამატიკა (შედეგები 5)**<br>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;<br>გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.<br>**ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები)**<br>**(შედეგები 1, 2, 3, 5)**<br>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს;<br>თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br>ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები. | თემატური ლექსიკის კონტექსტში (სავ.13); პირის ნაცვალსახელების შეწყობასა და სუბიექტ-ობიექტის მიმართება. ( სავარჯიშო14-17) რაც ერთგვარად შეაჯამებს შეთავაზებული გრამატიკული საკითხების გაგება-გააზრების ხარისხს.<br>**<u>რვეულის სავარჯიშო N18-22</u>** ემსახურება ტექსტის სიღრმისეულად გაგება-გააზრებას.<br>**<u>რვეულის სავარჯიშო N23-26</u>** აქტიურდება კიდევ ერთი გრამატიკული საკითხი - თანდებულები. იქიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა კლასში მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენცია და გრამატიკული საკითხების ცოდნის დონე განსხვავებულია, მასწავლებელმა აღნიშნული საკითხი მოსწავლეებს უნდა მიაწოდოს მათი წინარე ცოდნისა და მზაობის გათვალისწინებით. ყველაზე მარტივი გამოსავალი იქნება, თუ ბავშვები დააკვირდებიან მოცემულ ბლოკში დასმულ შეკითხვებს და გაიხსენებენ ცხრილში მოცემულ თანდებულებს.<br>**რვეულის სავარჯიშო N27** კიდევ ერთხელ მიაბრუნებს მოსწავლეებს წყვეტილის მწკრივის ფორმებთან, რაც ერთგვარად შეაჯამებს შეთავაზებული გრამატიკული საკითხის გაგება-გააზრების ხარისხს.<br><br><u>1-ელი კომპლექსური დავალება -რვეულის სავარჯიშო N28</u><br><br>მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ამ თემის პირველ კომპლექსურ დავალებას, რომლის შესრულებაც მთლიანად დაფუძნებულია მანამდე წაკითხულ ტექსტებსა და შესრულებულ დავალებებზე. იციან შესაბამისი გრამატიკული ფორმები და მკაფიო და თანმიმდევრული ინსტრუქციებით ეს დავალება შესაძლებელი შესრულდეს კლასში.<br><br>**რეკომენდაცია მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად:**<br><br>მასწვლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაფიქრდნენ, როგორ დაიწყეს დავალების შესრულება, რა გააკეთეს პირველ ეტაპზე, როგორ დაგეგმეს საკუთარი საქმიანობა, რა გაუჭირდათ დაავალებაზე მუშაობის დროს, რა შეასწორეს ან რა გააკეთეს | |

<table>
<tr>
<td rowspan="5">ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)<br>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს; სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.</td>
<td colspan="2">ხელახლა, რას შეცვლიდნენ ხელახლა რომ იწყებდნენ მასზე მუშაობას.<br><br><u>რვეულის სავარჯიშო N29</u> მოსწავლეებს დააბრუნებს თემის შინაარსთან და გააქტიურებს მათი მეტყველების უნარს, ხელს შეუწყობს, მოგზაურობის თემასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული კონსტრუქციები გამოიყენონ ზეპირმეტყველებაში. მოსწავლეები ქარგის მიხედვით ისაუბრებენ მეწყვილის საინტერესო მოგზაურობის შესახებ.</td>
<td rowspan="2"></td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">რესურსები:<br>სახელმძღვანელოს წიგნი და რვეული;</td>
</tr>
<tr>
<td colspan="3">შეფასების კრიტერიუმები<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br><br>1. სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, მოგზაურობის შესახებ მოგონებების გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; (1) აღწერითი და თხრობითი ტიპის ტექსტის წერილობით შექმნა; (2) მოგზაურობის მოგონებების შესახებ საუბარი, მოსაზრების ჩამოყალიბება და დასაბუთება; (3)<br>2. მოგზაურობის, შთაბეჭდილებების შესახებ საკითხავ ტექსტისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (4), უწყვეტლისა და წყვეტილის, ზმნის სუბიექტისა და ობიექტის შესაბამისი ბრუნვის ამოცნობა და გამოყენება (5) მოგონებების შედგენისას შემოქმედებითობის წარმოჩენა (6).<br>3. აანალიზებს ტექსტში წარმოჩენის გარემოს (7), გამოყოფს და პოზიტიურად უდგება საკუთარისგან განსხვავებულ კულტურულ მახასიათებლებს (8), წარმოაჩენს საკუთარ გამოცდილებას. (9)<br>4. საკუთარი სწავლის დაგეგმვა და წარმართვა (10), ამ პროცესში მასწავლებელთან და თანაკლასელებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა (11), შეთავაზებული საკითხავი ტექსტის გააზრებულად გამოყენება (12).</td>
</tr>
<tr>
<td colspan="3">II ეტაპის შუალედური მიზნები<br>მოსწავლეები უყურებენ ვიდეოსიუჟეტს, გაიაზრებენ, შეძლებენ ორი ობიექტის შედარებას, მსჯელობას საკუთარი შეხედულებებისა და დამოკიდებულების შესახებ.</td>
</tr>
<tr>
<td>საკითხი და ქვეცნებები:<br><br>ვიდეოსიუჟეტი ... თემაზე</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:<br><br>1. როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია, რომელსაც</td>
<td>კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br>დაიყავით ჯგუფებად და გამართეთ დისკუსია თემაზე: პიზის კოშკი თუ ეიფელი?</td>
</tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | | გამოვიყენებ ორი ობიექტის შედარებისას? როგორ შევადარო ორი ღირსშესანიშნაობა ერთმანეთს?<br>2. როგორ გამოვხატო საკუთარი შეხედულებები და დამოკიდებულებები ეფექტურად? | დისკუსიის გამართვამდე:<br>• ინტერნეტში მოიძიეთ ინფორმაცია ამ ორი ღირსშესანიშნაობის შესახებ;<br>• შეადგინეთ პატარა ტექსტები, რათა საუბარი გაგიადვილდეთ;<br>• ჩამოაყალიბეთ რამდენიმე არგუმენტი თითოეული მათგანისთვის, თუ რატომ არის უკეთესი სანახაობა (მაგ.: ლუვრი უფრო საინტერესოა იმიტომ, რომ....)<br><br>დისკუსიის გამართვისას:<br>• დაიცავით რეგლამენტი (გამომსვლელი დრო) - თითოეულ მონაწილეს ჰქონდეს 1 წუთი;<br>• მოუსმინეთ ერთმანეთს და დააცადეთ აზრის გამოთქმა ბოლომდე;<br>• შეაჯამეთ, რა დასკვნამდე მიხვედით.<br><br>დისკუსიის შემდეგ ისაუბრეთ:<br>• რამდენად საინტერესო ან რთულია დისკუსიაში მონაწილეობა?<br>• როგორ იქცევით, როდესაც გრძნობთ, რომ თქვენი არგუმენტები სუსტია?<br>• როგორ ფიქრობთ, როგორია ძლიერი არგუმენტი?<br>• როგორ ფიქრობთ, სწორია თუ არა დავა იმაზე, რომელი ღირსშესანიშნაობაა უფრო საინტერესო? რატომ? |
| | **აქტივობები:**<br><u>წიგნის დავალება - N 30-31</u><br><u>რვეულის სავარჯიშო - N 32- 35</u><br><br><u>**წიგნის დავალება N30**</u> მოსწავლეებს ამზადებს ვიდეოსიუჟეტის მოსმენისათვის. აქვე სასურველია, მასწავლებელმა იმუშაოს იმ ლექსიკურ ერთეულებზე, რომელთა არცოდნა შეაფერხებს მოსასმენი ტექსტის გაგებას. | | |

| | | |
|---|---|---|
| | **წიგნის დავალება N31.** დავალების მიზანია ვიდეოსიუჟეტის გაგება გლობალურ დონეზე. აქ მთავარია, მოსწავლეებმა დაასახელონ რის შესახებაა ტექსტი.<br>**რვეულის სავარჯიშო N32-ის ა,ბ** ემსახურება ვიდეოსიუჟეტის გაგებას სელექციურ დონეზე.<br>**რვეულის სავარჯიშო N33** ხელს უწყობს ვიდეოსიუჟეტის გაგებას დეტალურ დონეზე, რაც ნიშნავს სიტყვების დონეზე მოსმენილი სიტყვების მნიშვნელობის ცოდნას კონტექსტის გათვალისწინებით.<br>**რვეულის სავარჯიშო N34 - ა.** დავალების მიზანია ზეპირმეტყველების უნარის განვარჯიშებას. აქ მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს არჩევანის საშუალებას- გამოიყენოს მოსმენილი ტექსტის სიტყვები ან დაეყრდნოს საკუთარ ლექსიკურ მარაგსა და ენობრივ ცოდნას.<br>**სავარჯიშოN34 - ბ** მიზანია ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება;<br>**სავარჯიშო N34 - გ** მიზანია ვიდეოსიუჟეტის გაგება-გააზრება;<br>**სავარჯიშო N34 - დ** ემსახურება ზეპირმეტყველების უნარის გავარჯიშებას.<br>**მე-2 კომპლექსური დავალება (რვეულის სავარჯიშო N35)**<br>მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ამ თემის მეორე კომპლექსურ დავალებას. როგორც პირველი მსგავსი დავალების შემთხვევაში, აქაც ბავშვები მზად არიან დამუკიდებლად შეასრულონ დავალება, რადგან მათ უკვე | |

წაკითხული/მოსმენილი აქვთ შესაბამისი შინაარსის ტექსტი, იციან დისკუსიის გამართვის წესები.
სასურველია, მასწავლებელმა დისკუსიის გამართვამდე შეახსენოს დისკუსიის წესები.

**რესურსები:**
ვიდეოსიუჟეტი

**შეფასების კრიტერიუმები:**
**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**

1. სათანადო სტრატეგიების გამოყენებით, მოსასმენი საინფორმაციო ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა (1), მსჯელობის მიზნით სათანადო არგუმენტების ჩამოყალიბება (2), დისკუსიაში მონაწილეობა, კითხვა-პასუხში ჩართვა, განსხვავებული მოსაზრებაზე სწრაფი რეაგირება და სპონტანური უკუკავშირის მიცემა (3);
2. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოსასმენ ტექსტში გადმოცემული საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება (4), თანდებულების გამოყენება შედარების გამომხატველ ენობრივ კონსტრუქციებში (5), დისკუსიის დროს შემოქმედობითობის უნარის გამოვლენა (6);
3. კულტურული თვალსაზრისით კონკრეტული ინფორმაციის ან მთლიანი მოსასმენი ტექსტის გაანალიზება (7), სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ძეგლების შეფასება და შედარება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვა (8), განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებზე საუბრისას სატანადო ინტერპერსონალური უნარების გამოვლენა (9);
4. დავალებების შესრულებისას სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (10), სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა (11), სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება (12)

**III ეტაპის შუალედური მიზნები**

| | | |
|---|---|---|
| **საკითხი და ქვეცნებები:** | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:** | **კომპლექსური დავალება/ დავალებები** |
| **აქტივობები:** | | |
| **რესურსები:** | | |

**მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:**

- ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა საკუთარი თავის, საკუთარი საცხოვრებელი გარემოსა და ავტობიოგრაფიული მონაცემების წარდგენისას.
- უცხო სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება მეხმარება პირადი გამოცდილების გამდიდრებაში; მცდარი წარმოდგენების გადაფასებაში; საკუთარი პროფესიული არჩევანის სწორად განსაზღვრაში;
- ნასწავლი ლიტერატურის, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან ურთიერთობებისას.
- ახალი საკითხის ან თემის შესწავლისას შემიძლია განვსაზღვრო, თუ რაში უნდა გამოვიყენო იგი, რა დამჭირდება ამის შესასწავლად, ვის შემიძლია ვთხოვო დახმარება და სად შემიძლია მოვიძიო ეს დახმარება თუ საჭირო რესურსი.

| |
|---|
| **კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:**<br><br>I. მე და სამყარო:<br>**ყველაფერი ჩემ შესახებ** (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, თავისუფალი დრო, უახლოესი გეგმები, არჩევანის გაკეთება);<br>**ფიზიკური გარემო** (გეოგრაფიული გარემო, მხარეები).<br><br>II. სოციოკულტურა და კულტურა:<br>**ყოველდღიური ცხოვრება** (ქცევები ყოფით სიტუაციებში, თავისუფალი დროის გატარება);<br>**პიროვნებათშორისი ურთიერთობები** (ოჯახური ურთიერთობები, თანატოლებს / თაობებს შორის ურთიერთობები);<br>**ღირებულებები და ფასეულობები** (კულტურა ღირსშესანიშნაობები; სხვა ხალხები). |
| **თემატური საკვანძო შეკითხვები:**<br><br>1. რა ინფორმაციის მიღება შემიძლია სარეკლამო განცხადებიდან.<br>2. რა დამეხმარა ტექსტის გაგებაში და როგორ?<br>3. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?<br>4. როგორ შემიძლია გამოვიყენო ნიმუში და შევქმნა მსგავსი ტიპის ტექსტი ნიმუშის მიხედვით?<br>5. რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?<br>6. როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? არის თუ არა ჩემი აზრი / იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?<br>7. მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა?<br>8. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?<br>9. მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია? |
| **თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:**<br>**კომუნიკაცია**<br>**ქვეცნებები:**<br><br>**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციაში მონაწილეეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;<br><br>**მეტყველების ფუნქციური ტიპები:** აღწერა, მსჯელობა<br><br>**სამეტყველო აქტები:**<br><br>**ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, შეხვედრის დანიშვნა); |

**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.);
**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, ინტერესი )
**ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).

**ტექსტის ტიპი და ჟანრი**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის ტიპები** (არამხატვრული)

**ტექსტის ჟანრები**

ა) პრაგმატული ტექსტები – რეკლამა, სარეკლამო განცხადება, საინფორმაციო ტექსტი ინტერნეტრესურსებზე დაყრდნობით
საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო სასწავლო რესურსები;
<u>სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები</u>: თემატური დიალოგები, აღწერითი ტექსტები.
**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (მაგ., *სათაური, ქვესათაური, რუბრიკა)*
**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (მაგ., *ილუსტრაცია, ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი);*
**ინტერპრეტაცია**
**ქვეცნებები:**

ჟანრი; მოქმედების დრო და ადგილი

**გრამატიკა**
**ქვეცნებები:** მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა

**ენობრივი საკითხები:**

- <u>მორფოლოგია:</u> მყოფადი, ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; სუბიექტური პირების გამოხატვა;
- <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი

**ენის სწავლის სტრატეგიები**
**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**

დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.
ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.
**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)**
**ქვეცნებები:**

დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა.
**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა**
**საკითხები**:

სოციოკულტურული რეალიები, ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, სამყაროსეული ხედვა.

| | |
|---|---|
| **სამეტყველო აქტები:**<br><br>**ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, შეხვედრის დანიშვნა);<br>**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.);<br>**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, ინტერესი )<br>**ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).<br><br>**ლოგიკური კავშირების გამოხატვა:**<br>მიზეზი, მიზანი, შედეგი. | **ენობრივი საკითხები:**<br><br>• <u>მორფოლოგია:</u> მყოფადი, ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; სუბიექტური პირების გამოხატვა;<br>• <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი |

**თემატური ლექსიკა:**
სასტუმროებთან და ზამთრის კურორტებთან დაკავშირებული ლექსიკა

**ტექსტის ტიპები და ჟანრები:**

**ქვეცნებები:**

**ტექსტის ტიპები** (არამხატვრული)

**ტექსტის ჟანრები**

ა) პრაგმატული ტექსტები – რეკლამა, სარეკლამო განცხადება, საინფორმაციო ტექსტი ინტერნეტრესურსებზე დაყრდნობით საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო სასწავლო რესურსები;
სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები, აღწერითი ტექსტები.

| **სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:** | **I ეტაპის შუალედური მიზნები** | | |
|---|---|---|---|
| **საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)**<br>კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;<br>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.<br>წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br><br>**ტექსტის ტიპი და ჟანრი**<br>**(შედეგები 1, 2, 3, 4, 5)**<br>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად. | **საკითხები და ქვეცნებები:**<br><br>**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციაში მონაწილეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;<br><br>**მეტყველების ფუნქციური ტიპები:** აღწერა, მსჯელობა<br><br>**სამეტყველო აქტები:**<br><br>**ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, შეხვედრის დანიშვნა);<br>**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:**<br><br>1. როგორ ვიპოვო ჩემთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტში?<br>2. როგორ ამოვიკითხო ჩემთვის საჭირო ინფორმაცია სარეკლამო განცხადებიდან?<br>3. როგორ ამოვიცნო ჩემთვის უცნობი სიტყვები კონტექსტიდან?<br>4. როგორ გამოვიყენო მიღებული ცოდნა ტექსტის დაწერისას/როგორ გამოვიყენო ნიმუში სარეკლამო განცხადების დაწერისას?<br>5. როგორ ავსახო სრულყოფილად საჭირო ინფორმაცია ჩემს სარეკლამო განცხადებაში?<br>6. როგორ დავასაბუთო ჩემი არჩევანი? | **1-ელი კომპლექსური დავალება**<br><br>წარმოიდგინე, რომ შენს სახლში გააკეთე პატარა საოჯახო სასტუმრო შენი სოფლის სტუმრებისთვის.<br>დაწერე სარეკლამო განცხადება შენი საოჯახო სასტუმროსთვის.<br><br>• მოიფიქრე, რას გამოიყენებ ნიმუშად;<br>• დაარქვი სასტუმროს სახელი;<br>• ჩარჩოებში ჩახატე შენი სახლი და ერთ-ერთი საძინებელი ოთახი. ან<br>• ჩააკარი შესაბამისი ფოტოები.<br><br>არ დაგავიწყდეს მიუთითო:<br>• ფასი;<br>• კვების ფასი (თუკი გექნება); |

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.<br>**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)**<br>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;<br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.<br>**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)**<br>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით; ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა; | საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.);<br>**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, ინტერესი )<br>**ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).<br>**ტექსტის ტიპები -** არამხატვრული<br>**ტექსტის ჟანრები -**<br>ა) პრაგმატული ტექსტები - რეკლამა, სარეკლამო განცხადება, საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო სასწავლო რესურსები;<br><u>სასწავლო მიზნებით შედგენილი</u> | | • განთავსების ადგილების რაოდენობა (რამდენი სტუმრის მიღება შეგიძლია);<br>• საკონტაქტო ნომრები<br>• მდებარეობა;<br>• ოთახების რაოდენობა;<br>• სველი წერტილების რაოდენობა, გაქვს თუ არა ცივი და ცხელი წყალი;<br>• კიდევ რისი შეთავაზება შეგიძლია სტუმრებისთვის?<br><br>წარმოუდგინე შენ მიერ დაწერილი განცხადება თანაკლასელებს და ისაუბრე:<br>• რატომ გადაწყვიტე ამა თუ იმ მონაცემის შეტანა?<br>• რატომ ფიქრობ, რომ მსურველები შენი საოჯახო სასტუმროთი დაინტერესდებიან?<br>• რამდენად რთული ან იოლია მსგავსი განცხადების შედგენა?<br>• რა უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა ასეთი განცხადების შედგენის დროს? |

| | | | |
|---|---|---|---|
| პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.<br>**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)**<br>ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);<br>განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში;<br>სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.<br>**გრამატიკა (შედეგები 5)**<br>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;<br>გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის. | <u>(დიდაქტიზებული) ტექსტები</u>:<br>თემატური დიალოგები,<br>**ქვეცნებები:**<br>**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (მაგ., *სათაური, ქვესათაური, რუბრიკა)*<br>**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (მაგ., *ილუსტრაცია)*<br><br>მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა<br>**ენობრივი საკითხები:**<br><br>**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);<br>**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br>**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ); | | |

<table>
<tr>
<td rowspan="2">ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)<br>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს;<br>თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br>ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები.<br>ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)<br>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს; სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.</td>
<td>ქვეცნებები:<br><br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა.</td>
<td></td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">აქტივობები:<br><br><u>დავალებები და სავარჯიშოები 1-11. ტექსტების გაცნობა, მოსმენის სავარჯიშოს შესრულება, ლექსიკური სავარჯიშოები და კომპლექსური დავალებების გაკეთება</u><br><br>პირველი ეტაპი ორი კომპლექსური დავალებისაგან შედგება. ორივე დავალება ერთსა და იმავე თემაზეა — ეს არის სასტუმროების სარეკლამო განცხადებები ინტერნეტში.<br>1-ელი დავალების შესრულებისას მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ განცხადებაზე თანდართულ ფოტოებს და ერთი თვალის შევლებით დაასახელონ, რას ხედავენ და რისთვისაა ეს საჭირო (გლობალური გაგება).<br>შემდეგი დავალება (#2) ერთდროულად ავარჯიშებს კითხვისა და მოსმენის უნარებს. მოსწავლეებმა უნდა მოისმინონ დიალოგი და დიალოგის თითოეული მონაკვეთი დაუკავშირონ ერთ კონკრეტულ განცხადებას. სასურველია, რომ მოსმენამდე მოსწავლეებს უკვე წაკითხული ჰქონდეთ განცხადებები, რათა გაუადვილდეთ ტექსტში ორიენტირება.<br>დავალება 3-4 კიდევ ერთხელ გვაბრუნებს განცხადებებთან და ხელს უწყობს მათ გაგება-გააზრებას.<br>კომპლექსური დავალება (#5) ნიმუშის მიხედვით მსგავსი განცხადების შექმნას გულისხმობს. ბავშვები უნდა დააკვირდნენ სარეკლამო განცხადებების სტრუქტურას, რუბრიკებს და ისე შეასრულონ ეს დავალება. შესაძლებელია, მასწავლებელმა ორჯერ მისცეს ერთი და იგივე დავალება. ერთხელ კლასში (პირველ მცდელობა) და მეორედ სახლში, როდესაც უკვე მასწავლებლის ყველა შენიშვნა იქნება გათვალისწინებული, ყველა შეცდომა — გასწორებული და მოსწავლეებს მეტი საშუალება ექნებათ, დრო დაუთმონ განცხადების გარეგნულ მხარეს და გამოავლინონ თავიანთი კრეატიულობა.<br>ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოები 6-9 მოსწავლეებს ამზადებს მოკლე საინფორმაციო ტექსტების წასაკითხად და შემდეგი კომპლექსური დავალების შესასრულებლად.<br>დავალება #10 მოკლე საინფორმაციო ტექსტების საშუალებით აცნობს მოსწავლეებს საქართველოს ზამთრის კურორტებს. ესეც კომპლექსურისთვის</td>
<td>მე-2 კომპლექსური დავალება<br><br>წარმოიდგინე, რომ უკვე დიდი ხარ და შენს და-ძმასთან ან მეგობრებთან ერთად მიდიხარ დასასვენებლად ზამთრის არდადეგებზე. სამნი ხართ და თითოეულს 300-300 ლარი გაქვთ ბინისთვის და კვებისთვის. გამოიყენე google.com და მოძებნე შესაბამისი სასტუმრო.<br>გააკეთე პრეზენტაცია მეგობრებისთვის.<br><br>პრეზენტაციისას ისაუბრე:<br>• რატომ აირჩიე დასასვენებლად ეს ადგილი?<br>• რას მიაქციე ყურადღება სასტუმროს შერჩევისას?<br>• რამდენად დიდი არჩევანი იყო?<br>• რატომ აირჩიე მაინცდამაინც ეს სასტუმრო?<br>• პრეზენტაციის შემდეგ გაუზიარე მეგობრებს:<br>• რამდენად ძნელია/ იოლია ინტერნეტით შესაბამისი ინფორმაციის</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | შესამზადებელი დავალებაა. მოსწავლეებმა ტექსტები სტანდარტულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად კი არა, არჩევანის გასაკეთებლად უნდა წაიკითხონ.<br>კურორტის არჩევის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ თავიანთი ფინანსური მდგომარეობის (დავალების მიხედვით — 300 ლარი) შესაბამისი სასტუმრო, გააცნონ პირობები თანაკლასელებს და დაასაბუთონ საკუთარი არჩევანი **(კომპლექსური დავალება #11).** ეს დავალება მოითხოვს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარს, ავარჯიშებს კითხვისა და ლაპარაკის უნარებს — მოსწავლეებმა ინტერნეტში უნდა მოიძიონ და დაათვალიერონ არაერთი განცხადება, სანამ მიაგნებენ სასურველს. გარდა ამისა, მათ დამაჯერებლად უნდა დაასაბუთონ საკუთარი არჩევანი.<br>იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ყურადღებით მოუსმინონ ერთმანეთს, შეიძლება მივცეთ დამატებითი დავალება — წარმოდგენილი პრეზენტაციების მიხედვით ბავშვებმა კენჭისყრით უნდა ამოირჩიონ, მათი აზრით, საუკეთესო სასტუმრო.<br>ვფიქრობთ, ეს იქნება მოსწავლეებისთვის საკმაოდ სახალისო დავალება, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, დაგეგმონ და განახორციელონ სამუშაო, გადაჭრან ისეთი პრობლემა, რომელსაც, ჩვეულებრივ, მათ ნაცვლად უფროსები აგვარებენ.<br><br>**რესურსები:**<br>რვეული, წიგნი, კალამი, აუდიორესურსის მოსასმენი ტექნიკური აღჭურვილობა | • მოძიება და გადაწყვეტილების მიღება? |
| | **შეფასების კრიტერიუმები**<br>**თემის ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია:**<br><br>სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა;<br>სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სარეკლამო განცხადების გაგება და შექმნა კონკრეტული საყრდენების მიხედვით;<br>ინტერნეტიდან საჭირო იფორმაციის მოძიება, არჩევანის გაკეთება და არჩევანის დასაბუთება<br>საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების ზეპირად და/ან წერილობით გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;<br>ნასწავლი ენობრივი საშუალებებისა და სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება.<br>ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა.<br>სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება. | |

<table>
<tr><td></td><td colspan="3">II ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td></td>
<td>საკითხი და ქვეცნებები:<br>სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციაში მონაწილეეები, კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; კომუნიკაციის ადგილი, დრო;<br><br>მეტყველების ფუნქციური ტიპები: აღწერა<br><br>სამეტყველო აქტები:<br><br>ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, შეხვედრის დანიშვნა);<br>ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად (გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.);<br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, ინტერესი )<br>ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ (დროში ლოკალიზება, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).<br><br>ქვეცნებები:<br><br>ტექსტის ტიპები - არამხატვრული<br><br>ტექსტის ჟანრები -<br><br>საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო სასწავლო რესურსები;</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:<br><br>1. როგორ შემიძლია გავიგო ყოველდღიური ჩვეულებრივი დიალოგი?<br>2. როგორ შემიძლია გამოვიყენო მოსმენილ დიალოგში გაგონილი ლექსიკა და ფრაზები ჩემს საუბარში?<br>3. როგორ გამოვიყენო ჩემი ენობრივი ცოდნა საუბრის დროს?<br>4. როგორ ვისაუბრო ჩემი უახლოესი გეგმებისა და თავისუფალი დროის გატარების შესახებ?</td>
<td>კომპლექსური დავალება<br><br>მოუყევი მეგობრებს შენი უახლოესი გეგმების შესახებ – რის გაკეთებას აპირებ არდადეგებზე?<br><br>საუბრის დაწყებამდე:<br>• გონებაში ჩამოთვალე ყველა ის აქტივობა, რისი გაკეთებაც გინდა ადადეგებზე (თუ საჭიროდ თვლი, ჩამოწერე ფურცელზე).<br><br>საუბრისას:<br>• გამოიყენე შესაბამისი ლექსიკა და ფრაზები;<br>• გამოიყენე მყოფადის მწკრივის ზმნები;<br>• ასევე, შეგიძლია გამოიყენო საყრდენი გამოთქმები: „ალბათ“, „შესაძლოა“, „ვფიქრობ“.<br><br>საუბრის შემდეგ აღნიშნე:<br>• რამდენად გაგიჭირდა საუბარი?<br>• როგორ ფიქრობ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ უფრო თავისუფლად ილაპარაკო?</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | <u>სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები</u>: თემატური დიალოგები, აღწერითი ტექსტები.<br>**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (მაგ., *ილუსტრაცია, ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი);*<br>**ქვეცნებები:** მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა<br><br>**ენობრივი საკითხები:**<br>• <u>მორფოლოგია:</u> მყოფადი, ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; სუბიექტური პირების გამოხატვა;<br>• <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი<br><br>**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);<br><br>**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;<br><br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**<br><br>დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br>ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.<br>**საკითხები**:<br><br>სოციოკულტურული რეალიები, ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, სამყაროსეული ხედვა. | | |

აქტივობები:

<u>სავარჯიშოები და დავალებები 12-18</u>

**<u>ტექსტის მოსმენა-გაგების სავარჯიშოები, გრამატიკული სავარჯიშოები, კომპლექსური დავალება</u>**

**სავარჯიშო 12**

**სავარჯიშოები 12 და 13** მოსასმენი ტექსტის გაგება-გააზრების სავარჯიშოებია. მოსასმენ ტექსტში გააქტიურებულია მყოფადის ფორმები და მე-13 სავარჯიშოს შესრულების დროს მოსწავლეს უწევს გამოტოვებულ ადგილებში ობიექტების ჩაწერა. ამ სავარჯიშოს ბ ქვეპუნქტი კი მას დააფიქრებს ჩაწერილი სიტყვების სინტაქსურ ფუნქციასა და ობიექტის ბრუნვაზე მყოფადის მწკრივის ზმნებთან.

**დავალება 14** როლური თამაშია. მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ დიალოგის დაზეპირება, მათ უბრალოდ პუნქტუაციის გათვალისწინებით და სატანადო ინტონაციით უნდა წაიკითხონ დიალოგი. თუმცა, თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ დიალოგის ზეპირად გათამაშება, შეუძლია ეს მითითებაც მისცეს. ამასთანავე აუცილებელი არაა, მოსწავლეებმა სიტყვა-სიტყვით დაიმახსოვრონ ტექსტი. მათ შეიძლება ჰქონდეთ იმპროვიზაციის საშუალებაც. მაგრამ მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქცევინოს მყოფადის ფორმებსა და მათ სწორ გამოყენებაზე.

**დავალება 15** ახსენებს მოსწავლეებს მყოფადის წარმოების სხვადასხვა გზას (ზმნისწინით, -ი-ებ- პრეფიქს-სუფიქსით, თავისებური წარმოება). მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ ცხრილებს და აღმოაჩინონ, რომ ცხრილებში ზმნები სწორედ ამ პრინციპითაა დალაგებული. თუ მათ ამ დავალების შესრულება უჭირთ, მასწავლებელმა დამატებითი შეკითხვები უნდა დაუსვას და მიიყვანოს სწორ პასუხამდე (მაგალითად, რით განსხვავდება აწმყოსა და მყოფადის ფორმები ერთმანეთისგან პირველ ცხრილში? მეორე ცხრილშიც ასეთივე განსხვავებებია? რა ხდება მესამე ცხრილში? და ა.შ.)

მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქცევინოს ბავშვებს, რომ, მართალია, მათთვის ნაცნობი --ობ- თემისნიშნიანი ზმნების უმრავლესობა მყოფადის მწკრივს მეორე ცხრილის შესაბამისად აწარმოებს, მაგრამ -ობ-თემისნიშნიანი -ა-პრეფიქსიანი ზმნები პირველი ცხრილის ფორმების მსგავსად ზმნისწინს დაირთავენ მყოფადში.

**სავარჯიშოები 16-19** ამავე გრამატიკულ საკითხებს (მყოფადის წარმოება და ობიექტის ბრუნვა მყოფადთან) ეხება. მოსწავლეები ვარჯიშობენ მყოფადის მწკრივის წარმოებაზე, შესაბამის კონსტრუქციებზე და ემზადებიან კომპლექსური დავალებისთვის, სადაც უნდა გამოიყენონ აღნიშნული ფორმები და კონსტრუქციები.

| | | | |
|---|---|---|---|
| | კომპლექსური დავალებაში მოსწავლეებმა მომავალ დროში (მყოფადის მწკრივი) უნდა ისაუბრონ თავიანთი უახლოესი გეგმების შესახებ. ნიმუშად მათ შეუძლიათ გამოიყენონ მოსმენილ და შემდეგ გათამაშებულ დიალოგში გამოყენებული ზმნები და კონსტრუქციები, რომლებზეც სავარჯიშოებშიც იმუშავეს და ასევე შექმნან ანალოგიური კონსტრუქციები სხვა ნაცნობი ზმნების მეშვეობით. თუ საჭიროდ ჩათვლის, მასწავლებელი დასვამს დამატებით შეკითხვებს, ასე ვთქვათ, დიალოგს გამართავს მოსწავლესთან.<br>თუ კლასი მრავალრიცხოვანია და ჭირს ყველა მოსწავლის დაფასთან გამოძახება, შესაძლებელია, მასწავლებელმა  ეს დავალება სახლში მისცეს: მოსწავლეები ჩაიწერენ ვიდეოს და გაუგზავნიან მასწავლებელს. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა გააფრთხილოს, რომ მოსწავლეებმა ვიდეოს ჩაწერისას უნდა ილაპარაკონ კამერის წინ (და არა წაიკითხონ წინასწარ დაწერილი ტექსტი). ეს უფრო კარგი საშუალება იქნება ლაპარაკის უნარის თვითშეფასებისთვის. გარდა ამისა, მოსწავლეებს შეეძლებათ, იმდენჯერ ჩაწერონ ვიდეო, რამდენჯერაც სურთ, სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევენ. | | |
| | **რესურსები:** | | |
| | **შეფასების კრიტერიუმები:**<br>**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**<br>1. სათანადო სტრატეგიების გამოყენებით დიალოგის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა, საკუთარ უახლოეს გეგმებზე საუბარი და ენობრივი საშუალებების სათანადოდ გამოყენება, საკუთარი საუბრის შეფასება და სათანადო დასკვნების გამოტანა მისი გაუმჯობესების მიზნით | | |
| | **III ეტაპის შუალედური მიზნები** | | |
| | **საკითხი და ქვეცნებები:** | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:** | **კომპლექსური დავალება/ დავალებები** |
| | **აქტივობები:** | | |
| | **რესურსები:** | | |

**მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:**

- საინფორმაციო ტექსტები და ინტერნეტში მოცემული სარეკლამო განცხადებები შემიძლია გამოვიყენო ჩემი მომავალი საქმიანობის დასაგეგმად;
- სარეკლამო განცხადების წერისას მჭირდება შესაბამისი რუბრიკების გათვალისწინება და სათანადო ნიმუშის გამოყენება;
- სარეკლამო განცხადების შედგენის დროს ნიმუშებისა და სხვების გამოცდილების გამოყენებასთან ერთად საჭიროა საკუთარი გარემოს თავისებურებების გათვალისწინება.
- მომავალზე საუბრის დროს მჭირდება მყოფადის მწკრივის ფორმები და შესაბამისი კონსტრუქციები.
- ახალი საკითხის ან თემის შესწავლისას შემიძლია განვსაზღვრო, თუ რაში უნდა გამოვიყენო იგი, რა დამჭირდება ამის შესასწავლად, ვის შემიძლია ვთხოვო დახმარება და სად შემიძლია მოვიძიო ეს დახმარება თუ საჭირო რესურსი.

## თავი 6 - დიდი და პატარა გამოგონებები

| |
|---|
| **კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:**<br><br>I. <u>მე და სამყარო:</u><br><br>**ყველაფერი ჩემ შესახებ** (მონაცემები, ინტერესები, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა )<br>**პიროვნებათშორისი ურთიერთობები** (ოჯახური ურთიერთობები, თაობებს შორის ურთიერთობები); |
| **თემატური საკვანძო შეკითხვები:**<br><br>1. რას ეხება სტატია / სასწავლო ტექსტი / აუდიოტექსტი?<br>2. რა დამეხმარა სტატიის / სასწავლო ტექსტის / აუდიოტექსტის გაგებაში?<br>3. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ სტატიის / სასწავლო ტექსტის / აუდიოტექსტის გასაგებად?<br>4. რამ შემიშალა ხელი სტატიის / სასწავლო ტექსტის / აუდიოტექსტის გაგებაში და რატომ?<br>5. მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა?<br>6. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?<br>7. მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? |
| **თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:**<br><br>**კომუნიკაცია**<br><br>**ქვეცნებები:**<br><br>**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციაში მონაწილეეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი;<br><br>**მეტყველების ფუნქციური ტიპები:** თხრობა, აღწერა<br><br>**სამეტყველო აქტები:**<br><br>**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (საგნის/საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / სურვილების გაზიარება ( საქმიანობა, გეგმები)<br>**ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, ადგილმდებარეობისა მითითება)<br><br>**ტექსტის ტიპი და ჟანრი**<br>**ქვეცნებები:**<br><br>**ტექსტის ტიპები** (არამხატვრული) |

**ტექსტის ჟანრები**

საპროგრაგრამო თემატიკაზე მორგებული სასწავლო ტექსტი
მედია/მულტიმედია ტექსტები: სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;
**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება**

**ქვეცნებები:**

**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი);*
**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (მაგ., *ილუსტრაცია, ცხრილი,; ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები;);*
**ინტერპრეტაცია**
**ქვეცნებები:**

ჟანრი; თემა, მოქმედების დრო და ადგილი;

**გრამატიკა**
**ქვეცნებები:** მორფოლოგია, ლექსიკა

**ენობრივი საკითხები:**

- მორფოლოგია: პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური ფორმები: მყოფადი, წყვეტილი, უწყვეტელი, ქცევა (საარვისო, სათავისო, სასხვისო).
- ლექსიკა: სინონიმი, კომპოზიტი;

**ენის სწავლის სტრატეგიები**
**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**

დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.
ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

| | | | |
|---|---|---|---|
| **სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)**<br>**ქვეცნებები:**<br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა; | | | |
| **სამეტყველო აქტები:**<br>**სამეტყველო აქტები:**<br>**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (საგნის/საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / სურვილების გაზიარება ( საქმიანობა, გეგმები)<br>**ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, ადგილმდებარეობის მითითება)<br>**ლოგიკური კავშირების გამოხატვა:**<br>მიზეზი, შედეგი, მიზანი | | **ენობრივი საკითხები:**<br>• <u>მორფოლოგია:</u> პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური ფორმები: მყოფადი, წყვეტილი, ქცევა<br>• <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, კომპოზიტი; | |
| **თემატური ლექსიკა:**<br>გამოგონებების, საყოფაცხოვრებო საგნების ამსახველი ლექსიკური ერთეულები | | | |
| **ტექსტის ტიპები და ჟანრები:**<br>**ტექსტის ტიპები -** არამხატვრული<br>**ტექსტის ჟანრები -**<br>საპროგრამო თემატიკაზე მორგებული სასწავლო ტექსტი<br><u>მედია/მულტიმედია ტექსტები:</u> სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები; | | | |
| **სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**<br>**საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)** | **I ეტაპის შუალედური მიზნები** | | |
| | **საკითხი და ქვეცნებები:**<br>სასწავლო ტექსტი<br>აუდიო ტექსტი | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:**<br>1. რას ეხება სასწავლო და აუდიო ტექსტები?<br>2. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო სასწავლო და აუდიო ტექსტების უკეთ გასაგებად? | **კომპლექსური დავალება/ დავალებები** |

<table>
<tr>
<td rowspan="2">კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;<br><br>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.<br><br>წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br><br>ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 4, 5)<br><br>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.<br><br>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br><br>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე</td>
<td></td>
<td>3. როგორ გამოვიყენო სასწავლო და აუდიო ტექსტებში მოცემული ინფორმაცია კონკრეტულ თემაზე სასაუბროდ?<br>4. რა გრამატიკული ცოდნა მჭირდება კონკრეტულ თემაზე საუბრისთვის?</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება N1<br><br>საუბარი თემაზე – ჩემი ოცნების რობოტი<br><br>საუბრის დაწყებამდე კარგად მოიფიქრე, რომელ საქმეში გჭირდება დახმარება ყველაზე მეტად? რატომ?<br><br>ისაუბრე, რას გააკეთებს შენი ოცნების რობოტი?<br><br>გაითვალისწინე:<br>• დაგჭირდება ზმნის მყოფადის მწკრივის ფორმები;<br>• ზმნის მყოფადის მწკრივის ფორმებთან ობიექტი მიცემით ბრუნვაში დგას.<br><br>საუბრის დასრულების შემდეგ დაფიქრდი:<br>• რომელი აზრის გადმოცემა გაგიჭირდა?<br>• როგორ უნდა გაიუმჯობესო ლაპარაკის უნარი?</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">აქტივობები:<br><br>მოსმენამდე ატივობა<br><br><u>N1 – მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და გამოთქვამენ ვარაუდებს, რა მოხდება შემდეგ?</u><br><br>ამ აქტივობის შესრულებისას მნიშვნელოვანია ილუსტრაციებზე დაკვირვება და იმ ლექსიკური ერთეულების გააქტიურება (კარგი იქნება მათი დაფაზე დაწერაც), რომლებიც ტექსტის გაგება-გააზრებას დაეხმარება, მაგ. რეცხავს / გარეცხვა, ალაგებს / დალაგება, ეხმარებიან / დახმარება, ოთახი, სამზარეულო, ჭურჭელი... ასევე მნიშვნელოვანია, ამ სიტყვების გამოყენებით წინადადებების შედგენა და წინადადებების კონსტრუქციებზე ყურადღების გამახვილება. მაგ. ბიჭი რეცხავს ჭურჭელს...<br><br>მოსმენის აქტივობა<br><br><u>N2 – მოსწავლეები ისმენენ აუდიო ტექსტს და სიტყვანაკლულ ტექსტში წერენ გამოტოვებულ სიტყვებს.</u><br><br>რეკომენდებულია, მოსწავლეებმა მოსასმენი ტექსტი ორჯერ მოისმინონ.<br><br>მოსმენის შემდგომი აქტივობები<br><br><u>N3 – მოსწავლეები უპასუხებენ შეკითხვებს.</u><br><br>შეკითხვების ნაწილი (1,2,3,4) მიზნად ისახავს უშუალოდ წინარე ტექსტების გაგება-გააზრებას, ხოლო ნაწილი (5,6) — საკუთარი აზრისა და დამოკიდებულებების გადმოცემას; მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ფასილიტაცია გაუწიოს მოსწავლეებს განსაკუთრებით ბოლო ორ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას პასუხისთვის სათანადო კონსტრუქციების, დამატებითი შეკითხვების შეთავაზებით.</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.<br><br>**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)**<br><br>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;<br><br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.<br><br>**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)**<br><br>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით;<br><br>ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი | **<u>N4 – მოსწავლეები აღწერენ რობოტს.</u>**<br><br>რობოტის აღწერისას საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა შეახსენოს მოსწავლეს საჭირო კონსტრუქცია: რობოტ-ი ალაგებს სახლ-ს.<br><br>**<u>N5 – გრამატიკული სავარჯიშოები (მყოფადის წარმოება)</u>**<br><br>მოსწავლეებს, შესაძლოა, გაუჭირდეთ პირველ შეკითხვაზე პასუხის გაცემა (განსხვავების პოვნა აწმყოს და მყოფადის ზმნის ფორმებს შორის), ამიტომ რეკომენდებულია, მასწავლებელმა ხმამაღლა წაიკითხოს ზმნა ჯერ პირველი სვეტიდან: სადილობს და დასვას შეკითხვა: როდის? (პასუხი იქნება: ახლა); შემდეგ წაიკითხოს მეორე სვეტიდან: ისადილებს და დასვას შეკითხვა: როდის? (პასუხი იქნება ხვალ, მომავალში). ამგვარად წაიკითხოს მთელი ცხრილი, ამის შემდეგ თვალსაჩინო იქნება განსხვავება პირველ და მეორე სვეტის ზმნებს შორის და მოსწავლეები აღარ დაბრკოლდებიან შეკითხვაზე (რა განსხვავებაა პირველი და მეორე სვეტის ზმნებს შორის?) პასუხის გაცემისას.<br><br>**<u>N6 – გრამატიკული სავარჯიშოები (მყოფადის წარმოება)</u>**<br><br>ამ აქტივობის ეფექტი ისაა, რომ მოსწავლეები უკვე შესრულებული დავალების დახმარებით (N2) დაბრკოლების გარეშე მოუძებნიან წყვილს ზმნების აწმყოს ფორმებს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მოსმენის დავალება N2 შესრულდეს ხარისხიანად. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეებს მიზანმიმართულ შეკითხვებს დაუსვამს უკვე შევსებული ტექსტიდან. მაგ. რას გააკეთებს რობოტი?<br><br>**<u>N7 – მოსწავლეები გაითამაშებენ აუდიო ტექსტით გადმოცემულ სიტუაციას.</u>**<br><br>დიალოგის გათამაშების დროს მიზანშეწონილია, საკვანძო სიტყვები (ფრაზები) დაწერილი იყოს დაფაზე.<br><br>**<u>N8 – გრამატიკული სავარჯიშოები (მყოფადის მწკრივის ზმნების გამოყენებაში გავარჯიშება, საარვისო, სათავისო და სასხვისო ქცევის ზმნები)</u>**<br><br>ამ დავალების შესრულებამდე მასწავლებელმა უნდა განუმარტოს მოსწავლეებს მყოფადში ზმნასთან ობიექტის ბრუნვაში ურთიერთობის წესი (მიც. ბრუნვა) და შეახსენოს მათ, კიდევ რომელ დროში მოქმედებს იგივე წესი? | |

<table>
<tr>
<td rowspan="3">ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;<br><br>პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.<br><br>გრამატიკა (შედეგები 5)<br><br>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;<br><br>გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.<br><br>ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები)<br><br>(შედეგები 1, 2, 3, 5)<br><br>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა</td>
<td><u>N9 – გრამატიკული სავარჯიშოები (მყოფადის მწკრივის ზმნების გამოყენებაში გავარჯიშება, საარვისო, სათავისო და სასხვისო ქცევის ზმნები)</u><br><br>რეკომენდებულია, მასწავლებელმა განიხილოს საარვისო, სათავისო და სასხვისო ქცევის სხვა მაგალითებიც და წინადადების კონტექსტის დახმარებით აუხსნას მოსწავლეებს თითოეული ფორმის ფუნქცია.<br><br><u>N10 – საუბარი თემაზე – ჩემი ოცნების რობოტი</u><br><br>კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე, საჭიროა მასწავლებელი კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა შესაბამისი ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული კონსტრუქციები. ამის გარკვევას მასწავლებელი შეძლებს შესწავლილი მასალის შესახებ შეკითხვებზე პასუხის მიღებით.ასევე, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი დარწმუნდეს, რომ მოსწავლეებმა ზუსტად გაიგეს კომპლექსური დავალების ინსტრუქცია.</td>
<td rowspan="2"></td>
</tr>
<tr>
<td>რესურსები:<br><br>მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, აუდიო ტექსტი</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">შეფასების კრიტერიუმები<br><br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br><br>საუბრის თემისა და მიზნის, ძირითადი საკითხების, მისთვის საინტერესო მნიშვნელოვანი დეტალების გაგება; თანამოსაუბრეთა თვალსაზრისებისა და დამოკიდებულებების, მათი განწყობისა და ემოციების ამოცნობა(ქ.მ.საბ. 1. 5); ზეპირი მეტყველებისას ტექსტის ფორმალური მხარის დაცვა; საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი სტრუქტურული და სტილური მახასიათებლების შერჩევა; ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების კონტექსტის შესაბამისად გამოყენება; აზრის თანამიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება (ქ.მ.საბ. 2. 4. 5. 6);<br>სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისას შესასრულებელი სამუშაოს თანამიმდევრობისა და მისი განხორციელების ეტაპების შედგენა; დავალების შესრულებისას საკომუნიკაციო ამოცანის შესატყვისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; შედეგებზე დაკვირვებით გამოყენებული სტრატეგიების შეფასება სათანადოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით; იმ მიზეზებისა და ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში (ქ.მ.საბ. 10. 11. 12).</td>
</tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="3">გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს;<br><br>თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br><br>ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები.<br><br>ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br><br>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)<br><br>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს;</td><td colspan="3">II ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები:<br><br>არამხატვრული ტექსტი (სტატია),<br><br><u>მორფოლოგია:</u> პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური ფორმები: მყოფადი, წყვეტილი<br><u>ლექსიკა:</u> სიტყვების და ფრაზების განმარტებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:<br><br>1. რას ეხება სტატია?<br>2. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო სტატიის უკეთ გასაგებად?<br>3. როგორ გამოვიყენო სტატიაში მოცემული ინფორმაცია მონოლოგის ტიპის ტექსტის შესაქმნელად?<br>4. რა გრამატიკული ცოდნა მჭირდება მონოლოგის ტიპის ტექსტის შესაქმნელად?</td><td>კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
<tr><td>აქტივობები:<br><br>ტექსტის წაკითხვამდე აქტივობები<br><br><u>N11,12,13 – აქტივობებში გააქტიურდება თემისთვის საჭირო ლექსიკური ერთეულები და ფრაზები;</u><br><br>11-12 დავალებების მიზანია თემის შესაბამისი ლექსიკური ერთეულების (არა მხოლოდ ილუსტრაციებზე არსებულის) გააქტიურება; ამიტომ მასწავლებელი არ უნდა შემოიფარგლოს მოცემული გამოგონებებით, საურველია მოიძიოს სხვა რესურსიც და ამით უფრო დააინტერსოს მოსწავლეები.<br><br>მე-13 დავალება აზუსტებს საკვანძო ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობას, ამიტომ მათ გამიჯვნის მიზნით მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დამატებით</td><td colspan="2">კომპლექსური დავალება 1<br><br>გაიხსენე რომელიმე ძველი ან ახალი გამოგონება, მოიძიე მასზე ცნობები ინტერნეტში და დაწერე პატარა სტატია.<br><br>მიუთითე:<br><br>• რა გამოგონებას ეხება შენი სტატია?<br>• ვინ გამოიგონა, სად და როდის?<br>• რამდენ ხანს მუშაობდა ავტორი მასზე?<br>• რისთვისაა ეს გამოგონება?<br><br>გაითვალისწინე, რომ დაგჭირდება:<br><br>• სტატიის სათაურის მოფიქრება;<br>• სტატიის დაწერის თარიღისა და ავტორის მითითება</td></tr>
</table>

<table>
<tr>
<td>სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.</td>
<td>გაახსენებინოს კონკრეტული მაგალითები, მაგ.ჩამოთვალონ გამოგონებები, გამომგონებლები...<br><br>აქტივობები ტექსტის კითხვის დროს<br><br><u>N14 – მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და იგეენ გლობალურ დონეზე;</u><br><br>ტექსტი არის სტატია, ის დაყოფილია ეპიზოდებად, რომლებიც მოგვითხრობს ცალკეულ გამოგონებებზე. პირველი წაკითხვის მიზანი უნდა იყოს მხოლოდ გლობალური ინფორმაციის გაგება; მაგრამ ამის მიუხედავად, მასწავლებელმა სტატიის წაკითხვას უნდა დაუთმოს იმდენი დრო, რამდენიც იქნება საჭირო ტექსტის აღსაქმელად, მით უმეტეს, რომ ტექსტის სტრუქტურა იძლევა ამის საშუალებას.<br><br>ტექსტის წაკითხვის შემდგომი აქტივობები:<br><br><u>N15 – ინფორმაციის დახარისხება ტექსტის სელექციურ დონეზე გაგების მიზნით;</u><br><br><u>N16, 17, 18 – ლექსიკური ერთეულების / ფრაზების განმარტება და მათ გამოყენებაში გავარჯიშება</u><br><br>15, 16, 17 და 18 _ ეს დავალებები მიზნად ისახავს სტატიის გაგებას სელექციურ და დეტალურ დონეზე, ამიტომ მათი შესრულების შემდეგ მასწავლებელმა უნდა გადაამოწმოს, რამდენად სრულყოფილად გაიგეს მოსწავლეებმა ტექსტი. ეს შესაძლებელია დამატებითი შეკითხვების დასმით, ამ შეკითხვებში მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ისეთი ფორმები და ფრაზები, რომლებიც განიმარტა დავალებებში. მაგ. რამდენი ადამიანის ადგილია სკუტერზე? (ტექსტში წერია: „სკუტერზე ოთხი ადამიანი ეტევა.“) თუ მოსწავლემ იცის, რას ნიშნავს „ეტევა“, ამ შეკითხვას მარტივად გასცემს პასუხს.</td>
<td><ul><li>სტატიის გაფორმება შესაბამისი ილუსტრაციით, ნახაზით ან ფოტოთი;</li><li>აბზაცების გამოყოფა;</li><li>ზმნის აწმყოს, წყვეტილისა და უწყვეტელის ფორმების გამოყენება შესაბამისი გრამატიკული წესების დაცვით;</li><li></li></ul>წარუდგინე სტატია თანაკლასელებს.<br><br>წარდგენის შემდეგ ისაუბრე:<ul><li>რა მოგეწონა ამ დავალებაში?</li><li>რა დაგეხმარა მის შესრულებაში?</li><li>როგორ და სად მოიპოვე ინფორმაცია სტატიისთვის?</li><li>რა გაიგე ახალი?</li><li>რა სირთულე შეგხვდა დავალებაზე მუშაობის დროს და როგორ გადალახე ეს სირთულე?</li></ul>კომპლექსური დავალება 2<br><br>თქვენ გაეცანით სტატიას ოთხ პატარა გამომგონებელზე.<br><br>აირჩიეთ ამ ოთხი გამომგონებლიდან ერთ-ერთი და თავი წარმოიდგინეთ მის როლში.<br><br>მოიფიქრეთ ტექსტი და შემდეგ ჩაწერეთ ვიდეო რგოლი ამ ტექსტით<br><br>გააცანით საზოგადოებას პროექტი, რომელშიც მიიღეთ მონაწილეობა;<ul><li>მოკლედ აღწერეთ, რა იდეა გაგზავნეთ პროექტის ხელმძღვანელთან;</li><li>რა ფორმით წარადგინეთ ეს იდეა? (დაწერეთ, დახატეთ თუ ზეპირად ისაუბრეთ?)</li><li>ვინ მოვიდა თქვენთან და რა მოხდა შემდეგ?</li><li>რა არის თქვენი გამოგონება და ვისთვისაა ის საინტერესო?</li></ul></td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | **N19, 20, 21 – გრამატიკული სვარჯიშოები (წყვეტილის წარმოება, წყვეტილთან დაკავშირებული კანონზომიერებების განმარტება, ზმნის წყვეტილის მწკრივის ფორმების გამოყენებაში გავარჯიშება)**<br><br>ამ დავალებების მიზანია უწყვეტლისა და წყვეტილის ფორმების სიღრმისეული გაგება და გამიჯვნა ერთმანეთისაგან; ამიტომ, რეკომენდებულია, მასწვლებელმა მოსწავლეებს ეს საკითხი აუხსნას უკვე ნაცნობი ზმნების დახმარებით, ასევე ყურადღება გაამახვილებინოს მიდის (მოდის, გადის, შედის, ადის, ჩადის, გადადის, გამოდის, შემოდის...) და არის ზმნათა განსხვავებულ წესზე (მათი სუბიექტი ყოველთვის, ყველა მწკრივში სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო ობიექტი არ გააჩნია); მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს ტექსტში არსებული წინადადებების განხილვა და ახსნილ გრამატიკულ მასალასთან პარალელის გავლება.<br><br>**N22 – კომპლექსური დავალება**<br><br>კომპლექსური დავალება ითვალისწინებს საჭირო ინფორმაციის ინტერნეტში მოძიებას, შერჩევას. არსებობს რისკი, რომ მოსწავლეები ამას დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ. ამიტომ კომპლექსური დავალების შესრულების დროს გადამწყვეტია მასწავლებლის, როგორც ფასილიტატორის, როლი. ის უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს სათანადო ინფორმაციის მოძიებაში. ამის შემდეგ მასწავლებელმა უნდა გადაამოწმოს, რამდენად ზუსტად გაიგეს მოსწავლეებმა დავალების პირობა და არსი, რამდენად შეუძლიათ მათ მოძიებული მასალიდან დავალებისთვის მთავარი და არამთავარი ინფორმაციის გადახარისხება და ახალი პროდუქტის შექმნა. სასურველია, ერთი სანიმუშო | • როგორ მუშაობს თქვენი გამოგონება?<br>• კარგად დაფიქრდით, რომელი პუნქტის შესრულებისას დაგჭირდებათ აწმყოს ფორმები?<br>• რომელი პუნქტის შესრულებისას დაგჭირდებათ წყვეტილის ფორმები?<br>• რომელი პუნქტის შესრულებისას დაგჭირდებათ მყოფადის ფორმები?<br>• ეცადეთ წარმოაჩინოთ თქვენი ემოციები და განწყობა გამოგონებაზე მუშაობის დროს (ძალიან გამიხარდა, ძალიან ვნერვიულობდი, ძალიან დავიღალე, ძალიან ბედნიერი ვიყავი)<br>• გამოიყენეთ ფრაზები: ჩემი აზრით, მგონი, მისი აზრით, საბედნიეროდ, ჩემდა სასიხარულოდ... |

| | | |
|---|---|---|
| | სტატია ერთობლივად შეიქმნას კლასში, მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეთ მათ ინდივიდუალური დავალება.<br><br>**N23, – გრამატიკული სვარჯიშოები (მყოფადის წარმოება, აწმყოსთან მყოფადის განმასხვავებელ ნიშნებზე დაკვირვება, მყოფადისა და წყვეტილის ფორმებზე დაკვირვება და მათი განსხავავება, მყოფადისა და წყვეტილის მწკრივის ზმნების ფორმების გამოყენებაში გავარჯიშება)**<br><br>ამ დავალების მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ აწმყოს, მყოფადის და წყვეტილის ზმნური ფორმების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით; აწმყოსაგან მყოფადის და მყოფადისაგან წყვეტილის ფორმების მიღების წესზე დაკვირვება. მოსწავლეებს, შესაძლოა, გაუჭირდეთ პირველ და მეორე შეკითხვებზე პასუხის პირდაპირ გაცემა (განსხვავების პოვნა აწმყოს, მყოფადის და წყვეტილის ზმნის ფორმებს შორის), ამიტომ რეკომენდებულია, მასწავლებელმა გაახსენოს ზემოთ შესრულებული დავალება N5 ან თავიდან გაიმეოროს იგივე აქტივობა: ხმამაღლა წაიკითხოს ზმნა ჯერ პირველი სვეტიდან: **ვიგონებ** და დასვას შეკითხვა: როდის? (პასუხი იქნება: ახლა); შემდეგ წაიკითხოს მეორე სვეტიდან: **გამოვიგონებ** და დასვას შეკითხვა: როდის? (პასუხი იქნება ხვალ, მომავალში), ხოლო შემდეგ წაიკითხოს მესამე სვეტიდან: **გამოვიგონე** და დასვას შეკითხვა: როდის? (პასუხი იქნება გუშინ/ ადრე/წარსულში). ამგვარად წაიკითხოს მთელი ცხრილი, ამის შემდეგ თვალსაჩინო იქნება განსხვავება პირველ, მეორე და მესამე სვეტების ზმნებს შორის და მოსწავლეები აღარ დაბრკოლდებიან დავალებაში დასმულ შეკითხვაზე განსხვავების შესახებ. ხოლო მყოფადის და წყვეტილი ფორმების წარმოების წესზე კარგად მიუთითებს წითელი ფერით გამოყოფილი აფიქსები. | |

| | | |
|---|---|---|
| | **N24, 25, 26,27, 28– გრამატიკული სავარჯიშოები (მყოფადის წარმოების ორი ფორმა, უღლებაში გავარჯიშება)**<br><br>N23 დავალების ხარისხიანად შესრულება ამ დავალებების (N 24,25,26,27,28) წარმატებით განხორციელების წინაპირობაა.<br><br>**N29 – (კომპლექსური დავალება) ტექსტის მოფიქრება და ვიდეო რგოლის ჩაწერა საზოგადოებისთვის გამოგონების გაცნობის მიზნით(პატარა გამომგონებლის როლის შესრულება)**<br><br>დავალების წარმატებით განხორციელებისათვის რეკომენდებულია პირობის ზუსტად გაგება, სამიზნე გამოგონების ტექსტის გადამეორება, ვიდეორგოლისთვის საჭირო გრამატიკული პირის ფორმების დაზუსტება, იმის განსაზღვრა, დავალების რომელ ნაწილში რომელი გრამატიკული დროის გამოყენება იქნება სასურველი, ასევე, ემოციის და დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვების გამოყენება. ნიმუშისთვის, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს წინასწარ უჩვენოს რომელიმე გამომგონებლის ვიდეორგოლი - გამოგონების პრეზენტაცია. | |
| | **რესურსები:**<br><br>მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული | |
| | **შეფასების კრიტერიუმები:**<br><br>**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**<br><br>1. სათანადო სტრატეგიების გამოყენებით სტატიის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა, (1) სტატიის შექმნა კონკრეტული საყრდენების მიხედვით (2) და მის შესახებ საუბარი,<br>2. ზეპირი და/ან წერითი მეტყველებისას ტექსტის ფორმალური მხარის დაცვა; საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი სტრუქტურული და სტილური მახასიათებლების შერჩევა; ნასწავლი ენობრივ გრამატიკული საშუალებების კონტექსტის შესაბამისად გამოყენება; აზრის თანამიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება **(ქ.მ.საბ. 2. 4. 5. 6);** | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 3. სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისას შესასრულებელი სამუშაოს თანამიმდევრობისა და მისი განხორციელების ეტაპების შედგენა; საჭირო რესურსების შექმნა და გამოყენება; დავალების შესრულებისას საკომუნიკაციო ამოცანის შესატყვისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; შედეგებზე დაკვირვებით გამოყენებული სტრატეგიების შეფასება სათანადოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით; იმ მიზეზებისა და ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში **(ქ.მ.საბ. 10. 11. 12).** | | |
| | **III ეტაპის შუალედური მიზნები** | | |
| | **საკითხი და ქვეცნებები:** | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:** | **კომპლექსური დავალება/ დავალებები** |
| | **აქტივობები:** | | |
| | **რესურსები:** | | |
| | **შეფასების კრიტერიუმები**<br><br>**მოსწავლემ უნდა შეძლოს:** | | |

**მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:**

- ჩემი თანატოლების გამოგონებების გაცნობა მეხმარება ადამიანების / ჩემი თავის უკეთ შეცნობაში / საკუთარი ან სხვათა შესაძლებლობების შეფასებაში;
- სტატიის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა;
- ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა საკუთარი თავის, ამა თუ იმ საგნის წარდგენა / აღწერა.
- ახალი საკითხის ან თემის შესწავლისას შემიძლია განვსაზღვრო, თუ რაში უნდა გამოვიყენო იგი, რა დამჭირდება ამის შესასწავლად, ვის შემიძლია ვთხოვო დახმარება და სად შემიძლია მოვიძიო ეს დახმარება თუ საჭირო რესურსი.

## თავი 7 – მე – მკითხველი და მწერალი

| |
|---|
| **კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:**<br>I. მე და სამყარო:<br>**ყველაფერი ჩემ შესახებ** - ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, ინტერესები, უახლოესი გეგმები, მომავლის დაგეგმვა/არჩევანის გაკეთება);<br><br>სოციოკულტურა და კულტურა:<br>**ყოველდღიური ცხოვრება** - სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში.<br>**პიროვნებათშორისი ურთიერთობები** - თანატოლებს / თაობებს შორის ურთიერთობები.<br>**ღირებულებები და ფასეულობები** - კულტურა, ტრადიციები, კარგი და ცუდი ქცევა, სიძუნწე, ისტორიული პიროვნებები. |
| **თემატური საკვანძო შეკითხვები:**<br><br>1. რას მეუბნება იგავ-არაკი ადამიანის სხვადასხვაგვარ ბუნებაზე? რას ეხება მასში მოცემული ინფორმაცია?<br>2. რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ?<br>3. რამ შემიშალა ხელი  ტექსტის იდეის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?<br>4. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად, მთავარი აზრის ამოსაცნობად, ლექსიკის ასათვისებლად?<br>5. როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები ტექსტის, თემის, პრობლემის/საკითხის  მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის?<br>6. რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?<br>7. როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? არის თუ არა ჩემი აზრი / იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?<br>8. მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა?<br>9. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?<br>10. მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია? |
| **თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:**<br>**კომუნიკაცია**<br>**ქვეცნებები:**<br><br>**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციაში მონაწილეეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;<br><br>**მეტყველების ფუნქციური ტიპები:**  თხრობა, აღწერა, მსჯელობა |

**სამეტყველო აქტები:**

**ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, მოსაზრებების გაცვლა);
**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება);
**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...);
**ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა..).

**ტექსტის ტიპი და ჟანრი**

**ქვეცნებები:**

**ტექსტის ტიპები -** მხატვრული, არამხატვრული

**ტექსტის ჟანრები -**

<u>მხატვრული ლიტერატურა:</u> პროზაული ნაწარმოებები - ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები.
<u>არამხატვრული ლიტერატურა:</u> ბიოგრაფიული ცნობარი/პორტრეტები, დღიური.
<u>მედია/მულტიმედია ტექსტები:</u> საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;

**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება**

**ქვეცნებები:**

**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** - *სათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა.*
**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** - *ილუსტრაცია, მსხვილი შრიფტი, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, ხმის ტემბრი.*
**აბზაცის სტრუქტურა** - აბზაცი, დასკვნითი წინადადება;

**ინტერპრეტაცია**

**ქვეცნებები:**

ჟანრი; თემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი

**გრამატიკა**

**ქვეცნებები:** მორფოლოგია, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა

**ენობრივი საკითხები:**

- <u>მორფოლოგია:</u> პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); აწმყო, მყოფადი, წყვეტილი.
- <u>მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:</u> სასვენი ნიშნების ხმარება სხვადასხვა ტიპის ტექსტებში (დიალოგი, ნარატივი) .
- <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი;

**ენის სწავლის სტრატეგიები**

**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

<table>
<tr><td colspan="2">
კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br><br>
ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;<br><br>
წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br><br>
ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:<br><br>
ენათშორისი პარალელების გავლება;<br>
დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;<br>
დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br>
ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.<br>
სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)<br>
ქვეცნებები:<br><br>
დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;<br>
ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა<br><br>
საკითხები:<br><br>
სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები;
</td></tr>
<tr><td>
სამეტყველო აქტები:<br>
1.1. სოციალური ურთიერთობები:<br>
კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, მოსაზრებების გაცვლა<br>
1.2. ინფორმაციის გაცვლა:<br>
საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება<br>
1.3. აღწერა-დახასიათება: ადამიანის ხასიათი, თვისებები;<br>
1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა:<br>
დადებითი/უარყოფითი ემოციები, დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა<br>
1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია.<br>
1.7. ლოგიკური კავშირების გამოხატვა:<br>
მიზეზი, შედეგი.
</td><td>
ენობრივი საკითხები:<br>
• <u>მორფოლოგია:</u> პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); აწმყო, მყოფადი, წყვეტილი.<br>
• <u>მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:</u> სასვენი ნიშნების ხმარება სხვადასხვა ტიპის ტექსტებში (დიალოგი, ნარატივი) .<br>
• <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი;
</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="4">თემატური ლექსიკა:<br>ადამიანის ხასიათის და თვისებების გამომხატველი ლექსიკა</td></tr>
<tr><td colspan="4">ტექსტის ტიპები და ჟანრები:<br>ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული<br>ტექსტის ჟანრები -<br>მხატვრული ლიტერატურა: პროზაული ნაწარმოებები, ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები,<br>არამხატვრული ლიტერატურა: ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი,, დღიური.<br>მედია/მულტიმედია ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;</td></tr>
<tr><td rowspan="3">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მყარი წარმოდგენები:<br>საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)<br>კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;<br>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები:<br>კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.<br>წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br><br>ტექსტის ტიპი და ჟანრი<br>(შედეგები 1, 2, 3, 4, 5)<br>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.<br>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.</td><td colspan="3">I ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები:<br>კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br><br>მოსმენის სტრატეგიები მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);<br><br>ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:<br>1. როგორ და რა ფაქტებზე დაყრდნობით გავამყარო ჩემი პოზიცია?<br>2. როგორ, რა გრამატიკული საშუალებებით ჩამოვაყალიბო ჩემი აზრი მოკლედ, რომ დავიცვა რეგლამენტი?<br>3. ხომ არ გამოვიყენო მოკლე ჩანაწერების მეთოდი სხვების აზრის უკეთ დასამახსოვრებლად და დისკუსიის შესაჯამებლად?</td><td rowspan="2">კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br>იგავ-არაკის შეგონებაა: „არ ქონა ცუდია და ცუდად ქონა - უარესი“ .<br>გამართეთ დისკუსია, ეთანხმებით თუ არა ამ დებულებას<br><br>დისკუსიის გამართვამდე<br>• ჩამოაყალიბეთ რამდენიმე არგუმენტი დებულების გასამყარებლად და რამდენიმე - საწინააღმდეგოდ.<br>• მოამზადეთ მოკლე, ზეპირი რეპლიკები შემდეგი გამოთქმების დახმარებით: ვფიქრობ, ეს დებულება სწორია იმიტომ, რომ... ეს დებულება არასწორია იმიტომ, რომ..<br><br>დისკუსიის გამართვისას<br>• დაიცავით რეგლამენტი (თითოეულ გამომსვლელს 1.წთ)<br>• მოუსმინეთ ერთმანეთს და დაასაბუთეთ აზრის გამოთქმა ბოლომდე</td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობები:<br><br><u>წიგნის დავალებები 1-16</u><br><u>რვეულის დავალებები: 2-17</u><br><br>მასწავლებელმა ახალი თემის წარდგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სახელწოდებას „მე - მკითხველი და მწერალი“. სასარგებლო იქნება თუ მოსწავლეები დავალებებისა და სავარჯიშოების შესრულებამდე გაიხსენებენ, რა ჟანრის ტექსტები</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| **ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)**<br>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;<br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.<br>**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)**<br>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით;<br>ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;<br>პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.<br>**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)**<br>ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ | წაუკითხავთ. შესაძლოა მათ ეს სიტყვა ვერ დაასახელონ, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით შეძლებენ ჟანრების სხვა ფორმით იდენტიფიცირებას. მაგალითად იტყვიან, რომ წაუკითხავთ ზღაპარი, მოთხრობა, ბიოგრაფია და სხვ. შემდეგ კი მასწავლებელმა უნდა დასვას შეკითხვა: „დაგიწერიათ თუ არა თავად რამე?“. როგორც წესი, ბავშვებს აქვთ მცდელობები წერონ მცირე მოცულობის ლექსები, დღიურები, გააკეთონ მოკლე ჩანაწერები. ეს საუბარი მასწავლებელს და მოსწავლეებს თემის მიზნების უკეთ მიღწევაში დაეხმარება.<br>იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ცოდნის დონეზე შეძლონ ჟანრების იდენტიფიცირება, მასწავლებელს რეკომენდაცია ეძლევა წიგნის **დავალებები 1 და 2** შემდეგი პრინციპით შეასრულებინოს მოსწავლეებს - ისინი ინდივიდუალურად წაიკითხავენ მოკლე ტექსტებს და შეუსაბამებენ მათ ჟანრებს, ხოლო შემდეგ მთელი კლასი მასწავლებლის დახმარებით იმსჯელებს, რა დაეხმარათ სწორი პასუხის ამოცნობაში. ამ მსჯელობას მასწავლებელი დაუკავშირებს თემის დასაწყისში გამართულ საუბარსაც.<br>მოსწავლეები ასრულებენ რვეულის **სავარჯიშოებს 3-ს და 4-ს.** ამ აქტივობით მასწავლებელი გადაამოწმებს, რამდენად იციან მოსწავლეებმა სასვენი ნიშნების დასახელება და გამოყენების წესები. თუ მოსწავლეებმა არ იციან სასვენი ნიშნების ქართული დასახელებები, ან მათ დანიშნულებას სწორად ვერ განსაზღვრავენ, ამ სავარჯიშოების დახმარებით შეისწავლიან.<br>**სვარჯიშოები 5, 6 და 7** მასწავლებელს საშუალებას აძლევს მოსწავლეები გაავარჯიშოს სასვენი ნიშნების გამოყენებაში ჯერ მოსმენით და დაწერილ ტექსტში სასვენი ნიშნების დასმით, ხოლო შემდეგ ტექსტის შესაბამისი ინტონაციით წაკითხვით. ასევე მოსწავლეები დააკვირდებიან მწერლის ტექსტში გამოყენებულ სასვენ ნიშნებსაც და იმსჯელებენ მათი გამოყენების პრინციპზე. მასწავლებელმა ამ უნარის გავარჯიშებისათვის შეიძლება დამატებით სხვა რესურსებიც გამოიყენოს. ეს უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, რამდენად სწორად გაიგეს და შეასრულეს მოსწავლეებმა შემოთავაზებული სავარჯიშოები. | • შეაჯამეთ, რა დასკვნამდე მიხვედით.<br>• დისკუსიის შემდეგ ისაუბრეთ:<br>• რამდენად საინტერესოა ან რთულია დისკუსიაში მონაწილეობა.<br>• რატომ არის დისკუსია კარგი გზა რაიმე ტემაზე დასკვნის გამოსატანად? |

| | | |
|---|---|---|
| ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);<br>განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში;<br>სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.<br>**გრამატიკა (შედეგები 5)**<br>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;<br>გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.<br>**ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები)**<br>**(შედეგები 1, 2, 3, 5)**<br>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს; თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br>ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები.<br>ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება. | ამის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ წიგნის **დავალება 8-ს** და ეცნობიან იგავ-არაკის ჟანრს. იმისათვის, რომ ბავშვებმა სიღრმისეულად გაიაზრონ რა არის იგავ-არაკი, მასწავლებელმა უნდა გაააქტიუროს მათი წინარე ცოდნა. თუ მოსწავლეები გაიხსენებენ და ისაუბრებენ მშობლიურ ენაზე ნასწავლ იგავ-არაკებზე, აღმოაჩენენ, რომ ასეთ ტექსტებს კონკრეტული დანიშნულება და მიზანი აქვს. ამის გაცნობიერება კი მათ დაეხმარება შემდეგი დავალებების შესრულებაში.<br><br>მასწავლებელს ეძლევა რეკომენდაცია, რომ მოსწავლეებმა **მე-9 დავალება** დამოუკიდებლად შეასრულონ. რადგან საკითხავ ტექსტს თან ახლავს ლექსიკონი და ილუსტრაციები, მოსწავლეებს გაუადვილდებათ ტექსტის შინაარსის დამოუკიდებლად გაგება. ასეთი მიდგომით მასწავლებელი შეძლებს გარემოს დიფერენცირებით შესაბამისი დახმარება გაუწიოს მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფებს - დაეხმაროს მათ, ვისაც ეს სჭირდება, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება მისცეს მათ, ვისაც ეს შეუძლია. მნიშვნელოვანია, რომ კარგად გადამოწმდეს მოსწავლეთა კითხვისა და გაგება-გააზრების ხარისხი. ამისათვის მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ რვეულის **სავარჯიშოები 10-12.** მოსწავლეები გაიმყარებენ ლექსიკურ ცოდნას სიტყვების განმარტების სქემების შესრულებით და ანტონიმური წყვილების დაკავშირებით. **სავარჯიშოები 12 და 13** ერთგვარად შეაჯამებს სასვენი ნიშნების გამოყენების ცოდნას, ხოლო წიგნის **დავალება 14** იგავ-არაკის შინაარსის გაგება-გააზრებას. მასწავლებელს ეძლევა რეკომენდაცია, დავალებაში მოცემული შეკითხვები შეცვალოს, ან დაამატოს ის შეკითხვები, რომლებსაც ამ უნარზე მუშაობისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს.<br><br>იმისათვის, რომ მოსწავლეებმა არა მხოლოდ კითხვა-გააზრების, არამედ ლაპარაკის უნარებიც განივითარონ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის მიერ რვეულის **სავარჯიშო 15-ის** კარგად დაგეგმვას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დავალების პირობას. მოსწავლეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რა საკითხზე დაფიქრდნენ და როგორ გამოხატონ საკუთარი აზრი. მოსწავლეებს მსჯელობისთვის საჭირო გრამატიკული კონსტრუქციები შეიძლება | |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)<br>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს;<br>სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.</td>
<td>დიდფორმატიან ქაღალდზეც დავუწეროთ და მზა დამხმარე რესურსის სახით გავუკრათ თვალსაჩინო ადგილას. ეს მათ დაეხმარება, საუბრის დრო არ შეუფერხდნენ. ეს დავალება ერთგვარი შემზადება იქნება ამ თემის 1-ელი კომპლექსური დავალებისათვის, რომელიც ასევე ზეპირმეტყველების და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას ემსახურება.<br><br>1-ელი კომპლექსური დავალება<br>მოსწავლეებს მკაფიოდ უნდა განემარტოთ რა ფორმატში ასრულებენ შეთავაზებულ დავალებას. ბავშვებმა ზედმიწევნით კარგად უნდა გაიაზრონ დისკუსიის გამართვამდე შესასრულებელი აქტივობები. ამისათვის მათ დასჭირდებათ მასწავლებლის დახმარება და კონკრეტული არგუმენტების მოფიქრება. ამ პროცესს შეიძლება ერთი გაკვეთილიც დაეთმოს, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს დისკუსიისათვის სრულყოფილად მომზადება.<br>ასევე მოსწავლეებმა წინასწარ უნდა გაითავისონ დისკუსიის პროცესში რა წესებით იმოქმედებენ. ამისათვის შესაძლებელია მოდერატორიც შეირჩეს, რომელიც წამზომს ჩართავს თითოეული გამომსვლელისთვის. ასეთი ორგანიზება მოსწავლეებს გამოუმუშავებს დროის ეფექტიანად მართვის უნარს.<br>სასურველია, რომ დისკუსია გაიმართოს დაწყვილებულ გაკვეთილებზე, რათა მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ, მალევე შეაფასონ დისკუსიის და წარმოდგენილი არგუმენტების ხარისხი.<br>სასურველი არ არის ამ ფორმატში მონაწილეობისთვის მოსწავლეების განმსაზღვრელი ქულით შეფასება. უფრო სწორი იქნება თუ მასწავლებელი ბავშვებს მისცემს განმავითარებელ შეფასებას და მათთან ერთად განიხილავს დისკუსიის თითოეული ეტაპის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.</td>
<td rowspan="2"></td>
</tr>
<tr>
<td>რესურსები:<br><br>სახელმძღვანელოს წიგნი, რვეული, მოსასმენი აუდიოფაილი;<br>საშინაო დავალები რვეული.</td>
</tr>
</table>

**შეფასების კრიტერიუმები**
**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**

1. საუბრის თემისა და მიზნის, ძირითადი საკითხების, მისთვის საინტერესო მნიშვნელოვანი დეტალების გაგება; თანამოსაუბრეთა თვალსაზრისებისა და დამოკიდებულებების, დადებითი და უარყოფითი შეფასებების, მათი განწყობებისა და ემოციების ამოცნობა (ქ.მ.საზ. 1. 5);
2. კონკრეტული საკითხის / დასმული პრობლემის მიმართ საკუთარი პოზიციის დასაბუთებული ახსნა - რატომ ფიქრობს ასე; არგუმენტირებული კომენტარების გაკეთება; ცალკეული ქმედებების, ფაქტებისა თუ მოვლენების შეფასება და კონკრეტული დასკვნების გამოტანა; პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან სათანადო მაგალითების დამოწმება საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად (ქ.მ.საზ. 1. 2. 3. 4. 6);
3. ზეპირი და/ან წერითი მეტყველებისას ტექსტის ფორმალური მხარის დაცვა; საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი სტრუქტურული და სტილური მახასიათებლების შერჩევა; ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების (სასვენი ნიშნების ხმარება, სუბიექტისა და ობიექტის გარჩევა) კონტექსტის შესაბამისად გამოყენება; აზრის თანამიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება (ქ.მ.საზ. 2. 4. 5. 6);
4. დავალების შესრულებისას საკომუნიკაციო ამოცანის შესატყვისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; შედეგებზე დაკვირვებით გამოყენებული სტრატეგიების შეფასება სათანადოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით; იმ მიზეზებისა და ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში (ქ.მ.საზ. 10. 11. 12).

**II ეტაპის შუალედური მიზნები**

| საკითხი და ქვეცნებები | საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები | კომპლექსური დავალება/ დავალებები |
|---|---|---|
| **საკითხი და ქვეცნებები:**<br>**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br><br>წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br><br>წყვეტილი, აწმყო, მყოფადი | **საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:**<br>1. რომელი ჟანრი შევარჩიო, რათა უკეთ გადმოვცე ჩემი შესაძლებლობები?<br>2. რას დავეყრდნო წაკითხული ტექსტებიდან ახალი ამბის შექმნისას?<br>3. როგორ გავააქტიურო საჭირო გრამატიკული ფორმები და კიდევ რა ფორმები დამჭირდება ამბის უკეთ გადმოსაცემად? | **კომპლექსური დავალება/ დავალებები**<br><br>შეარჩიე რომელიმე ჟანრი (მოთხრობა, ზღაპარი, დღიური ან იგავ-არაკი) და დაწერე პატარა ამბავი.<br>შეგიძლია აიღო სრულიად ორიგინალური ისტორია, რომელიც მოხდა შენს ცხოვრებაში (სკოლაში, ოჯახში, სოფელში/ქალაქში) ან მოიგონე შენი ფანტაზიით.<br>შეგიძლია აირჩიო რომელიმე პატარა ნაწარმოები (მაგალითად იგავ-არაკი), რომელიც წაკითხული გაქვს მშობლიურ ენაზე და გადაწერო ის ქართულად.<br>დიალოგების დაწერის დროს არ დაგავიწყდეს სასვენი ნიშნები.<br>აუცილებლად გამოიყენე მესამე პირის |

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობები:**<br><br>**<u>წიგნის დავალება - 22</u>**<br>**<u>რვეულის დავალებები 17-24</u>**<br><br>რადგან თემის სათაურია „მე - მკითხველი და მწერალი“, შესაბამისად მასწავლებელმა მოსწავლეებს არა მხოლოდ უნდა წააკითხოს შემოთავაზებული ტექსტები, არამედ უნდა მოამზადოს კიდეც ტექსტის წერისთვის. სხვა მიზნებთან ერთად უკვე შემოთავაზებული დავალებებისა და სავარჯიშოების ნაწილი (ლექსიკის ათვისება, პუნქტუაციის წესების შესწავლა, გრამატიკული კონსტრუქციების გააქტიურება) ამ მიზანსაც ემსახურება. თუმცა, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მხატვრული ტექსტის შექმნა, ეს საკმარისი არ იქნება. ამიტომ მასწავლებელს საშუალება ეძლევა მოსწავლეები საფუძვლიანად ამუშაოს იმ გრამატიკულ საკითხებზე, რომლებსაც ბავშვები გამოიყენებენ წერის პროცესში. **სავარჯიშო 17** მოსწავლეებს გაავარჯიშებს ზმნის წყვეტილის ფორმების გამოყოფასა და სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის იდენტიფიცირებაში. **სავარჯიშოები 18 და 19** მოსწავლეებს გაავარჯიშებს მოსმენასა და სიტყვების სწორი ფორმით აღქმა-ჩაწერაში.<br>მიუხედავად იმისა, რომ მოცემული თავის მიზნები კარგად არის გამოკვეთილი თემის სათაურში, ამ თავს სხვა, ძალიან მნიშვნელოვანი მიზანიც აქვს. შესრულებული დავალებების საფუძველზე, როდესაც ისმენს სულხან-საბასა და ეზოპეს ერთი და იმავე შინაარსის იგავს, მოსწავლე მიხვდება, რომ სხვადასხვა ხალხებს და სხვადასხვა კულტურებს ბევრი საერთო აქვთ. მასწავლებელს ეძლევა რეკომენდაცია მოსწავლეები ასაუბროს ამ საკითხზე, სთხოვოს მათ, გაიხსენონ, ხომ არ გაუგიათ მშობლიურ ენაზე მსგავსი იგავა-არაკი, ან რა ანდაზები და გამოთქმები იციან სიძუნწესთან დაკავშირებით. ამ საუბარს შეაჯამებს რვეულის **სავარჯიშო 20,** რომლის საშუალებითაც მოსწავლეები შეძლებენ ორი ტექსტის საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლების გამოკვეთას. გრამატიკული საკითხის შეჯამების ფუნქცია აქვს **21-ე სავარჯიშოს,** რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ჩაწერენ სუბიექტს და ობიექტს შესაბამის ბრუნვებში.<br>ამის შემდეგ მოსწავლეებს აღარ გაუჭირდებათ წიგნში მოცემული **22-ე სავარჯიშოს** ვრცელ **გრამატიკულ ბლოკში** სუბიექტებსა და ობიექტებზე დაკვირვება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. ის, რაც მოსწავლეებმა პრაქტიკულად გააკეთეს შემოთავაზებული ტექსტების | ფორმები წყვეტილში (მინიმუმ 10 ფორმა) |

დახმარებით, გრამატიკულ ბლოკში გადმოტანილია სქემის სახით. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები ადვილად იმსჯელებენ თუ როგორი ფორმით გვხდება სუბიექტი და ობიექტი აწმყოს, მყოფადისა და წყვეტილის მწკრივებში. შემდგომში, ტექსტის წერის დროს კი მათ საშუალება ექნებათ საჭიროებისამებრ დაიხმარონ მოცემული გრამატიკული ბლოკი.

**სავარჯიშო 23** შეაჯამებს შესწავლილ გრამატიკული საკითხის ცოდნას. მასწავლებელს მიეცემა საშუალება შეაფასოს წერისას სწორად სვამენ თუ არა მოსწავლეები სუბიექტს ბრუნვაში და შემდეგ დააკვირდეს როგორ იყენებენ იმავეს მოსწავლეები ზეპირმეტყველებაში. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მასწავლებელს რეკომენდაცია ეძლევა საკითხზე იმუშაოს დამატებით.

**მე-2 კომპლექსური დავალება**

ეს კომპლექსური დავალება გულისხმობს მოსწავლის, როგორც „მწერლის“ უნარების გამოვლენას და გააქტიურებას. ამიტომ მასწავლებლებს ეძლევათ რეკომენდაცია, მეტი თავისუფლება მისცენ მოსწავლეებს თემისა და ჟანრის შერჩევაში. მასწავლებლემა ამ ეტაპამდე შესრულებულ დავალებებზე დაკვირვებით უნდა გამოკვეთოს სხვადასხვა მზაობის მოსწავლეები და მათ შესაბამისი ფორმატით შესთავაზოს კომპლექსური დავალების შესრულება. მაგალითად: მაღალი მზაობის მოსწავლეებმა იმუშაონ დამოუკიდებლად ან წყვილებში, საშუალო მზაობის მოსწავლეებმა დავალება შეასრულონ ჯგუფურად, ხოლო იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც მეტი დახმარება სჭირდებათ, თავად იმუშაოს.

მნიშვნელოვანია, ყველა შესრულებული დავალების პრეზენტაცია განხორციელდეს, თუმცა, პრეზენტაციამდე მასწავლებლემა მოსწავლეებთან ერთად უნდა იმუშაოს დასრულებული ტექსტების კორექტურაზე. ეს ერთგვარ განწყობას შექმნის, რომ ტექსტები მუშავდება გამოსაქვეყნებლად. საბოლოო ეტაპზე კი მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ნამუშევრები მართლაც გამოაქვეყნონ - დაბეჭდონ ან განათავსონ სკოლის ვებგვერდზე საკუთარი ავტორობის მითითებით.

| | | | |
|---|---|---|---|
| | **რესურსები:**<br><br>სახელმძღვანელოს წიგნი, რვეული, საშინაო დავალები რვეული. | | |
| | **შეფასების კრიტერიუმები:**<br>**მოსწავლეს შეუძლია:**<br><br>1. წერითი მეტყველებისას ტექსტის ფორმალური მხარის დაცვა; საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი სტრუქტურული და სტილური მახასიათებლების შერჩევა; ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების (სუბიექტის ბრუნვა აწმყოში, წყვეტილსა და მყოფადში) კონტექსტის შესაბამისად გამოყენება; აზრის თანამიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება (ქ.მ.საბ. 2. 4. 5. 6);<br>2. დავალების შესრულებისას საკომუნიკაციო ამოცანის შესატყვისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; შედეგებზე დაკვირვებით გამოყენებული სტრატეგიების შეფასება სათანადოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით; იმ მიზეზებისა და ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში (ქ.მ.საბ. 10. 11. 12). | | |
| | **III ეტაპის შუალედური მიზნები** | | |
| | **საკითხი და ქვეცნებები:** | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:** | **კომპლექსური დავალება/ დავალებები** |
| | **აქტივობები:** | | |
| | **რესურსები:** | | |
| | **შეფასების კრიტერიუმები:** | | |

**მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:**

- სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში სხვადასხვა ხერხითაა წარმოდგენილი საინტერესო ამბები;
- თუ მოვინდომებ, მეც შემიძლია საინტერესო ამბავი გავიხსენო ჩემი გამოცდილებიდან ანდა ჩემს თემში არსებული ამბებიდან და სხვებსაც გაუუზიარო;
- ჩემი მოსაზრებების სხვებისთვის გადასაცემად მეხმარება სხვადასხვა მხატვრული ტექსტის გაცნობა.
- ახალი საკითხის ან თემის შესწავლისას შემიძლია განვსაზღვრო, თუ რაში უნდა გამოვიყენო იგი, რა დამჭირდება ამის შესასწავლად, ვის შემიძლია ვთხოვო დახმარება და სად შემიძლია მოვიძიო ეს დახმარება თუ საჭირო რესურსი.

# თავი 8 – დედის და მამის დღე

**კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:**

I. მე და სამყარო:
**ყველაფერი ჩემ შესახებ** – უახლოესი გეგმები, მომავლის დაგეგმვა/არჩევანის გაკეთება

II. სოციოკულტურა და კულტურა:
**ყოველდღიური ცხოვრება** – სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში;
**პიროვნებათშორისი ურთიერთობები** – ოჯახური ურთიერთობები, თაობებს შორის ურთიერთობები;
**ღირებულებები და ფასეულობები** – დღესასწაულები, სხვა ქვეყნები და ხალხები.

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

1. რას მეუბნება მხატვრული და საინფორმაციო ტექსტები დღესასწაულების შესახებ? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?
2. რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ?
3. რამ შემიშალა ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?
4. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?
5. როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები დღესასწაულების შესახე ტექსტის, თემის, პრობლემის/საკითხის მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის?
6. არის თუ არა ჩემი აზრი / ნამუშევარი / იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?
7. მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა?
8. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?
9. მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია?

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:**

**კომუნიკაცია**
**ქვეცნებები:**

**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციაში მონაწილეეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;

**მეტყველების ფუნქციური ტიპები:** თხრობა, აღწერა, მსჯელობა

**სამეტყველო აქტები:**

**ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** – თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა;
**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** – საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება )გეგმები/განზრახვა);
**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** –პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება;
**ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** – დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია.

**ტექსტის ტიპი და ჟანრი**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის ტიპები -** მხატვრული, არამხატვრული

**ტექსტის ჟანრები -**

მხატვრული ლიტერატურა: პროზაული ნაწარმოებები; ადაპტირებული მოთხრობები;
არამხატვრული ლიტერატურა: საქმიანი ქაღალდები - განცხადება; საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები;
საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;
**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** – *ილუსტრაცია, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ხმის ტემბრი);*
**აბზაცის სტრუქტურა** - აბზაცების გამოყოფა.
**ინტერპრეტაცია**
**ქვეცნებები:**

ჟანრი; თემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი

**გრამატიკა**
**ქვეცნებები:** მორფოლოგია, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა

**ენობრივი საკითხები:**

- მორფოლოგია: II კავშირებითი, მიმღეობა.
- მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები: სასვენი ნიშნების ხმარება საქმიანი ქაღალდების შედგენისას;
- ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი;

**ენის სწავლის სტრატეგიები**
**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**

ენათშორისი პარალელების გავლება;
დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.
ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.
**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)**
**ქვეცნებები:**

დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;
**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა**

**საკითხები**:

სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები;

| | |
|---|---|
| **სამეტყველო აქტები:**<br>**1.1. სოციალური ურთიერთობები:** თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა;<br>**1.2. ინფორმაციის გაცვლა:** საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება ) გეგმები/განზრახვა);<br>**1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა:** –პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება;<br>**1.5. დროში ორიენტირება:** დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია. | **ენობრივი საკითხები:**<br>• მორფოლოგია: II კავშირებითი, მიმღეობა.<br>• მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები: სასვენი ნიშნების ხმარება საქმიანი ქაღალდების შედგენისას;<br>• ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი; |

<table>
<tr><td colspan="4">თემატური ლექსიკა:<br>დღესასწაულები,  თავაზიანობისა და პატივისცემის გამომხატველი ლექსიკა;</td></tr>
<tr><td colspan="4">ტექსტის ტიპები და ჟანრები:<br>ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული<br>ტექსტის ჟანრები -<br>მხატვრული ლიტერატურა: პროზაული ნაწარმოებები; ადაპტირებული მოთხრობები;<br>არამხატვრული ლიტერატურა:  საქმიანი ქაღალდები - განცხადება; საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები;<br>საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;</td></tr>
<tr><td rowspan="2">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:<br>საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)<br>კომუნიკაცია გულისხმობს  ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;<br>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.<br>წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br><br>ტექსტის ტიპი და ჟანრი<br>(შედეგები 1, 2, 3, 4, 5)<br>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.<br>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული</td><td colspan="3">I ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები:<br>კომუნიკაციაში მონაწილეეები, მათი ვინაობა;<br>კითხვის  სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br><br>II კავშირებითი, მიმღეობა.</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:<br>როგორ მოვიფიქრო და გავაკეთო ორიგინალური წარწერა მეგობრის საჩუქარზე?</td><td>კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br>წარმოიდგინე, რომ სარვამარტო საჩუქარი უნდა მოუმზადო ქართველ მეგობარს. მოიფიქრე, რას დააწერდი საჩუქარს.<br><br>წარწერის გაკეთებისას არ დაგავიწყდეს დაწერო:<br>• მიმართვა (ვის მიმართავ, ვის ელაპარაკები);<br>• მილოცვა;<br>• სურვილები, მათ შორის მიმღეობის ფორმით;<br>• რატომ შეარჩიე მაინცდამაინც ეს საჩუქარი?<br><br>გაითვალისწინე, რომ წარწერა უნდა იყოს:<br>მოკლე;<br>• ემოციური (უნდა ჩანდეს შენი ემოციები);<br>• ლამაზი კალიგრაფიით დაწერილი და თუ სურვილი გაქვს, გაფორმებულიც.<br><br>ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:<br>• როგორ ფიქრობ, რით განსხვავდება წარწერა მისალოცი ბარათისგან?<br>• როგორ იმუშავე? რადგან პატარა ტექსტი უნდა დაგეწერა, იოლად გამოგივიდა თუ</td></tr>
</table>

<table>
<tr>
<td rowspan="2">მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.<br>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)<br>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;<br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.<br>ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)<br>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით;<br>ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;<br>პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.<br>ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)</td>
<td></td>
<td></td>
<td>პირიქით, გაგიჭირდა ყველაფრის პატარა ტექსტში დაწერა?<br>• შენ რომ გჩუქნიდეს ვინმე საჩუქარს, რა შინაარსის წარწერა მოგეწონებოდა? მიხედვით ხომ ასაფერს შეცვლი შენს ნაწერში?<br><br>მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ამ თემის პირველ კომპლექსურ დავალებას, რომლის შესრულებაც მთლიანად დაფუძნებულია მანამდე წაკითხულ ტექსტებსა და შესრულებულ დავალებებზე. მოსწავლეები უკვე იცნობენ საჩუქარზე წარწერის ნიმუშს, იციან შესაბამისი გრამატიკული ფორმები და მკაფიო და თანმიმდევრული ინსტრუქციებით ეს დავალება შესაძლებელია შესრულდეს კლასში.</td>
</tr>
<tr>
<td>აქტივობები:<br><br>სასურველია მასწავლებელმა თემის სათაურის გაცნობისთანავე მოსწავლეებს ჰკითხოს, ახსოვთ თუ არა, როდის არის დედის დღე და როგორ ხვდებიან ისინი ამ თარიღს. ასევე, ჰკითხოს, გაუგიათ თუ არა რამე მამის დღის შესახებ. ეს ბავშვებს გაუჩენს გარკვეულ მოლოდინებს შემოთავაზებულ თემაზე. ამის შემდეგ კი მათ უნდა შეასრულონ წიგნის დავალება 1 და რვეულის სავარჯიშოები 2 და 3. ამ დავალებების მიზანია მოსწავლეებმა ერთმანეთს შეადარონ 2 ტექსტი, რომელიც ერთ თემას ეძღვნება. მოსწავლეები აითვისებენ ახალ ლექსიკურ ერთეულებს და გააცნობიერებენ ქართულ ენაში სიტყვა დედის მნიშვნელობასა და ფუნქციას. ამ კონტექტში ისინი კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მათთვის უკვე ნაცნობი</td>
<td colspan="2"></td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);<br>განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში;<br>სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.<br>**გრამატიკა (შედეგები 5)**<br>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;<br>გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.<br>**ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)**<br>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს;<br>თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა | სიტყვების შედგენილობას „დედამიწა“, „დედაქალაქი“, „დედაენა“ და შეისწავლიან ამავე პრინციპით წარმოქმნილ სხვა სიტყვებსაც.<br>წიგნის **დავალება 4** გულისხმობს ტექსტის გაცნობას ილუსტრაციებზე დაყრდნობით. მასწავლებელს შეუძლია კონკრეტული კლასის ენობრივი კომპეტენციიდან გამომდინარე სხვადასხვა სტრატეგიით/მეთოდით გააცნოს მოსწავლეებს ტექსტის შინაარსი. შეიძლება გამოიყენოს ისეთი მეთოდები, როგორიცაა: „პაუზებით კითხვა და ვარაუდების გამოთქმა“; „კითხვა მონიშვნებით“; „ტექსტის ჯგუფებში წაკითხვა“; „სამოდელო კითხვა“ და.ა.შ., **მე-5 დავალება** ამოწმებს ტექსტის გაგება-გააზრებას და ამ შემთხვევაშიც მასწავლებლებს აქვთ საშუალება დამატებითი შეკითხვებითა და აქტივობებით გადაამოწმონ მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრების პროცესი.<br>რვეულის **სავარჯიშოები 6-8** ემსახურება ტექსტის ლექსიკის დამუშავებას და ტექსტის გაგება-გააზრების გადამოწმებას.<br>წიგნის **დავალება 9** ემსახურება გრამატიკული საკითხის გაცნობას. სასურველია მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს ზმნის შესასწავლი მწკრივის ფორმაზე და მოსწავლეებს უფრო კარგად გააზრებინოს რას ნიშნავს აუცილებელი, სასურველი და შესასრულებელი მოქმედება. ასევე, II კავშირებითის სწავლებას გააადვილებს მწკრივის შეკითხვაზე დაკვირვება და მომავალ დროში შესასრულებელი მოქმედებების ამ შეკიტხვის დასმით გააქტიურება. წიგნის მომდევნო **დავალება 10** უკვე კარგი საშუალებაა | |

| | | |
|---|---|---|
| მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br>ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები.<br>ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br>**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)**<br>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს;<br>სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე. | ბავშვები შესასწავლ ზმნის მწკრივს დააკვირდნენ სხვა მწკრივებთან შედარების გზით. **დავალება 11 და სავარჯიშოები 12-13** საშუალებას მისცემს მოსწავლეს II კავშირებითის ნიმუშები ამოიცნოს, გააქტიუროს და გამოიყენოს სხვადასხვა კონტექსტში.<br><br>წინის **მე-68 გვერდზე** მოცემულია გრამატიკული ბლოკი, რომელიც მოსწავლეს აძლევს ინფორმაციას II კავშირებითის სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვების შესახებ. იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ შემოთავაზებული დავალებებისა და სავარჯიშოების შესრულება, მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს მოსწავლეების წინარე ცოდნა და დარწმუნდეს, რომ მოსწავლეებს ესმით სუბიექტისა და ობიექტის განმარტება და ბრუნვების დასახელებები. ამის შემდეგ მოსწავლეებს მასწავლებლის დახმარებით არ გაუჭირდებათ წიგნის **დავალება 14-15** და **სავარჯიშოების 16-17-ის** შესრულება. რვეულის **სავარჯიშო 18** კი ერთგვარად შეაჯამებს შეთავაზებული გრამატიკული საკითხების გაგება-გააზრების ხარისხს.<br><br>**წიგნის 68-ე და 69-ე** გვერდებზე მოცემულია კიდევ ერთი გრამატიკული საკითხი წარსული და მომავალი დროის მიმღეობა. იქიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა კლასში მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენცია და გრამატიკული საკითხების ცოდნის დონე განსხვავებულია, მასწავლბელმა აღნიშნული საკითხი მოსწავლეებს უნდა მიაწოდოს მათი წინარე ცოდნისა და მზაობის გათვალისწინებით. ყველაზე მარტივი | |

გამოსავალი იქნება, თუ ბავშვები დააკვირდებიან მოცემულ ბლოკში დასმულ შეკითხვას და მის ქვეშ მოცემულ ზმნებს. დაასახელებენ ზმნით გადმოცემული მოქმედების დროს, ხოლო შემდეგ დააკვირდებიან მიმღეობებს, მათ ფორმას, დაუსვამენ შეკითხვას და მასწავლებლის დახმარებით გაიაზრებენ მიმღეობით გადმოცემული სიტყვა მომავალ დროს გამოხატავს თუ წარსულს. იქვე მოცემული **დავალება 19** და რვეულის **სავარჯიშო 20** მასწავლებელს საშუალებას მისცემს გადაამოწმოს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა წარსული და მომავალი დროის მიმღეობები.

წიგნის **დავალება 21** მოსწავლეებს დააბრუნებს თემის შინაარსთან და გაააქტიურებს მათი მეტყველების უნარს. ბავშვები მასწავლებლის დახმარებით ისაუბრებენ საკუთარ გეგმებზე 8 მარტთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, მასწავლებელმა მოსწავლეებს შეკითხვების დასმით საშუალება უნდა მისცეს, რომ მათ საუბრისას გამოიყენონ ზმნის II კავშირებითის ფორმები და წარსული და მომავალი დროის მიმღეობები. **სავარჯიშო 22-ის** შესრულება მთლიანად დაეყრდნობა მოსწავლეთა მიერ ზეპირ მეტყველებაში გააქტიურებული ფრაზებს და წინადადებებს.

**რესურსები:**
სახელმძღვანელოს წიგნი, რვეული, მოსასმენი აუდიოფაილი; საშინაო დავალები რვეული

| | | | |
|---|---|---|---|
| | **შეფასების კრიტერიუმები**<br>**მოსწავლეს შეუძლია:**<br><br>1. სათანადო სტრატეგიების გამოყენებით, მხატვრული ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა, (1) საჩუქარზე მილოცვის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა კონკრეტული საყრდენების მიხედვით (2) და მის შესახებ საუბარი, დიალოგის წარმართვა ან სხვების საუბარში ჩართვა (3);<br>2. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მხატვრული ტექსტის შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების ზეპირად და/ან წერილობით გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება (4), ნასწავლი ენობრივი საშუალებებისა და სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება (5) ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა (6);<br>3. სოციოკულტურული თვალსაზრისით შეთავაზებული ტექსტების გაანალიზება (7), და საკუთარისგან განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა (8), განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებში ინტერპერსონალური უნარების გამოვლენა, თავისუფლად ორიენტირება (9).<br>**4.** ახლობლის მისალოცი ტექსტის შექმნის დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი (10), სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა (11), სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება (12) | | |
| | **II ეტაპის შუალედური მიზნები** | | |
| | **საკითხი და ქვეცნებები:**<br>კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br><br>სასვენი ნიშნების ხმარება საქმიანი ქაღალდების შედგენისას; | **საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:**<br><br>1. როგორ და ვის სახელზე დავწერო განცხადება. რა ფორმით მოვითხოვო მამის დღის დაწესება? | **კომპლექსური დავალება/ დავალებები:**<br><br>დაწერეთ განცხადება მთავრობის სახელზე და ითხოვეთ მამის დღის დაწესება.<br><br>განცხადების წერისას გაითვალისწინეთ განცხადების სტრუქტურა;<br>არ დაგავიწყდეთ თხოვნის არგუმენტირება;<br>წარადგინეთ თქვენ მიერ შედგენილი განცხადება;<br>წარდგენის შემდეგ შეარჩიეთ საუკეთესო განცხადება, შეიტანეთ ცვლილებები; |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | საჭიროების მიხედვით და გაგზავნეთ შესაბამის მისამართზე.<br><br>მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ამ თემის მეორე კომპლექსურ დავალებას. როგორც პირველი მსგავსი დავალების შემთხვევაში, აქაც ბავშვები მზად არიან დამუკიდებლად შეასრულონ დავალება, რადგან მათ უკვე წაკითხული აქვთ შესაბამისი შინაარსის ტექსტი, მათ არგუმენტირებულად ისაუბრეს მამის დღის დაწესების შესახებ და ასევე, იციან განცხადების შედგენის პრინციპი. შესაბამისად, მასწავლებლებს რეკომენდაცია ეძლევათ ამ დავალებაზეც მოსწავლეებმა იმუშაონ კლასში. ეს მასწავლებელს საშუალებას მისცემს უშუალოდ დააკვირდეს მუშაობის პროცესს და მომართოს დიფერენცირების საჭირო ფორმას. მაგალითად, შესაძლოა მაღალი მზაობის მოსწავლეები დამოუკიდებლად იმუშაონ დავალებაზე, საშუალო მზაობის მოსწავლეებმა წყვილებში, ხოლო წერასა და გაგება-გააზრებაში პრობლემების მქონე მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით ჯგუფებში შექმნას განცხადების ტექსტი. |
| | **აქტივობები:**<br><br>წიგნის **დავალება 24** მოსწავლეებს აძლევს ფუნქციური ტექსტის ნიმუშს - განცხადებას. ეს დავალება ლოგიკურად ებმის მანამდე გაქტიურებულ თემას („დედის დღე“, „ქალთა საერთაშორისო დღე“). მართლაც, მოსწავლეები ხშირად მართავენ სასკოლო ღონისძიებებს და შესაბამისად აღმოჩნდებიან ხოლმე სხვადასხვა საჭიროებების წინაშე. ამისათვის მათ შეგვიძლია ბუნებრივ კონტექსტში ვასწავლოთ | | |

| | | |
|---|---|---|
| | განცხადების წერა. მასწავლებელმა უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს მზა ტესტი და შინაარსის გაგებასთან ერთად დააკვირვოს ტექსტის სტრუქტურაზე. მას ამაში დაეხმარება სავარჯიშოს ბოლოში მოცემული შეკითხვები. **სავარჯიშო 25** კი მოსწავლეებს საშუალებას მისცემს უკეთ აღიქვან მსგავსი ტექსტის სტრუქტურა ტექსტის არეული ნაწილების აწყობით.<br><br>წიგნის 70-ე გვერდზე მოცემული ტექსტი „მამის დღე“, როგორც შესასწავლი თავის ერთ-ერთი თემა მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ დაგაიგონ გლობალური ან სელექციური გაგების დონეზე. ამაში მათ დაეხმარება ტექსტის ბოლოს მოცემული შეკითხვები. უფრო მნიშვნელოვანია, ბავშვებმა მასწავლებლის დახმარებით ისაუბრონ მე-4 და მე-5 შეკითხვის ირგვლივ და ჩამოწერონ არგუმენტები, რამდენად სამართლიანად მიაჩნიათ ის, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს მამების დღე. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა უზრუნველყოს, რომ საუბარი და არგუმენტების დასახელება მაქსიმალურად კორექტული და სწორი ფორმებით მოხდეს. აქვე შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნოს ეს ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მამის დღის დაწესების მოთხოვნას და რომლის ინიციატორებიც ბავშვები არიან.<br><br>https://mtavari.tv/news/45200-mamis-dghe-shesadzloa-sakartveloshi-akhali-ukme | |
| | **რესურსები:**<br>სახელმძღვანელოს წიგნი, რვეული, საშინაო დავალები რვეული. | |
| | **შეფასების კრიტერიუმები:**<br>**აქაც წარმოდგენილია კონკრეტული ნიმუშები.**<br>**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**<br><br>1. სათანადო სტრატეგიების გამოყენებით, მხატვრული ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა, (1) განცხადების ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა კონკრეტული საყრდენების მიხედვით (2) და მის შესახებ საუბარი, დიალოგის წარმართვა ან სხვების საუბარში ჩართვა (3);<br>2. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით დამუშავებული ტექსტის შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების ზეპირად და/ან წერილობით გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება (4), ნასწავლი ენობრივი საშუალებებისა და | |

<table>
<tr><td rowspan="6"></td><td colspan="3">სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება (5) განცხადების ტექსტის შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა (6);<br>3. სოციოკულტურული თვალსაზრისით შეთავაზებული ტექსტების გაანალიზება (7), და საკუთარისგან განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა (8), განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებში ინტერპერსონალური უნარების გამოვლენა, თავისუფლად ორიენტირება (9).<br>4. განცხადების ტექსტის შექმნის დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი (10), სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა (11), სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება (12)</td></tr>
<tr><td colspan="3">III ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები:</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:</td><td>კომპლექსური დავალება/ დავალებები</td></tr>
<tr><td>აქტივობები:</td><td colspan="2" rowspan="2"></td></tr>
<tr><td>რესურსები:</td></tr>
<tr><td colspan="3">შეფასების კრიტერიუმები</td></tr>
<tr><td colspan="4">მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:<br>• სხვადასხვა თემში არის სხვადსხვა დღესასწაული, ზოგჯერ ისინი ჰგავს კიდეც ერთმანეთს;<br>• ახლობელი ადამიანები ერთმანეთს ულოცავენ დღესასწაულებს და ცდილობენ ასიამოვნონ ერთმანეთს;<br>• ადამიანებმა უნდა იზრუნონ ერთმანეთზე;<br>• შეგვიძლია საჭიროების შემთხვევაში ვითხოვოთ დახმარება. ჩვენც უნდა ვიყოთ მზად, დახმარება გავუწიოთ სხვებს.<br>• ახალი საკითხის ან თემის შესწავლისას შემიძლია განვსაზღვრო, თუ რაში უნდა გამოვიყენო იგი, რა დამჭირდება ამის შესასწავლად, ვის შემიძლია ვთხოვო დახმარება და სად შემიძლია მოვიძიო ეს დახმარება თუ საჭირო რესურსი.</td></tr>
</table>

## თავი 9 – ეტიკეტი

**კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:**

I. <u>მე და სამყარო:</u>
**ყველაფერი ჩემ შესახებ** (უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა);

II. <u>სოციოკულტურა და კულტურა:</u>
**ყოველდღიური ცხოვრება** (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები);
**პიროვნებათშორისი ურთიერთობები** (ოჯახური ურთიერთობები, თანატოლებს / თაობებს შორის ურთიერთობები- ეტიკეტის წესები ურთიერთობების თვალსაზრისით);
**ღირებულებები და ფასეულობები** (კულტურა, ტრადიციები, სხვა ქვეყნები და ხალხები).

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

1. რა ვიცი ზოგადად ეტიკეტის შესახებ? რისთვისაა ეტიკეტი საჭირო?
2. რას მეუბნება ტექსტი ეტიკეტის შესახებ?
3. რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ?
4. რამ შემიშალა ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?
5. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?
6. როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა ჩემს გარემოში არსებული ეტიკეტის შესახებ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის? რა ხერხებით გავაკეთო ეს ზეპირად დ ა წერილობით?
7. მიჭირს თუ არა რომელიმე სასწავლო საქმიანობის, მაგალითად წერილობითი დავალების დაგეგმვა და შესრულება?
8. რას ვაკეთებ ან არ/ვერ ვაკეთებ იმისათვის, რომ მიზანს მივაღწიო? რა სტრატეგიებს და საგანმანათლებლო რესურსებს ვიყენებ ამისათვის?
9. ვახერხებს თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რა მიწყობს ან მიშლის ხელს?

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:**
**კომუნიკაცია**

**ქვეცნებები:**

**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციაში(დიალოგში) მონაწილეეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; კომუნიკაციის ადგილი, დრო;

**მეტყველების ფუნქციური ტიპები:** თხრობა, აღწერა

**სამეტყველო აქტები:**

**ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, დაპატიჟება);
**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა);

**ტექსტის ტიპი და ჟანრი**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის ტიპები -** არამხატვრული

**ტექსტის ჟანრები**

არამხატვრული ლიტერატურა: ა) პრაგმატული ტექსტები - საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები
მედია/მულტიმედია ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე მორგებული სასწავლო მიზნით შედგენილი აუდიო სასწავლო რესურსი;
სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები.
**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა, შემოკლებული სიტყვები);*
**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** (მაგ., *ილუსტრაცია, რუკა, ტიპოგრაფიულ მინიშნებები - ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი);*
**ინტერპრეტაცია**
**ქვეცნებები:**

საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ეტიკეტის განსხვავებული წესების მიმართ, შედარება საკუთარი გარემოს ეტიკეტთან და დასკვნის გამოტანა

**გრამატიკა**
**ქვეცნებები:** მორფოლოგია, ლექსიკა

**ენობრივი საკითხები:**

- მორფოლოგია: ზედსართავი სახელი, სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი); აუცილებლად შესასრულებელი მოქმედება.
- ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი; შემოკლებული სიტყვები.

**ენის სწავლის სტრატეგიები**
**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

<table>
<tr><td colspan="2">

**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br><br>**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;<br><br>**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br><br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**<br><br>ენათშორისი პარალელების გავლება;<br>დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;<br>დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br>ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.<br>**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)**<br>**ქვეცნებები:**<br><br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;<br>**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა**<br><br>**საკითხები**:<br><br>სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები; ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, ფასეულობები; კულტურული ნორმები;

</td></tr>
<tr><td>

**სამეტყველო აქტები:**<br>**სოციალური ურთიერთობები:**<br>მისალმება/დამშვიდობება, მოკითხვა, ნებართვის აღება, შეთავაზება, თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა.<br>**ინფორმაციის გაცვლა:**<br>საქმიანობა, კვებითი ჩვევები.<br>**გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა:**<br>დადებითი/უარყოფითი ემოციები, დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა

</td><td>

**ენობრივი საკითხები:**<br>• მორფოლოგია: ზედსართავი სახელი,სუბიექტის და ობიექტის ბრუნვა; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი); აუცილებლად შესასრულებელი მოქმედების გამოხატვა<br>• ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი; შემოკლებული სიტყვები

</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="4">თემატური ლექსიკა:<br>ეტიკეტთან, ყოფა-ცხოვრებასთან, საზოგადოებაში მიღებულ ქცევის წესებთან დაკავშირებული სიტყვები და გამოთქმები: მიღებულია, მიღებული არ არის, აკრძალულია, უყვარათ..., და.შ.</td></tr>
<tr><td colspan="4">ტექსტის ტიპები და ჟანრები:<br>ტექსტის ტიპები - არამხატვრული<br><br>ტექსტის ჟანრები -<br><br><u>არამხატვრული ლიტერატურა:</u> ა) პრაგმატული ტექსტები - საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები;<br><u>მედია/მულტიმედია ტექსტები:</u> საპროგრამო თემატიკაზე მორგებული სასწავლო მიზნით შედგენილი აუდიო სასწავლო რესურსი;<br><u>სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები</u>: თემატური დიალოგები.</td></tr>
<tr><td rowspan="2">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:<br>საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)<br>კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;<br>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.<br>წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br><br>ტექსტის ტიპი და ჟანრი<br>(შედეგები 1, 2, 3, 4, 5)<br>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.<br>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).</td><td colspan="3">I ეტაპის შუალედური მიზნები<br><br>მოსწავლემ უნდა შეძლოს დიალოგის მოსმენა-გაგება და შედგენა საყოფაცხოვრებო სიტუაციისა და ეტიკეტის შესახებ</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები:<br>სიტუაციური მახასიათებლები:<br>კომუნიკაციაში(დიალოგში) მონაწილეები, მათი ვინაობა;<br>კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; კომუნიკაციის ადგილი, დრო;<br><br>სამეტყველო აქტები:<br><br>ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, დაპატიჟება);<br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა);</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:<br><br>1. როგორ გამოვიყენო მოსმენის სტრატეგიები დიალოგის გასაგებად?<br>2. როგორ მეხმარება მოსაუბრეთა ხმის ტემბრი და ინტონაცია ინფორმაციის გაგებაში?<br>3. როგორ გამოვიყენო ისინი დიალოგის წარმართვისას აღნიშნულ თემაზე?<br>4. როგორ იცვლება მეტყველების სტილი დიალოგში მონაწილე პირების მიხედვით?</td><td>კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br><br>დაიყავით წყვილებად, აირჩიეთ სიტუაცია და შეადგინეთ დიალოგი.<br><br>• სიტუაცია 1 – მეგობარი ეპატიჟება მეორეს ბუფეტში<br>• სიტუაცია 2 – საუბრობენ მოსწავლე და მებუფეტე<br>• სიტუაცია 3 – ორი მეგობარი უყვება ერთმანეთს სტუმრის მიღების წესების შესახებ მათ ოჯახებში<br><br>დიალოგის დაწერამდე:<br><br>• კარგად წარმოიდგინეთ ის სიტუაცია, რომელიც ამოირჩიეთ</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.<br>**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)**<br>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;<br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.<br>**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)**<br>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით;<br>ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;<br>პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და | **ტექსტის ჟანრები -**<br><br>საპროგრამო თემატიკაზე მორგებული სასწავლო მიზნით შედგენილი აუდიო სასწავლო რესურსი;<br><u>სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები</u>: თემატური დიალოგები.<br>**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** *(ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი); რუკა*<br><br>საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ეტიკეტის განსხვავებული წესების მიმართ შედარება საკუტარი გარემოს ეტიკეტთან დასკვნის გამოტანა<br><br>**ქვეცნებები:** მორფოლოგია, ლექსიკა<br><br>**ენობრივი საკითხები:**<br><br>• <u>მორფოლოგია: ზედსართავი სახელი,</u> სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი); აუცილებლად შესასრულებელი მოქმედება.<br><br>• <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი; შემოკლებული სიტყვები.<br><br>**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის | | • მოიფიქრეთ შესაბამისი რეპლიკები<br>• დიალოგის წერისას არ დაგავიწყდეთ:<br>• რომ უფროსსა და თანატოლს სხვადასხვანაირად უნდა ელაპარაკოთ<br>• რომ აუცილებელია ყოველი რეპლიკის აბზაცით დაწყება<br>• სასვენი ნიშნები: ტირე,მძიმე, წერტილი, კითხვის ნიშანი<br><br>გაითამაშეთ დიალოგი და შემდეგ ისაუბრეთ:<br>• იოლია თუ არა დიალოგის მოფიქრება? რატომ ფიქრობ ასე? როგორ გაინაწილეთ საქმე წყვილში? |

<table>
<tr>
<td rowspan="2">საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.<br>ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)<br>ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);<br>განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში;<br>სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.<br>გრამატიკა (შედეგები 5)<br>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად; გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.<br>ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები)<br>(შედეგები 1, 2, 3, 5)<br>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს;</td>
<td>(მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);<br><br>ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;<br><br>ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:<br><br>ენათშორისი პარალელების გავლება; დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;<br><br>ქცევნებები:<br><br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;<br>საკითხები:<br><br>სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები; ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, ფასეულობები; კულტურული ნორმები;</td>
<td></td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">აქტივობები:<br><br><u>წიგნის დავალებები 1, 12,13,14</u><br><u>რვეულის სავარჯიშოები 2-დან 10-ის ჩათვლით</u><br><br>აქტივობა 1 - გამოწვევის ფაზა: მოსწავლეები ასრულებენ წიგნის პირველ დავალებას<br>აქტივობა 2 - მოსმენა და გაგება: მოსწავლეები უსმენენ დიალოგს, შემდეგ სრულდება რვეულის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 სავარჯიშოები. აღნიშნული სავარჯიშოები ემსახურება დიალოგის როგორც გლობალურ(</td>
<td></td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br>ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები.<br>ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br>**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)**<br>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს; სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე. | სავარჯიშო 2), ისე სელექციურ( მე-3 და მე-4) და დეტალურ(მე-5 და მე6) გაგებას. მოსმენის დავალებების შესრულებისას მნიშვნელოვანია ზოგიერთი რამის გათვალისწინება. კერძოდ, ის, რომ მოსასმენი დავალებებისთვის არ არსებობს რაიმე დადგენილი წესი, თუ რამდენჯერ უნდა მოასმენინოს მასწავლებელმა მოსწავლეებს ის. თითოეული კლასისთვის გონივრულ რაოდენობას ირჩევს თავად მასწავლებელი მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით. სავარჯიშოებისა და დავალებების შესრულებისასაც მისაღებია ისევე მივუბრუნდეთ მოსასმენს, როგორც საკითხავ ტექსტს ვუბრუნდებით ხოლმე, თუმცა აქვე მასწავლებელმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ავთენტურ სიტუაციებში მოსმენა მეტ ყურადღებას ითხოვს და შემსწავლელს ყოველთვის არ ექნება საშუალება, რომ მიუბრუნდეს ერთხელ მოსმენილს. ამიტომ, როგორც შესაძლებელია მოსწავლეებს უნდა გავუწაფოთ ყური, ოღონდ ისე, რომ მათი დამოკიდებულება მოსასმენი ტექსტებისადმი მუდამ რჩებოდეს პოზიტიური.<br>აღნიშნულ მოსასმენთან დაკავშირებით მასწავლებელს მოუწევს ერთი პატარა მითითების მისცეს მოსწავლეებისთვის. კერძოდ, დიალოგის მიხედვით მოსწავლეები ბუფეტში ითხოვენ ყავას. ვინაიდან სახელმძღვანელო მეშვიდე კლასისაა, მნიშვნელოვანია ყავის ადრეულ ასაკში მიღების მავნებლობაზე გავამახვილოთ ყურადღება. მე-5 სავარჯიშოში არის შესაბამისი შეკითხვა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, რა ასაკამდე არ შეიძლება, მათი აზრით, ყავის დალევა. მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს მიაწოდოს ექიმების რჩევა, რომ ყავა 15-16 წლამდე არ არის მისაღები პროდუქტი. დიალოგის ილუსტრაციიდან ცხადია, რომ დიალოგში მონაწილე ბავშვები მეათეკლასელები არიან, რაც გამორიცხავს იმის საშიშროებას, რომ მეშვიდეკლასელებმაც ყავა თავიანთთვის მისაღებ პროდუქტად ჩათვალონ.<br>**აქტივობა 3** - ლექსიკაზე მუშაობა: მოსწავლეები სიტყვებზე მუშაობენ ანტონიმების საშუალებით(სავარჯიშო 7), ხოლო შემდეგ ერთმანეთს უკავშირებენ სიტყვებსა და მათ შემოკლებულ ვარიანტებს, რაც სასაუბრო მეტყველებაშია გავრცელებული(სავარჯიშო 8). ლექსიკაზე მუშაობას უკავშირდება ასევე სავარჯიშო 10, რომელის მიხედვითაც მოსწავლემ უნდა გაარჩიოს, თუ სად და ვისთან გამოიყენოს შემოკლებული ფორმები.<br>**აქტივობა 4** - გრამატიკაზე მუშაობა: სავარჯიშო 9 თემის ცენტრალურ გრამატიკულ საკითხზე სამუშაოდ ამზადებს მოსწავლეს. მოცემულ თავში აქტიურდება II კავშირებითი. მე -9 სავარჯიშოს მიხედვით | |

მოსწავლემ უნდა დაინახოს განსხვავება წყვეტილსა და II კავშირებითს შორის. კერძოდ, მესამე პუნქტის შესრულებისას მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მოსწავლე მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ ეს ფორმები დროისა და მაწარმოებლების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისგან. ისინი სხვადასხვა მწკრივის ფორმებია და სხვადასხვა რამეს გამოხატავენ. ამ თავის მომდევნო ნაწილში მოსწავლეები უფრო დეტალურად გაეცნობიან მოცემული გრამატიკული საკითხის შესახებ ინფორმაციას.

**აქტივობა 5** - სრულდება კომპლექსური დავალება -დიალოგის შედგენა და გათამაშება შემოთავაზებულ თემაზე. დავალების შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს საკომუნიკაციო სიტუაციების, კერძოდ კი, დიალოგის მახასიათებლების გათვალისწინებას, რაც აღნიშნულია დავალების პირობაში. ასევე, აქცენტი გაკეთებულია **მეტაკოგნიციასა და სწავლის სწავლაზე,** რადგან მოსწავლე უნდა დაფიქრდეს, თუ როგორ შეადგინა ეს დიალოგები და როგორ გაინაწილა საქმე მეწყვილესთან ერთად.

**რესურსები:**
დიალოგის აუდიოფაილი, სახელმძღვანელო, სავარჯიშო რვეული

**შეფასების კრიტერიუმები**
**თემის ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია:**

1. ეტიკეტის თემაზე წარმართული დიალოგის გაგება და ამ საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების გაცნობიერება, ასევე ინტერაქციის დროს მათი გამოყენება **(1,7,8)**
2. ტექსტის ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას.(1)
3. კულტურული განსხვავებების მიმართ ინტერესის გამოჩენა და
4. განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება;(7)
5. ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და მათი გამოყენება კონკრეტული მიზნით(5);
6. სხვადასხვა ფუნქციური სტილისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება კონკრეტული მიზნით(5);
7. ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნის გამოყენება კონკრეტული სამეტყველო აქტების შესრულებისას(5).
8. საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვა და დავალების შესრულების შემდეგ მის მიერ გაწეული სამუშაოს ანალიზი - რა გააკეთა და როგორ, რა გამოუვიდა და რა-არა, როგორ უნდა მოიქცეს მსგავს შემთხვევებში.(10, 11)

<table>
<tr><td rowspan="2"></td><td colspan="3">II ეტაპის შუალედური მიზნები<br>მოსწავლეები შეძლებენ, ზეპირად ან წერილობით ისაუბრონ ეტიკეტის განსხვავებებზე სხვადასხვა ქვეყანაში, გაიაზრონ ამ განსხვავების არსებობა ყოველდღიურ ყოფაში და შექმნან ამ შინაარსის მატარებელი რაიმე პროდუქტი</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები:<br>მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა<br><br>სამეტყველო აქტები:<br><br>ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, დაპატიჟება);<br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა);<br>ტექსტის ტიპები - არამხატვრული<br><br>ტექსტის ჟანრები -<br><br><u>არამხატვრული ლიტერატურა:</u> ა) პრაგმატული ტექსტები - საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები<br>ქვეცნებები:<br><br>ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა, შემოკლებული სიტყვები);<br>საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ეტიკეტის განსხვავებული წესების მიმართ, შედარება საკუტარი გარემოს ეტიკეტთან და დასკვნის გამოტანა<br><br>ქვეცნებები: მორფოლოგია, ლექსიკა</td><td>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:<br><br>1. როგორ ვისაუბრო სხვადასხვა ქვეყნის ეტიკეტის განსხვავებების შესახებ?<br>2. როგორ შევადარო ის ჩემი ქვეყნის/თემის ეტიკეტს?<br>3. როგორ გადმოვცე წერილობით ჩემ გარშემო არსებული ეტიკეტის ნორმები?</td><td>კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br>დაწერე მცირე ტექსტი „ჩემი თემის ეტიკეტი“<br><br>ტექსტის წერისას უპასუხე ყველა ამ შეკითხვას:<br>1. როგორ ესალმებიან ერთმანეთს ადამიანები? 2.შეიძლება თუ არა ხმამაღლა ილაპარაკო საზოგადოებრივ ადგილებში?<br>2. სტუმრად მისვლისას ფეხზე უნდა გაიხადო თუ არა?<br>3. რამდენად ხშირად უნდა გადაიხადო მადლობა?<br>4. ჩვეულებრივი ამბავია თუ არა დაგვიანება?<br>5. სად არის მიღებული საუზმობა(სადილობა, ვახშმობა?)<br>6. რა ითვლება უზრდელობად?<br>7. დაამატე ეტიკეტის ის წესი, რომელიც გაგახსენდება</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | **ენობრივი საკითხები:**<br>• <u>მორფოლოგია: ზედსართავი სახელი,</u> სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი); აუცილებლად შესასრულებელი მოქმედება.<br>**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br>**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**<br>დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;<br>დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br>ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.<br>**ქვეცნებები:**<br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;<br>**საკითხები**:<br>სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები; ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, ფასეულობები; კულტურული ნორმები; | | გამოიყენე სიტყვები და ფრაზები:<br>მიღებულია(არ არის მიღებული);<br>უზრდელობაა(უზრდელობად ითვლება, არ ითვლება უზრდელობად);<br>აუცილებელია(არ არის აუცილებელი);საჭიროა(არ არის ს აჭირო);ჩვეულებრივი ამბავია...<br>აუცილებლობიდა და შესაძლებლობების გამოსახატად გამოიყენე მეორე კავშირებითის ფორმები:<br>უნდა -------------<br>შეიძლება -----------<br>შეგიძლია ----------- |

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობები:**<br><br>**<u>წიგნის დავალებები 16, 21</u>**<br>**<u>რვეულის სავარჯიშოები 15,17,18,19,20,22,23,24</u>**<br><br>**აქტივობა 6 -** ლაპარაკის დავალებები: წიგნის დავალება 12 მიმართულია ლაპარაკის უნარის განსავითარებლად. დავალება მოსწავლეებს სთხოვს რუკის მიხედვით ისაუბრონ იმაზე, თუ რომელ ქვეყანაშია მიღებული სახლში შესვლისას ფეხზე გახდა და რომელ ქვეყანაში- არა. საუბრის მხარდასაჭერად შემოთავაზებულია შეკითხვები. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს მუდამ ახსოვდეს და ითვალისწინებდეს, რომ მოსწავლეებს ასწავლოს გაბმულად საუბარი და გაამახვილოს ყურადღება იმაზე, რომ მოსწავლის საუბარი არ იყოს მხოლოდ შეკითხვებზე პასუხების ჯამი, რისკენაც ძალიან მიდრეკილები არიან ხოლმე დაბალი ენობრივი კომპეტენციის მქონემოსწავლეები და ეს ბუნებრივიცაა. თუმცა ჩვენი მიზანია, რომ ისინი მიეჩვიონ, რომ სასაუბრო დავალებისას შეკითხვები მხოლოდ საყრდენებია და მათზე პასუხები არ არის დავალების შესრულების საუკეთესო ვერსია.<br>**აქტივობა 7** - გრამატიკაზე მუშაობა: ვინაიდან თემის გრამატიკული სიახლე არის II კავშირებითი, გრძელდება მასზე მუშაობა. მოსწავლეები ეცნობიან გრამატიკულ ბლოკს(წიგნის დავალებები 13, 14). მასში მოცემულია II კავშირებითის ფორმები, კერძოდ, კი, აუცილებლობის და შესაძლებლობის გამომხატველი ფორმები, ასევე, გამოკვეთილია მაწარმოებლები. მოსწავლეები უპასუხობენ გრამატიკული ბლოკის შემდეგ დასმულ შეკითხვებს. ცხადია, გრამატიკაზე მუშაობა დიდ დროს და მასწავლებლისგან დამატებით რეკომენდაციებს მოითხოვს. მასწავლებელმა კლასის საჭიროებიდან გამომდინარე ყურადღება უნდა გაამახვილოს მოცემული მწკრივის | |

| | | |
|---|---|---|
| | ფუნქციაზე, მიაქცევინოს ყურადღება მაწარმოებლებზე.<br>**აქტივობა 8** - ტექსტის წაკითხვა და გაგება: მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს „ეტიკეტი“ და უპასუხებენ ტექსტის ბოლოში დართულ გლობალური გაგების შეკითხვებს. ტექსტის სელექციურ და დეტალურ გაგებას ემსახურება მოსწავლის რვეულის სავარჯიშო 17, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს უწევთ თითქმისს მთელი ტექსტი სქემის/ ცხრილის სახით წარმოდგენა.<br>**აქტივობა 9** - ლექსიკასა და ენობრივ კონსტრუქციებზე მუშაობა: ტექსტის წაკითხვის პარალელურად მოსწავლეები ეცნობიან და აზუსტებენ სიტყვების მნიშვნელობას. მათი ნაწილი მინდვრებზეა განმარტებული, ნაწილის მნიშვნელობის გაგება ფრაზების შედგენითა დ ა მათი განსახიერებით უნდა დაადასტურონ ( სავარჯიშო 23). სავარჯიშო 24 კი მშობლიურ ენაზე სთხოვს სიტყვის მნიშვნელობის დადასტურებას მოსწავლეებს. სავარჯიშო სრულდება ლექსიკონის გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ ენის სწავლების პროცესში სამიზნე ენის გამოყენების მეთოდური უპირატესობის მიუხედავად, აკრძალული არ არის მშობლიური ენის ჩართვა სიტყვების ათვისების პროცესში. ეს პროცესი ხშირად მოსწავლეებს უადვილებთ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის დადგენას და უკეთ ათვისებას. ლექსიკურ ერთეულებზე სამუშაოდ ასევე შემოთავაზებულია სავარჯიშო 18, სადაც მოსწავლემ სიტყვის სინონიმები და ანტონიმები უნდა მოიძიოს. ლექსიკური სავარჯიშოა მე -19 -ც, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება აბსტრაქტული სახელი და ზედსართავი სახელი და აღნიშნულია, რომ ეს არის თვისების აღმნიშვნელი სახელები.<br>**აქტივობა 10** - გრამატიკაზე მუშაობა: ეტიკეტის თემასთან დაკავშირებით მოსწავლეებს უწევთ გააქტიურონ გრამატიკული საკითხი - | |

| | | |
|---|---|---|
| | ინსტრუმენტალისი. ამისთვის სრულდება სავარჯიშო 15. ცხადია, გრძელდება II კავშირებითზე მუშაობაც. კერძოდ, მოსწავლეები კითხულობენ გრამატიკულ ბლოკს წიგნში (დავალება 21 ), ასრულებენ ბლოკის ბოლოს მოცემულ დავალებას ზეპირად, ხოლო შემდეგ ასრულებენ მოსწავლის რვეულის 22-ე სავარჯიშოს. აქვე საჭიროა მასწავლებლის დახმარება გრამატიკული ბლოკის ბოლოს დართულ შეკითხვაზე ( როდის ო, როდის ე, როდის ა?) , რომელიც, სავარუდოდ, რთული იქნება მოსწავლეებისთვის. მასწავლებელი უნდა ეცადოს, კიდევ ერთხელ შეადარებინოს წყვეტილისა და მეორე კავშირებითის ფორმები ერთმანეთს მოსწავლეებს. შესაძლებელია ეს გაკეთდეს ნაცნობი ზმნების ბევრი ფორმის გამოყენებით, რათა მოსწავლეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ თუ ზმნას წყვეტილში აქვს ე დაბოლოება, IIკავშირებითში ექნება ო, ხოლო თუ წყვეტილში აქვს ი, II კავშირებითში ექნება ე და ა დაბოლოებები.<br>შესაძლებელია, ასეთმა მიდგომამაც არ მოგვცეს შედეგი. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ჩამოწერს შესადარებელ ფორმებს, დააკვირვებს მოსწავლეებს და მისცემს ჩამოყალიბებულ დასკვნას.<br>**აქტივობა 11** - წერის კომპონენტი: მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშო 20-ის ზ პუნქტს, სადაც მათ მოუწევთ ათვისებული ენობრივი კონსტრუქციის წერილობით გამოყენება ჯერ ნაცნობ და შემდეგ ახალ კონტექსტში.<br>**აქტივობა 12** - კომპლექსური დავალება: დავალების მიხედვით მოსწავლეებს ევალებათ მცირე ტექსტის დაწერა. | |
| | **რესურსები:**<br>წიგნი, რვეული | |

<table>
<tr><td></td><td>შეფასების კრიტერიუმები<br>მოსწავლეს შეუძლია:<br><br>1. სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით,ეტიკეტის თემაზე საინფორმაციო ტექსტის გაგება/გააზრება დადასკვნების გამოტანა; (1) აღწერითი ტექსტის წერილობით შექმნა; (2)<br>2. ტექსტში მოცემული ინფორმაციისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (4),<br>3. ნიმუშის მიხედვით მეორე კავშირებითის ფორმების წარმოება და წინადადებების შედგენა ეტიკეტთან დაკავშირებული ფრაზების გამოყენებით(5)<br>4. მცირე ტექსტის საკუთარ გარემოზე დაყრდნობით ტექსტების შედგენისას შემოქმედებითობის წარმოჩენა (2,6).<br>5. განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა(8);<br>6. საკუთარი სწავლის დაგეგმვა და წარმართვა (10), ამ პროცესში მასწავლებელთან და თანაკლასელებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა (11)</td></tr>
<tr><td colspan="2">მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:<br><br>• სხვადასხვა ქვეყანაში ეტიკეტის განსხვავებული წესებია მიღებული. ზოგიერთი მათგანი ძალიან განსხვავდება ჩემ ირგვლივ არსებულისგან, ზოგიერთი კი ჰგავს.<br>• ყველა ქვეყანაში თუ თემში არსებობს ეტიკეტისა და ქცევის თავისებურებები, რომელთა მიმართაც მე უნდა ჩამომიყალიბდეს ტოლერანტული დამოკიდებულება.<br>• სხვადასხვა ქვეყნის ეტიკეტის ცოდნა მეხმარება პირადი გამოცდილების გამდიდრებაში, განსხვავებული სოციოკულტურის მატარებელ ადამიანებთან კომუნიკაციაში<br>• სხვადასხვა ქვეყნის ეტიკეტის ცოდნა მეხმარება ჩემ გარშემო არსებული ეტიკეტის გააზრებასა და შეფასებაში<br>• ეტიკეტთან დაკავშირებული ენობრივი საკითხების ცოდნა მეხმარება შევაფასო ეტიკეტის შესახებ ნებისმიერი ახალი ინფორმაცია, გადმოვცე ის ზეპირად ან წერილობით.<br>• ახალი საკითხის ან თემის შესწავლისას შემიძლია განვსაზღვრო, თუ რაში უნდა გამოვიყენო იგი, რა დამჭირდება ამის შესასწავლად, ვის შემიძლია ვთხოვო დახმარება და სად შემიძლია მოვიძიო ეს დახმარება თუ საჭირო რესურსი.</td></tr>
</table>

# თავი 10 – ადამიანი და ენა

| |
|---|
| **კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:**<br><br>I. <u>მე და სამყარო:</u><br>**ყველაფერი ჩემ შესახებ** (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, ინტერესები,);<br>**ფიზიკური გარემო** (მსოფლიოს გარშემო - სხვა ქვეყნები).<br><br>II. <u>სოციოკულტურა და კულტურა:</u><br>**ყოველდღიური ცხოვრება** (თავისუფალი დროის გატარება);<br>**ღირებულებები და ფასეულობები** (კულტურა, ტრადიციები, უმცირესობები - ეთნიკური / რელიგიური, სხვა ქვეყნები და ხალხები). |
| **თემატური საკვანძო შეკითხვები:**<br><br>1. რას მეუბნება ტექსტი? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?<br>2. რა ვიცი მსოფლიოში გავრცელებული ენების შესახებ?<br>3. რისთვის სწავლობენ ადამინები უცხო ენას? რაში მეხმარება უცხო ენა და მასთან ერთად ათვისებული ახალი ინფორმაცია?<br>4. როგორ სწავლობენ ადამიანები უცხო ენებს? რა ეხმარებათ ან უშლით ხელს ამაში?<br>5. რა ენობრივ ცოდნასა და ლექსიკას ვიყენებ ამ თემაზე საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?<br>6. რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?<br>7. მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა?<br>8. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის? |
| **თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:**<br>**კომუნიკაცია**<br>**ქვეცნებები:**<br><br>**სიტუაციური მახასიათებლები:** კომუნიკაციაში მონაწილეეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;<br><br>**მეტყველების ფუნქციური ტიპები:** თხრობა, აღწერა, მსჯელობა<br><br>**სამეტყველო აქტები:**<br><br>**ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; თავისუფალი დრო, საქმიანობა).<br>**ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილებების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...); |

**ტექსტის ტიპი და ჟანრი**

**ქვეცნებები:**

**ტექსტის ტიპები -** არამხატვრული

**ტექსტის ჟანრები**

არამხატვრული ლიტერატურა: ინტერვიუ; საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები
მედია/მულტიმედია ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;

**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება**
**ქვეცნებები:**

**ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** - *აბზაცი*
**ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები** - *სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი*
**ინტერპრეტაცია**
**ქვეცნებები:**

ჟანრი; მოქმედების დრო და ადგილი;

**გრამატიკა**
**ქვეცნებები:** მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა

**ენობრივი საკითხები:**

- მორფოლოგია: ზედსართავი და რიცხვითი სახელები;მსაზღრელ-საზღვრულის ბრუნება; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი / ხოლმეობითი); აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა (წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი);
- სინტაქსი: რთული თანწყობილი წინადადება
- მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები: რიცხვითი სახელების მართლწერა (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული ციფრებით); რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები;
- ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი;

**ენის სწავლის სტრატეგიები**
**მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**

ენათშორისი პარალელების გავლება;
დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.
ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.
**სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)**
**ქვეცნებები:**

დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;
**ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა**

**საკითხები**:

სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები;

| | |
|---|---|
| **სამეტყველო აქტები:**<br>**1.1. სოციალური ურთიერთობები:**<br>მოკითხვა, წარდგენა, ნებართვის აღება, შეთავაზება, კეთილი სურვილების /თავაზიანობის გამოხატვა.<br>**1.2. ინფორმაციის გაცვლა:**<br>პირადი მონაცემები, პროფესია, საჭიროებები, თავისუფალი დრო, საქმიანობა.<br>**1.3. აღწერა-დახასიათება:** ადამიანის გარეგნობა<br>**1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა:** დადებითი/უარყოფითი ემოციები, დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა | **ენობრივი საკითხები:**<br>• მორფოლოგია: ზედსართავი და რიცხვითი სახელები; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი / ხოლმეობითი); აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა (წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი);<br>• სინტაქსი: რთული თანწყობილი წინადადება<br>• მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები: რიცხვითი სახელების მართლწერა (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული ციფრებით); რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები;<br>• ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი; |

**თემატური ლექსიკა:**
ენებთან და ენის შესწავლასთან დაკავშირებული ლექსიკა

**ტექსტის ტიპები და ჟანრები:**
**ტექსტის ტიპები** - არამხატვრული

<table>
<tr><td colspan="4">ტექსტის ჟანრები -<br><br><u>არამხატვრული ლიტერატურა:</u> ინტერვიუ; საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები<br><u>მედია/მულტიმედია ტექსტები:</u> საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;</td></tr>
<tr><td rowspan="2">სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:<br>საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)<br>კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;<br>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო. წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;<br><br>ტექსტის ტიპი და ჟანრი<br>(შედეგები 1, 2, 3, 4, 5)<br>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.<br>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში,</td><td colspan="3">I ეტაპის შუალედური მიზნები<br>მოსწავლე შეძლებს პრეზენტაციის გაკეთებას და კლასისთვის წარდგენას მსოფლიოში გავრცელებული ენების შესახებ</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები:<br><br>ტექსტის ტიპები - არამხატვრული<br><br>ტექსტის ჟანრები -<br><br><u>არამხატვრული ლიტერატურა:</u> ინტერვიუ; საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები<br><u>მედია/მულტიმედია ტექსტები:</u> საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსი<br>ქვეცნებები:<br><br>ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები - აბზაცი<br>ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები - სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი<br>ქვეცნებები:<br><br>ჟანრი; მოქმედების დრო და ადგილი;<br><br>ქვეცნებები: მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა<br><br>ენობრივი საკითხები:<br><br>• <u>მორფოლოგია:</u> ზედსართავი და რიცხვითი სახელები;</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:<br><br>1. რას მეუბნება ტექსტი? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?<br>2. რა ვიცი მსოფლიოში გავრცელებული ენების შესახებ?<br>3. რისთვის სწავლობენ ადამიანები უცხო ენას? რაში მეხმარება უცხო ენა და მასთან ერთად ათვისებული ახალი ინფორმაცია?<br>4. მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა?<br>5. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?</td><td>კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br>დაიყავით ჯგუფებად და აირჩიეთ ერთ-ერთი თემა ამ ორიდან:<br>„ყველაზე გავრცელებული ენები მსოფლიოში“<br>ან<br>„საქართველოს ეთნიკური უმცირესობების ენები“ და მოამზადეთ პრეზენტაცია.<br><br>პრეზენტაციის გაკეთებამდე:<br>ჩამოწერეთ ენები, რომლებზეც ილაპარაკებთ (მინიმუმ ხუთი ენა).<br>გაინაწილეთ ფუნქციები და მოიძიეთ შესაბამისი ინფორმაცია.<br>დახატეთ დიდი რუკა. მონიშნეთ რუკაზე შესაბამისი ენების გავრცელების არეალი. ხოლო რუკის ქვეშ ჩამოწერეთ მოკლე ინფორმაცია თითოეული ენის შესახებ:<br>ენის სახელწოდება<br>სად არის გავრცელებული<br>რამდენი ადამიანი ლაპარაკობს<br>რომელ დამწერლობას იყენებენ<br>რომელიმე საინტერესო ფაქტი ამ ენის შესახებ</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.<br>**ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)**<br>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;<br>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.<br>**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)**<br>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით; ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა; პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და | • <u>მსაზღვრელ-</u>საზღვრულის ბრუნება;<br>• <u>მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:</u> რიცხვითი სახელების მართლწერა (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული ციფრებით); რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები;<br>• <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი;<br><br>**კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br>**ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;<br>**წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**<br>ენათშორისი პარალელების გავლება; დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;<br>**ქცევნები:**<br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა; | | (რუკის დახატვისა და მის ქვეშ ინფორმაციის ჩამოწერის ნაცვლად შეგიძლიათ მოამზადოთ პრეზენტაცია Microsoft PowerPoint-*ის* პროგრამაში)<br><br>პრეზენტაციის გაკეთებისას:<br>უყურეთ კლასს და ისე ისაუბრეთ<br>აჩვენეთ თანაკლასელებს რუკაზე ენის გავრცელების არეალი<br>არ დაგავიწყდეს კონსტრუქციები:<br>„იცის ............... ენა“, მაგრამ:<br>„ლაპარაკობს ................. ენაზე“ ან<br>„ლაპარაკობს ............-ად“.<br>„გავრცელებულია .....................-ში“ (როცა ქვეყნებზე საუბრობ), მაგრამ<br>„გავრცელებულია ......................-ის კონტინენტზე“, „გავრცელებულია კუნძულ ...................-ზე“<br>რიცხვითი სახელები ჩასვით შესაბამის ბრუნვაში |

<table>
<tr>
<td rowspan="4">საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.<br>ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)<br>ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);<br>განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში; სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.<br>გრამატიკა (შედეგები 5)<br>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;<br>გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.<br>ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)</td>
<td>საკითხები:<br><br>სოციოკულტურული რეალიები, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები;</td>
<td></td>
<td rowspan="3"></td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">აქტივობები:<br><u>მოსწავლის წიგნის დავალებები 1,2,3,4</u><br><u>რვეულის სავარჯიშოები 5-8</u><br><br>აქტივობა 1 - ტექსტის წაკითხვა და გაგება. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტებს და უპასუხებენ ტექსტის ბოლოს დართულ შესაბამის შეკითხვებს. შეკითხვები ღიაა , თუმცა ექსპლიციტური ხასიათისაა და ტექსტთან დაბრუნება მოსწავლეს მარტივად მიაგნებინებს მასზე პასუხებს. თუმცა თუ მოსწავლეს უჭირს მათზე პასუხების გაცემა, აუცილებელია ტექსტის თავიდან წაკითხვა, ან, რა თქმა უნდა, გაუგებარ ნაწილებთან მიბრუნება. გარდა ამისა, ტექსტს ახლავს ილუსტრაციები, რომლებზე დაკვირვებაც კარგი საყრდენია ტექსტის გასაგებად.<br>აქტივობა 2 - ტექსტის ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: სრულდება მოსწავლის რვეულის მე-2, მე -3, მე-4, მე-5, მე-6 სავარჯიშოები.<br>აქტივობა 3 - გრამატიკაზე მუშაობა: მოსწავლის წიგნის დავალება 5 და რვეულის სავარჯიშოები 7, 8 ეძღვნება მსაზღვრელ-საზღვრულისა და რიცხვითი სახელის სწორად გამოყენებას როგორც ზეპირად, ისე წერილობით.<br>აქტივობა 3 - სრულდება კომპლექსური დავალება. ტექსტის ინფორმაციის მიხედვით მოსწავლეებმა უნდა მოამზადონ პრეზენტაციები და წარუდგინონ კლასს.</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">რესურსები:<br>მოსწავლის წიგნი და რვეული</td>
</tr>
<tr>
<td colspan="3">შეფასების კრიტერიუმები<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br><br>1. სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ენებთან დაკავშირებული ორი საინფორმაციო ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტების ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; (1)<br>2. სოციოკულტურული თვალსაზრისით კონკრეტული ინფორმაციის ან მთლიანი ტექსტის გაანალიზება;(7)<br>3. ენობრივი საშუალებების ამოცნობა და გამოყენება (5)</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td rowspan="3">ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს;<br>თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;<br>ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები.<br>ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)<br>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს;<br>სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.</td>
<td colspan="3">4. სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება(12);<br>5. სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა კონკრეტული საყრდენების მიხედვით; კერძოდ - პრეზენტაციის დამზადება წაკითხული ინფორმაციის შედეგად.(2)<br>6. საკუთარი სწავლის დაგეგმვა და წარმართვა (10), ამ პროცესში მასწავლებელთან და თანაკლასელებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა (11), შეთავაზებული საკითხავი და მოსასმენი ტექსტების გააზრებულად გამოყენება (12).</td>
</tr>
<tr>
<td colspan="3">II ეტაპის შუალედური მიზნები<br>ინტერვიუს მომზადება ენის სწავლის თემაზე და მისი წარდგენა თანაკლასელებისთვის</td>
</tr>
<tr>
<td>სამეტყველო აქტები:<br><br>ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; თავისუფალი დრო, საქმიანობა).<br>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი...)<br><br>ტექსტის ტიპები - არამხატვრული<br><br>ტექსტის ჟანრები -<br><br><u>არამხატვრული ლიტერატურა:</u> ინტერვიუ; საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები<br><u>მედია/მულტიმედია ტექსტები:</u> საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:<br><br>1. როგორ სწავლობენ ადამიანები უცხო ენებს? რა ეხმარებათ ან უშლით ხელს ამაში?<br>2. რა ენობრივ ცოდნასა და ლექსიკას ვიყენებ ამ თემაზე საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?<br>3. რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?<br>4. მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო</td>
<td>კომპლექსური დავალება/ დავალებები<br><br>კომპლექსური დავალება 1<br><br>მე-7 და მე-8 სავარჯიშოების მიხედვით ჩამოწერე პატარა გეგმა სათაურით: „რა უნდა გავაკეთო, რომ ვისწავლო უცხო ენა?“<br>• ტექსტი დაწერე პირველ პირში<br>• ტექსტში გამოყენებული წყვეტილის (ბრძანებითი, მე–2 პირი) ფორმები გადაიყვანე მეორე კავშირებითში და დაურთე აუცილებლობის გამომხატველი ნაწილაკი „უნდა“:<br><br>რა უნდა გავაკეთო, რომ ვისწავლო უცხო ენა?<br>1. ყოველდღე უნდა ვიმეცადინო.<br>2. დღის განმავლობაში რამდენიმე წუთი უნდა დავუთმო ახალი სიტყვებისა და წესების გადამეორებას.</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td></td>
<td>ქვეცნებები:<br><br>ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები - აბზაცი<br>ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები - სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი<br><br>ქვეცნებები:<br><br>ჟანრი; მოქმედების დრო და ადგილი;<br><br>ქვეცნებები: მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა<br><br>ენობრივი საკითხები:<br><ul><li><u>მორფოლოგია:</u> სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი; აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა (წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი);</li><li><u>სინტაქსი:</u> რთული თანწყობილი წინადადება</li><li><u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი;</li></ul>მოსმენის სტრატეგიები მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);<br><br>კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br><br>ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;</td>
<td>საქმიანობის) დაგეგმვა?<br>5. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?</td>
<td>3. ყურადღება უნდა მივაქციო ნებისმიერ ბანერს ან რეკლამას და ვთარგმნო გონებაში.<br>4. უნდა გავიაზრო ყველა გრამატიკული წესი<br>5. ხშირად ---------------------------------<br>---------------------------------------------<br>6. ---------------------------------------------<br>-----------------------------------------<br>7. ---------------------------------------------<br>-----------------------------------------<br><br>ბ) დაწერე, უცხო ენის შესწავლის ამ ხერხებიდან რომელი მოგწონს ყველაზე მეტად? რატომ?<br>--------------------------------------------------<br>--------------------------------------------------<br>--------------------------------------------------<br><br>კომპლექსური დავალება 2<br><br>ჩამოართვი ინტერვიუ შენს რომელიმე ნაცნობს (ოჯახის წევრს, ნათესავს, მეზობელს, მეგობარს), რომელიც კარგად ფლობს ქართულს. გამოჰკითხე, სად და როგორ ისწავლა მან ენა და რას ურჩევს ქართულის ან უცხო ენის შემსწავლელებს.<br>წერის დაწყებამდე<ul><li>მოიფიქრე, ვის ჩამოართმევ ინტერვიუს.</li><li>ჩამოწერე ის შეკითხვები, რომელსაც უნდა უპასუხოს ინტერვიუერმა.</li></ul>ინტერვიუს ჩამორთმევისას</td>
</tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | **წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br><br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**<br><br>ენათშორისი პარალელების გავლება;<br>დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;<br>დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br>ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.<br>**ქვეცნებები:**<br><br>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;<br>**საკითხები**:<br><br>სოციოკულტურული რეალიები, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა; | | • ჩაიწერე მისი პასუხები (აჯობებს, თუ ინტერვიუს ჯერ მობილურზე ან სხვა მოწყობილობაზე ჩაიწერ და შემდეგ გადაიტან ფურცელზე).<br><br>წერისას<br>• არ დაგავიწყდეს სასვენი ნიშნების გამოყენება<br>• ეცადე, გამოიყენო რამდენიმე თანწყობილი წინადადება.<br>• წერის დასრულების შემდეგ კიდევ გადახედე შენს ნაწერს და შეცდომები შეასწორე<br><br>ნამუშევრის წარმოდგენის შემდეგ ილაპარაკე:<br>• რამდენად რთული იყო ეს დავალება?<br>• რა გაგიჭირდა?<br>• რომელ კითხვაზე პასუხი იყო შენთვის ყველაზე საინტერესო?<br>• თავიდან რომ იწყებდე ამ დავალების შესრულებას, რას შეცვლიდი? |

**აქტივობები:**

**მოსწავლის წიგნის დავალებები: 10,11,21, 24,025,26**

**მოსწავლის რვეულის სავარჯიშოები: 12,13,14,15,16,17,18 ,20 ,22,23,27, 28, 30**

**აქტივობა 13** - ლაპარაკის უნარის განვითარება: მოსწავლეები ემზადებიან ვიდეოჩანაწერის ნახვისთვის და თან ივითარებენ ლაპარაკის უნარს. კერძოდ, სრულდება დავალება 10 და 11 - მოსწავლეები თავიანთი ენობრივი კომპეტენციების ფარგლებში შეკითხვების დახმარებითა და ილუსტრაციებზე დაკვირვებით საუბრობენ ენების ფლობაზე და მისი სწავლის ხერხებზე.

**აქტივობა 14** - ვიდეოჩანაწერის ლექსიკაზე მუშაობა : სრულდება მოსწავლის რვეულის ს ავარჯიშო 12, რომელიც შედგება რამდენიმე ნაწილისგან და სხვადასხვა ხერხით ( სინონიმ-ანტონიმები, ილუსტრაციებისა და სიტყვების დაკავშირება, აზრობრივად ერთნაირი სიტყვების დაკავშირება) ააქტიურებს ვიდეოჩანაწერის ლექსიკას და ხელს უწყობს მის გაგებას.

**აქტივობა 15** - ვიდეოჩანაწერის ნახვა და გაგება: სრულდება რვეულის სავარჯიშოები 13, 14, 15. ისინი განკუთვნილია ვიდეოჩანაწერის გლობალური, სელექციური და ნაწილობრივ დეტალური გაგებისათვის. ვიდეოჩანაწერის დეტალურ გაგებას ემსახურება ასევე სავარჯიშო 18 -ის ა პუნქტი - გამოტოვებული სიტყვების შევსება, რისთვისაც მოსწავლეებმა კიდევ ე რთხელ უნდა ნახონ ვიდეოჩანაწერი.

აღნიშნულ ვიდეოჩანაწერში მოცემულია ენის სწავლის სხვადასხვა გზები. მათ შორის უცხოელ თანატოლებთან

| | | |
|---|---|---|
| | ინტერნეტკომუნიკაცია. აუცილებელია, ვიდეოსიუჟეტის ნახვისას მასწავლებელი ესაუბროს მოსწავლეებს, რომ ენის სწავლის ისეთი გზა, როგორიცაა უცხოელ თანატოლებთან ინტერნეტკომუნიკაცია, გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს. ამიტომ იგი მიზანმიმართულად და უფროსების მეთვალყურეობით უნდა მიმდინარეობდეს.<br>**აქტივობა 16** - გრამატიკაზე მუშაობა: სრულდება რვეულის ს ავარჯიშო 17 და 18-ის ბ პუნქტი, რომლებიც მოსწავლეს ახსენებს ნაცნობ საკითხებს: წართქმით და უკუთქმით ბრძანებითს; ასევე, წყვეტილისა და მყოფადის მწკრივს.<br>**აქტივობა 17** - წერის კომპონენტი - რვეულის სავარჯიშო 16 - მოსწავლემ უნდა დაასრულოს წინადადება და ჩაწეროს ის.<br>**აქტივობა 18** - სრულდება კომპლექსური დავალება - სავარჯიშო 19 აღნიშნული კომპლექსური დავალება ითხოვს ნაცნობი გრამატიკული საკითხების გამოყენებას წერისას.<br>**აქტივობა 19**- ტექსტის წაკითხვა და გაგება: მოსწავლეები კითხულობენ წიგნის 21-ე დავალებაში მოცემულ ტექსტს და უპასუხებენ სხვადასხვა ტიპის შეკითხვებს, მათ შორის დაკავშირებულს ტექსტის ჟანრსა და სტრუქტურასთან, რაც მოსწავლეებს ეხმარება ტექსტების შესახებ მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. ტექსტის გაგებას ემსახურება რვეულის 22-ე დ ა 23-ე სავარჯიშოები, ხოლო 24-ე სავარჯიშო ტექსტის ფრაზების ახალ კონტექსტში გამოყენებას ასწავლის მოსწავლეებს.<br>**აქტივობა 20**- ლაპარაკის უნარის განვითარება თვითრეფლექსიის გზით: რვეულის სავარჯიშოები 24 და 25 ანდაზისა და შეკითხვების დახმარებით მოსწავლეს | |

| | | |
|---|---|---|
| | დააფიქრებს ენების ცოდნის მნიშვნელობაზე და აძლევს მას ბიძგს, გამოხატოს თავისი აზრი ამ საკითხზე ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში. მხარდასაჭერად შემოთავაზებულია შეკითხვები. მნიშვნელოვანია, რომ ამ სავარჯიშოს მიზანი სწავლის სწავლის ცნებას უკავშირდება. მოსწავლემ უნდა იფიქროს თავის სასწავლო პრაქტიკაზე, შეადაროს თავისი სასწავლო პრაქტიკა უცხო ენების კარგად მცოდნე ადამიანების პრაქტიკასთან.<br>**აქტივობა 21**- გრამატიკაზე მუშაობა: ამ თავში მოსწავლეები ეცნობიან რთულ თანწყობილ წინადადებას. ამისათვის ისინი ასრულებენ დავალება 26-ს წიგნში, რომელიც ჯერ დაკვირვებისა და შემდეგ თეორიული ნაწილის შემოთავაზების გზით აცნობს მათ ახალ გრამატიკულ საკითხს. გრამატიკულ ბლოკსვე მოსდევს თეორიული ტექსტის გასააზრებელი შეკითხვები და ამის შემდეგ სრულდება რვეულის სავარჯიშოები 27 და 28.<br>**აქტივობა 22** - სრულდება კომპლექსური დავალება „ინტერვიუს მომზადება“.<br>**აქტივობა 23 -** წერის კომპონენტი: მოსწავლემ კომპლექსური დ ავალების შესრულების შედეგად წერილობით უნდა ჩამოაყალიბოს ენის შესწავლის რამდენიმე განსხვავებული წესი და რედაქტირება გაუკეთოს წინა კომპლექსური დავალების პროდუქტს, რაც თავისთავად, მნიშვნელოვანი აქტივობაა, ვინაიდან სწავლის სწავლის კიდევ ერთ კარგ ხერხს ააქტიურებს. ესაა მოსწავლის მიერ უკვე შექმნილი რესურსისა თუ პროდუქტის კორექტირება და გაუმჯობესება. | |

| | | |
|---|---|---|
| | **რესურსები:**<br>მოსწავლის წიგნი, სავარჯიშო რვეული, ვიდეოჩანაწერი | |
| | **შეფასების კრიტერიუმები:**<br>**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**<br><br>1. სათანადო სტრატეგიების გამოყენებით, ვიდეოჩანაწერისა და ინტერვიუს ს ახით მიწოდებული ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა (1), ინტერვიუს მომზადება და წარდგენა (2), საკუთარ გამოცდილებაზე საუბარი, დიალოგის წარმართვა ინტერვიუსთვის(3);<br>2. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების ზეპირაად და/ან წერილობით გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება (4), ბრძანებითის ფორმების და რთული თანწყობილი წინადადების მიზნობრივი გამოყენება (5)<br>3. სოციოკულტურული თვალსაზრისით კონკრეტული ინფორმაციის ან მთლიანი ტექსტის გაანალიზება (7), განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა (8)<br>4. დავალებების შესრულებისას სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (10), სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება (12) | |

**მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:**

- მსოფლიოში უამრავი ენაა და თითოეული მათგანი ძვირფასია კაცობრიობისთვის.
- ადამიანის მიერ უცხო ენის ათვისება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია როგორც მისი კულტურული გამოცდილების გასამდიდრებლად, ასევე მომავალი პრაგმატული საქმიანობისათვის - თანამედროვე სამყაროში წარმატებული კომუნიკაციისათვის სხვადასხვაენოვან ადამიანებთან.
- უცხო ენის/ენების ათვისებისთვის ადამიანი მცირე ასაკიდან ზრუნავს და მიმართავს ბევრ სხვადასხვა ხერხს იმისათვის, რომ ეს პროცესი რაც შეიძლება სწრაფი, შედეგიანი და სახალისო იყოს.
- ენის კარგად ათვისების შედეგი დამოკიდებულია ადამიანის მიერ დახარჯულ დროსა და ძალისხმევაზე.
- ახალი საკითხის ან თემის შესწავლისას შემიძლია განვსაზღვრო, თუ რაში უნდა გამოვიყენო იგი, რა დამჭირდება ამის შესასწავლად, ვის შემიძლია ვთხოვო დახმარება და სად შემიძლია მოვიძიო ეს დახმარება თუ საჭირო რესურსი.

# VII თავი – შეფასების რუბრიკები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისთვის

სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები ცნებების მიხედვით

**1. ცნება: საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)**

- კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;
- კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.
- წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;

| პრესტრუქტუ რული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოასწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლ-ია მოცემულის/შეთავა ზებულის მიღმა სტრუქტურის განზო გადება, სტრუქტუ რის აღ-ქმა მრავალი სხვა-დასხვა პერსპე ქტივიდან და იდე ების გადატანა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს კომუნიკაციის დამყარებას, ვერ მონაწილეობს ქართულენოვანი ინფრომაციის აღქმასა და გაცემაში. | კომუნიკაციურ სიტუაციაში შეუძლია ან კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებზე, ან ადგილსა და დროზე კონცენტრირება. | კომუნიკაციურ სიტუაციში შეუძლია კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებზე, ადგილსა და დროზე კონცენტრირება. თუმცა ერთი კომპონენტის შეცვლის შემთხვევაში ვერ ახერხებს სხვა კომპონენტის მოდიფიცირებას. | კომუნიკაციურ სიტუაციში ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მოანწილეებს, ადგილსა და დროს; წარმატებული კომუნიკაციისთვის ზოგჯერ ვერ ახერხებს სრატეგიების შეცვლას სიტუაციისდა მიხედვით. | კომუნიკაციურ სიტუაციში ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მოანწილეებს, ადგილსა და დროს; წარმატებული კომუნიკაციისთვის მყისიერად იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს სტრატეგიების შეცვლის ჩათვლით. |

**2. ცნება: ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 4, 5)**

ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.

ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).

ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.

| პრესტრუქტუ რული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს სხვადასხვა ტიპის ტექსტს შორის ჟანრობრივი განსხვავებების დაჭერას. | შეუძლია კონკრეტული ტიპისა და ჟანრის ტექსტის ერთი მახასიათებლის საფუძველზე ჟანრობრივი განსხვავებების აღქმა. | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებში. ვერ ახერხებს შეტავაზებული ჟანრის ტექსტის შეთავაზებულ ჟანრში გადაყვანას. | საფუძვლიანად აცნობიერებს ჟანრობრივ მახასიათებლებს თითოეული ტიპის ტექსტისთვის. შეუძლია ერთი ტიპის ტექსტის სხვა ტიპის ტექსტად გადაკეთება. | შემოქმედებითად იყენებს ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს სხვადასხვა ტიპის ტექსტების შემსაქმნელად თუ გადასაკეთებლად. შეუძლია ჟანრის მახასიათებლების თავისუფალი გამოყენება. |

### 3. ცნება: ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)

ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;

ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოე ბული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძ-ლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტუ-რის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერ-სპექტივიდან და იდეების გადატა-ნა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებ ტქსტის მახასიათებლების იდენტიფიცირებას. | ახერხებს ტექსტის ერთი-ორი მახასითებლის იდენტიფიცირებას ტექსტის გაზრების მიზნით. | აცნობიერებს და იყენებს ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ მახასიათებლებს, როგორც ტექ-სტის გაგების, ასევე შექმნის მი-ზნით. ვერ ახერ-ხებს ერთი მახა-სიათებლის (მა-გალითად, ილუ-სტრაციის) ცვლ-ილების შესაბა-მისად სხვა მახა-სიათებლის (მაგ-ალითად, აბზა-ცის) ცვლილებას. | ტექსტის გააზრებისა და ინტერპრეტირების მიზნით იყენებს ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ მახასიათებლებს; ეს მახასიათბელები ეხმარება სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შემქნისას. | ეფექტურად იყენებს ტექ-სტის სიტყვიერ და არასიტყვი-ერ მახასიათებ-ლებს ტექსტის გააზრებისა და ინტერპრეტი-რების მიზნით. შემოქმედებითად იყენებს ტექსტის სტუქ-ტურულ მახა-სიათებლებს სხვადასხვა ტი-პისა და ჟან-რის ტექსტების შემსაქმნელად. |

**4. ცნება: ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)**

ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით;

ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;

პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ნამუშევარი არაა შესრულებული ან არაადეკვატური შინაარსითაა გადმოცელი. ვერ საუბრობს საკუთარ ნამუშევარზე ან საუბრობს გაურკვევლად. ვერ გადმოსცემს მუშაობის პროცესს. | ნამუშევარში გადმოცემულია ერთი ან ორი მთავარი მომენტი. საუბრობს გაურკვევლად საკუთარ ნამუშევარზე. ასახელებს დავალებაზე მუშაობის მხოლოდ ერთ მოქმედებას. | ნამუშევარში გადმოცემულია მთავარი მომენტები. საუბრობს საკუთარ ნამუშევარზე. საუბრობს, დავალებაზე მუშაობისას რა მოქმედებები შეასრულა. | იყენებს საკვანძო და საინტერესო დეტალებს ტექსტიდან. განმარტავს საკუთარ ნამუშევარს. საუბრობს, დავალებაზე მუშაობისას რა მოქმედებები შეასრულა და რა თანამიმდევრობით. | ახერხებს ტექსტის თავისუფალ, შემოქმედებით ინტერპრეტაციას, რისთვისაც იყენებს მინიშნებებს. გამოაქვს სათანადო დასკვნები და აკავშირებს პირად გამოცდილებასთან |

**5. ცნება: ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)**

ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);

განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში;

სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძ-ლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტუ-რის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერ-სპექტივიდან და იდეების გადატა-ნა ახალ სფეროში. |
| ქართულენოვან ტექსტებში ვერ ამჩნევს სოციოკულტუ რულ მახასითებლებს. | ქართულენოვან ზეპირ თუ წერილობით ტექსტში აღმოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, თუმცა ვერ ადარებს საკუთარს. | ქართულენოვან ზეპირ თუ წერილობით ტექსტში აღმოაჩენს რამდენიმე სოციოკულტურულ მახასიათებელს, რომელსაც ადარებს საკუთარს. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება და სხვებსაც მიუთითებს ამისკენ. |

**6. ცნება: გრამატიკა (შედეგები 5)**

სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;

გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყვე ლებისას ვერ იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებისა და ენობრივ კონსტრუქციებს . | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყვე ლებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებისა და ენობრივ კონსტრუქციებიდან მხოლოდ ორიოდე ფორმას . | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყვე ლებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებისა და ენობრივ კონსტრუქციების უმეტესობას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყვე ლებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყვე ლებისას დაუბრკოლებლად იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. |

**7. ცნება: ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)**

ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ  სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს;

თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას;

ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები.

**ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.**

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძ-ლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტუ-რის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერ-სპექტივიდან და იდეების გადატა-ნა ახალ სფეროში. |
| მოსწავლე ვერ ახერხებს გონებრივი ხერხების გამოყენებას. | მოსწავლე თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე მხოლოდ ცალ-კეულ შემთხვე-ვაში იყენებს სათანადო გონ-ებრივ ხერხებს, რაც უადვილებს ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებასაც. | მოსწავლე თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე უმეტესად იყენებს სათანადო გონებრივ ხერ-ხებს, რაც უად-ვილებს ლექსი-კისა და გრამა-ტიკის ათვისებასაც. | მოსწავლე თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე იყენებს სათანადო გონებრივ ხერ-ხებს, რაც უად-ვილებს ლექსი-კისა და გრამა-ტიკის ათვისებასაც. | თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე იყენებს და სხვებსაც ურჩე-ვს სათანადო გონებრივ ხერ-ხებს, რაც უად-ვილებს ლექსი-კისა და გრამა-ტიკის ათვისებასაც. |

**8. ცნება: სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)**

სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს;

სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| მოსწავლე ვერ აკვირდება საკუთარ სწავლას და ვერ ახდენს მასზე ზემოქმედებას. | მოსწავლე შემთხვევით, იშვიათად აკვირდება, საკუთარი სსწავლის პროცესს. ვერ ახერხებს მის შეცვლასა და დაგეგმვას. | მოსწავლე ხშირად აკვირდება, ცვლის და გეგმავს საკუთარი სსწავლის პროცესს. | მოსწავლე აკვირდება, ცვლის და გეგმავს საკუთარი სსწავლის პროცესს და აცნობიერებს, რომ ეფექტიანობა მასზეა დამოკიდებული. | მოსწავლე აკვირდება, ცვლის და გეგმავს საკუთარი სსწავლის პროცესს და აცნობიერებს, რომ ეფექტიანობა მასზეა დამოკიდებული. ამასვე ურჩევს სხვებსაც. |

სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები ზეპირი და წერითმეტყველებითი უნარებისთვის

საბაზო საფეხურზე გამოიყენება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებთან. ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ შეფასების გარკვეული რუბრიკები. ზემოთ გავეცანით სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებულ შეფასების რუბრიკებს ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტით შემოთავაზებული ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. ამ რუბრიკებში წარმოდგენილია იმავე ტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები ენობრივი მიმართულებების მიხედვით. მასწავლებელი ამ რუბრიკების გამოყენებით მიიღებს გადაწყვეტილებას, როგორ მისცეს მოსწავლეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება.

ქვემოთ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების გამოყენება გარკვეული მოდიფიცირების შემდეგ შესაძლებელია საშინაო და საკლასო დავალებების შეფასების მიზნითაც. ასევე, რაც მთავარია, მათი გამოყენება აუცილებელია კომოლექსური დავალებების შეფასების მიზნით, რათა მასწავლებელმა, ერთი მხრივ, განმსაზღვრელი შეფასებით შეფასოს მოსწავლე (და რაში უნდა დაუწეროს მასწავლებელმა მოსწავლეს ნიშანი, თუ არა კომპლექსურ დავალებაში?!), მეორე მხრივ, მისცეს განმავითარებელი უკუკავშირი და, მესამე მხრივ, გაითვალისწინოს მოსწავლის/მოსწავლეების შედეგები შემდგომი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკების გამოყენებისას შეკითხვა დაისმის ნიშნების დაწერის შესახებაც: რომელი ნიშანი შეესაბამება სოლოტაქსონომიის საფეხურებეს? ვიფქრობთ, ნიშანთა შემდეგნაირი გადანაწილება იქნება რელევანტური ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების შემთხვევაში:

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| 1-2-3 | 3-4-5 | 6-7-8 | 8-9 | 10 |

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ქულა სოლოტაქსონომიის ორ-ორ დონეზეა განთავსებული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასე ცალსახად შეთავაზება მასწავლებლბისთვის, რომ მაინცდამაინც ეს კონკრეტული დონე მაინცდამაინც ამ ნიშანს გულისხმობს, არ იქნება მთლად ზუსტი. ამიტომაც, მასწავლებელი საკუთარი შეხედულებით საკლასო ოთახის კონტექსტისა და კონკრეტული მოსწავლის მიერ შესრულებული კონკრეტული დავალების მიხედვით განსაზღვრავს დასაწერ ნიშანს.

## საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს საინფორმაციო ტექ სტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას. | ახერხებს საინფორმაციო ტექ სტში მოცემული ორიოდე ექსპლი ციტური ინფორ მაციის გაგებას. | ახერხებს საინფორმაციო ტექს ტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას, ზედაპი რული ინფორმაციის აღქმა-გაგებას. შეუძლია ზოგიერთი იმპლიციტური ინფრომაციის გაგებაც. | შეუძლია ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის სიღრმისეული გაგება, დასკვნების გამოტანა ტექსტისა და საკუთარი ცოდნის შეჯერების საფუძველზე. | შეუძლია ტექსტში გადმოცემული (იმპლიციტური) ინფორმაციის გააზრება. ტექსტის შექმნის მიზნებისა და ავტორის პოზიციის ამოცნობა. ქვეტექსტის ამოცნობა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა |

## მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძ-ლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტუ-რის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერ-სპექტივიდან და იდეების გადატა-ნა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას. | ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ორიოდე ექსპლიციტური ინფორმაციის გაგებას. | ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას, ზედაპი რული ინფორმაციის აღქმა-გაგებას. შეუძლია ზოგიერთი იმპლიციტური ინფრომაციის გაგებაც. | შეუძლია მხატვრულ ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის სიღრმისეული გაგება, დასკვნების გამოტანა ტექსტისა და საკუთარი ცოდნის შეჯერების საფუძველზე. ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს. | შეუძლია მხატვრულ ტექსტში გადმოცემული (იმპლიციტური) ინფორმაციის გააზრება. ტექსტის შექმნის მიზნებისა და ავტორის პოზიციის ამოცნობა. ქვეტექსტის ამოცნობა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. |

## მოსმენა

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძ-ლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტუ-რის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერ-სპექტივიდან და იდეების გადატა-ნა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს ტექსტის ვერც ერთი ზედაპირული ინფორმაციის გაგებას. | შეუძლია მოსმენილი ტექსტის მხოლოდ ორიოდე ზედაპირული ინფრომაციის გაგება. | შეუძლია მოსმენილ ტექსტის თემატიკისა ძირი თადი და ზედაპი რული ინფორმაციის გაგება. | შეუძლია მოსმენილი ტექსტის მთავარი სათქმე ლისა და ზოგიერთი სიღრმისეული, დეტა ლური ინფორმაციის გაგება. | შეუძლია მოსმენილი ტექსტის სიღრმისეულად და სრულფასოვნად, მათ შორის დეტა ლურ დონეზე გააზრება, ქვე ტექსტის ამოცნობა. |

**ლაპარაკი**

| პრესტრუქტრული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს საუბარს საკითხის ირგვლივ. | შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა შეთავაზებული საკითხის/თემის ირგვლივ, ისიც ძირითადად რეპროდუცირების ფორმატში. | შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი გარკვეული შეცდო მებითა და აქცე ნტით. | შეუძლია გაბმული მეტყვ ელება საკითხის ირგვლივ მცირე შეცდომებით და აქცენტით. | შეუძლია გაბმულად საუბარი და გარკვეული ინტერპრეტირება შეთავაზებული საკითხისა და დავა ლების ირგვლივ. მყისიერად და ეფექტურად იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. |

## წერა

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქ-ტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძ-ლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტუ-რის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერ-სპექტივიდან და იდეების გადატა-ნა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს წერითი ნამუშევრის პირობის აღქმას და ნამუშევრის შექმნას. | ახერხებს საკითხის შესახებ ზედაპირული და ზოგადი ფრაზების დაწერას. ნაწერში მრავლადაა შეცდო მები. | საკმაო რაოდენობის შეცდომებით ახერხებს საკითხის შესახებ დავალების პირობის შესაბა მისად წერილობითი ნამუშევრის შექმნას. | მცირე შეცდომებით ახერხებს საკითხის შესახებ დავალების პირობის შესაბა მისად წერილობითი ნამუშევრის შექმნას. ნაწერში ავლენს შემოქმედებით მიდგომას. | თითქმის უშეცდომოდ ახერხებს საკითხის შესახებ დავალების პირობის შესაბა მისად ინფორმაციის წერილობით გადმოცემას. ნაწერში ავლენს შემოქმედებით მიდგომას. აფასებს საკუთარი მუშაობის პროცესს და გეგმავს გაუმჯობესების გზებს. |

# VIII თავი – მოსასმენი ტექსტები და ინტერნეტბმულები

## თავი 1

**ტექსტი 1**

**დიალოგი ტანსაცმლის მაღაზიაში**

— გამარჯობათ. კონსულტანტი ბრძანდებით? გთხოვთ, დამეხმაროთ.

— დიახ. რით დაგეხმაროთ?

— ეგ ყვავილებიანი ჟაკეტი მომაწოდეთ, თუ შეიძლება, თქვენ უკან რომ კიდია.

— ეს ცისფერი ჟაკეტი გნებავთ?

— დიახ, მადლობა.

— თქვენთვის გინდათ?

— დიახ. ჩემთვის მინდა.

— ვფიქრობ, ეს ჟაკეტი თქვენთვის დიდია.

— უფრო პატარა ზომა არ გაქვთ?

— ამ ფერის, სამწუხაროდ, არა. მაგრამ აი, ამ ვარდისფერ ჟაკეტს შემოგთავაზებთ. სტილი იგივეა და მგონი, თქვენი ზომაა. ამ ფერს გირჩევთ. ჩემი აზრით, ვარდისფერი უფრო მეტად მოგიხდებათ.

— არა მგონია. არ მიყვარს ეგ ფერი. მაგ ჟაკეტს ის მირჩევნია, მანეკენს რომ აცვია, დიდი ჯიბეებით. დიახ, დიახ, აი ის ჟაკეტი. იმ ჟაკეტის მოზომება შეიძლება?

— კი, როგორ არა. როგორც თქვენ გსურთ. აი, ინებეთ.

— გმადლობთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

— ნახვამდის.

**ტექსტი 1**

**მასწავლებელი (ქალი):**

მოკლე თმა უფრო მომწონს. ადვილად ვუვლი. მიყვარს სპორტული ტანსაცმელი: ბოტასები, ჯინსები და მაისურები. ბევრ მასწავლებელ ქალს კაბა ან ქვედაბოლო ურჩევნია. მეც მომწონს კაბები. აი, ეს კაბა ჩემი საყვარელი კაბაა. მაგრამ მე ჯინსი მირჩევნია, იმიტომ, რომ უფრო მოხერხებულია. სკოლაშიც ჯინსებით დავდივარ. ჩვენს სკოლაში ფორმა არავის აცვია. ყველას განსხვავებული სტილი აქვს. არავინ არავის არ ჰგავს. ვფიქრობ, რომ ეს კარგია.

**გოგო (მე-7 კლასელი):**

გრძელი თმა მომწონს. სკოლაში უფრო ხშირად შეკრული თმით დავდივარ, სახლში და ეზოში — გაშლილი თმით. ძალიან გრძელი თმა მაქვს. 5 წლიდან ვიზრდი. ელასტიკები მიყვარს (აი, ლეგინსებსაც რომ ეძახიან), ძალიან მოხერხებულია თამაშისა და სირბილის დროს. სკოლაში ფორმა მაცვია — შავი სწორი ქვედაბოლო, თეთრი პერანგი, ფეხზე — მუქი ფერის ტუფლი. როცა ცივა — მუქი ფერის პიჯაკს ვიცვამ. მომწონს ჩვენი ფორმა. კლასიკური სტილი ჩემთვის მისაღებია. ჩემი მეგობრის სკოლაში ფორმა განსხვავებულია. მწვანეა, ყვითელი ჯიბეებით. არ მიყვარს მწვანე ფერის ტანისამოსი. თქვენ არ იცით, მაგრამ ის ფორმა მართლა საშინელია.

**ბიჭი (მე-7 კლასელი):**

მოკლე თმაც მომწონს და გრძელიც. ვის როგორ უხდება. მე ცოტა გრძელი თმა მაქვს, მხრებამდე. ბევრს არ მოსწონს, გრძელი თმა რომ მაქვს. შეიჭერი ეგ თმა, ბიჭს გრძელი თმა არ უხდებაო. მაგრამ ვფიქრობ, მე მიხდება. არ მაინტერესებს, სხვები რას ფიქრობენ ჩემს გარეგნობაზე. მე მომწონს გრძელი თმა და მორჩა!

მიყვარს სპორტული შარვლები და ჰუდები. კარგია, რომ ჩემს სკოლაში ფორმა არ არის საჭირო. იმას ვიცვამთ, რაც მოგვწონს.

## თავი 3

**შვილი:** დედა, შენი აზრით, ვინ იყო ყველაზე მაგარი მოგზაური?

**დედა:** ჩემი აზრით, კოლუმბი.

**შვილი:** რატომ კოლუმბი?

**დედა:** როგორ თუ რატომ? ამერიკა აღმოაჩინა!

**შვილი:** ტყუილია, კოლუმბამდე ამერიკაში ლეიფ ერიქსონი იყო!

**დედა:** ვინ?

**შვილი:** ლეიფ ერიქსონი!

**დედა:** ვინ არის ეგ? არასდროს გამიგია.

**შვილი:** ბევრმა არ იცის, ვინ არის. ყველა კოლუმბზე ლაპარაკობს, არადა, იცი? ერიქსონი კოლუმბამდე 500 წლით ადრე იყო ამერიკაში!

**დედა:** საიდან იცი?

**შვილი:** ინტერნეტში წავიკითხე. თან კოლუმბზე ამბობენ, რომ სასტიკად ექცეოდა ინდიელებს. მე კიდევ არ მიყვარს სასტიკი ხალხი.

**დედა:** იმ დროს ყველა სასტიკი იყო! შენი ერიქსონიც სასტიკი იქნებოდა.

**შვილი:** არ ვიცი, შეიძლება.

**დედა:** სადაური იყო ერიქსონი?

**შვილი:** ვიკინგი იყო.

**დედა**: იცი, ვინ იყვნენ ვიკინგები? ყველაზე მაგარი მეზღვაურები და მეომრები.

**შვილი:** რა თქმა უნდა, ვიცი.

**დედა**: კარგი, შენთვის ვინ იყო ყველაზე მაგარი მოგზაური?

**შვილი:** მაგელანი.

**დედა:** რატომ?

**შვილი:** არ იცი, ვინ იყო მაგელანი?

**დედა:** კი? დედამიწას შემოუარა პირველმა.

**შვილი:** დედამიწას შემოუარა პირველმა და მაგარი იყო, აბა რა იყო?

## თავი 5

**ტექსტი 1**

**მამა-შვილის დიალოგი**

*

შვილი: ვაიმე, მამა, შეხედე, რა ლამაზი სასტუმროა! სულ ხისაა და უზარმაზარი ფანჯრები აქვს! ძალიან მომწონს!

მამა: სასტუმრო მეც მომწონს... მაგრამ ფასს შეხედე? — 100 ლარი! ერთ ღამეში ასი ლარი?

შვილი: ეს ფასი ერთ ადამიანზეა?

მამა: რა თქმა უნდა!

შვილი: ჰო, ასი ლარი ერთ ადამიანზე ერთ ღამეში ძალიან ძვირია.

*

შვილი: ესეც ძალიან ლამაზია, მამა! თან უფრო იაფია — 80 ლარი.

მამა: ჩემო გოგო, ჩვენ ხუთნი ვართ: მე, დედა, შენ და შენი და-ძმა. ხუთჯერ 80 ლარი — 400 ლარია.

*

შვილი: ეს კიდევ უფრო ძვირია! 250 ლარი!

მამა: არა, აი ეს სწორედ რომ არ არის ძვირი. შეხედე, რა აწერია? — 10-12 პერსონაზე გათვლილი. ანუ 10-12 ადამიანს შეუძლია ერთად იცხოვროს. 250 გაყავი ათზე, რამდენია?

შვილი: 25 ლარი.

მამა: სწორია. ანუ ეს სახლი ერთ ადამიანზე 25 ლარი ღირს. ანუ უფრო ნაკლები. მაგრამ ჩვენ ათნი არ ვართ, მხოლოდ ხუთნი ვართ. ეს სახლი არ გამოგვადგება — ჩვენთვის ძალიან დიდია.

*

შვილი: აი მამა, ძალიან იაფი სასტუმრო! სულ 15 ლარი ღირს!

მამა: ჰო, ეს სასტუმრო იაფია, მაგრამ ოთახების ფოტოები ვნახე და არ მომწონს...

*

მამა: ვა, რა საინტერესოა! სასტუმრო — 20 ლარი. კვებით — 50 ლარი. ეს სასტუმრო გვაწყობს.

შვილი: რატომ აქვს ამ სასტუმროს ორი ფასი? ან რას ნიშნავს „კვებით — 50 ლარი“?

მამა: ეს იმას ნიშნავს, რომ გვექნება კვება — საუზმე, სადილი და ვახშამი. კვებაში დამატებით 30 ლარს გადავიხდით. ეს ძალიან კარგი ფასია. გაშალე აბა ეს განცხადება, შიგნით რა წერია...

შვილი: „სასტუმრო მდებარეობს ბაკურიანის ცენტრში, კულტურულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან ახლოს. ნომრებში არის ინდივიდუალური სველი წერტილები, ხელი და ცივი წყალი, ცენტრალური გათბობა, ტელევიზორი, უკაბელო ინტერნეტი (WI-FI)“. მამა, ტელევიზორი და ვაიფაი აქვთ!

მამა: ინტერნეტი და ტელევიზორი მხოლოდ საღამოს! დღისით სულ გარეთ ვიქნებით — ვისეირნებთ, ვისრიალებთ, ვიგუნდავებთ! არავითარი ინტერნეტი და ტელევიზორი!

შვილი: მამა!

მამა: რა „მამა“? არავითარი ინტერნეტი და ტელევიზორი! გაიგე?

შვილი: ჰო, გავიგე...

მამა: გათბობა და ცხელი წყალიც აქვთ. გათბობა აუცილებელია. ბაკურიანში ცივა. ყინავს.

შვილი: მამა, რას ნიშნავს „ინდივიდუალური სველი წერტილები“?

მამა: ეს ნიშნავს, რომ ყველა ოთახს ცალკე სააბაზანო და ტუალეტი აქვს.

შვილი: აჰა. გასაგებია.

**ტექსტი 2**

**მე-7 კლასის მოსწავლეები – სამი გოგო და 2 ბიჭი**

ანა: აბა, სად აპირებთ წასვლას არდადეგებზე?

გიორგი: მე აქ ვრჩები.

ანა: აქ რას გააკეთებ?

გიორგი: ათას რამეს: ფილმებს ვუყურებ, ტელეფონით ვითამაშებ, წიგნს წავიკითხავ, კინოში წავალ, პარკში ვისეირნებ...

ანა: კარგი, კარგი, გავიგე... მე სოფელში მივდივარ ბებიასთან.

გიორგი: და ბებიასთან რას გააკეთებ?

ანა: ბებიას გამზადებულ გემრიელ რაღაცებს შევჭამ... იქაურ მეგობრებთან ერთად ვითამაშებ...

გიორგი: ითამაშებ და შეჭამ, სულ ესაა?

ანა: ფილმებს მეც ვუყურებ და ტელეფონით მეც გავერთობი, სულ ეზოში ან ქუჩაში ვიქნები და ბევრს ვისეირნებ... სოფელში უფრო კარგად დავისვენებ... თან ცოტა ბებიასაც დავეხმარები.

ნინო: მე კი ბაკურიანში ვაპირებ წასვლას. მაგარ დროს გავატარებ! ვგიჟდები თოვლსა და ბაკურიანზე!

ნიკა: ვა, რა მაგარია! მეც ბაკურიანში მივდივარ! ერთმანეთს ვნახავთ! საბაგიროზე ერთად ავალთ!

ნინო: აბაა... ერთად ვისრიალებთ და ვიგუნდავებთ... ერთმანეთს გავართობთ! მაგარ სურათებს გადავიღებთ!

ნიკა: როდის მიდიხართ?

ნინო: ამ შაბათ-კვირას წავალთ. თქვენ როდის წახვალთ?

ნიკა: ხვალ ბარგს ჩავალაგებთ და ზეგ გავემგზავრებით...

ნინო: თქვენ სად იცხოვრებთ?

ნიკა: ნათესავთან. დედაჩემს ნათესავები ჰყავს იქ.

ნინო: ჩვენ სასტუმროში ვიქნებით.

ნიკა: უკვე იცით, რომელ სასტუმროში იცხოვრებთ?

ნინო: კი, ვიცით. მაგრამ სახელი არ მახსოვს. მამას ვკითხავ.

ნიკა: ჰკითხე. მერე მეც ვკითხავ ჩემს ნათესავს, სად არის შენი სასტუმრო. ახლოს იქნები თუ არა.

ანა: შენ რატომ ხარ ჩუმად? არსად არ მიდიხარ?

მარი: დედამ თქვა, ამ არდადეგებზე იმერეთში ვიმოგზაურებთო.

ანა: უჰ! ახლა რა დროს მოგზაურობაა? ცივა! მოგზაურობა ზაფხულშია კარგი!

მარი: მოგზაურობა ყოველთვის კარგია! თან დედამ თქვა, რომ ისეთ ადგილებს ვნახავთ, სადაც სიცივე არ იქნება.

ანა: რა საინტერესოა, რა ადგილებია ასეთი, სადაც სიცივე არ იქნება?

## თავი 6

**და-ძმის, აიდასა და ამოს დიალოგი**

ამო: რა ბევრი საქმეა! დავიღალე! მანქანა ხომ არ ვარ? სარეცხი მანქანა გვაქვს, მაგრამ მე სამზარეულოს მანქანაც მინდა, რომელიც ჩემ ნაცვლად **იმუშავებს!** წარმოიდგინე, აიდა, მომავლის მანქანა, რომელიც თვითონ **გააკეთებს** საჭმელს, დაალაგებს სამზარეულოს, **გარეცხავს** და გაამშრალებს ჭურჭელს! მე და შენ კი ამ დროს **დავისვენებთ!** რატომ არავინ იგონებს ასეთ მანქანას?

აიდა: როგორ არ იგონებს არავინ? ჭურჭლის სარეცხი მანქანა ხომ არსებობს?

ამო: ჭურჭლის სარეცხი მანქანა მარტო რეცხავს! არ ალაგებს!

აიდა: იაპონიაში გამოიგონეს დამლაგებელი რობოტი! ის ადამიანზე უკეთ აკეთებს საოჯახო საქმეს. გუშინ თუ გუშინწინ ვკითხულობდი ინტერნეტში.

ამო: მეხუმრები, ხომ? რობოტი-ადამიანი ჰყავთ იაპონიაში?

აიდა: სულაც არ გეხუმრები! მართლა ჰყავთ. თუ აქვთ. თუ როგორცაა... თუ მომავალში ასეთ რობოტს **ვიყიდით,** ყველა საოჯახო საქმეში დაგვეხმარება! სახლს **დაალაგებს:** იატაკზე დაყრილ ნივთებს აკრეფს, ყველაფერს თავის ადგილას **დააწყობს,** იატაკს დაგვის, ავეჯს მტვერსასრუტით **გაწმენდს,** მაცივრიდან საჭმელს გამოიღებს და სუფრაზე **მოიტანს.**

ამო: ოჰოჰო! ჩემი ოცნების რობოტია! და რა ღირს?

აიდა: არ მახსოვს... ვფიქრობ, ათას დოლარზე მეტი. ალბათ, რამდენიმე ათასი დოლარი...

ამო: მადლობა! ისევ მე დავალაგებ! რობოტს ვიყიდი, როცა გავმდიდრდები! ან მე თვითონ **გამოვიგონებ** და გავაკეთებ!

# თავი 7

**ტექსტი 1**

– ტომ!

პასუხი არ არის.

– ტომ!

პასუხი ისევ არ არის.

– ნეტავ, სად არის ეს ბიჭი? – თქვა დეიდა პოლიმ და მიიხედ-მოიხედა, ტახტის ქვეშაც შეიხედა, მაგრამ იქ მხოლოდ კატა იპოვა, – ტოოომ, სად ხარ?!

უცებ ტომი დეიდა პოლის უკან გაჩნდა.

– დიახ, დეიდა.

დეიდა პოლიმ მოიხედა და ტომს ახედ-დახედა:

– რას აკეთებდი, ტომ? — ჰკითხა მან.

– არაფერს, — უპასუხა ტომმა და ფეხებზე დაიხედა.

– არაფერს?! — დაიყვირა გაბრაზებულმა დეიდა პოლიმ, — აბა, ნახე შენი ხელები და ტუჩები... რამდენჯერ გითხარი, მურაბას ნუ ჭამ-მეთქი?!

**ტექსტი 2**

**ეზოპეს შესახებ**

ზუსტად არავინ იცის, ვინ იყო და როდის ცხოვრობდა მეიგავე ეზოპე. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე ამბობს, რომ ეზოპე საბერძნეთში, კუნძულ სამოსზე ცხოვრობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში და მონა იყო. ჰეროდოტეს ცნობით, ეზოპე შემდგომ გაათავისუფლეს. ეზოპეს დაწერილი აქვს 400-ზე მეტი იგავ-არაკი. მისი იგავ-არაკები გამოიყენეს და თავისებურად გადაამუშავეს გერმანელმა, ქართველმა, რუსმა და სხვა ქვეყნის მწერლებმა. ეზოპეს მიერ 26-27 საუკუნის წინ დაწერილ იგავ-არაკებს დღესაც კითხულობენ ბავშვები და უფროსები. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეზოპეს იგავ-არაკები ერთი კი არა, რამდენიმე ადამიანის დაწერილია. „ძუნწი" ეზოპეს ერთ-ერთი იგავ-არაკია.

**ტექსტი 3**

**„ძუნწი" (ეზოპეს მიხედვით)**

ერთმა ძუნწმა მთელი თავისი ქონება ოქროზე გადაცვალა. მერე ეს ოქრო წაიღო და ერთი კედლის ქვეშ ჩამარხა. ყოველდღე მიდიოდა ოქროს სანახავად. თხრიდა მიწას, ნახულობდა ოქროს, ტკბებოდა და ისევ მარხავდა.

ერთმა მუშამ შეამჩნია ეს. იფიქრა – მოდი ვნახავ, ეს კაცი სად დადისო.

მივიდა, ოქრო ნახა და მოიპარა. როცა პატრონი დაბრუნდა და ცარიელი ორმო დახვდა, თმების გლეჯა და ღრიალი დაიწყო.

ღრიალზე მოირბინა მეზობელმა და როცა გაიგო მისი მწუხარების მიზეზი, უთხრა:

– რატომ დარდობ? აიღე ქვა, ჩადე იმავე ადგილას და წარმოიდგინე, რომ მიწაში ოქროა. რა მნიშვნელობა აქვს, შენ ხომ იმ ოქროს მაინც არ იყენებდი?

გამოუყენებელ სიმდიდრეს არავითარი ფასი არა აქვს.

## თავი 9

ნინო: ფატიმა, დიდი შესვენებაა... წამო, რამე ვჭამოთ.

ფატიმა: კაი... და რა ვჭამოთ? .... მოიცა, მე ჩანთაში ფახლავა მაქვს.

გარი: უჰ, როგორ მიყვარს ფახლავა. ფატიმა, ჩემთვის არ გაქვს? მომე, რა, მეც, ცოტა! და ორშაბათს ქადებს მოგიტანთ!

ფატიმა: კი, შენთვისაც მაქვს (იცინის).

ნინო: წავიდეთ ბუფეტში, ყავა ვიყიდოთ და შენი ფახლავა მივაყოლოთ, კარგი?

ფატიმა: ყავა ვიყიდოთ? თუ ჩაი? მე ჩაი მირჩევნია, ნინო. ხომ იცი, მიჩვეული ვარ ჩაის სმას. დღეში ოთხჯერ ვსვამთ სახლში. გარი, შენ?

გარი: მე ყავას დავლევ. ჩაის ოთხჯერ სვამთ? სტუმრებსაც ჩაის სთავაზობთ?

ფატიმა: კი, სტუმრებსაც ჩაის ვთავაზობთ, ჩაისთან კიდე – ტკბილეულს და თხილეულს.

გარი: ჩვენ – ყავას.

ნინო: ჩვენც ყავას. ან ღვინოს (იცინის). ქართულ სუფრაზე სულ სადღეგრძელოებს ამბობენ, ღვინის გარეშე კი სადღეგრძელოს ვერ იტყვი. მაგრამ ბავშვები, რა თქმა უნდა, არ ვსვამთ.

გარი: ჩვენთანაც სვამენ ღვინოს და სადღეგრძელოებსაც ამბობენ.

ფატიმა: ჩვენს სუფრაზე ღვინო იშვიათადაა. სადღეგრძელოებიც აუცილებელი არ არის. თუმცა ქორწილებში სვამენ ხოლმე და სადღეგრძელოებსაც ამბობენ, მაგრამ მხოლოდ კაცები სვამენ, ქალები — არა. ჩვენი წესები ზოგჯერ განსხვავდება.

ნინო: ჰო, ვიცი. მაგალითად, სახლში შესვლისას ფეხსაცმლის გახდა.

ფატიმა: ჰო, სახლში შესვლისას ჩვენთან ყველა იხდის ფეხსაცმელს.

ნინო: უცხო სტუმრებიც იხდიან?

ფატიმა: კი, ყველა იხდის ფეხზე. ყველა სტუმარმა უნდა დაიცვას ეს წესი.

გარი: ჰოო, ჩვენ როცა თბილისში ვართ, ჩვენი სტუმრები არ იხდიან ფეხზე. სოფელში — იხდიან.

**(ისმის ნინოს ხმა, რომელიც მებუფეტეს მიმართავს):**

ნინო: ერთი ჩაი და ორი ყავა მომეცით, თუ შეიძლება.

მებუფეტე ქალბატონი: ბავშვებო, აიღეთ თქვენი ჩაი და ყავა!

ნინო: გარი, დამეხმარე.

გარი: ახლავე.... ფატიმა, აბა მოიტა შენი ფახლავა!

ფატიმა: აი, გამომართვით!

## ვიდეობმულები:

მე-2 თავი, სავარჯიშოების რვეული

https://www.youtube.com/watch?v=WjqiU5FgsYc

https://www.adjaranet.com/movies/20694/Wonder?lang=GEO&quality=SD

(00:00-01:57; 03:29-04:29)

მე-4 თავი, მოსწავლის წიგნი

https://www.youtube.com/watch?v=t0JhZVBPzKk

(00:00-04:25)

მე-10 თავი, სავარჯიშოების რვეული

https://www.youtube.com/watch?v=flJKelS9RiU